

ტაჯიკურიდან თარგმნა მახალი თოდუა

1978 წ. აპრილში მოწინავე კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა გამოჩენილი მწერლის, ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის საღრიდინ აინის (1878—1954) დაბადების ასი წლისთავი.

ს. აინის ნაწარმოებები მსოფლიოს ყველა კულტურული ერის ენაზეა თარგმნილი. ზოგ მის თხზულებას ქართული მკითხველიც იცნობს. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა მოგონებების წიგნმა „ბუხარამ“. მკითხველს ვთავაზობთ ს. აინის ამ თხზულების რამდენიმე თავის თარგმანს, რომელიც მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემიდან არის შესრულებული.

მიწის მუშა

მედრესეში ცხოვრებას ასე თუ ისე გავეცანი. ახლა მამაჩემის წინაშე იდგა საკითხი: მომავალ სასწავლო წელს ჩემი ბუხარაში გაგზავნა სასწავლებლად. მაგრამ ორი კაცის რჩენა ბუხარის მედრესეში მას 'მძიმე დღეში აგდებდა, ამიტომ მეც მომცა დავალება, შენც გაანძრიე ხელი და სახარჯო ფული ცოტა შენც იშოვეო!

ჩვენი სუფის იქით თავისუფალი, დაუმუშავებელი ადგილი იყო. იქ მამაჩემს ჭერმების ბაღი ჰქონდა. ჯერ კიდევ ნორჩ ჭერმის ნერგებში უღელი ხარის გატარება სახიფათო იყო, ნერგებს დააზიანებდა. მამამ დამავალა: აი, ის მიწა დაამუშავე ქალანდით¹, შიგ რამე დათესე და რასაც მოიყვან, შენი იყოსო.

მამამ ამ საქმისთვის პატარა ქალანდი მიყიდა და მეც საქმეს შევუდექი. სამჯერ დავბარე ქალანდით ის ნაკვეთი, მიწა სამი ქალანდის ზომაზე თავარ-

¹ ქალანდი — ბარის მსგავსი თოხი.

ბილე. ახლა ჩემ წინაშე მიწის დაფარცხვის საკითხი წამოიჭრა. ამისათვის ერთი ძველი კარი გამოვიყენე. მაგრამ იმ ჩემს ფარცხს კბილები არა ჰქონდა, ამიტომ სანამ ამ ძველ კარს გავაჩოჩიალებდი ზედ, მანამდის ბელტები და კოლბოხები ისევ ქალანდით დავამუშავე და გავაფხვიერე. ახლა კი უკვე შეიძლებოდა მიწის მოფარცხვა. ჰამიდ-ხოჯა და იქრამ-ხოჯა ხარების მაგივრობას დამპირდნენ, მაგრამ ერთი-ორჯერ რომ გაატარ-გამოატარეს ფარცხი, საქმე მიმიტოვეს.

მე სხვა „ხარი“ ვიშოვე. ეს ხაიბარი იყო. ხაიბარი შევაბი ფარცხში. ჰკვიანმა და ღონიერმა ძაღლმა ერთი-ორჯერ რომ გაატარა ფარცხი, ამ საქმიანობას აღლო აუღო. ძველი, გამოცდილი ხარი რომ გინახავთ, ისე გაჰქონდა და გამოჰქონდა ფარცხი. თითქოს მეც კარგი ხარები მყოლოდა შებმული, ისე ვიდექი ფარცხზე და ძაღლს მივერეკებოდი, ვუბრძანებდი, მიათრევდა ფარცხს, ვუბრძანებდი — მობრუნდებოდა, ვუბრძანებდი — შედგებოდა.

ფარცხვას რომ მოვრჩი, მიწას ნაკელი მივეცი, ერთხელ კიდევ დავამუშავე ქალანდით და ერთხელ კიდევ მოვფარცხე. ასე და ამგვარად მიწა რომ საბოლოოდ სათესად მოვამზადე, მამას ვკითხე: რა დავთესო-მეთქი?

— ხალხი ამბობს: „სხვა რამის გოგრა თუ არა გაქვს, გოგრა მაინც მოიყვანეო“. მაგრამ შენ ახალბედა ხარ და ეს ნათქვამი არ გეხება, შენთვის გოგრის მოყვანაც საქმეა. ჰირვეული არაა, ბევრი თავზე გადაკვდომა არ უნდა, განსაკუთრებით ფლავის გოგრას. მოვლა ბევრი არ უნდა, ხოლო მოსხმით ბლომად ისხამს.

ორი თუ სამი დღის შემდეგ, როცა მზემ მიწას კარგად დახედა და თესლიც დალბა, მამაჩემმა გოგრა დათესა.

ამოყო თავი ჩემმა გოგრამ. მეც საქმიანობას შევუდექი, ორ კვირაში სამჯერ გავთოხნე.

იმ წელს მამაჩემიც ჩვეულებრივზე მეტს მუშაობდა ყანაში. ერთ თანაბ (ჰექტარის მეოთხედ) მიწაზე ბამბა დათესა, ერთ თანაბზედაც — ჯუგარა. მაგრამ ზაფხული მეტად ცხელი გამოდგა, ბამბა სულ გადახმა, მიწაც მოცდა და ამდენი ჯაფაც წყალში ჩაგვეყარა. ამიტომ ბამბის ნათესზე სიტყვას არ გავგრძელებ და ჯუგარაზე მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას.

შემოდგომაზე მამაჩემმა მიწა მორწყა და ქალანდით დაამუშავა, შემდეგ, ზამთარში, ყავის ანუ მშვილდოსნის ზოდიაქოს დროს რომ მორწყვა იციან, არც ის დააკლო და არც ის, „ჩელეაბს“ რომ ეძახიან და ორმოცი დღის შემდეგ მორწყვას რომ ნიშნავს. გაზაფხულზე ერთხელ კიდევ გათოხნა ყანა. ერთი ძველი დაქცეული კედელი გვქონდა ეზოში, რამდენიმე წელი იყო, რაც მზესა და წვიმაში ღებოდა და მიწას ანოყიერებდა. მამაჩემი ადგა და ის სასუქიც შეიტანა თავის ნათესში. ამ საქმეში მამას ვშველოდი: მამა ვირს აკიდებულ გოდორში სასუქს ყრიდა, მე კი ვირი ყანაში მიმყავდა და იქ ვცლიდი. შემდეგ მამამ ხარები დაიჭირა, მიწა ორჯერ მოხნა, მოფარცხა, მოასწორა და დათესა. დათესვის შემდეგ ერთხელ კიდევ მოფარცხა მიწა და მოასწორა.

ნათესი მეტად მეჩხერი გამოდგა, აქა-იქ ჰქონდა ყური ამოყოფილი. მეზობლები მამაჩემს ურჩევდნენ, ხელახლა უნდა დათესო, თორემ გაცულებული გაქვს ყანაო, მაგრამ მან მათი რჩევა არ ისმინა.

„ბამბაში თოხმა უნდა გაიაროს, ჯუგარაში — აქლემმაო“, ნათქვამია.

ბამბის ყანაში ისე ახლოს უნდა იყოს ძირი ძირთან, რომ მათ შუა თოხი თუ გავიდა, მაინც იხარებს და მჭიდრო არ ეთქმის, მაგრამ ჭუგარა ისეთი რამეა, თუ შორი-შორ არ იქნა, ერთმანეთს დაჩრდილავენ და დაჩაგრავენ. ამიტომ უთქვამთ, ისეთ მანძილზე უნდა იყოს ჭუგარა ჭუგარასთან, რომ მათ შუა აქლემს შეეძლოს გავლაო.

მცენარემ ცოტაზე რომ წამოიწია, მამამ გათოხნა, მერე ისევ გამარგლა და ბოლოს გაამოროდა. როცა სიცხისაგან ყანამ მოიწყინა, ერთხელ კიდევ მორწყა. ამის შემდეგ ყოველმა ძირმა ათი-თორმეტი თავი დაიყარა, მამამ ჭუგარა გაფურჩნა და ძირზე ოთხ-ოთხი თავი დაუტოვა. მოსავალს კარგი პირი უჩანდა და მამაჩემს იმედი ჰქონდა, ორას ორმოცი ფუთი ჭუგარა უნდა მოვიდესო.

მაგრამ იმ წელს ბუხარის მხარეში ერთი ისეთი ამბავი დატრიალდა, რომ არათუ მამაჩემის იმედი და ჩვენი უშფოთველობა გააქარწყლა, არამედ სუყველას სიკვდილი და უბედურება მიაყენა კარს, — შავი ჭირი გაჩნდა.

მამისა და დედის სიკვდილი

ჰიჯრის 1306 წლის ზაფხულის დამდეგს (1889 წლის ივნისში) ბუხარაში შავმა ჭირმა იფეთქა. ჩემი ძმა ავადმყოფი ჩამოვიდა ქალაქიდან. უფროსი ბიძა, დედის ძმა, მოლა-დეჰყანი ბუხარაში გარდაიცვალა ამ სენით. იგი თავის სოფელში, ზედა მაჰალაში, ჩამოასვენეს. მამა თვითონ არ იყო კარგად, ამიტომ ჩემს ძმებთან დარჩა შინ. ხოლო დედა მე წავიყვანე პაპაჩემისას ბიძაჩემის სატირლად.

არ ვიცი, იქ შეეყარა ეს სნეზა და ამის გამო იყო, თუ ძმის სიკვდილი ძალიან რომ განიცადა, ეს იყო მიზეზი, დედაჩემი ჩემს დედულშივე შეიქნა ცუდად. ვირზე შევსვი და საჩქაროდ წამოვიყვანე. შინ რომ დავბრუნდი, მამაჩემიც ლოგინად ჩავარდნილი დამხვდა და ჩემი უმცროსი ძმებიც (ერთი ცხრა წლისა, მეორე — ოთხისა).

ჩვენი სახლი საავადმყოფოს დაემსგავსა, სადაც ექიმიც მე ვიყავი, ექთანიც და მომვლელიც. ერთ ოთახში ხუთი ავადმყოფი იწვა და მათი პატრონი ახლა მე გახლდით. ერთს წყალს ვაწოდებდი, მეორეს — ჩაის, მესამეს — რძეს ვასმევდი, მეოთხეს ბუზებს ვუმწერებდი, მეხუთეს გარეთ გასვლაში ვშველოდი.

ერთ კვირაში სოფელში ყველა ოჯახი ჩვენსას დაემგვანა. არათუ სოფელში, მთელ თუმანში იშვიათად დარჩა კაცი ფეხზე. ხალხს მუსრი ევლებოდა. ჩვენს სოფელში, სადაც დაახლოებით სამასი კომლი ესახლა, ყოველდღე ერთ ან ორ მიცვალებულს ასაფლავებდნენ.

მაშინ მე არ ვიცოდი და დაბეჭითებით ახლაც არ შემიძლია გითხრათ, რასტკიოდათ ჩემს ავადმყოფებს. სოფლებში მაშინ ექიმი არ იყო. ჩვენს სოფელში კი ექიმბაში რომ ექიმბაშია, ისიც არ გვყავდა, რომ ავადმყოფებისთვის რაიმე ნახარში დაეღვეინებინათ და ამით ცოტათი მაინც არის გაემხნევენინათ, როგორც ავადმყოფები, ასევე მათი ჭირისუფლები. მარტო იშანები და შემლოცველები გვყავდნენ. იმათი კი უვიც სოფლელებსაც არ სჯეროდათ და ისინიც გარე-გარე დადიოდნენ ხალხის გასაბრიყვებლად.

ერთხელ, ზემოთ რომ ყარი-მაჰმუდი მოვიხსენიე, იმას ვკითხე:

— ძია იშანო! სულ რომ სხვა სოფლებში ულოცავთ ხალხს და გარე-გარე რომ დადიხართ, ხომ ხედავთ, ჩვენშიც როგორ მომრავლდნენ ავადმყოფები, რატომ არ გინდათ, ამ ხალხს შეულოცოთ, იქნებ ეშველოთ რამე!

მან მიპასუხა:

— არც ერთი ქურდი თავის უბანში არ იქურდებს. მე განა ქურდზე უფრო სინდისგარეცხილი ვარ, რომ მეზობლები ვატყუო!

იმაში კი იყო ყარი-მაჰმუდი მართალი, რომ ამბობდა, მეზობლებს არ ვუზამ ამასო, მაგრამ თვითონ მეზობლები რომ მას თავს არ მოატყუებინებდნენ და მისი შელოცვა-გამოლოცვებისა მეზობლებს რომ არ სჯეროდათ, ამაში არ ტყუდობდა.

ჩემს ავადმყოფთაგან მამა იყო ყველაზე მძიმედ. იგი უგონოდ იწვა და მხოლოდ წყალს ითხოვდა. ერთ დღეს თვალები გაახილა და მკითხა:

— ჯუგარა თუ მორწყე მეორეჯერ?

— არ მომირწყავს.

— პირველი მორწყვიდან რამდენი დღე გავიდა?

— ათი.

— მაშინ კარგი. ჯერ არ სჭირდება მორწყვა.

თვალები დახუჭა და ისევ დაკარგა გონება.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ მოვიდა გონს და კიდევ რამდენიმეჯერ გამიმეორა ეს შეკითხვა. ერთხელ, როცა მორწყვიდან ოცი დღე იყო გასული, მის კითხვაზე ვუპასუხე: ოცი დღე გავიდა-მეთქი.

— ახლა კი მოსარწყავია. თუ შეგიძლია, მიუშვი წყალი. ნანგრევების მიწა ბევრი მაქვს დაყრილი და თუ არ მოირწყა, ყანა გაგვიოხრდება.

ჩემი პატარა ქალანდი ავიღე და წასვლა დავაპირე. აი, მაშინ გავიგე, თუ რა ჭკვიანი ძალღი გვყავდა. საერთოდ, როცა სადმე მივდიოდი, იგი თან მომდევდა და არ მშორდებოდა, რაც სახლში ავადმყოფებს ვადექი თავს და შინიდან არ გამოვდიოდი, ისიც კარებს არ შორდებოდა. დღეს კი, როცა ქალანდი მხარზე გავიღე და ყანაში დავაპირე წასვლა, მან მხოლოდ შემომხედა და კული გააქნია. შემდეგ კი უფრო ახლოს მივიდა კარებთან, დაწვა და ზღურბლზე თავი ისე დადო, რომ პირი ავადმყოფებისკენ ჰქონდა. თითქოს გრძნობდა, რომ შორს უნდა წავსულიყავი და ახლა იგი მე მცვლიდა ავადმყოფების მოვლაში.

იმ წელს წყალი ბევრი გვქონდა. ამას გარდა, ხალხი იწვა და წყალზე გაწევ-გამოწევა არ იყო. ამიტომ სულ იოლად გადავადგე წყალი მთავარი არხიდან ჩვენს ყანაში. შინ მალე მოვბრუნდი. ერთი საათი იყო გასული, რომ მამამ თვალები გაახილა.

— მიუშვი წყალი?

— მივუშვი.

— ყოჩაღ! — შითხრა ეს და ისევ დახუჭა თვალები.

მეორმოცე დღეს მამას ოფლი მისცა და სრულ გონზე მოვიდა, რძე მოითხოვა. მივუტანე. დალია, მეორე დღეს წამოჯდა. მესამე დღეს ჯოხის დახმარებით წამოდგა კიდევ და გარეთ გამოვიდა. ცას ვეწიეთ სიხარულით, მორჩაო, ვამბობდით, მაგრამ მომჯობინების მეათე დღეს ისევ შეუბრუნდა ავადმყოფობა და ისევ ლოგინად ჩააგდო.

უსტა-ამაქი თავად ავად იყო და შინაც ავადმყოფები ჰყავდა. ამისდა მიუხედავად მამაჩემის პირველი ავადმყოფობის დროს დღეში ერთხელ მაინც გადმოვიდოდა ჩვენსას და გაგვამხნევებდა, ნუ გეშინიათ, გადარჩება, — ოთხად-ოთხი წვეთი ცივი ოფლი გამოუვიდეს და მორჩენილიაო.

და მართლაც, როგორც ვთქვი, ოფლის შემდეგ მამამ მოიხედა, მაგრამ ავადმყოფობის შებრუნების შემდეგ უსტა-ამაქი არაფერს ამბობდა და არც გვამხნევებდა. მე ეს ავადმყოფობა წინანდელზე იოლი მეგონა, რადგან მამა ახლა უფრო მშვიდად იწვა და გონებაზედაც იყო.

მეშვიდე დღეს უსტა-ამაქმა ავადმყოფს რომ დახედა, მითხრა: თუ უარესად შეიქნა, შემატყობინეო.

— მე როგორ უნდა გავიგო, უარესადაა თუ უკეთესად? — ვკითხე ცრემლ-მორეულმა.

— ნუ ტირი, უნდა გამაგრდე, მამაშენის შვილი არა ხარ? მამაშენის მდგომარეობა ძალინ მძიმეა, მაგრამ წინასწარ არ უნდა, რომ დაგამწუხროთ და ამიტომ თავს იკავებს. შენც თავი უნდა შეიკავო, თორემ თვითონ მისთვისაც ცუდი. მისი მდგომარეობის გაუარესება ასე იქნება: მძიმედ დაიწყებს სუნთქვას და ხროტინს ამოუშვებს. ახლა წავედი, ბიცოლაშენი არ დავტოვე კარგად.

დალამდა. სანთელი ავანთე. ჩემ გარდა ყველას ეძინა. დიდი ხანი არ იყო გასული, რომ მამაჩემმა მძიმედ დაიწყო სუნთქვა და ხროტინს მოჰყვა. მაშინვე უსტა-ამაქს დავუძახე. მან ბამბა დაასველა და პირში წყალი ჩააწვეთა ავადმყოფს. მამამ თვალები გაახილა. ჯერ მე შემომხედა, შემდეგ — უსტა-ამაქს.

— კიდევ დამალევინეთ! კოვზით ჩამასხით.

უსტა-ამაქმა ორი კოვზი წყალი ჩაუსხა პირში.

— შეყოფა, — თქვა მამამ და ჩემკენ მოიხედა.

— ისწავლე! რაც არ უნდა გაგიჭირდეს, ისწავლე! მაგრამ ყადი არ დადგე, რაისი¹ არ დადგე, იმამი არ დადგე! თუ მუდარისი გამოხვალ, არა უშავს...

ავადმყოფმა თვალები დახუჭა. ერთი წუთის შემდეგ ხროტინი დაიწყო. უსტა-ამაქმა ისევ დაუწყო ბამბით წყლის ჩაწვეთება. ავადმყოფმა წამოდგომა მოინდომა და ჩემკენ გადმოიტანა მხერა, მაგრამ ისევ ჩაიკეცა. ხელები უკანკალებდა. შემდეგ კი დამშვიდდა. ეს მისი სამუდამო სიმშვიდე იყო.

მაშინ მამაჩემი ორმოცდაჩვიდმეტი წლისა გახლდათ.

უსტა-ამაქმა მიცვალებული გააპატიოსნა, — ყბა აუხვია, ფეხის ცერები გაუკრა და თვალები დაუხუჭა.

— ცოტა ხნით ჩემი ავადმყოფების დასახედავად რომ წავიდე, ხომ არ შეგეშინდება?

— რატომ უნდა შემეშინდეს? საკუთარი მამის ხომ არ შემეშინდება!

— ყოჩაღ! — მითხრა ბიძაჩემმა და წავიდა, წავიდა და მალე დაბრუნდა, დედა და უფროსი ძმა მიუხვდნენ, რომ მამა გარდაცვლილიყო, ჩემს უმცროს ძმებს კი ეს ამბავი დილამდე არ გაუგიათ.

¹ რაისი — აქ: უფროსი; თანამდებობის პირი.

* * *

მეზობელ სოფელში ერთი სოფდაგარი ცხოვრობდა, სახელად იულდაშ-ბაი. მას ქიშიში, ჭერმის ჩირი, ტილო და ლიჯღუვანური დაბამბული ხალათები დაჰქონდა ყაზახურ და ბაშკირულ ადგილებში: ყაზალიში, აყ-მეჩეთში, ორენბურგსა და სხვა ქალაქებში. შავი ჭირისგან სიკვდილიანობის დროს მან სუდარებით დაიწყო ვაჭრობა.

მისი სიტყვებით, ამ საქმეს ქველმოქმედების გამო მოჰკიდა ხელი, „თორემ სუდარით ვაჭრობას სხვა რა მრჯილაო“, ამბობდა. მამაჩემის სიკვდილის გამოც საშუალება მიეცა ჩემთვის „ხელი მოემართა“. სუდარა და დასათლავებისთვის საჭირო სხვა წვრილმანი ნისიად გამომატანა და ყველაფერი ეს ას თანგად მიანგარიშა.

უსტა-ამაქმა მითხრა, ნაღდი ფული რომ გვქონოდა, ყველაფერ ამას ბაზარში ოცდახუთ-ოცდათხუთმეტ თანგით იათად ვიყიდით.

სხვა ხარჯებიც ოცი თანგა დამიჯდა. აქაც იულდაშ-ბაიმ „მომიმართა ხელი“. ეს ფულიც მან მასესხა, ოღონდ იმ პირობით, რომ ოცდახუთი თანგა უნდა დამებრუნებინა. სულის საცხონებელ პარაკლისებსაც ოცდახუთი თანგა მოუნდა, მაგრამ ეს ფული სოფელში ჩამოვისესხეთ. ამგვარად, მამაჩემის სიკვდილი ას ორმოცდაათი თანგა (ოცდაორ მანეთ-ნახევარი) დამიჯდა. ეს ფული ვალად მედო.

* * *

მამაჩემის დატირების შემდეგ, არ ვიცი, მე ვერ მივხედე და ამის ბრალი იყო, თუ სხვა რამე მიზეზით, ერთ ღამეს ჩვენი მეწველი ძროხა მოგვიკვდა. ლოგინად ჩავარდნილმა დედამ ეს ამბავი რომ გაიგო, მითხრა:

— ჩვენი ოჯახის ჭირი წაუღია, შვილო! ნეტა უფრო ადრე რომ მომკვდარიყო, იქნება მამაშენი დღეს ცოცხალი ყოფილიყო. მისი ხბოც უნდა გავუშვათ შენი და შენი ძმების სანაცვლოდ.

ეს თქვა და მიბრძანა: ხბო ხოჯა-ხანს მიუყვანეო! ხოჯა-ხანი ერთი საპყარი კაცი იყო, უხელფეხო, სოფლის ბოლოში ერთ ხაროში ეგდო და მოწყალებით გაჰქონდა თავი.

ხბო წავუყვანე, მაგრამ არ მიიღო:

— თქვენ ახლა ჩემზე გაჭირვებულები ხართ. მე ხალხი მაინც მაძლევს მოწყალებას და თავი როგორღაც გამაქვს, თქვენ ხომ მათხოვრობას არ დაიწყებთ. მამა აღარა გყავთ და ვინ იცის, რა მოგელით!

მაგრამ დედაჩემმა ისევ გამაბრუნებინა ხბო და შეუთვალა: ჩემი ბავშვების სანაცვლოდ ვიმეტებ ამ ხბოს და ძალიან გთხოვ, მიიღოო! როგორც იქნა, ძლივს შევატოვე ჩვენი ხბო ხოჯა-ხანს.

აი მაშინ შევიგნე, რომ საპყარი და მათხოვარი ხოჯა-ხანი უფრო კეთილშობილი იყო, ვიდრე ჩვენი სოფლის იმამი. მამაჩემის დასათლავების დღეს ჩვენმა იმამმა, თავპატიჟი არც გაუდგია, ისე გამოგვართვა და ჩაიჯიბა ათი თანგა. ეს მაშინ, როცა მას იმ დროს ბელელში ორმოცდაათი მანი (ოთხასი ფუთი) ხორბალი და ოცდახუთი მანი (ორასი ფუთი) ქერი ეყარა, ხოლო ფუ-

ლი ხომ კიდევ სხვა იყო, — ფული და სხვა სიმდიდრე რამდენი ელავა, ეს მე საიდან მეცოდინებოდა. ხოჯა-ხანს კი არაფერი ებადა გარდა ორი თვალისა, რომლითაც იგი მოწყალების გამლებ ხალხს შეჰყურებდა.

ჩემი ძმები, როგორც მოხუცები ამბობდნენ, სიკვდილს გადაურჩნენ, მაგრამ დედაჩემი დღითი დღე უარესად ხდებოდა, ბოლო დღეებში წამოდგომაც აღარ შეეძლო.

ძმებმა მოიკეთეს, მაგრამ ფეხზე ძლივს დგებოდნენ. სასიკეთო პირი ამას შილა უჩანდათ, რომ ცოტ-ცოტას ჭამდნენ. უფროსების რჩევით მათ ქათმის ხორცს ვუხარშავდი და ვაჭმევდი. გამოცდილი ხალხი მეუბნებოდა: ერთადერთი, რაც ახლა მათ ჯანზე მოიყვანს, ქათმის ბულიონიაო. მეც ვიწყე ქათმების თითო-თითოდ დაკვლა. დავკლავდი, დავამარილებდი და ასე გამოზოგვით ერთ ქათამს სამ იჯრად ვუხარშავდი ავადმყოფებს.

* * *

ჯუგარას რწყვით დროდადრო კი ვრწყავდი, მაგრამ ფრინველებისგან მისი დაცვა ვერ შევძელი. როგორც კი რძე ჩაუდგა თავთავში, ბელურები ისე მიეტანენ, რომ ზოგი თავთავი გამოაცარიელეს კიდევ. მაგრამ რაც გადარჩა, თიხის დოქის მუცელი რომ გინახავთ, ისე იყო გამობერილი და მარცვლებით დატენილი. მაგრამ ახლა უკვე ბელურებს არ დაგიღვევდით — ბელურებს ათითორმეტი მარცვალი აძლებდა — ახლა ყანას ყვავები შემოესიენ (ყვავები კი სოფელში ბევრი იყო). თუ რამეს არ ვიღონებდი, ჯუგარა დამელუბებოდა და, მაშასადამე, ჩვენც დალუბული ვიყავით, რადგან ამ ყანის ჭირნახულით უნდა გამესტუმრებინა ვალებიც და მითვე უნდა გაგვეტანა თავი (ბამბა ხომ გვეზარალა და გვეზარალა). შინ ერთი თვის სამყოფი ხორბლის ფქვილიდა გვექონდა შემორჩენილი.

როგორ შემეძლო ასე მძიმე მდგომარეობაში მყოფი დედა მიმეტოვებინა და ყვავებისთვის „ჰაის“ საყვირლად ყანაში წავსულიყავი!

მაგრამ ამასობაში ერთი ამბავი მოხდა, რამაც მე შესაძლებლობა მომცა ყანისთვის მიმეხედა: დედაჩემი რომ ასე მძიმე ავად იყო, ბიძაჩემი ალი-ხანი ერთ თავის მეზობელთან ერთად გვეწვია დის სანახავად. მისგან გავიგეთ, რომ მისი ძმის დასაფლავების შემდეგ მთელი ოჯახი ჩაწოლილიყო. მისი ცოლი და რძლები, ორივე ძმის ცოლიც დახოცილიყვნენ. თვითონაც ავად ყოფილიყო, მაგრამ გადაეტანა და ცოტათი რომ მოეხედა, ბებიას და ბაბუას ჩვენი ამბის გასაგებად გამოეგზავნათ.

ბიძამ დედაჩემი ასეთ მძიმე მდგომარეობაში რომ დაინახა, გადაწყვიტა, თავისთან წაეყვანა იგი.

— იქ, მადლობა ღმერთს, დედაც ცოცხალია და მამაც. მეც გადავრჩი. აქ კი შენ რა უნდა გააწყო, — თავად პატარა ხარ და ავადმყოფი ძმებიც მისახედი გყავს, დედას ასე როგორ მოუვლი!

ჩვენ დავთანხმდით. მან ორი ჭოკი კიბის მსგავსად შეკრა და საკაცე გააკეთა. შემდეგ ერთი ვირი წინ შეუბა ამ საკაცეს, მეორე — უკან, ზედ ლეიბი დააგო, დედა დააწვინა, ზემოთაც სუზანი გადაათარა და გზას გაუდგა.

არ ვიცი, დედის გამგზავრებამ ჩემს ძმებზე როგორ იმოქმედა, მაგრამ მე

კი გულ-მუცელში ცეცხლი მეკიდა. ვცდილობდი ზღუქუნი შემეკავებინა, რათა ავადმყოფისთვის გული არ მომეკლა, მაგრამ ჩუმი გმინვის დაოკება მაინც ვერ შევძელი. ჩემი და დედაჩემის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მას უსიცოცხლო თვალებიდან ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა გაყვითლებულ დაწვებზე.

— დიდხანს იცოცხლე! — წამოილულულა მან, როცა ვირები დაიძრნენ. ისინი თვალს მიეფარნენ. „ის აწი არ მოკვდება. ბოლოს და ბოლოს მამაც ხომ არ უნდა მომიკვდეს-მეთქი და დედაც!“ — ვინუგეშებდი თავს და მდულარე ცრემლებს თვალებიდან სახელოებით ვიწმენდდი.

* * *

მე უმეტესად ყანაში ვიყავი, სახლში მხოლოდ ცოტა ხნით მოვდიოდი, ჩაის მოვადულებდი და ავადმყოფებს ვასმევდი, ანდა რამეს მოვხარშავდი და მათ დავუტოვებდი. კარგად რომ შებინდებოდა, მხოლოდ მაშინ ვბრუნდებოდი სახლში და დავიძინებდი. დილა უთენია ისევ ყანას ვადექი თავზე. ყანაში კი ჩემი მთავარი საქმიანობა ყვავების დაფრთხობა იყო. მაგრამ ამ თავზედი ფრინველების მოგერიება ასე ადვილი როდი გახლდათ: ერთი ადგილიდან რომ ავაფრენდი, ადგებოდნენ და ახლა მეორე ადგილას დააფრინდებოდნენ თავთავს და იმას შეექცეოდნენ. ჩემ მიერ შურდულით ნასროლ ქვეებსა და კოლბოხებს აინუნშიაც არ აგდებდნენ. შურდულით ნასროლი ქვა და კოლბოხი ზუზუნით რომ ჩაუჭროლებდათ, ისევ მობრუნდებოდნენ და ტორტმანით ზედ მოევლებოდნენ თავთავს. ქვა ძირს არ იყო დავარდნილი, რომ ისინი ისევ მიირთმევდნენ მარცვალს.

იქრამ-ხოჯამ (უსტა-ამაქის მეორე ვაჟმა) ერთი ხერხი მასწავლა, რამაც ცოტათი შემიმსუბუქა ჯაფა. მან მითხრა: შენ კაცის მკლავის სიმსხო და ასე არშინის სიგრძის მაგარი ჯოხი მომიჭერი და მასთან ერთად ხერხი, ცული, შალაშინი და ბურღი მომიტანე და მე ვიციო! მან ეს ჯოხი თოფის ლულასავით გარანდა, შემდეგ კი ერთი მხრიდან სიგრძეზე ჩაბურღა ისე, რომ ბოლომდე არ გაუტანია, შემდეგ გვერდიდანაც ჩაბურღა და ამ თავის მოწყობილობას „ხის დამბაჩა“ უწოდა.

იმ ხანებში ჩვენს სოფელში ბევრი მონადირე იყო, ისინი შინ დამზადებული დენტით ტენიდნენ თავიანთ ძველებურ თოფებს. იქრამ-ხოჯამ ერთ მონადირეს კარგა ბლომად თოფისწამალი გამოართვა და თავისი „დამბაჩის“ დატენვას შეუდგა. ლულა დენტით გაავსო და თავი ბამბით დაუცო. შემდეგ კი ჯოხი ფრინველებს მიუშვირა და ზემო ხვრელიდან ცეცხლი მისცა.

როგორც კი ცეცხლმა თოფისწამალს მიაღწია, ჯოხი გასკდა. კიდევ კარგი, რომ არც მე და არც ის არ დავშავდით! დენტის სუნზე ყვავები გაიფანტნენ და, ასე გასინჯეთ, მთელი საათი არ გამოჩენილან.

ჩემი გამომგონებელი ნათესავი ამ მარცხმა როდი შეაკრთო. ახლა უფრო მსხვილი მასალა გამონახა და მისგან გააკეთა „ხის დამბაჩა“. ამჯერად თოფისწამალი ნაკლები ჩაყარა შიგ და თავიც მაგრად არ დაუცო. „დამბაჩა“ არ გასკდა. საწადელს ვეწიეთ, მის გასროლაზე ყვავები ფრთხებოდნენ და გადაიკარგებოდნენ. ჩვენ მათ მოსვლას ვუცდიდით და როგორც კი გამოჩნდებო-

დნენ, გიყვარდეთ, ისევ ვესროდით „დამბაჩას“. ამ ხერხით ყანა სულ იოლად გადავარჩინე.

მეორე დღეს იქრამ-ხოჯამ მონადირეებს ცოტა ტყვია გამოართვა, მოიტანა და საფანტებად ჩამოასხა. მისი საფანტი ჩვეულებრივზე წვრილი, ასე ფეტვის მარცვლის ხელა იყო. იქრამ-ხოჯამ ახლა ამ საფანტით დატენა თავისი „დამბაჩა“ და გარეულ მტრედებსა და ბელურებსზე დაიწყო ნადირობა. ნანადირევს ვწვავდით და გემრიელად შევექცეოდით. ერთ დღეს ოთხი მტრედი მოვინადირეთ. ორი მათგანი ჩემს ავადმყოფებს შევუწვი.

ჯუგარას თავთავი დამწიფდა. ერთხელ იქრამ-ხოჯას მამა, უსტა-ამაქი მოფრატუნდა ჯოხზე დაყრდნობილი (მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მასაც შეუბრუნდა ავადმყოფობა), ჩვენს ყანას გადახედა და მითხრა:

— რომელიც მოსული იყოს, ის თავთავები ააჭერი და მოაგროვე. ახლავე უნდა შეუდგე მკას, თორემ ერთბაშად ვერ მოერევი, მარტო ვერ მოასწრებ აღებას და ყანა გეზარალება.

შემდეგ ჩემი ყანის გვერდით ერთ ნაწველარზე მიმითითა და მითხრა:

— აი, აქ დაახვავე! მიწა აქ მშრალია და გალევვაც აქ უკეთესია.

იმავე დღეს შევუდექი მკას. ახლა ღამეც აქ ვიყავი საჭირო. მომკილი ჯუგარის წველი ავჭერი და მით ჩალური — კარავი გავმართე. რაც უფრო მეტს ვჭრიდი თავთავს, მით უფრო მეტი წველი მიგროვდებოდა კარვის მოსაბურღავად და მით უფრო თბილოდა ღამით შიგ. ამასობაში ყანა შემოვიდა და უკვე იმდენი ბზე მიგროვდებოდა, რომ ნახევარი დღე შინ შეზიდვას ვუნდებოდი.

ღამლამობით იქრამ-ხოჯაც ჩემთან იწვა კარავში. მას დედინაცვალი ჰყავდა და შინ მაინცდამაინც არ მიუხაროდა. ავადმყოფობას გადარჩენილი ან მოკეთებული მეზობლის ბიჭებიც ჩვენთან იყრიდნენ თავს. შუალამემდე ვისხედით ჩემს ჩალურში და ვმუსაიფობდით, მერე კი ვიშლებოდით. ზოგი მათგანი კი, რომელსაც, იქრამ-ხოჯასი არ იყოს, შინ დედინაცვალი ეგულეობდა, ჩვენთან რჩებოდა და ჯუგარის ჩალაზე ეძინა.

* * *

თავს კი ვინუგეშებდი, მაგრამ ნუგეში დიდხანს არ მეყო. როგორც კი ჩემმა ამხანაგებმა მიიძინეს და მარტო დავრჩი, ჩემი პატრონებისა და მომვლელების, დედისა და მამის განშორების ვარამი ისევ მომაწვა გულზე. მინდოდა ხმამაღალი ბლავილი მომერთო, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან სანუგეშებლად მოსული ამხანაგების გაღვიძებას მოვერიდე. ამ სიცივეში ისინი ძლივს ჩამთბარიყვნენ ჩალაში. მინდოდა ეს მწუხარება და ნალველი ცოტა ხნით მაინც დამევიწყებინა და გულიდან შავი ფიქრები ცოტათი მაინც გადამეყო. ამ მიზნით ბიდელის ერთი ბაითი გავიხსენე, რომელსაც მამაჩემი წაიღილინებდა ხოლმე ხშირად, როცა გულზე ნალველი მოაწვებოდა. დაბალი ხმით ნალვლიანად წამოვიწყე:

თავდავიწყებავ, მიშველე, სად ხარ?
მძიმე ნალველი მეწვია ისევ.

უცბად ყანებიდან სიმღერა შემომესმა.

ლიჯდუვანის რაიონის გლეხებს ჩვევად ჰქონდათ, ზაფხულობით, რომ დაღამდებოდა, ასე ათი საათისათვის, ხარებს შეაბამდნენ გუთანში და ხვნას იწყებდნენ. სანამ მზე ამოვიდოდა, მანამდის ამუშავებდნენ ღამის ნამით გალუმპულ მიწას. შემოდგომაზე კი ნაშუალამევს იწყებდნენ ხვნას და მზის ამოსვლამდე წყვეტდნენ საქმიანობას. ასეთ დროს სიმღერა იყო ერთადერთი გულის გასაქარვებელი საშუალება ამ ხალხისთვის, რომელსაც ტკბილი ძილი გაეტეხა და ღამის წყვილიაღში ყანებში გამოსულიყო სამუშაოდ.

ლიჯდუვანისა და ვაბქენდის რაიონების გლეხთა უმეტესობა კარგი მომღერლები და „შაშ-მაყამის“ ოსტატები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვის უცოდინარები გახლდნენ, „შაშ-მაყამი“ და კლასიკური ლაზელები იცოდნენ, ისინი თაობიდან თაობებს გადმოეცემოდა ზეპირი გზით (ბუხარის მემუსიკენი ყოველთვის ლიჯდუვანელები და ვაბქენდელები იყვნენ ხოლმე. დღესაც არიან მათი წარმომადგენლები — ტაჯიკეთის სახალხო მომღერალი, „შაშ-მაყამის“ ოსტატი ბაბაყულ ფეიზულაევი ლიჯდუვანელი გახლავთ, ხოლო უზბეკეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, „შაშ-მაყამის“ ოსტატი და კომპოზიტორი შაჰნაზარ საჰიბოვი ვაბქენდელია).

„შაშ-მაყამი“ ძალიან ნაღვლიანი ჰანგი გახლდათ და იგი სწორედ რომ გამოხატავდა მაშინდელი მშრომელების, მათ შორის გლეხობის, მდგომარეობას. მართალია, „შაშ-მაყამის“ ყოველი ნაწილი სიმღერითა და გასართობი ჰანგებით მთავრდება, მაგრამ ყველაფერი ეს ქეიფებისა და წვეულებების დროს სრულდებოდა, სადაც ცეკვა-თამაში იმართება ხოლმე. აქ კი გლეხები „შაშ-მაყამის“ ძირითად მელოდიას სჯერდებოდნენ, რადგან ის უფრო გამოხატავდა მათი გულის პასუხს.

ერთმა გლეხმა, რომელიც ჩემი ყანის მეზობლად ხნავდა მიწას, „სავთი ქალანის“ ხმაზე ბიდელის ერთი ლაზელი წამოიწყო. მის ხმას ახლა მეზობლად მომუშავე გლეხმა მისცა ბანი. ვუგდებდი ყურს მათ სიმღერას და ჩემთვის ჩუმად ვტიროდი. ერთხანს ასე ვიტირე და გულის დარდი შევიმსუბუქე. აქ მინდა მოვიტანო სამი ბაითი ბიდელის იმ ლაზელისა, რომელიც ჩემს მაშინდელ შეჭირვებას ასახავს:

ცრემლის ქარავნის ვარ წინამძღოლი
და თავად კაცი ცივ ოხვრას ვგავარ.
გულში დარდსა და ბოღმას ვაბუდრებ,
დარდი ვარ მხოლოდ, სხვა აბა რა ვარ!
დარდის მეგობრად ნაღველი თქმულა
და მეც ყელამდე ნაღველში ვდგავარ...

იმ ერთმა ეს ლექსი რომ იმღერა, ახლა მეორემ ჰაფიზის ეს ლაზელი წამოიწყო ე. წ. „ერაყის“ ხმაზე:

ჰე ნიავო, ჩემს შველს უთხარ,
თუკი შეგვხდა ჩემი შველი:
ჩემი მშველი შენ ხარ, მაგრამ
არ ვსურს იყო ჩემი მშველი.

და მას ახლა სხვამ შეაშველა ხმა...

ასე მღეროდნენ მხვანელები იმ მინდორზე გათენებამდე. რომ ინათა,

ისინიც ჩაჩუმდნენ. ჩემმა ამხანაგებმა გამოიღვიძეს და მეც ისევ ამქვეყნად დავბრუნდი.

* * *

ეს ნაწყვეტი ერთი ელევია გახლავთ, რომელიც მე იმ ამბებიდან სამოცი წლის გავლის შემდეგ დედას მივუძღვენი. მაპატიოს მკითხველმა, თუ ეს ამბავი ძალიან ნაღვლიანად გამოვიდა და თუ მასაც სევდა მოჰგვარა. რა მექნა, მე იძულებული ვიყავი შვილის მოვალეობა ნაწილობრივ მაინც მომეხადა.

მოსავლის აღება და მისი განაწილება

ჩემი ვირის, მეზობლის ცხენისა და სოფლის ბიჭების დახმარებით ჯუგარა გავლეწე, გავცხრილე და ერთად მოვაქუჩე. მოსავალი არნახული მომივიდა. უპირველეს ყოვლისა თხუთმეტი მანი (ას ოცი ფუთი) მარცვალი იულდაშ-ბაის საცერით (ისე, დაახლოებით) მივუზომე. შუამავლებმა თითო მანი (რვა ფუთი) ჯუგარა ათ თანგად (მანეთ-ნახევრად) შეაფასეს, ბაზარში ერთი მანი ჯუგარა თორმეტი თანგა ღირდა, მაგრამ ულდაშ-ბაის პირდაპირ კალოდან თვითონ მიჰქონდა მარცვალი, ტომრები მისი იყო, ვირი და ცხენი, და ორი თანგა ამაში გამომიბრეს. იულდაშ-ბაიმ ას ოცდახუთი თანგის საზღაური მარცვალი თვითონ რომ მიიღო, დანარჩენი ჩემი წვრილი ვალები (ოცდახუთი თანგა) ჯუგარის ანგარიშში გამისტუმრა.

იულდაშ-ბაი და სხვა წვრილი ვალები რომ გავისტუმრე, დაახლოებით ხუთი მანი (ორმოცი ფუთი) ჯუგარა დამრჩა. იგი შინ წავიღე. კიდევ დამრჩა ნახევრად მოუწეველი ჯუგარა. იგი არ ამიწონია, ისე გადავზიდე.

მოსავლის დაბინავებიდან ერთი კვირა იყო გასული, რომ ბიძაჩემი ალიხანი მომადგა კარზე (დედაჩემი რომ წაიყვანა ავადმყოფი, ის ბიძა) და დედაჩემის დასაფლავებაზე რომ ხარჯი ენახათ, იმისი ასი თანგა მომთხოვა.

ოცი მანი (ას ორმოცი ფუთი) მოუწეველი ჯუგარა მივუწონე, თითო მანი — ხუთი თანგის ანგარიშით და ეს ვალიც გავისტუმრე. ბაზარში ერთი მანი მოუწეველი ჯუგარა შვიდი თანგა ღირდა, მაგრამ მასაც მანზე ორი თანგა დავუკელი, რადგან თვითონ მიჰქონდა საქონელი. ამას გარდა ჩვენი ვირიც მთელი ზამთარი ამ ჯუგარაზე გვყავდა.

ჩვენს სოფელში ჯუგარის ასეთი მოსავალი არავის ახსოვდა. იმ წელს უსტა-ამაქმაც ნახევარ თანაბ მიწაზე ჯუგარა დათესა, მაგრამ სამი მანი სალი მარცვლისა და ორი მანი მოუწეველი ჯუგარის მეტი არ მოუვიდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი შვილი იქრამ-ხოჯა თავზე ადგა ყანას და მას ფრინველისაგან იცავდა. ხალხი ეუბნებოდა:

— ჯუგარის ყანისთვის თქვენც რომ კარგად მოგველოთ, ორმოცი მანი ისე მოგივიდოდათ, როგორც ერთი მანია!

სოფლის მოხუცები ასეთ უხვ მოსავალს რომ უყურებდნენ, სულ თავს იქნევდნენ:

— არ არის, ბატონო, ასეთი გაუგონარი მოსავალი სასიკეთო და აკი საწყალი საიდ-მურად-ხოჯა გამოგვეცალა კიდევაც ხელიდან!

ბავშვი ვიყავი, მაგრამ ამ აზრის გაზიარება არ შემიძლო. მე მეტად მარტივად ვმსჯელობდი. გულში ვამბობდი: „მამაჩემმა იმდენი სიმწრითა და ჯაფით დათესა ერთ თანაბ მიწაზე ბამბა. ბამბა გახმა და მისი ჯაფაც წყალში ჩაცვივდა, მაგრამ ამ მოუსავლიანობას მამაჩემის სიცოცხლე არ გაუხანგრძლივებია. მაშ უხვ მოსავალს მისთვის სიცოცხლე რატომ უნდა შეემოკლებინამეთქი!“

* * *

გოგრამაც, რომელიც პირველი ნიმუში იყო ჩემი სამეურნეო საქმიანობისა, ჩვეულებრივზე მეტი მოსავალი მომცა. შემოდგომაზე შეწითლებული გოგრები ავიღე და მამაჩემის სახელოსნოში დავაწყვე. ამხელა ოთახი სულ გამოიტენა გოგრით. კარგად მოწეული რომელიც არ იყო, ცალკე შევინახე ოჯახში სახარჯოდ.

იმ ზამთარს გოგრების გაყიდვას შევუდექი. ამ საქმიანობას გარკვეული წესით ვასრულებდი: ღიჯღუვანში კვირაში ორი დღე (ოთხშაბათობითა და შაბათობით) ბაზრობა იმართებოდა. ყოველ ბაზრობა დღეს თექვსმეტ ცალ გოგრას ჩავყრიდი ტომარაში და მიმქონდა გასაყიდად, გავიტანდი ჩემს გოგრებს და ცალობით ვყიდდი. ვირის ბაგაზე ორ ფულს (ნახევარ კაპიკს) ვიხდიდი, ბაზარში ადგილის დაკავებისას — ოთხ ფულს (ერთ კაპიკს). გარდა ამისა ყოველ ბაზრობა დღეს ოთხ ფულად ერთ ქადა-პურს, კიდევ ოთხ ფულად — ყურძენს ვყიდულობდი და თავად ვჭამდი. ავადმყოფი ძმებისთვისაც ორი ქადა-პური მიმქონდა. ამგვარად ყოველ ბაზრობაზე დღეში ოცდაორი ფული (ხუთ კაპიკ-ნახევარი) მეხარჯებოდა. ყოველკვირა ნახევარი კილო ხორცი მომქონდა შინ.

როცა გოგრების გაყიდვით ცოტა ფულს მოვუყარე თავი, ჩემთვის და ჩემი უმცროსი ძმებისთვის ტანსაცმელი ვიყიდე (ჩემი უფროსი ძმა ასე ტიტველი არ იყო, არა უშავდა, ეცვა). გაზაფხულზე დარჩენილი ფულით ერთი ცხვარი ვიყიდე, ბატკანი რომ მოსდევდა, ისეთი.

ოჯახის უფროსი და მისი დამხმარე

იმ წელს მე ოჯახში მამაც ვიყავი, დედაც და დამხმარეც. ძმები ვერაფერში მეშველებოდნენ: უფროსი ძმა კიდევ არ იყო მოკეთებული, ხოლო უმცროსები ჯერ ერთი რომ პატარები იყვნენ, მეორეც, ავადმყოფობა ეს-ეს იყო მოიხადეს და რაში უნდა მომხმარებოდნენ, რაც არ შეეძლოთ.

ავადმყოფობის გამო დედამ იმ წელს თუთის ტკბილის მოხარშვა ვეღარ შეძლო, მხოლოდ ერთი ტობრაკი გამხმარი თუთა დარჩენოდა. ერთმა მეზობლის ქალმა ამ გამხმარი თუთისგან სველი ჰალვის მოხარშვა მასწავლა, მეც კვირაში ორჯერ ამ ჰალვას ვხარშავდი და მთელი კვირა მას ვატანდი პურს. წისქვილში დავდიოდი და ჯუგარას ვფქვავდი. პურს იბრაჰიმ-ხოჯას ცოლი

გვიცხოვდა კვირაში ერთხელ. იმ ზამთარს ჯუგარას ფქვილში გაღვსილი სველი ჰალვა და პური გვქონდა საჭმელად. კვირაში ერთხელ შურბას¹ ვხარშავდით.

ბაზარი მე ვიყავი, საჭმელს მე ვაკეთებდი, სარეცხს მე ვრეცხდი, ტანსაცმელს მე ვკემსავდი (რეცხვა გოგონების მაქთაბში მქონდა ნასწავლი. ამის შესახებ ლაპარაკი მაქვს ჩემს მოთხრობაში „ძველი მაქთაბი“).

* * *

შუა ზამთარში ჩემი უფროსი ძმა, როგორც იყო, ფეხზე წამოდგა, მაგრამ შინ დიდხანს არ გაჩერებულა, იქნება სადმე იმამის ადგილი ვიშოვო და მომავალი სასწავლო წლის სახარჯო ფულს მოვუყარო თავიო.

დავრჩით შინ სამი ძმა. ჩემი მომყოლი, სირაჯიდინი, მერვე წელში იყო გადამდგარი. ავადმყოფობამ გაუარა, მაგრამ ჯანზე მაინც ვერ მოვიდა და ვერა. საერთოდ გამხდარი და უფერული ბავშვი იყო და ავადმყოფობამ ხომ სულ ჩხირივით გახადა. საჭმელს არ ჭამდა და მაღა არა ჰქონდა. მაგრამ უმცროსმა ძმამ, ქირამიდინმა, რომელიც ოთხი წლისა გახლდათ, მალე მოიკეთა.

საკვირველი აღნაგობისა იყო ქირამიდინი, თავის ასაკთან შედარებით მაღალი იყო, თავი ჩვეულებრივზე დიდი ჰქონდა, კისერიც — ზომიანზე მეტად მსხვილი. მეტად განიერი მკერდი წინ ჰქონდა გამოწეული და ისე დადიოდა. იშვიათად გაიცინებდა და ლაპარაკითაც მძიმედ ლაპარაკობდა. რასაც იტყოდა, ჭკვიანურს იტყოდა, გონიერი და ენამოსწრებელი ბავშვი იყო. ერთი მისი პოეტური ენამახვილობა დღემდე არ დამვიწყებია.

უფროსი ძმა ერთ სოფელში დადგა იმამად, იმ სოფელს თაბარიანს ეტყოდნენ და ჩვენგან თექვსმეტ კილომეტრზე იყო. ერთხელ საფლავე ბრინჯი, ხორცი და ერბო ჩამოგვიტანა, ფლავი თვითონ მოხარშა და უსტა-ამაქი და მისი ვაჟი იქრამ-ხოჯა გადმოიწვია.

სუფრა სანდალიზე გაიშალა. საპატიო ადგილას უსტა-ამაქი იჯდა, მას ჩემი უფროსი ძმა და იქრამ-ხოჯა უსხდნენ აქეთ-იქით, ბოლოს ჩვენ ვისხედით, ჩვენ, სამი უმცროსი ძმა.

ფლავზე სხვა ნაჭრებს გარდა ერთი ძვლიანი ხორციც იდო. ჩემმა უფროსმა ძმამ ზრდილობის წესი დაიცვა და, როგორც ეს მიღებული იყო, ის ძვალი უსტა-ამაქისთვის გადმოიღო. უსტა-ამაქმა უარი უთხრა:

— მე კბილები არა მაქვს, თქვენ ჭამეთ, ღმერთმა შეგარგოთ!

რადგან სხვები მასზე უმცროსები ვიყავით, ჩემმა უფროსმა ძმამ მისი სხვისთვის მიწოდება საჭიროდ არ ჩათვალა და თვითონ დაიღო წინ. ძვალი დიდი იყო. ამის გამო ჩემი ძმა ადვილად რომ ვერ მოერია, ორივე ხელით ჩააფრინდა და რაც შეეძლო ღრღნა დაუწყო. ამ დღეში რომ იყო, გაიხედა და მისკენ მზერადქცეული ქირამიდინის თვალებს წააწყდა.

— რას მიყურებ? — ჰკითხა ძმამ.

— ხაიბარმა იცის ასე ძვლების ხრა! — უპასუხა განაწყენებულმა ქირამიდინმა.

¹ შურბა — წვნიანი; ერთგვარი სუპი.

ყველას გაგვეცინა. მისი პასუხი ძალიან მომეწონა. როგორც ჩანდა, ის კერძი თავად მას უნდოდა, მაგრამ რადგან ჩვენმა უფროსმა ძმამ მას არ მი-აწოდა და თვითონ დაუწყო ღრღნა, გაბრაზდა და ძმის მიერ ძვლიანი ხორცის ჭამა ძაღლის მიერ ძვლის ხრას შეადარა. მისი შედარება სწორი იყო და ზუსტი.

ლექსების კითხვის დროს მე საერთოდ ყველაზე მეტად პოეტური შედარებები მომწონდა, მაგრამ ამ ოთხი წლის ბავშვის შედარება უფრო ზუსტი იყო, ვიდრე იმ ლექსებისა, რომელიც მანამდე წამეკითხა.

იმ ხანებში ძალიან მინდოდა პოეტი გამოვსულიყავი, მაგრამ ამ ოცნების ახდენისა არ მჯეროდა. ახლა კი გულში ვთქვი, ეს ოთხი წლის ბავშვი თავის დროზე პოეტი დადგება-მეთქი, და სიცილს რომ მოვრჩით, მას მივახარე:

— შენ პოეტი გამოხვალ!

ამ ჩემს ნათქვამს არავინ გამოხმაურებია. რასაკვირველია, არათუ იმ ოთხი წლის ბავშვმა, არამედ სხვებმაც პოეტობა რა იყო, არც იცოდნენ. ის კი არა, ვიგრძენი, რომ უფროსი ძმა ჩემმა ნათქვამმა გააბრაზა კიდევაც, — იმის ნაცვლად, რომ ბავშვი მისი უზრდელობის გამო დამეტუქსა, პირიქით, შევაქე.

* * *

1889 წლის ზაფხულის მიწურულში ჩემმა ბებიამ (დედის დედამ), სამოცდაათ წელს მიღწეულმა მოხუცმა შემომითვალა: შენი უმცროსი ძმები წამოიყვანე და მინახულე, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია და თქვენთვის თვალის შევლება მენატრებაო.

ცხვრები იქრამ-ხოჯას მივაბარე, სახლი გამოვკეტე, ჩემი მომყოლი ძმა უკან შემოვისვი ვირზე, სულ პატარა წინ დავიჯინე და ზემო მაჰალის გზას გავუდექი.

ჩვენი იქ ყოფნის დროს მეზობელ სოფელში, მაჰალეს რომ ეტყოდნენ, ბუხარიდან ერთი სტუმარი ეწვიათ. სტუმარი მაშინ უკვე გარდაცვლილი უზენაესი ყადის აბდუშუქურის შვილი გახლდათ და სახელად შარიფჯან-მახდუმი ერქვა. იგი მოლა აბდუსალამისას იყო სტუმრად ჩამოსული (ეს უკანასკნელი ჩემს უფროს ძმას ამეცადინებდა). აბდუსალამმა ჩემი ძმა დაიბარა (სხვაგან იყო იმამად), რათა ამ წვეულებაზე მათ მომსახურებოდა. როცა ჩემი ძმისგან გაეგო, რომ მეც იქვე, მეზობელ სოფლად ვიყავი, საქმეში საშველად მეც დამიძახა. შარიფჯან-მახდუმი მარტო არ იყო, ახლობელი და შინამოსამსახურეები ახლდნენ. მასპინძელსაც ჰყავდა ხალხი მოწვეული მის პატივსაცემად. ჩემი ძმა სასტუმრო ოთახში იყო და იქ ემსახურებოდა სტუმრებს, სუფრას შლიდა და ჩაის ასხამდა. მე კი სამოვარს ვედექი, წყალს ვადუღებდი და ჩაიდნებში ვასხამდი. მერე ეს ჩაიდნები სტუმრებთან მიჰქონდათ. სამოვარს რომ ვუჯექი და ჩაიდნებს რომ ვამშრალებდი, სასტუმრო ოთახიდან ერთი ბიჭი გამოვიდა. ასე ჩემი ტანისა იყო, ოღონდ ჩემზე თხელი ჩანდა. დაღონებული ჩამოჯდა სუფის კიდეზე და თავისთვის ჩაიდუღუნა:

— მავლანა ჯელალედინ რუმის¹ უთქვამს:

¹ ჯელალედინ რუმი — უდიდესი სპარსელი პოეტი (XIII ს.).

ნუ ხარ სოფელში, კაცს აღენჩებს ცხოვრება სოფლად,
ნათელ გონებას დაგიჩლუნგებს სოფელში ყოფნა.

მე მეველევის რჩევას არ დავუჯერე, სოფელში ჩამოვედი და აი კიდევაც მომწყინდა. აქ ბაითობანა რომ ბაითობანაა, იმის თამაშიც კი არ იცის არავინ.

— ბაითობანა რაღაა? — ვკითხე იმ ყმაწვილს.

მან გაკვირვებით შემომხედა და მკითხა:

— წერა-კითხვა იცი?

— ცოტა.

— რაიმე ბაითი იცი ზეპირად?

— ვიცი რამდენიმე.

— ბაითობანა ესაა: მე ვიტყვი რაიმე ბაითს, შენ კი პასუხად ისეთი ბაითი უნდა თქვა, რომელიც ჩემგან თქმული ბაითის ბოლო ასოზე უნდა იწყებოდეს. შემდეგ მეც ასევე უნდა გიპასუხო და ასე შემდეგ. ვინც ბაითს ვერ მოიტანს, დამარცხებულად ითვლება. ამავე დროს ერთი ბაითის მეორედ მოტანა აკრძალულია. თუ გინდა, ვითამაშოთ.

— ვითამაშოთ.

მან დაიწყო. თქვა ბაითი და მეც პასუხი ვუთხარი. მანაც მიპასუხა. მეც გავეცი პასუხი. ასე და ამგვარად დაახლოებით თხუთმეტი წუთი შეუჩერებლად ვიშაირეთ. ბოლოს მე გავჩერდი. მართალია, ლექსები კიდევ ვიცოდი, მაგრამ თამაშში რომ გამომდგომოდა, ასეთი ბაითები არ მაგონდებოდა.

მეტოქეს ჩემზე უფრო ჩქარა აგონდებოდა შესაფერისი ბაითები. მივუხვდი, რომ მას ისინი წინასწარ ჰქონდა დაზეპირებული ამ თამაშისთვის. ის კარგადაც კითხულობდა მათ, მაგრამ კითხვაზევე ეტყობოდა, რომ ბევრი მათგანის აზრი ასე კარგად არ უნდა სცოდნოდა.

ჩემი მეტოქის ეს სისუსტე გამოვიყენე და ფანდზე გადავედი: როცა სათანადო ასოთი დაწყებული ბაითი არ მომაგონდებოდა, ასეთი ასოთი დაწყებული სიტყვის მქონე ბაითს ვიხსენებდი და იმ სიტყვას წინ გადმოვსვამდი. რასაკვირველია, ამ ჩემი ეშმაკობის წყალობით ბაითის შინაარსი იცვლებოდა, მაგრამ მეტოქე ამას ვერ ხვდებოდა.

მან ერთი ისეთი ბაითი მითხრა, რომლის ბოლო ასო „უ“ იყო. მე ამ ასოთი დაწყებული ბაითი არასოდეს გამეგონა. საერთოდაც, ამ ასოს შემცველი ორი სიტყვა ვიცოდი: „უაღე“ და „უაჟი“. ვცდილობდი როგორმე მიმეტმასნებინა ერთ-ერთი მათგანი რომელიმე ბაითისათვის, მაგრამ ვერ ვახერხებდი, — არადა მეტოქე მაჩქარებდა.

— ჩქარა ქენი! ან მიპასუხე, ან თითი მოკაკვე!

რა მექნა? სხვა გზა არა მქონდა, მე თვითონ უნდა შემეთხზა ამ ასოთი დაწყებული ბაითი. არც ვაციე, არც ვაცხელე და ვუპასუხე:

უაჟი და მაჟი, უაჟი და მაჟი, უაჟი და მაჟი,
თავით ბოლომდე უაჟი არის ეს, მხოლოდ უაჟი.

(თუ ამ ბაითს კაცმა შეიძლება ლექსი უწოდოს, პირველი ლექსი, რომელიც მე გამოვთქვი, ეს გახლდათ).

მეტოქე ამიხიროდა: ბაითის პირველი ასო „უ“ კი არა, „ჯ“ არისო, ეს

სიტყვა „ჯ“ ასოთი იწყებაო! მე ჩემსაზე ვიდექი. ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ის სიტყვა „უ“ ასოთი იწყებოდა და არა „ჯ“-თი, მაგრამ გულში მეცინებოდა, რადგან ამ ბაითს არავითარი აზრი არ გააჩნდა და ჩემი შეკოწიწებული იყო. საბედნიეროდ, ჩემი მეტოქე ამას ვერ ამჩნევდა.

ამ კამათში რომ ვიყავით, სახლიდან ერთი შუახნის ცალთვალა კაცი გამოვიდა. იგი შარიფჯან-მახდუმის ერთ-ერთი მსახურთაგანი გახლდათ. მან ცოტა ხანს გვიგდო ყური და მერე დაასკვნა:

— მახდუმ-ჯანს (შარიფჯან-მახდუმს) უნდა ვკითხოთ და ის გაგვირკვევს, რომელი ხართ მართალი.

ჩემმა მეტოქემ ის ბაითი ქალაღზე ფანქრით დაწერა (ძალიან კარგი ხელი ჰქონდა) და იმ კაცის გამომეტყველებით, რომელიც თავის სიმართლეში დარწმუნებულია, სასტუმრო ოთახისკენ გასწია ამაყად. მაგრამ ორი წუთის შემდეგ წყალში გაღუმბული ბელურასავით გამოვიდა იქიდან, სირცხვილის ოფლში გაწურული. მოვიდა და დაძმარებულმა მითხრა:

— მახდუმ-ჯანი გეძახის.

— რაო, რა გითხრა, სწორი ხარო? — ვკითხე ისეთი ხმით, თითქოს არ მცოდნოდა, რაც მოხდა. მან ამაზე არაფერი მიპასუხა და ისევ გამიმეორა:

— მახდუმ-ჯანი გეძახის. ჩქარა წადი!

მე არ წავედი. როგორ უნდა ვხლებოდი ჩემი გლეხური და ჭუჭყიანი ტანსაცმლით ასეთ დიდგვაროვან ქალაქელ კაცს, რომლის მოსამსახურეებიც კი ასე იყვნენ ჩაცმულები! ცოტა ხნის შემდეგ ჩემი ძმა გამოვიდა და დამიძახა:

— მოდი, ნუ გრცხვენია!

სახლში შევედი, კარებთან დავდექი და იქ მყოფთ მივესალმე. ოთახი ხალხით იყო სავსე. უმეტესობას თეთრი ჩალმა ეხურა, ესენი მოლები გახლდნენ. ზოგი სოფლის თავკაცთაგანი უნდა ყოფილიყო. სასტუმრო ოთახის საპატიო ადგილზე იჯდა ასე ოცდახუთი წლის, თეთრი პირისახისა და ღიაფერი თმის ახალგაზრდა. ცხადი იყო, ეს უნდა ყოფილიყო შარიფჯან-მახდუმი.

შარიფჯან-მახდუმმა შემომხედა და მკითხა:

— რა გქვია შენ?

— სადრიღინი, — ვუპასუხე.

— კეთილი. მირზა აბდულვაჰიდთან ბაითობანა ითამაშე?

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— შენ მართალი ხარ. „უაჟი“ „უ“ ასოთი იწერება და არა „ჯ“-თი, — მითხრა ეს და განაგრძო:

— არ გინდა ბუხარაში წამოხვიდე სასწავლებლად?

მე თავი ჩავლუნე, არაფერი მიპასუხია, მაგრამ გული მეტუთქებოდა, რომ სწავლის საშუალება არ მქონდა. ცრემლები წამომივიდა. ძმა შემეშველა:

— ჩვენ დედ-მამა დაგვეხოცა, ბატონო. კიდევ გვყავს უმცროსი ძმები და მათი პატრონი ახლა ეგაა. ეს უშლის ხელს და ამიტომ ვერ სწავლობს:

— რაც არ უნდა იყოს, — თქვა შარიფჯან-მახდუმმა, — ამან უნდა ისწავლოს, ნიჭიერი ბიჭი ჩანს. ჩვენი ყველაფრის მცოდნე აბდულვაჰიდის ბაითობანაში დამარცხება იოლი საქმე როდი იყო.

მისი მასპინძელი მოლა აბდუსალამი საუბარში ჩაერია:

— მეც შევეცდები, როგორმე ისწავლოს. — შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა: — წადი, სამოვარი არ გაგიცივდეს!

სასტუმრო ოთახიდან გამოვედი. გული სიხარულით მევესებოდა. ამ საუბრით მეტად გახარებული ვიყავი. ის კი არ მახარებდა, რომ შარიფჯან-მახდუმმა დამიდასტურა „ჟაჟის“ მართლწერა — მე ისედაც კარგად ვიცოდი, რომ მართალი ვიყავი. ჩემი სიხარულის მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ ის ტყუილს ვერ მიმიხვდა ან თუ მიმიხვდა, არ შეიმჩნია და ხალხში არ შემარცხვინა. მეორე ის მახარებდა ასე ძალიან, რომ ამ საუბარმა ფრთები შემასხა და დამარწმუნა, რომ რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, ბუხარაში უნდა წავსულიყავი სასწავლებლად.

ორი დღის შემდეგ სტუმრები წავიდნენ და მე ჩემს ძმასა და მის მასწავლებელს გადაჭრით განვუცხადე, ბუხარაში უნდა წავიდე-მეთქი სასწავლებლად.

მათაც გადაწყვიტეს: ჩემი უმცროსი ძმები ბეზასთვის ჩაგვებარებინა და მე უფროს ძმას გავყოლოდი ბუხარაში. მოლა აბდუსალამმა თქვა:

— გაიტანს როგორმე თავს მედრესეში. ღმერთია შემწე. ისეთ კაცს მივეცი ამაზე სიტყვა, რომ არ შევასრულოთ, არ იქნება (ეს შარიფჯან-მახდუმი გახლავთ სწორედ ის სადრი ზია, რომელსაც ლექსად დაწერილი პოეტთა მიმოხილვა ეკუთვნის, ხოლო ეს მირზა აბდულვაჰიდი სწორედ ის აბდულვაჰიდ მუნზიმია, რომელიც იმ დღიდან მოკიდებული სიკვდილამდე ჩემი ახლო მეგობარი იყო და რომელიც 1934 წლის მარტში გაციების შედეგად გარდაიცვალა სტალინაბადში).

* * *

მაშინდელი წესის მიხედვით ორი მნიშვნელოვანი მოვალეობა გვქონდა შესასრულებელი და სანამ ბუხარაში წავიდოდით, ის უნდა მოგვეხადა: ეს იყო დედისა და მამის წლისთავის გადახდა და ძმების წინადაცვეთა. ეს მოვალეობანი რომ არ შეგვესრულებინა, სირცხვილით ხალხში თავს ვერ გამოვყოფდით. მაგრამ ეს საქმე ბევრ ფულს ითხოვდა, ფული კი არა გვქონდა. მე და ჩემი ძმა ამის ფიქრში ვიყავით და ვიმტვრევდით თავს, მაგრამ გამოსავალს ვერ ვპოულობდით.

ბოლოს მე დამებადა ასეთი აზრი: გაგვეყიდა მამის დანატოვარი ეზო-კარი ზემო მაჰალაში და იმ ფულით გაგვესტუმრებინა ის ხარჯები.

ძმას ვუთხარი:

— ეს ეზო-კარი არაფერში გვარგია. ცხოვრებით არასოდეს არ ვიცხოვრებთ ზემო მაჰალაში. და თუ ეს ეზო-კარი მანამ არ გავყიდეთ, სანამ ბებია და ბაბუა ცოცხლები არიან, არ გაგვიკვირდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოლა ნოვრუზის მსგავსმა ვინმე გათახსირებულმა წაგვართვას (მოლა ნოვრუზის ავკაცობაზე „მონებში“ მაქვს ლაპარაკი. მის შესახებ ვწერდი აგრეთვე 1947 წელს ტაჯიკეთისა და უზბეკეთის უმაღლესი საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილ სტატიაში, რომელიც მაშინდელ ტაჯიკურ და უზბეკურ გაზეთებში დაიბეჭდა).

ეს აზრი ძმასაც მოეწონა. ეზო-კარი სასწრაფოდ გავყიდეთ, სოქთარიში დავბრუნდით და წლისთავი გადავიხადეთ. მეორე დღეს კი ძმების წინადაცვეთაც აღვნიშნეთ.

უმცროსი ძმები რომ წამოდგნენ, მე ცხვრები გავყიდე და ჩემთვის და მათთვის ნიფხავ-პერანგი და სანამთრო ტანსაცმელი შევაკერინე. ხუთი თანგა (სამოცდათხუთმეტი კაპიკი) კიდევ მომრჩა. იგი ქამარში მაგრად გამოვიხვიე და შევინახე. გამხმარი თუთისა და ჭერმის ჩირის დიდი წილი ძმებისთვის გადავდე, დანარჩენი ბუხარაში წასაღებად მოვამზადე. ლოგინები და საბანგობანი ზოგი უმცროს ძმებს მივეცი, ზოგი ჩემთვის შევკარი და კეცის თაბახებთან და სარეცხ ქვაბებთან ერთად სახლში გამოვკეტე. მამაჩემს ერთი მედრესული კარდალა და ერთიც ერბოს დერგი დარჩა (მედრესეში რომ სწავლობდა, მაშინ ჰქონდა ნაყიდი). ესენიც ბუხარაში წასაღებად გადავდე. ვირი ჩემმა უფროსმა ძმამ გაყიდა და ფული ბუხარაში სახარჯოდ წაიღო. ხაიბარი ისევ ჩვენს მწყემს ბიძას დავუბრუნეთ (ვისგანაც ექვსი თვის ლეკვი წამოვიყვანეთ).

უმცროსი ძმები თავიანთი ბარგი-ბარხანით ზემო მაჰალაში წავიყვანე და იქ დავტოვე, ხოლო მე ბუხარაში გასამგზავრებლად გავემზადე.

სიკვდილით დასჯა და „მისი უდიდებულესობის ბიჭები“

რეგისტანზე¹ უთენია გავედით, სეირის მოყვარული ხალხი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. ამის გამო საუკეთესო ადგილი შევარჩიეთ და დავსხედით. „სანახაობა“ წინათ რომ ვნახე, ისე დაიწყო, ოღონდ უკვე რვა საათი იყო შესრულებული, მაგრამ ხიდზე ჯაჭვს არ ხსნიდნენ. როგორც ეტყობოდა, დღეს ხიდის გახსნის ცერემონიალი არ შედგებოდა. ამ ცერემონიალის მონაწილენიც, რომელნიც მოედანზე იყვნენ მოგროვილნი, სულ ჯაჭვებისკენ იცქირებოდნენ. მაგრამ რომ არ გახსნეს და არა, იმედი გადაუწყდათ და თითო-თითოდ გაიკრიფნენ მოედნიდან — შინ წავიდნენ.

მე ფირაქს ვკითხე:

— ეს სასახლის ხალხი რომ სასახლეში არ შეუშვეს და ისინიც წავიდ-წამოვიდნენ, დღეს იქ ამათი მაგივრობა ვინ უნდა გასწიოს? ამათი საქმე ვინ უნდა გააკეთოს?

ფირაქმა ამაზე გაიცინა და მითხრა:

— ამათ სასახლეში არაფერი საქმე არა აქვთ.

— მაშ რატომ აწყდებიან ასე ამ სასახლეს ერთის ამბით? თუ რაიმე საჩუქარს ელოდებიან ემირისაგან და ამიტომ იმტვრევენ თავ-პირს?

— არც საჩუქრების მოლოდინი აქვთ.

— მაშინ ვერ გამიგია, — გავიკვირვე მე, — ბოლოს და ბოლოს რას აკეთებენ ესენი სასახლეში და რა საქმე აქვს ემირს ამათთან?

ფირაქმა ულვაშებში ჩაიცინა და განმიმარტა:

— გახსოვს, იმ დღეს რომ რეგისტანზე ერთმა ხანდაზმულმა უცნობმა კაცმა გვითხრა: „ამას მეფის სიბრძნე ეწოდება“, და ჩვენ კი ვერ გავუგეთ, აქ რა სიბრძნე უნდა ყოფილიყო? შეგავიკითხ-გამოვიკითხე და აი, რა გავიგე:

¹ რეგისტანი — მოედანი ბუხარაში.

ესენი თურმე სასახლეში შედიან. კარის გამრიგე და მისი მოადგილე მათი საქმიანობის კვალობაზე ჩამოამწკრივებენ მათ სალამის სახლიდან მოყოლებული სასახლის მეჩეთამდე. ემირი რომ გამობრძანდება და სალამის სახლში დაბრძანდება, მეკარეს ნიშანს აძლევს. „მიმხვედრი“ მეკარეც ემირის ნიშანს ხვდება, ახლავე, ჩემო ბატონო! პასუხობს, გასასვლელისკენ ვარბის. იქ კარის გამრიგეს შეხედავს და ხმამაღლა დაიყვირებს:

— სალამი!

კარის გამრიგესა და მის მოადგილესაც ესენი ჯგუფ-ჯგუფად გამოჰყავთ და სალამის სახლში მიუძღვებიან. ეზოში რომ შეიყვანენ ჯგუფს, კარის გამრიგე მარჯვნივ გაუხვევს, მისი მოადგილე — მარცხნივ. როცა ჯგუფი ემირის ტახტს მიუახლოვდება, კარის გამრიგე მაღალი ხმით სათითაოდ აცნობს ემირს ჯგუფში შემავალ მოხელეთა ვინაობას და საქმიანობას. შემდეგ მათი მოსვლის მიზანს მოახსენებს, — ლოცვა-კურთხევისა და სალამისათვის გეახლენო. ამის მერე ჯგუფი ემირის წინ თავს მოწიწებით დახრის და წელში მოიკეცება, ნამაზის დროს რომ გინახავს მოწიწებით დაჩოქილი ხალხი.

რადგანაც თავისი მონებისთვის პასუხის გაცემა მისი სიდიადისა და მორჩმულობისთვის დამაღონებელია, პასუხით ის თავს არ იცხელებს, ამ საქმისთვის საგანგებოდ უყენია ერთი კაცი. ეს კაცი ემირის სალამის სახლის კარებთან დადგება და ემირის სახელით პასუხობს: „ალეიქუმ სალამო“ (გაგიმარჯოსო). კარის გამრიგის მოადგილე იმ ჯგუფის სახელით ემირის ლოცვას აღავლენს და მას კარგად ყოფნასა და გამარჯვებას უსურვებს. ამის შემდეგ კი კარის გამრიგე ჯგუფს შეუძახებს: წადით ახლაო! ისინიც წამოიშლებიან და მოწიწებული უკუსვლით გამოვლენ სალამის სახლის ალაყაფიდან.

როცა ყველას ამგვარად წარუდგენენ ემირს და ასე მიასალმებიანებენ, კარის გამრიგე მათ ერთ ფართო მოედანზე გაიყვანს, რომლის წინ ემირის ტახტი დგას და იქ აგურის სუფაზე ღირსებისა და მიხედვით დასხამს. მსახურები თავდაუხურავი ლანგრებით ფლავს გამოიტანენ, ცერემონიის მონაწილენი ფლავს ეცემიან და თაბახებს ერთმანეთს ხელიდან ართმევენ. ზოგჯერ თიხის თაბახი ძირს ვარდება და ტყდება, ფლავი მიწაზე ცვივა და არის ერთი ამბავი...

— კი მაგრამ, ფლავი არ უნახავთ? ასე რამ დაამშიათ? — ვკითხე ფირაქს.

— ემირის ფლავი იმაზე უკეთესი როდია, რასაც ისინი შინ მიირთმევენ, — განმიმარტა ფირაქმა, — მაგრამ ასე ჰგონიათ, რომ ემირის ფლავი ბედნიერებას მოუტანთ. ხოლო ფლავს ასე ცხვირ-პირის მტკრევით რომ იტაცებენ. ამით ემირს ჰგვრიან სიამოვნებას. თუმცა ამ „ბედნიერ ფლავს“ ხელში რომ ჩაიგდებენ, ხომ არ გგონია, ვინმემ შეჭამოს იგი, მისი ერთი ნაწილი იმ თავ-პირის მტკრევის დროს ძირს ცვივა, ნაწილი კი ემირის სამზარეულოში ბრუნდება და იქ ნადგურდება.

ფირაქმა ასე დაამთავრა თავისი ნათქვამი:

— სალამის მიცემის ცერემონიიდან გამობრუნებულები გასასვლელისკენ მიდიან და იქ კედლის გასწვრივ გამართულ პატარა სუფებზე მოკალათდებიან. რაც არ უნდა მოხდეს, წვიმაც რომ მოვიდეს და გინდ მოთოვოს, სანამ უზენაესის ნებართვა არ მოვა, იქიდან ადგომისა და გადახურულში თავის შეფარების უფლება არა აქვთ. მხოლოდ ნებართვის მერე ბრუნდებიან შინ.

ზოგჯერ ხდება, რომ ეს ნებართვა საღამომდე იგვიანებს. კიდევ კარგი, მზის ჩასვლისას სასახლის ჭიშკარი იკეტება და ამის შემდეგ არც შემოსვლის უფლება აქვს ვინმეს და არც გასვლისა, თორემ ეს რომ არა, ამ ხალხს, ვინ იცის, იქნებ შუალამემდე ანდა იქნება სულაც გათენებამდე მოუწევდა ყურყუტი.

* * *

როცა რეგისტანში ქვეითი ჯარისკაცები გამწკრივდნენ, სასახლის ჭიშკრიდან სამი კაცი გამოიყვანეს. სამივეს ხელები წინ ჰქონდათ გაკრული. სეირის მაყურებელ ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, ზოგი თავს აქნევდა მწარედ და ჩუმად თანაუგრძნობდა იმ საცოდავებს, ზოგი ადგილზე ვერ ჩერდებოდა, წამოვარდებოდა და ხან ბაზრისკენ იყურებოდა გაფაციცებით, ხან კიდევ სასახლისკენ. აშკარა იყო, ესენი რაღაც განსაკუთრებული სანახაობის მოლოდინში იყვნენ და უნდოდათ ეს სანახაობა ჩქარა შემდგარიყო. ზოგი სეირის მოყვარული სიკვდილით დასასჯელებზე რაღაცას გულგრილად ეუბნებოდა თავის მეზობელს. ეტყობოდა, რაც აქ ახლა უნდა მომხდარიყო, ის ამბავი მათ თვალში ჩვეულებრივი საქმე გახლდათ, თუმცა ყველამ იცოდა, ის ხელებგაკრული სამი კაცი დაახლოებით ხუთ-ექვს წუთში სიცოცხლეს უნდა გამოსაღმებოდა.

ყუშბეგიმ, როგორც ეს სიკვდილით დასჯის დროს იყო მიღებული, იმ სამი კაცის სახელი ამოიკითხა, იქ დამსწრე ხალხს მიმართა: ხომ ნამდვილად ესენი არიან ამ სახელის მატარებელნი? და შემდეგ სიკვდილის განაჩენის ქალაქი მირშაბს გადასცა. მირშაბმა ბრძანება გამოართვა, აკოცა, შემდეგ მალლა, თავს ზემოთ ასწია, თვლებზე გაისვა, ისევ აკოცა და უბეში შეინახა. შეინახა და თავის ხალხს ნიშანი მისცა.

ყოველ სიკვდილმისჯილს ორ-ორი ჯალათი ამოუდგა, ჯალათები მორჩილი ტანისანი იყვნენ, მოკლე ახალუხები ემოსათ, წელი შეკრული ჰქონდათ, ფეხთ ჩვეულებრივი ჩექმები ეცვათ და თავზე ადგილობრივი ქუდები ეხურათ. ფერი ამ ჯალათებს სხვადასხვა ჰქონდათ, მაგრამ თვალები — ყველას ცოფიანი ძაღლისა, — თავზარდამცემი და შემადრწუნებელი, თითქოს თვლებში თეთრი გარსის ნაცვლად სისხლი ედგათ და ის უელავდათ წითლად.

იმ ჯალათთაგან ერთს ხელში მოკლე და თავმომრგვალებული ჯოხი ეჭირა, მეორეს კი წელზე დანა ეკიდა.

ტუსაღებსა და ჯალათებს ირგვლივ მცველები ერტყათ, მათ აქეთ-იქით ყუშბეგისა და მირშაბის ხმლით შეიარაღებული ხალხი და ემირის ხელჯოხიანი იასაულები იყვნენ ჩამწკრივებულნი. მირშაბმა, ხელში რომ წათი ეჭირა, მათ ჩაუარა, ხიდი გამოვლო, რეგისტანის მოედანზე ჩამოვიდა და თითქოს ეშინია, ღიბი არ დამივარდესო, ცხენზე შეჯდა და ის მცირე მანძილი, ხიდიდან დასასჯელ ადგილამდე, რომელიც სამას ნაბიჯზე მეტი არ იქნებოდა, ასე ამხედრებულმა გამოიარა.

ჯგუფი დაიძრა და ჯარისკაცების მწკრივში გამოვიდა. ეს გზა საგანგებოდ იყო მათ გასატარებლად დატოვებული. ჩვენ იმდენს ვეცადეთ, რომ წინ გამოვძვერით, გვინდოდა ახლოს გვენახა, როგორ გამოიყურებოდნენ ისინი სიკვდილის წინ. როცა მათ გასასვლელს მივატანეთ და ტუსაღებს კარ-

გად დავაკვარდით, მე და ფირაქმა, ცოტა დაგვაკლდა, გონება არ დავკარგეთ — ერთ-ერთი ტუსალთაგანი მოლა-თურაბი იყო! მეორე მოლა-ბაზარი გახლდათ, რომელსაც ფირაქი იცნობდა. მესამე ტუსალს, სულ ბოლოს რომ ჩაატარეს, მე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მურადის გუშინდელ ნათქვამს თუ გავიხსენებდით, შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ეს მესამე ვირების მეპატრონე ნასიმი უნდა ყოფილიყო.

მოლა-თურაბი და მოლა-ბაზარი ვაჟკაცურად მიდიოდნენ სასიკვდილო მოედნისკენ. რასაკვირველია, იერი და საქციელი ნორმალური არ ჰქონდათ. სახეზე მიწისფერი კი ედოთ, მაგრამ ნაბიჯი შეზარხომებული კაცისა ჰქონდათ. ისინი დევგმირები გეგონებოდათ, რომელთაც სმით კი ბევრი ესვათ, მაგრამ ღვინოს მათთვის ვერაფერი დაეკლო. ისე გამოიყურებოდნენ, იფიქრებდით, ძილში შემადრწუნებელი სიზმარი უნახავთ და ახლა იგი აგონდებათ, მაგრამ შიშით კი მისი არ ეშინიათო. იქნება არც ეშინოდათ. ანდა ეშინოდათ, მაგრამ არ იმჩნევდნენ.

მაგრამ მესამე ტუსალს, რომელიც ნასიმად მოვიხსენიეთ, სიკვდილით დასჯამდე უკვე ჰქონდა სიკვდილი ფათავეებული, სახე გამოტეტკვოდა, სიარული არ შეეძლო, აქეთ-იქით მხრებში ორი ჯალათი ედგა და მიათრევდნენ.

ჯგუფმა სიკვდილით დასჯის ადგილს მიაღწია. ემირის, ყუშბეგისა და მირშაბის ხალხმა მეთოკეთა ბაზარს ალყა შემოარტყა. მირშაბი ცხენით შემოვიდა ალყის შიგნით. მან ყუშბეგის ხელით გადმოცემული ემირის ბრძანება უბიდან ამოიღო, ერთხელ კიდევ თავს ზემოთ ასწია, ისევ გაისვა თვალებზე, აკოცა და ისევ უბეში ჩაიღო. ამის შემდეგ სასახლისკენ მიბრუნდა, იმ კარებისკენ აღაპყრო მზერა, საიდანაც ალბათ ემირი უყურებდა ამ სანახაობას ფეხმორთხმული, თავი ისე მოწიწებით დახარა, რომ ცხვირით ცხენის ქეჩოს დაებჯინა. შემდეგ კი ხელი მაღლა ასწია და ტუსალებსა და სეირის მაყურებელთ უბრძანა, მისი უდიდებულესობის კეთილდღეობისთვის ილოცეთო! ჯალათების უფროსმა ხელისგულები მაღლა აღაპყრო. მას სხვა ჯალათებმაც მიბაძეს. ჯალათების უფროსმა ხმამაღლა ადავლინა ლოცვა:

— უფალო, შენ გაუმარჯვე მის უდიდებულესობას, შენ დააპყრობინე მას ქვეყნიერება! დეე, მისი ხმალი მუდამ ბასრი იყოს და მისი გზა უხიფათო! დეე, დამიწდეს მისი მტერი და ავის მზრახველი! ამინ!

— ამინ! — კვერი დაუკრეს ხელაპყრობილებმა და ხელები წვერებზე ჩამოისვენეს.

მირშაბმა ჯალათებს ნიშანი მისცა.

პირველად მოლა-ბაზარი მოიყვანეს თხრილთან. ხელჯოხიანი ჯალათი გამოვიდა, ჯოხი მოიქნია და ისე მაგრად დაარტყა წვივებზე, რომ ძვლის მსხვრევის ტკაცანი ხალხმა გაიგონა. ტუსალი წაიქცა და ცხვირ-პირი ორმოდან ამოღებულ შავ ლაფში ჩარგო. იგივე ჯალათი ტუსალს ბეჭებზე მოაჯდა და ცხვირ-პირი უფრო ღრმად ჩააყოფინა ტლაპოში. მცველები მოვარდნენ და ტუსალს წელს ქვემოთ ტანი მიწაზე გაუკრეს.

მეორე ჯალათმა ბუდიდან დანა ამოიწვავდა. ორღესული დანა დიდი არ იყო, ტარიდან წვერამდე ერთი მტკაველი თუ იქნებოდა. ჯალათმა ეს დანა ტუსალს გაუყარა ყელში ვადამდე და მოატრიალა, შემდეგ ამოიღო, ზედ ტუსალისვე ხალათს შეაწმინდა და ისევ ბუდეში ჩააგო.

მოკლულის ყელიდან სისხლმა იჩქეფა, იგი ჯერ მიწაზე მიჩქრიალებდა და მერე ორმოში ეშვებოდა.

ორი დანარჩენი ტუსალიც ასე დაკლეს. მხოლოდ ეს იყო, მესამე ტუსალის, ნასიმის ყელიდან ცოტა წამოვიდა სისხლი და მალეც შეწყდა.

მირშაბმა ერთხელ კიდევ აღავლინა ლოცვა მისი უდიდებულესობის საკეთილდღეოდ და შემდეგ თავის ჯალათებთან და მცველებთან ერთად საიდანაც მოვიდა, ისევ იქით წავიდა.

სეირის მოყვარულები ახლოს მივიდნენ მოედანზე დაყრილ მოკლულებთან. მოლა-ბაზარისა და მოლა-თურაბის ცხედრები კიდევ ბორგავდნენ, მხოლოდ ნასიმის გვამი შეფართხალდებოდა ხოლმე იშვიათად.

ამასობაში რეგისტანის სამხრეთით, თირგარანის ბაზრის თაღებიდან ქეციანი ბიჭები გამოცვივდნენ. ისინი სამ საკაცეს მოარბენინებდნენ. ქეცი ისე ჰქონდათ მორეული, რომ თავი თეთრად მოუჩანდათ. იმ დროის პოეტის მუშთარიბის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მათი თავები ძველ დაბეზვილ ბამბას მოჰგავდა“.

ამ ქეციან ბიჭებს ტანთ ძიქვა-პერანგი არ ეცვათ. ძიქვის მაგიერ რაღაც ძონძი ჰქონდათ შემოხვეული სარცხვენელზე, ტანზე დაგლეჯილი ხალათი ებურათ და ზედ ბაწარი ჰქონდათ შემოკრული. მათი სახისა და ტანის ფერის გამოცნობა შეუძლებელი იყო, ისე ჰქონდათ თავ-პირი და სხეული ნაცარში ამოგანგლული.

ეს ქეციანი ბიჭები რომ გამოჩნდნენ, ხალხმა დაიძახა:

— „მისი უდიდებულესობის ბიჭები“ მოვიდნენ! „მისი უდიდებულესობის ბიჭები“ მოვიდნენ!

ისინი წუმპის ორმოსთან მივიდნენ და ცხედრებს დაადგნენ თავს. მოთმინება დაკარგული ჰქონდათ, როდის შეწყვეტენ ფართხალსო. მერე „მისი უდიდებულესობის ბიჭებმა“ მყისვე დაავლეს მათ ხელი, საკაცეებზე დაავლეს და ციმციმ გააქანეს სადღაც.

მე ფირაქს ვკითხე: თუ კაცი ხარ, ამიხსენი, ამ ქეციით დაჭმულ ხალხს „მისი უდიდებულესობის ბიჭებს“ რატომ ეძახიან-მეთქი?

— მიზეზი ასეთია, — განმანათლა ფირაქმა, — ახლანდელი ჩვენი ემირი აბდულაჰადი პოეტია. მას ერთ-ერთ თავის ბაითში აღწერილი აქვს ეს ამბავი, — როგორ დებენ საკაცეზე ეს მუნით დაჭმული ქუჩის ბიჭები „მისი მოკლული მტრის“ გვამს. იმ ლექსში მესაფლავე ქეციან ბიჭებს ემირი სიყვარულს უხსნის და დახმარებას სთხოვს. ამის გამო ბუხარელები ადგნენ და ამ ქეციან მაწანწალებს „მისი უდიდებულესობის ბიჭები“ შეარქვეს.

ფირაქმა განაგრძო:

— ბუხარელები გონებამახვილი ხალხია, ყველაფერს ხვდებიან და ყოველ საგანს თავის სახელს არქმევენ. ეგა სჭირთ ოღონდ, რომ ამ მტარვალობისა და სისასტიკის წინააღმდეგ თითსაც კი არ გაანძრევენ, დახრილი აქვთ თავი და იტანენ ამ სივანგლახეს. მონობას ისე მიეჩვივნენ, როგორც თრიაქის მწვეელი და ქუქნარის მსმელი ეჩვევა ბანგს.

ბოლოს ფირაქმა ემირ აბდულაჰადის ის ბაითი წამიკითხა:

თუ წინ აღვიდგა, მოკალი
მტერი სიავის მდომელი,
გვამი საკაცეს დაუდე.
რა შებრალება, რომელი!

ერთი საცოდავის სანაცვლოდ — მეორე საცოდავი

დაღლილობის მიუხედავად ვერც დღე ვიძინებდი და ვერც ღამე, — იმ დღეს ნახული შემადრწუნებელი სურათი სულ თვალწინ მედგა და არა და არ მშორდებოდა. ვიფიქრე, ეგების ღია ცის ქვეშ მაინც დამეძინოს-მეთქი, ეზოში ჩამოვედი და მეჩეთის ჭიშკართან მოვკალათდი.

ბამბის ბარდანების ზემოთ ვილაცის ხველება მომესმა. შემდეგ კი იმავე კაცმა ჩამომძახა:

— ვინა ხარ მანდ? — ვიცანი, ყარაული იყო.

— მე ვარ! მედრესის მოწაფე! — ვუპასუხე და განვაგრძე: — მურად პაპა, ჩამოდით, ვისაუბროთ!

ბამბის მპენტავი მურად ბაზარჩელი ჩამოვიდა. ჯიხის მაგივრად ყარაულის ხელკეტს მოაკაკუნებდა. ხელში თხის ტყავი ეჭირა. ჩემ ფვერდით დააფინა და ზედ წამოჯდა.

— დავბერდი, ქვის სიცივე და მიწის სინოტივე მაშინათვე წელს ამატიკვებს ხოლმე, ამიტომ ყველგან ეს ტყავი დამაქვს და ძირს ვივებ.

ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ მოხუცს ვკითხე:

— ამ დილას რატომ არ იყავით რეგისტრანზე, რატომ არ გამოეთხოვეთ თქვენს თანასოფლელ ნასიმს?

— შენ რა, იყავი?

— ვიყავი.

— ნახე, როგორ მოკლეს?

— ვნახე.

— შენ განა იცნობდი მას? — მკითხა მოხუცმა დაფეთებლთ.

— არა, ცნობით არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცი. გუშინ თქვენ არ ეუბნებოდით მწონავ ჰაშიმს, ჩემი სოფლელი კაცი, სახელად ნასიმი, უნდა დასაჯონ სიკვდილითო?

მოხუცი ცოტათი დამშვიდდა, შვეებით ამოისუნთქა და დაბალი ხმით მითხრა:

— შენ რომ ამბობ, გუშინ სიკვდილით დასაჯესო, ის კაცი ნასიმი არ იყო, ის საცოდავი ვილაც უცნობი იყო. ნასიმის მაგიერ ის დასაჯეს სიკვდილით...

მოხუცს ხველება აუტყდა, რომ დაწყნარდა, განაგრძო:

— როგორც ჰაშიმს ვუთხარი გუშინ, მირშაბმა ორი ათასი თანგა მოსთხოვა ნასიმის ძმას. ისიც მაშინვე სოფელში გავარდა, სახლ-კარი, ეზო, უღელი ხარი, მეწველი ძროხა და რაც შინ ბარგი-ბარხანა გააჩნდა, ათი ათას თანგად მიჰყიდა ერთ მდიდარ მეზობელს და ის ფული მირშაბს ჩაუთვალა. მირშაბმა უთხრა: „ნასიმის სიკვდილის დასჯის განაჩენს მისმა უდიდებულესობამ დაასვა ბეჭედი. ახლა ეს ბრძანება ყუშბეგის ხელშია, ასე რომ შენი ძმის აშკარად გათავისუფლება არ იქნება. ასე უნდა მოვიქცეთ: მე დღეს ვუბრძანებ, ერთი ვინმე უპატრონო პატიმარი დილეგიდან აბხანაში გადაიყვანონ, ნასიმის სახელით გაათვრონ და მის ნაცვლად სიკვდილით დასასჯელად მოამზადონ. შენ ნავახშმევს დილეგთან მიდი. ციხის უფროსი შენს ძმას გამოგიყვანს და სალსალამათს ჩაგაბარებსო“. ოღონდ მირშაბმა ნასიმის ძმა გაათვროხილა: „ეს ამბავი კაციშვილმა არ უნდა გაიგოს! ექვსი თვე არავის ეჩვენოს. დაუცადოს, მოძველდის ეს ამბავი, შემდეგ კი გამოვიდეს და არხეინად იყოს. კაცი ხელს ვერ ახლებსო“.

მურადმა ეს ამბავი ასე დაამთავრა:

— აი, ასე გადაურჩა ნასიმი სიკვდილით დასჯას. მაგრამ მის სანაცვლოდ სხვა დაკლეს, ვიღაც უპატრონო კაცი. ნეტა ნასიმის ნაცვლად იმ საცოდავისთვის კი არა, ჰაჯი-ზაქირბაისთვის გამოეჭრათ ყელი!

მოხუცს ვკითხე, ჰაჯი-ზაქირბაის ასე რატომ ემტერები-მეთქი? მან ამოიოხრა და მომიყვა, იმ ხნის მანძილზე, რაც იგი აქ ბამბის მპენტავი იყო, რა სიმწარე ენახა ზაქირბაისა და სხვა ბამბის დალალებისაგან, როგორ გამხდარიყო ყარაული და მათი რა ბინძური საქმეების მომსწრე და შემყურე იყო.

მურადის მიერ მოთხრობილი ამბები ჩემთვის ახალი არ იყო, ასეთი ამბები ან მე თვითონ მქონდა ნანახი ზემო მაჰალაში, ანდა ბიძაჩემისგან, ყურბან-ნიაზისგან, არაერთხელ მომესმინა. ეს ის ამბები გახლავთ, რომელიც მოკლედ მაქვს მოთხრობილი ჩემი რომანის „მონების“ მეცხრე, მეათე და მეთორმეტე თავებში.

რატომ დასაჯეს სიკვდილით მოლა-ბაზარი და მოლა-თურაბი

1891 წლის დასაწყისში ქუქელთაშის მედრესეში ერთი კაცი მოკლეს, ყარი-ზაჰიდი. თუ ვინ იყო მკვლელი (ან მკვლელები), არავინ იცოდა. თავად ეს ამბავი კი ძალიან გახმაურდა.

როგორც ამბობდნენ, ყარი-ზაჰიდი იმ მედრესის ერთ-ერთი ბინებით მოვაჭრე და მევახშეთაგანი იყო. ბუხარაში სახლ-კარი ჰქონდა, მაგრამ მედრესეში ცხოვრობდა. ოჯახს არ იყო მოკიდებული, ბერბიჭად ყოფნასა და მედრესის სენაკში ცხოვრებას არჩევდა.

ხალხის აზრით, იგი სენაკების ყველაზე უმოწყალო გადაამყიდველი და ყველაზე გულქვა მევახშე იყო. მან ათასი ხრიკითა და ოინებით ვალებში ჩააგდო ბევრი შეძლებული მოსწავლე და ვალის სანაცვლოდ სენაკები წაართვა.

ყარი-ზაჰიდის სიბინძურეებზედაც ათას გულისამრევ ამბებს ყვებოდნენ. დამე ისე არ გავა, რომ მის სენაკში რამე უკულმართი საქმე არ მოხდესო, — ამბობდა ხალხი.

ყარი-ზაჰიდის მკვლელობას მის ამ ორ თვისებას უკავშირებდნენ: ან ვინმე მისგან გაუბედურებული მოვალე მოკლავდა, ანდა მასავით უკულმართი რომელიმე მისი რაყიფიო, ამბობდნენ.

რადგან ყარი-ზაჰიდს მემკვიდრე არა ჰყავდა (ანდა ჰყავდა, მაგრამ ისე შორეული იყო, რომ მემკვიდრეობაზე უფლებას ვერ მოიპოვებდა), უზენაესი ყადის ბრძანებით მთელი მისი ქონება ხაზინას გადაეცა. იმ მიზნით, რათა გამოერკვიათ, ვის ემართა ყარი-ზაჰიდის ვალი და ამდენად დაეზუსტებინათ, რა სერმია დარჩა მას, მთელი მისი სენაკი გადააქოთეს, ყველა დავთარი წამოხოჭეს და ყადიხანაში წაიღეს.

მის დასამარხად უზენაესმა ყადმა მხოლოდ ოცი თანგა გამოყო. რაც დააკლდათ, მედრესეში მოკრიბეს მისმა მეზობლებმა და მიცვალებული მიწას მიაბარეს. რადგან ჭირისუფალი და გულშემატკივარი არავინ დარჩენია, მთავ-

რობას მისი მკვლელის ძეგნით თავი არ გაუცხელებია. გეგონებოდათ, ყარი-ზაჰიდი ამ ქვეყანაზე იმისათვის გაჩნდა, რაც შეიძლება მეტი ფული მოეგროვებინა და უზენაესი ყადისთვის ჩაებარებინა. ეს თავისი მოვალეობა მან კეთილსინდისიერად შეასრულა და თავის გზაზე წავიდა. მორჩა და გათავდა.

* * *

მოლა-ბაზარი ზანდანის თუმნიდან იყო და მოლა-თურაბის თანასოფლელი გახლდათ. რამდენიმე წელი იგი ყარი-ზაჰიდს ედგა მზარეულად. რაც შეეხება მოლა-თურაბს, მას აქეთ, რაც ქუქელთაშის მედრესედან გამოიქცა. ხიაბანის მედრესეში ერთი სენაკი იშოვა და იქ განდგეგლივით დაეყუდა. ათასში ერთხელ სამარყანდში თუ წავიდოდა, თორემ სხვაგან გამოჩენილი ის კაცს არ უნახავს.

მოლა-ბაზარს ბინა არა ჰქონდა, რაც ყარი-ზაჰიდისგან წამოვიდა, უთავ-შესაფროდ იყო დარჩენილი. მოლა-თურაბს შეეცოდა თავისი თანასოფლელი და შეიკედლა.

* * *

უზენაესი ყადი ყარი-ზაჰიდის მოვალეებს ეძებდა და ამის გამო დღენიადაგ მის ქალაქებში იქეჭებოდა, — იქნებ ვინმე მის მოვალეს კიდევ წავაწყდეთ. უზენაესმა ყადმა ყარი-ზაჰიდის ქალაქებში იპოვა ერთი რვეული, რომელშიაც მის პატრონს აღნუსხული ჰქონდა თავისი საქმიანობანი და პირადი ხარჯები. ამ ნაწერებში ერთმა ისეთმა ამბავმაც ამოყო თავი, რომ უზენაესი ყადი მეტისმეტად შეაშფოთა. აქ ლაპარაკი იყო უზენაესი ყადის უფროსი ვაჟისა და ყარი-ზაჰიდის ურთიერთობის შესახებ ყარი-ზაჰიდის ახალგაზრდობის დროს. მის დამწერს, ყარი-ზაჰიდს, თურმე ჩვევად ჰქონდა თავისი უკუღმართული ვნებების ამბები აღნუსხა ხოლმე და აი, უზენაესი ყადის ვაჟთან მისი თავგადასავალი ისე ვრცლად და დაწვრილებით აღეწერა, რომ კაცი სირცხვილისაგან ვერც კი წაიკითხავდა.

ეს რვეული რომ წაიკითხა, უზენაესი ყადი კინაღამ შეიშალა. მერე იფიქრა, ეს რომ ვინმემ გაიგოს, ჩემს ვაჟს ვინ ჩივის, მეც გამომეჭრება ყელი. მე კი ჩემს შემდეგ უზენაესი ყადის ადგილი მისთვის მიწოდოდაო.

კიდევ კარგი, რომ ყარი-ზაჰიდი მოკლეს და მისი დავთარი თვითონ მას, უზენაეს ყადს ჩაუვარდა ხელთ! თუ ვინმე ყადი-ხანის თანამშრომელს მოხვდა თვალში ეს ჩანაწერები, როცა ისინი აქეთ გადმოჰქონდათ, ამას მოევლებოდა — ისინი ყადის ხალხი იყო და მათი გაჩუმება არ გაუჭირდებოდა. მაგრამ ყარი-ზაჰიდის ნაცნობებისათვის რაღა ექნა? მათ ხომ შეეძლოთ ერთ მშვენიერ დღეს ეს საიდუმლოებაც ქვეყნისთვის მოეფინათ! მაშინ რა უნდა ექნა ან მის ვაჟს, ან თვითონ ყადს?

ამას რომ წარმოიდგენდა, უზენაეს ყადს ტანში ყრუანტელი უვლიდა. ამიტომ დაიწყო გამოძიება, იმ ხანებში, როცა მისი ვაჟი ყარი-ზაჰიდთან დაიარებაოდა, ვის ჰქონდა მასთან მისვლა-მოსვლა. საჭირო იყო ასეთი ხალხის მივ-

ნება და მოსპობა, რათა მათ მიწაში ჩაეტანათ და იქ დაემარხათ სამუდამოდ ეს სამარცხვინო ამბავი.

საიდუმლო გამოძიების შედეგად უზენაესმა ყაღმა დაადგინა, რომ იმ ხანებში, როცა ყარი-ზაჰიდთან მისი ვაჟი დაიარებოდა, ერთი ჯანდარელი მოწაფე, ვინმე მოლა-ბაზარი ჰყავდა მას მზარეულად, მის სენაკში ცხოვრობდა და მისი ყველა საიდუმლო იცოდა.

იძია, იძია და ამ მოლა-ბაზარს მოლა-თურაბის სენაკში მიაკვლია ხიაბანის მედრესეში.

მაგრამ უზენაესი ყადის აზრით, თუ მოლა-ბაზარს ამ საიდუმლოების გამხელა მოლა-თურაბისთვის უკვე მოესწრო, მაშინ მართო მოლა-ბაზარის მოსპობა საკმარისი არ იყო. საღი გონება მოითხოვდა, რომ ორივე ერთდროულად მოეშორებინა თავიდან.

აი, ეს იყო მიზეზი, რომ მოლა-ბაზარი და მოლა-თურაბი „ერთდროულად“ დაიჭირეს. დააბრალეს ყარი-ზაჰიდის მოკვლა და გატაცება იმ ფულებისა, რომელიც მოკლულის უმემკვიდრეოდ გადაგების გამო მისი უდიდებულესობის ხაზინაში უნდა შესულიყო. განაჩენმაც არ დააგვიანა, სამ დღეში მათი სიკვდილით დასჯის ფირმანი მოვიდა, რაც აღასრულეს კიდევაც, როგორც ზემოთ აღვწერეთ.

უკანასკნელი დღეები პირ-არაბის მედრესეში

დაიწყო 1891-1892 სასწავლო წელი. მეცადინეობის განახლების პირველ დღეებში ჩემმა რეპეტიტორმა მოლა-აბდუსალამმა თავისი კლასის ყარი¹ — შარიფჯან-მახდუმი და რამდენიმე თანაკლასელი დაპატიჟა. ფლავი, რასაკვირველია, მე მოვხარწე, სუფრასაც მე ვემსახურებოდი.

მოლა-აბდუსალამის სენაკი იმ მედრესეში ერთი საუკეთესოთაგანი იყო. და თუმცა საკმაოდ განიერი იყო და ხალვათი, ბუხარის მედრესეთა სხვა სენაკების მსგავსად, სამზარეულო და პირსაბანი ადგილი სენაკშივე, მის შესასვლელში ჰქონდა გამართული.

ამის გამო მეც (მზარეული და ხელზე მოსამსახურეც) იმავე ოთახში ვტრიალებდი, რომელშიაც სტუმრები ისხდნენ. ფლავს ვხარშავდი თუ ჩაის ვადულებდი, ძალაუნებურად მათთან ერთად ვიყავი და მათ მეჯლისში ვერიე.

შარიფჯან-მახდუმმა, როგორც კი თავისი ამხანაგით შემოვიდა, მიცნო და მოლა-აბდუსალამს ჰკითხა:

— ეს ის ბიჭი არაა, თქვენსას რომ ვიყავით და ფალავანი დამიმარცხა ბაითობანას თამაშში?

— ის გახლავთ! — მიუგო ჩემმა მასწავლებელმა.

— კარგია, რომ წამოსულა სასწავლებლად! — ესიამოვნა მახდუმს.

ეს წვეულება ძალიან მომეწონა, რადგან ამ მეჯლისში საუბარი უმეტესად ლექსისა და ლიტერატურის ირგვლივ ჰქონდათ. სტუმრების უმეტესობა ან პოეტი იყო ან პოეზიის მცოდნე და მოყვარული, თუ ზოგიერთ მათგანს ლი-

¹ მუსულმანურ სკოლებში ერთი მოწაფე ხმამაღლა კითხულობს. სხვები იმეორებენ. ამ მოწაფეს ყარი („წამკითხველი“) ეწოდება.

ტერატურისა არა გაეგებოდა რა, სამაგიეროდ მჭევრმეტყველი, ტკბილმო-
უბარი, ზრდილი და ენამოსწრებული იყო. მასლაათის დროს სასიამოვნო ამ-
ბებს ჩაურთავდნენ საუბარში და ვითარების შესაფერის სხარტულებს ყვე-
ბოდნენ. პოეტები მუშაირაზე გადადიოდნენ, ექსპრომტებს თხზავდნენ და
ერთმანეთს აქილიკებდნენ; პოეზიის მოყვარულები ძველი პოეტების ლექსებს
იხსენებდნენ და მათ უნიჭო თანამედროვე მიმბაძველებს ცხრაფა ტყავს აძრობ-
დნენ. ზოგჯერ ისეც მოხდებოდა, რომ ლექსაობასა და მუშაირაში ან ერთი-
მეორეს გაჰკრავდნენ კბილს ან ვინმე აქ არმჯდარ მეგობარს. ზოგჯერ ზოტ-
ბას ასხამდნენ ერთიმეორეს.

მათში ვინმე მოლა-ნაზრულა ლუთფი ერია. ყველაზე მეტად ეს კაცი მხიბ-
ლავდა. როგორც გვიან გავიგე, იგი ყმაწვილობაში მკინძავი ყოფილიყო, შემ-
დეგ სწავლა დაეწყო, მედრესის პროგრამას არ დაჯერებულყო და ლიტერა-
ტურისთვის მიემართა. მე რომ ვნახე, მაშინ ის ასე ოცდაშვიდი-ოცდარვა წლი-
სა იყო და მედრესეს კურსს ამთავრებდა. გარეგნულად მეტად მოხდენილი კა-
ცი გახლდათ. ფეროვანი იყო, დიდრონი თაფლისფერი თვალები ჰქონდა,
წაბლისფერი წვერი ეფინა, გადაჭიმული წარბები და ხშირი წამწამები ამშვე-
ნებდა. ტანად საშუალოზე მაღალი იყო. არც გამხდარი ჩანდა და არც მსუ-
ქანი.

ლუთფის საუცხოო ხელი ჰქონდა. წერა-კითხვაც რომ არ გცოდნოდათ,
მისი ნაწერით მაშინვე მოიხიბლებოდით. წიგნების გადაწერით ირჩენდა
თავს.

ლექსები უბრალო და მდარე ჰქონდა, მაგრამ შეკრებილობის სული და
გული იყო. მჭევრმეტყველი, ენამოსწრებული, ტკბილმოუბარი და ხალისიანი
კაცი გახლდათ და ეს თვისებები მას პოეტობაზე ნაკლებ ღირსებას როდი ანი-
ჭებდა.

ლუთფიმ ნართაულებით იცოდა ლაპარაკი. პირდაპირი მნიშვნელობით
რომ ერთ რამეს გეუბნებოდათ, გადატანითი მნიშვნელობით განადგურებდათ
ან ცაში აჰყავდით ქებით. საუბარში ისე გამოგიბამდათ კილოს და ისეთ რამე-
ზე გამოგიჭერდათ, თავად რომ არც გიფიქრიათ ამაზე.

მეჯლისის მეორე მონაწილეს მოლა-რაჰმათ დალაქი ერქვა. ჯეელობაში
დალაქი ყოფილიყო (და იმიტომაც შემორჩენოდა ეს სახელი), ერთხანობას
თურმე კიდევ დალაქობდა და კიდევ სწავლობდა. შემდეგ ხელობისთვის თა-
ვი გაენებებინა და სწავლისთვის მოეკიდა ხელი. თავი ხომ უნდა ერჩინა რითი-
მე, ამიტომ ზაფხულობით, არდადეგების დროს, რომელიმე ბაის დაუდგებოდა
მწერლად.

მოლა-რაჰმათი დაახლოებით ოცდაათი წლისა იქნებოდა და ლუთფის-
თან და შარიფჯან-მახდუმთან ერთად სწავლობდა. სწავლით საშუალოდ
სწავლობდა და არც ლიტერატურის სიყვარულით იცხებებდა თავს მაინც-
დამაინც. შეიხებსა და იშანებს ვერ იტანდა. ხშირად იტყოდა: ჩემი შეიხი
ფლავიაო და ფლავის ლანგარის ირგვლივ შემოსხდომა შეიხის ირგვლივ
ყუყუს ათასჯერ ერჩია.

ზაფხულობით სადაც არ უნდა წასულიყო, სამუშაოდ თუ სამოგზაუროდ,
ყოველთვის საკვირველ შემთხვევებს უნდა გადაჰყროდა და უცნაური ამბე-
ბი უნდა გარდახდომოდა თავს. რომ ჩამობრუნდებოდა, მეტად მიმზიდველად
ჰყვებოდა მერე ამ ამბებს თავის მეგობრებში. ფერდები ეტკინებოდათ, ისე

აცინებდა მათ. შარიფჯან-მახდუმი ბევრ მის მონაყოლს არ იჯერებდა, ტყუილიაო, და თავის მეგობარს გადასძახებდა: თქვენ წვერების კრეჭისთვის დაგინებებიან თავი და ახლა ამბებს კრეჭავთო.

მათში ერთი ვილაც მოლა-აყილი ერია. მოლა-ნაზრულა ლუთფი მას „მკვდრებში ჩამჯდარ მოწამეს“ უძახოდა (ლუთფი, როგორც ორაზროვნების მოყვარე, თავის თანაკლასელებს, მათ შორის ჩემს — რეპეტიტორსაც, „მკვდრებს“ ეძახდა). მოლა-აყილმა წერა-კითხვა ძლივს იცოდა და ლიტერატურის ინჩი-ბინჩი არ ესმოდა, ერთადერთი მისი ღირსება ის იყო, რომ მეტად უბრალო, რბილი და თავმდაბალი კაცი გახლდათ, არაფერი არ გააბრაზებდა. ამხანაგები რას არ ეუბნებოდნენ პირში, მაგრამ იგი, თქვენც არ მომიკვდეთ, ასეთ მომართვას აინუნშიაც არ აგდებდა, იჯდა და იღრიჯებოდა, სიცილში გადაჰქონდა ყველაფერი. ამხანაგები მოლა-აყილის ამ თვისებას მისი რეგვენობით ხსნიდნენ. არ ესმის, რას ეუბნებიან და იმიტომ არ ბრაზდებო, ამბობდნენ ისინი. ეს კაცი, ჩემი აზრით, იმისთვის ჰყავდათ, რომ ყველა ავსიტყვაობა მასზე გამოეცადათ და თავად დრო ეტარებინათ ამით.

იყო კიდევ ერთი კაცი ამ ჯგუფში. მას მოლა-ბურჰანი ერქვა. ქულაბელი გახლდათ. ოცდაათ წელს იქნებოდა მიტანებული. მისი ხორბლისფერი და მრგვალი პირისაზე შავსა და დიდ წვერებს ერთიანად დაეფარა. ცეცხლოვან თვალებს აბრიალებდა, ტკბილმოუბარი კაცი იყო, მთიელის უშუალობაც მოსდგამდა და ბუხარელის სიტყვამოზომილობაც ჰქონდა შეთვისებული.

ისე ვერაფერიშვილი ლექსები ჰქონდა და ერთ დროს „მუშთალის“ ფსევდონიმით წერდა. მაგრამ ლუთფულამ დაგესლა, თალის (მთის) თავგია და იმიტომ აქვსო ასეთი ფსევდონიმი! ისიც ადგა და ფსევდონიმი გამოიცვალა, „ბისმილი“ დაირქვა. ეს სიტყვა მსხვერპლს ნიშნავს და მოლა-ბურჰანიც ხუმრობდა: რა გინდათ, ლუთფულას ენის მსხვერპლი ვარ და იმიტომ მაქვს ასეთი ფსევდონიმიო.

მას ორი წელიწადი მეცადინეობა მიტოვებული ჰქონდა და მთიანეთში იყო წასული. იმ წელს ჩამობრუნდა სოფლიდან და გასწრებულ ამხანაგებს შეუერთდა (როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბუხარის მედრესეებში თუ გინდ რამდენიმე წლით ყოფილიყავით სწავლას მოწყვეტილი, ჩამორჩენილად მაინც არ ითვლებოდით).

მოლა-ბურჰანმა თავისი ორი წლის გაუჩინარების მიზეზი და თავგადასავალი, კარგი რომანი რომ წაგიკითხავთ, ისე გვიამბო. მის მონაყოლს ჩემი რედაქციით მოგიყვებით.

„ქოშუბის ბაყრა“ ხოჯა-უბანის მიერ

მოლა-ბურჰანმა გვიამბო:

„ერთხელ გადავწყვიტე, ზაფხული სადმე მარტოობაში გამეტარებინა. ხალხს გავკიდევანებოდი, გაცდენილი გაკვეთილები გამემეორებინა და მომავალი გაკვეთილებიც დამემზადებინა წინასწარ. მაგრამ საამისოდ ისეთი ადგილი მჭირდებოდა, სადაც მუქთად მაჭმევდნენ და მასმევდნენ. მირჩიეს, ასეთი ხოჯა-უბანის მაზარიო¹.

¹ მაზარი — წმინდანის აკლდამა.

ყველამ იცით, რომ ხოჯა-უბანის მაზარი ბუხარის ჩრდილო-დასავლეთით, ხუთი ფარსანის (ორმოცი კილომეტრის) დაშორებით მდებარეობს ქვიშიან უდაბნოში. გზის ნახევარი სოფლებში გადის, მეორე ნახევარი კი უწყლო და ხრიოკ უდაბნოში მიიქარგება. რა მექნა! დავადექი გზას და რის ვაი-ვაგლახით ჩავიტანე სული იმ მაზარამდე.

ჩავედი, მაგრამ რად გინდათ! წყალი იქ არ იყო, ბალახი და ხე! ხრიოკ უდაბნოში მხოლოდ მაზარი იდგა ეულად. შიგნით, ხოჯა-უბანის საფლავის გარდა, ჩელახანად წოდებული ერთი სენაკი მოჩანდა. იქვე ახლოს ერთი ჭა იყო, შიგ მლაშე წყალი იდგა, სასმელად არ ვარგოდა და სამკურნალოდ ხმა-რობდნენ (ამბობდნენ, კეთრს არჩენსო). სასმელ წყალს შორი სოფლიდან ეზიდებოდნენ ვირებსა და ცხენებს აკიდებული ტიკებითა და კოკებით. მაზარის ბირუნში ერთი სამლოცველო ხანაგა იდგა, მას ერთი აივანი ეკრა და ერთი ც სასტუმრო ოთახი ჰქონდა. ამ ოთახს „მისი უწმინდესობის სასტუმრო ოთახს“ ეძახოდნენ. მაზარისა და ხანაგის ჩრდილოეთით მაღალი გალავნით შემორაგული ერთი დიდი რაბათი (კარ-მიდამო) მოჩანდა. იგი მაზარის მუთავალის¹ ეკუთვნოდა.

მუთავალი ტანმორჩილი და გატიკინებული, ასე სამოცდაათი წლის მოხუცი იყო. ბალიშით ბრტყელი თავ-პირი და ლაქლაქა ლოყები ჰქონდა, ვეება თეთრი წვერი მუცელზე ეფინა. ეს კაცი მარტო მუთავალიობას არ სჯერდებოდა, ის იყო ამ მაზარისა და ხანაგის შეიხიც, იმამიცა და ხათიბიც. მოკლედ, მის ხელში იყო იქაურობა. რამდენიმე მსახურიც ჰყავდა. ისინი ფარეშებად ითვლებოდნენ — იქაურობას გვიდნენ და ალაგებდნენ.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაგებობების გარდა ახლომახლო რაიმე შენობის ნასახიც კი არ ჩანდა, იქაურობა მთასავით ვეება ქვიშის წითელ ბორცვებს ჰქონდა დაფარული. ამ უდაბნოს ერთი მხარე ჩარჯუის ებჯინებოდა, მეორე — ხორეზმს, მესამე კი — ყიზილის უდაბნოს.

მაგრამ ამ ხრიოკ და მწირ ადგილას სანოვაგე ყელამდე ჰქონდათ. საერთო სასტუმრო ოთახი, რომელიც სასადილოს დანიშნულებას ასრულებდა, სულ ნუგბარი საჭმლით იყო სავსე. სანოვაგეს წმინდა ხოჯა-უბანის მაზარის მომლოცველები და მუთავალის მურიდები² ეზიდებოდნენ.

სწორედ ასეთი შესაწირავებით იყო, რომ დულდა და გადმოდულდა მუთავალის ოჯახი. როგორც ამბობდნენ, მისი ბელლები ფქვილით, ხორბლით, ბრინჯითა და ქერით იყო გაძეძგილი. ერბო იმდენი ჰქონდა, დერგებში ვერ ატევდა. ახლომახლო საძოვრები მისი ფარებითა და რემებით იყო მოფენილი. გარდა ამისა, იმ მიდამოებში თუ კარგი სახნავ-სათესი იყო, მუთავალის ჰქონდა ხელში ჩაგდებული და შიგ თავის მურიდებს მუქთად ამუშავებდა.

ქერის ორმოში ვიყავი ჩავარდნილი, ჩემი თავი ჯოჯოხეთის შუაგულში მოქცეულ სამოთხეში მეგონა. მაგრამ ცოტათი გვიან დავრწმუნდი, რომ ვერც ერთი მგზავრი, ვერც ერთი მათხოვარი და ვერც ერთი ყარიბი ამ სამოთხეში სამ დღეზე მეტ ხანს ვერ გაჩერდებოდა. მათი თვალები ამ ნუგბარი საჭმელ-სასმელის ყურებით ვერ ძლებოდნენ, პირი ნერწყვით ევსებოდათ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ აქაურობა დაეტოვებინათ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ

¹ მუთავალი — შემოსავლიანი საკულტო დაწესებულების მეურვე.

² მურიდი — მიმდევარი; მოწაფე.

მგზავრი, მათხოვარი და ყარიბი წმინდანის სასურველი სტუმრები არ იყვნენ. აბა გლეხები ისედაც ვერ იცლიდნენ აქ დიდხანს დასარჩენად, — წმინდანის ვალს ან დაპირებულს მაზარზე მოიტანდნენ თუ არა, იმ „განმკურნებელი ჭის“ მლაშე წყალს ჩაისხამდნენ მათარაში ან ღოქში და იმავე დღეს უკან ბრუნდებოდნენ. ზოგი დაბრუნებას ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებდა, იქ გაათევდა ღამეს, „უფრო მსუბუქად იგრძნობდა თავს“ (რაც ჯიბეში ედო, ყველაფერს აქ ტოვებდა) და მეორე დღეს თავის გზას გაუდგებოდა.

მე აინუნშიაც არ ჩამიგდია, ვსიამოვნებდი სტუმრად წმინდანს თუ არა. გადავწყვიტე, ორმოცი დღე დავრჩენილიყავი აქ და მაზარის დარუნში რომ ჩელეხანა იდგა (ჩელეხანა ორმოცი დღე ლოცვად დასაყუდებელი სენაკი იყო), იქ დავეყუდე. დღეში მხოლოდ სამჯერ გამოვდიოდი ჩემი სადგომიდან, სასტუმრო სახლში შევიდოდი, მურიდებსა და მგზავრებს მივუჭდებოდი და, გიყვარდეს, სულო და გულო, შემწვარსა და მოხრაკულებს მივირთმევდი.

მესამე დღეს დილით რომ ავდექი, ვხედავ, ჩემი ქოშები სენაკის გარეთ, კარშია გატანილი, თითქოს ჩემს წასასვლელად ყოფილიყოს თადარიგი დატყერილი. პირველად ამ ამბისთვის მნიშვნელობა არ მიმიცია, ვიფიქრე, მოსამსახურეები მოწიწებით მექცევინ-მეთქი, მაგრამ როცა ზედიზედ განმეორდა ეს შემთხვევა, მოსამსახურისა მომერიდა, დავირცხვინე და ვუთხარი:

— ძმაო, შენც ჩემისთანა ადამიანი ხარ. ის კი არა, მე თუ მკითხავ, — მხედველობაში თუ მივიღებთ ომას, რომ შენ წმინდანის აკლდამას უვლი და ასუფთავებ, — ჩემზე უფრო ღირსეულიცა ხარ. ამის შემდეგ ნუ შეწუხდები და ქოშებს კარში ნუ გამიტან, თორემ მერიდება შენი.

— მე არ გამიტანია თქვენი ქოშები! — მიპასუხა მოსამსახურემ.

— მაშ ვინ გაიტანა? — ვკითხე გაოცებულმა.

— წმინდანმა! — მიპასუხა მან.

— რომელმა წმინდანმა? — უფრო გამიკვირდა მე.

— წმინდა ხოჯა-უბანმა, რომელიც ამ მაზარშია დაკრძალული! — მიპასუხა მოსამსახურემ ისეთი დაბეჯითებით, თითქოს თავისი თვალთ დაენახოს, როგორ გაჰქონდა კარში წმინდა უბანს ჩემი ქოშები.

ამ პასუხმა უფრო განმაცვიფრა. მივუხვდი, რომ აქ რაღაცა იმალებოდა, მაგრამ კერძოდ რა, არ ვიცოდი. ამის გასაგებად სერიოზული სახე მივიღე და მოსამსახურეს ვკითხე:

— რატომ გაიტანა წმინდანმა ჩემი ქოშები კარში, მე განა რითიმე მის ასეთ ყურადღებას ვიმსახურებ?

— წმინდანის ასეთი საქციელი იმ კაცის რაიმე განსაკუთრებული ღირსების შედეგი კი არ არის, არამედ იმის ნიშანია, რომ წმინდანი იმ კაცით უკმაყოფილოა! — მიპასუხა მოსამსახურემ და დაუმატა: — თუ წმინდა ხოჯას ვინმეს აქ ყოფნა არ ნებავს, იმ კაცს ქოშებს კარში გაუტანს, რითაც ეუბნება: ჩქარა წადი აქედანო! ეს ხოჯა უბანის ერთ-ერთი სასწაულთაგანია და ცოცხალი მაგალითი იმათთვის, რომელთაც მის ძლევა მოსილებაში ეჭვი ეპარებათ.

— და რომ გამოჩნდეს ისეთი ეჭვიანი, რომელიც ამ სასწაულს არ ირწმუნებს და აქედან არ წავა, მაშინ?

— მაშინ იმ კაცს კეთრი შეეყრება! — ისე განმიმარტა მოსამსახურემ, თითქოს ეს კეთრის შეყრაც თავისი თვალთ ენახოს რამდენიმეჯერ.

მივუხვდი ხოჯა-უბანის მიერ ქოშების კარში გაყრის საიდუმლოებას. უკვე

ვიცოდი, რატომ არ აჩერებდა ის აქ სამ დღეზე მეტს მგზავრებს, ყარბებსა და მათხოვრებს. გულში მეცინებოდა და ჩემთვის ვანბობდი: მე ისეთი ბრიყვი როდი ვარ, რომ ასეთი სულელური ხრიკებით ამისთანა ქერის ორმო დავაგდო და აქედან წავეხეტო! სანამ მუთავალი თავის მოსამსახურეებს კინწისკვრით არ გააგდებინებს ჩემს თავს, აქედან არსად წამსვლელი არა ვარ-მეთქი. ასე გადავწყვიტე და ახლა იმის თადარიგს შევუდექი, თუ როგორ გამომეაშკარა-ვებინა და გამემასხრებინა ეს „სასწაული“. ნაშუალამევს, როცა ყველას მკვლავით ეძინა, ავდექი, მომლოცველების ქოშები წამოვკრიფე (ზოგს ხანაგის აივანზე ეძინა, ზოგს — სასტუმრო ოთახის სუფაზე, ზოგს კიდეც სად), და კარში გავიტანე. შემდეგ კი ჩემს სენაკში შევბრუნდი და ტკბილად დავიძინე.

დილაზე, თეთრად როცა ინათა, ავდექი, გარეთ გამოვედი და რას ვხედავ: ყველანი, მომლოცველები და მურიდები, აქედან წასვლის სამზადისში არიან. ხალხს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა და დანა პირს არ უხსნიდა. პატარა ამბავი ხომ არ იყო, წმინდანმა მათი იქ ყოფნა არ ისურვა. ვინ იცის, რა უბედურება შეიძლებოდა დატეხოდათ მათ ამის გამო თავზე!

ამ თვალთმაქცობას ყოველ ღამე მივმართავდი. იქამდე მივიდა საქმე, რომ ახლომანლო რაიონებში ხმა დაირხა: წმინდა უბანი განრისხებულა და მუთავალის, მისი მოსამსახურეებისა და ერთი ვიღაც სალოცავად ჩამოსული მოლის (ე. ი. ჩემს) გარდა არავისი გაკარება არ უნდაო. მლოცველებმა ფეხი ამოიკვეთეს და ხოჯა-უბნის მანარმა შესაწირავები და შემოსავალი დაკარგა.

ერთ დღეს მუთავალი მესტუმრა. სახე ჩვეულებრივზე უფრო ჰქონდა გაწითლებული. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ვიფიქრე: ახლა კი დავიღუპე, ნებით თუ არ დავყევი, ძალით გამაგდებს-მეთქი აქედან! მაშინათვე ფეხზე წამოვდექი და მოწიწებით მივესალმე. დაჯექიო, მანიშნა ხელით, მკვირცხლად მომვარდა, ძალათი დამსვა ჩემს ადგილზევე და თვითონ, თითქოს მე დიდი შეიხი ვინმე ვყოფილიყავი და ის კი — მურიდი, ისეთი მოწიწებით დამიჯდა წინ. შემდეგ კი, თითქოს რაღაც დიდი საიდუმლოება უნდა გამანდოსო, ჩემკენ გადმოიხარა და საუბარი დამიწყო. პირი დაალო თუ არა, ისეთი სუნი ამოუვიდა, როგორც ასეთი ადგილების შესაფერი არ უნდა ყოფილიყო, — ღვინის სუნით ყარდა. მივუხვდი, რომ ჩემი სამოცდაათი წლის მოძღვარიც, ზოგი ბუხარელი ხანში შესული მოლის მსგავსად, „ალაჰის სამსახურისთვის ძალის მოსაკრებად“ შარიათის ნებართვით ღვინოს წრუტავდა. მაგრამ აშკარა იყო, რომ მუთავალის დღეს ღვინო „ალაჰის სამსახურისთვის ძალის მოსაკრებად“ როდი ჰქონდა დალეული, არამედ იმისათვის, რომ ისეთ ღვთისგარეგან კაცთან მოელოდა შეხვედრა, როგორც მე ვიყავი.

მუთავალიმ დაიწყო:

— როგორც ირკვევა, თქვენ აინუნშიაც არ აგდებთ იმას, რომ წმინდა უბანმა ქოშები კარში გაგიყარათ!

— რა თქმა უნდა! — ვუპასუხე მე მკვახედ, ვითომ გაბრაზებულმა. გადაწყვეტილი მქონდა, თუ ძალით გამაგდებდა, ისე მაინც არ წავსულიყავი აქედან, რომ ქოშების კარში გაყრის საიდუმლოება არ გამომემჟღავნებინა, მაგრამ მუთავალიმ კილო შეიცვალა:

— თუ ასეა, მაშინ ეს წმინდანის აკლდამა კი არა, თქვენი სახლი გამო-

დის. მე თქვენთან მხოლოდ ორი რამ მაქვს სათხოვარი: პირველი, წმინდა უბანის საქმიანობაზე თავს რომ დებთ და მომსვლელ-წამსვლელთ ქოშებს კარში უყრით, მურიდებსა და მომლოცველებს ზარალი არ მიაყენოთ. მეორე თხოვნა ეს იქნება: ეს საიდუმლოება არავის გაუმხილოთ. ნათქვამია, „საიდუმლოება დაცული სჯობსო“.

ამ სიტყვებიდან ჩანდა, რომ მუთავალი ჩემთან ბრძოლას არ აპირებდა და თანამშრომლობა ჰქონდა გადაწყვეტილი. თხოვნას მან ქისაც ამოაყოლა, რაღაც ქალაქში გახვეული წინ დამიდო და მითხრა:

— ეს თქვენი მონა-მორჩილისგან იმის ჯილდოდ, რომ თქვენი მობრძანებით გაგვაბედნიერეთ. თქვენი აქედან წაბრძანების დღისთვის კი თქვენზე მლოცველი თქვენი მონა-მორჩილი ერთ ხელ ხალათსა და ჩალმას მოგართმევს.

ეს თქვა, წამოდგა და საჩქაროდ გავიდა. ქალაქი გავშალე. ასი თანვა (თხუთმეტი მანეთი) იდო შიგ.

ამ შემთხვევის შემდეგ საერთო სუფრაზე ჭამა ვინ მაკადრა. ნაირ-ნაირი საჭმელი აქეთ მომდიოდა, სენაკში. თუ სხვა სტუმრებს შინ გამომცხვარ პურს აჭმევდნენ, მე სულ ნამცხვრებით მიმასპინძლებოდნენ. მოახლე გოგომაც იწყო სიარული, გასარეცხი მიჰქონდა და მირეცხავდა. სტუმარი კი არა, მუთავალის ოჯახის წევრი ვყოფილიყავი თითქოს, ისეთი უფლებებით ვსარგებლობდი. მოსამსახურეები თავზე მევლებოდნენ. მოკლედ რომ გითხრათ, გავკეთდი კაცი. შემდეგ კი სასიყვარულო საქმიანობაც გავაჩაღე“.

მოლა-ბურჰანი მოგვიყვა მისი და მუთავალის ქალიშვილის სასიყვარულო ისტორიას და ამ ამბის ტრაგიკული დასასრულიც გვიამბო. მისი ეს თავგადასავალი მინდა აქ მოვიტანო. ამ ამბავს ერთგვარ რედაქციას გავუკეთებ და „ბეჩავ ქალიშვილს“ დავარქმევ.

ბეჩავი ქალიშვილი

როცა მუთავალი სადმე გაემგზავრებოდა, მოახლე გოგოს ერთი ტან-მალაქი ქალიშვილიც მოჰყვებოდა ხოლმე. ამ ქალს თავზე ფარშავანგის ბოლოსფრად მოჩითული აბრეშუმის ჩადრი ჰქონდა მობურული (ბუხარელი მდიდარი ქალიშვილები გათხოვებამდე, ქალწულობის დროს, ამგვარად მოხატულ ჩადრებს იბურავდნენ, ხოლო მდაბიოთა ქალიშვილები — წითელი ძაფით მოქსოვილ პირბადეს), თვალეზვადაც გამჭვირვალე თეთრი მარმაში ჰქონდა ჩამოფარებული. შარიშურზე ეტყობოდა, რომ ტანზე სულ აბრეშუმეულობა ეცვა. ქალის ტანსაცმლის საამო შრიალი ყნოსვას მიღიზიანებდა და ნეტარებისგან გულს მიბნედა.

როცა მოახლე გოგო ჩემს სენაკში შემოდდიოდა (სარეცხს მიტოვებდა ან მიჰქონდა), ეს კარგად ჩაცმული ქალიშვილი პირბადის კიდებიდან მიყურებდა. მაგრამ მე ვერც მის სახეს ვხედავდი და ვერც თმას. როცა მუთავალი მაზარში არ იყო, ისინი დღეში რამდენჯერმე მოდიოდნენ ჩემთან. რაც უფრო ხშირად მოდიოდნენ ისინი, მით უფრო მელეოდა გული. მაგრამ რა უნდა მექნა, მასთან გამოლაპარაკებას ვერ ვხედავდი, მით უმეტეს, რომ გოგო ახლდა თან.

ერთ დღეს მოახლე გოგომ ჩვეულებისამებრ თეთრეული მომიტანა. ის ქალიც ახლდა, მაგრამ შინ არ შემოსულა, ბირუნში იცდიდა. მოახლემ მი-
თხრა:

— ქალბატონს გაუგია, რომ თქვენ თურმე ბევრი ლექსი იცი. რა იქ-
ნება, რომ მასაც დაუწეროთ ერთი ბაითი!

უცნობმა ქალმა მოახლის ამ ნათქვამზე მორცხვად ჩაიციხა და გოგოს
გაუჯავრდა:

— სითარა, ისე დაგიმიწდეს ეგ მატყუარა ენა, როგორც მე შენთვის არა-
ფერი მეთქვას! რას ყბედობ და რას მარცხვენ ჩემს ძმა მოლასთან!

მისი ხმა რომ მომესმა, კინალამ გონი დავკარგე. ამბობენ, ბულბულის ხმა
მეტად საამო არისო. მე მთებში ბულბულის ყეფის მეტი რა გამიგონია, მარ-
თლაც რომ გულში ჩამწვდომი გალობა იცის, მაგრამ იმ უცნობი ქალიშვილის
ხმა რომ გავიგონე, აბა რა გითხრათ, რაღა ბულბულის ხმა მის ხმასთან და
რაღა ყვავის ჩხავილი ბულბულის გალობასთან!

ამ ხმამ მიბნედამდე კი მიმიყვანა, მაგრამ ამავე დროს სულიც შთამბერა
და გაბედულებაც შემმატა.

— ძვირფასო! თუ აქამდე კალმით ვწერდი ქალაღზე, დღეის იქით შენ-
თვის წამწამებით დავიწყებ წერას თვალთა ჩემთა ფარდაზე. თუ შენ, ქვეყნის
მანათობელი მზე, ღამით შენს ვარსკვლავს გამომიგზავნი („სითარა“ ხომ
ვარსკვლავს ნიშნავს), ის ჩემი ნაწერი ფერხთა ქვეშ ფიანდაზად გაგეშლება!

ამის გაგონებაზე ქალიშვილმა ერთი ამოიოხრა, ჩაიციხა და მოახლე საყ-
ვედურებით აავსო:

— სითარა, გამოდი ჩქარა! წავიდეთ! შემარცხვინე ქალი.

მაგრამ მივუხვდი, რომ ჩემი სიტყვები ისე ეამა, იმაზე უფრო მოხუცს
მეჭისის დაზელა არ ესიამოვნებოდა.

ორივენი წავიდნენ. მე ოთახიდან გამოვედი, მაზარის კარებთან დავ-
დექი და აქედან შევყურებდი, თუ როგორ მიდიოდა ის ქალიშვილი. იმ დღეს
ჩრდილოეთის ქარი ქროდა, ვერ გეტყვით, თვითონ მოძრაობდა ასე ჩადრში,
თუ ქარი უფრიალებდა ფარშავანგის ბოლოსავით მოხატულ ჩადრს, არ ვიცი,
ყოველ შემთხვევაში. ეს კი იყო, რომ ბოლოგაშლილი ფარშავანგით მიირ-
წეოდა.

მისი ცქერით თვალი არ მქონდა გამძლარი, რომ ქალიშვილმა უცბად მო-
იხედა და დამინახა, როგორ ვიდექი კარებში და შეფრფინვით გავყურებდი.
არ ვიცი, რისგან იყო, ჩემი სულ მთლად მოხიბლვა მოინდომა, თუ შერცხვა,
ეს კია, უცბად შეტოკდა და შველივით დაფრთხა. მე ხოსროვ დეჰლევის¹ ეს
ბაითი მომაგონდა:

როცა მიდის, მიხვრა-მოხვრა ფარშავანგის გოგმანს უგავს,
ხოლო დამფრთხალ შველს ჰგავს, როცა მოიხედავს უცებ უკან.

იგი სახლში შევიდა. მისი კენარი ტანის მიმოტანით მთვრალი და თავ-
ბრუდახვეული შინ შევედი და მაშინვე მისი დავალების შესრულებას შევუ-
დექი. დავწერე ლექსი „ქვეყნის მანათობელ მზეს“.

¹ ხოსროვ დეჰლევი — სპარსულენოვანი ინდოელი პოეტი (XIV ს.).

მოლა-ბურჰანმა სალამოს იმ ქალისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი წაგვიკითხა. მაგრამ რადგანაც გალექსვის თვალსაზრისით იგი მდარე იყო და ამის გამო არ დამამახსოვრდა (მაშინ არც მისი ჩაწერა ვცანი საჭიროდ), ამიტომ მე მხოლოდ მის შინაარსს მოვიტან:

„ჰოი, ქვეყნის მანათობელო მზეო! ამ უკიდევანო ქვეყნის მზემ თუ თავისი არსი არ გვაჩვენა, ყველა სულდგმული გაითოშება, შენ, რომელიც ჩემი მზე ხარ, რატომ მიმაღავ პირს? გინდა, რომ შენმა განშორებამ გამთოშოს და მომკლას? არა მგონია, შენ ამდენად გულქვა და ულმობელი იყო! მე თავი შენს ფეხებთან მიდევს მიწაზე და გეკითხები: არ შეიძლება, რომ მე, შენით მოხიბლულსა და შენს „მსხვერპლს“, ერთხელ მაინც შენი ქვეყნის დამამშვენებელი სილამაზე მაჩვენო? თუ ამალამ მზის ჩასვლის შემდეგ შენ, ჩემი მზე, შენს პირს არ მაჩვენებ, მე მამაშენის ჭაში (ხოჯა-უბანის მაზარის ჭაში) გადავიჩეხავ თავს და ჩემი სისხლი შენს მოხდენილ კისერზე იქნება...“

მოლა-ბურჰანმა განაგრძო:

— ამ ჩემი ლექსის ბოლოში ერთი უცნობი პოეტის ბაიტი მივაწერე. ბუხარელი შეყვარებულები, როგორც წესი, მას სასიყვარულო წერილების ბოლოს ურთავდნენ. აი ეს ბაიტი:

ნუ ინებებ, ახალგაზრდა
შენი ტრფობის დარდით მოკვდეს.

იმავე დღეს, ასე, მზის ჩასვლის დრო იქნებოდა, სითარა მოვიდა. მე ვკითხე:

— წერა-კითხვა იცი?

არაო, მიპასუხა.

ეს ამბავი გამიხარდა. ცოტათი დავმშვიდდი, რადგან მეშინოდა, ამ გოგოს ჩემი საიდუმლოება არ გაეცა. ახლა, რადგან წერა-კითხვა არ იცოდა, ბუნებრივია, ჩემს ლექსსაც ვერ წაიკითხავდა და ჩემი სიყვარულის ამბავიც არ გამჟღავნდებოდა. რასაკვირველია, თორმეტი წლის სოფლელ გოგოს არ შეუძლია არც ჩემი და არც ლამაზი ქალიშვილის გულის ხვაშიადი ისე ამოიკითხოს, რომ ჩვენი საიდუმლოება აშკარა გახდეს-მეთქი.

მოახლე გოგოს ვკითხე:

— შენმა ქალბატონმა თუ იცის წერა-კითხვა?

— როგორ არა! — მიპასუხა მან. — ხანდახან წერს. სულ წიგნების კითხვაშია.

ჩემი ღაზელი სითარას ჩავაბარე და გავაფრთხილე:

— ეს ლექსი არავის არ აჩვენო და არც ის უთხრა ვინმეს, რომ ჩემთან იყავი და შენს ქალბატონთან წერილი გაგატანე!

— თქვენზე ადრე ჩემმა ქალბატონმა გამაფრთხილა ამაზე, — ღიმილით მიპასუხა მან.

— ქალბატონისთვის პირობა გაქვს მიცემული, რომ ამ ამბავს არავის ეტყვი?

— პირობა რად მინდა, მე ისედაც ვუნახავ საიდუმლოს! — თქვა ეს და განაგრძო: — ქალბატონს მე ძალიან ვუყვარვარ. მესიყვარულება და ლოგინშიც კი თავისთან მიწვენს. მეც ძალიან მიყვარს და მის სიტყვას არასდროს გადავალ.

სითარამ ქალაღდი გამომართვა და წაიღო. გულში ვთქვი: „ოჰო, ამ თორმეტი წლის სოფლელ გომბიოსაც გადმოდებია „ხოჯა-უბანის ტაძრის დიდებულე-ბა!“ ჩვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ ნასწავლიც ვართ და ვპოეტობთ კიდეც, ტყუილა ვგდებულვართ თურმე მედრესეში!“

ჩანდა, იმ მზეთუნახავს (მისი სახე ჯერ არ მენახა, მაგრამ მაინც მზეთუნახავად მყავდა წარმოდგენილი) ჩემზე მეტად ვერ უთმენდა გული, რადგან ათი წუთიც არ იყო გასული, რომ სითარა მობრუნდა. მომლიმარ სახეზე ეტყობოდა, კარგი ამბის მახარობელი უნდა ყოფილიყო. მის შემოსვლას ვერ დავუცადე, სენაკიდან გარეთ გამოვვარდი და კარებთან შევეგებე, — მინდოდა როგორმე ჩქარა გამეგო ეს სასიამოვნო ამბავი. მაგრამ გოგონამ თავისი ნატიფი ხელებით მომიშორა და მშვიდად მანიშნა, შინ შევიდეთო:

— მოთმინება იქონიეთ, შინ შემოდით, ვინმემ არ დაგვინახოს!

შემრცხვა და გულში ვთქვი: „ერიჰა, ეს სოფლელი გომბიო სასიყვარულო საქმეებში ჩემზე უფრო გამოქეჩილი ყოფილა და მე კი არა მცოდნია-მეთქი! აფსუს, ის ოცი დღე ჩემი მიუხვედრელობითა და სირეგვენით ასე ფუჭად რომ გავატარე ამ ჩელებანაში!“ ჩემს ადგილზე დავჯექი, სირცხვილით თვალებში ვერ ვუყურებდი ამ მოახლე გოგოს, რომელიც სასიყვარულო საქმეებში დღეს ჩემი მასწავლებელი გამხდარიყო. მან სახელოდან ქალაღდი ამოაღვრინა და გამომიწოდა. თავი არ ამიწევია, ისე გამოვართვი ქალაღდი. მან წერილის წაკითხვა არ დამაცადა და ხმადაბლა მითხრა:

— რომ შელამდება, მაზარის კარებთან მოდით. მე მოვალ და წავიყვანთ! — ეს მითხრა და საჩქაროდ წავიდა.

უზენაესმა ყაღმა ემირის ბრძანება რომ მიიღო, ჩემი შეყვარებულის წერილი ისე ჯერ თავზევით ავწიე, შემდეგ თვალებზე გავისვი, მერე ტუჩებთან მივიტანე და სანამ არ დასველდებოდა, მანამდის ვკოცნე. შემდეგ კი გავხსენი და წავიკითხე. სანატრელი სატრფო მწერდა: „ძმაო მოლა, ცუდი ხელი მაქვს, ამიტომ ყველაფერს ვერ ვწერ. არ გამკიცხოთ. როგორც სითარა გეტყვით, ისე მოიქეცით“.

ასე გულაფანცქალებულს სენაკში ჯღომა და ლოდინი არ შემეძლო, დაღამებას არ დავუცადე და მაზარის კარებისკენ გავეშურე. მოუთმენლობისგან ვწრიალებდი. სულ რომ ჩამოზნელდა, სითარა გამოჩნდა, მისკენ გავწიე, მაგრამ მან ხელით მანიშნა, შეჩერდიო. მოვიდა და მითხრა:

— ნუ ჩქარობთ!

ამის გაგონებაზე შიშისა და უიმედობისაგან კინაღამ გული გამისკდა, ვიფიქრე, სატრფომ პაემანი გაღამიღო და სითარა ამ ამბის მაუწყებლად გამომიგზავნა-მეთქი, მაგრამ სითარამ განაგრძო:

— მე წინ წავალ, თქვენ ოცი ნაბიჯის დაშორებით უკან მომყევით!

ისევ სირცხვილში ჩავვარდი — ქალის ამ სიტყვებიდან გაირკვა, რომ ჩემი ეს მოუთმენლობაც იმ მოუთმენლობას ჰგავდა, რომელიც ერთი საათის წინ მისაყვედურა ამ მოახლე გოგომ. ჩემი საქციელი ახლაც საყვედურს იმსახურებდა.

მოახლე წინ წამიძღვა. მისი ნაბიჯები გაღავთვალე და როცა ოცი ნაბიჯი გაიარა, მე პირველი ნაბიჯი გადავდგი. ვცდილობდი, არც უფრო დიდი ნაბიჯი გადამედგა და არც უფრო პატარა, მას შევეყურებდი და ისე ვუწყობდი ფეხს. ის რომ ბიჯს გადადგამდა, მეც გადავდგამდი. ასეთი სიარულით

ემირის ჯარისკაცებს ვგავდი, ვარჯიშის დროს მეთაურის ნაბიჯებს რომ უწყობენ ფეხს.

მე მეგონა, ჩემი გულის შვება თავის სახლში მეპატიუებოდა. მაგრამ სითარამ მუთავალის სახლს გვერდი აუქცია, ეზოში გამავალი კარი მარცხნივ მოიტოვა, აღმოსავლეთით გაუხვია და უდაბნოსაკენ ქნა პირი. მე უკან მივდევი. ზოგჯერ ქვიშის ბორცვებს ამოეფარებოდა და მეც ვიბნეოდი, არ ვიცოდი, როგორ ამეწყო ნაბიჯი. შიშით გული მისკდებოდა—ღმერთს ნუ ექნა, რომ გარკვეული მანძილი დამერღვია, ჩამოვრჩენოდი ან წამოვწეოდი. მესამეჯერ დავიმსახურებდი მოახლე გოგოს საყვედურებს.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ბორცვის ძირას შეჩერდა, მეც შევდექი. მან დამინახა და მანიშნა, მოდიო! დაბმულ ბელურას რომ ფეხზე ძაფი ახსნან, ისე გამოვფრინდი და იმით გულმოცემული, რომ ამჟამად საყვედურს არ დავიმსახურებდი, ერთ წამში მასთან გავჩნდი.

მან ჩუმიად მითხრა:

— თქვენ აქ, ამ ბორცვის ძირას გაწექით, კაციშვილმა არ უნდა დაგინახოთ. ჩემი ქალბატონი აქ მოვა.

ეს თქვა და თვითონ მაშინვე უკან დაბრუნდა.

სითარა თვალთაგან მიმეფარა. თითქოს მას უცდიდნენო, ვარსკვლავებმაც დაიწყეს ნელ-ნელა ციდან გაქრობა. აღმოსავლეთით, თითქოს ხანძარია სადღაცო, ინათა. შემდეგ ეს ნათელი თანდათან გაფართოვდა, მალლა აიწია და გაბაცდა. ცოტა ხანიც და ამ ნათელს ერთი ცეცხლში გახურებული სპილენძის დიდი ლანგარის მსგავსი რამ ამოჰყვა, — თვრამეტ-ცხრამეტი დღის მთვარე ამოდოდა ჰორიზონტიდან. ერთი წუთის შემდეგ მთვარე ვერცხლის ელვარე ლანგარს დაემგვანა. წითელ ქვიშას მაგრად შედედებული ყაიმაყის¹ ფერი დაედო. მთელი უდაბნო რძის ოკეანეს ჰგავდა.

მთვარე სულ მალლა და მალლა მიიწევდა, მაგრამ ჩემი მზე არა და არ ჩანდა. შევშფოთდი. რა აღარ ვიფიქრე: მამამისი ხომ არ მობრუნდა ქალაქიდან მოულოდნელად? ვინმე დაუპატიუებელი სტუმარი ხომ არ ეწვია? ღმერთმა აშოროს და, ავად ხომ არ გახდა? ჩემი ეჭვისა თვითონ არა მჯეროდა, მაგრამ ერთი პირობა ასეთმა ეჭვმაც გამკრა გულში: ზღაპრებში რომ თაღლითობენ თვალთმაქცი გოგოები, ისე ხომ არ მაპამპულავენს ჩემი სატრფო? ახლა შინ მხარეთქოზე ხომ არაა წამოწოლილი და სიცილით ხომ არ კვდება იმაზე, რომ მე მის მოლოდინში აქ ნერწყვებს ვყლაპავ-მეთქი?

ზეზე არ წამოვმდგარვარ, ისე ხოხვა-ხოხვით ქვიშის ბორცვს თავზე მოვექეცი. შორს მუთავალის ეზოს თიხის გალავანი მოჩანდა. მთვარიანში გალავანიც რძისფერ ნისლში ცურავდა. გალავანში ერთი კარი შევამჩნიე. ეს მუთავალის ეზოს უკანა კარია-მეთქი ალბათ, — ვიფიქრე გულში, ჩემი სასოების კარი სწორედ ეს უნდა იყოს-მეთქი. ამიტომ კატა რომ თავის სოროს მიაკვდება, დასკუპდება და სოროს პირს თვალს არ აშორებს, ისე მივაჭიჭინდი იმ კარს.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, ნახევარი საათი თუ სულაც რამდენიმე საათი (ის ღამე ოდესმე თუ გათენდებოდა, არ მეგონა), ბოლოს სასოების კარიც გაიღო ჩემთვის. გულმა ბაგაბუგი დამიწყო, თითქოს უნდოდა იმ კა-

¹ ყაიმაყი — ერთგვარი ნაღები.

რის მსგავსად ბუდიდან ამოვარდნილიყო და ჩემი სულისდგმისკენ გაქცეულიყო, მაგრამ უცბად ცივი წყალი გადამესხა. აშკარად დავინახე, რომ ვინც იმ კარიდან გამოვიდა, ტანად პატარა იყო, მაშინ როდესაც ჩემი გულის ვარდი კენარ საროს მოჰგავდა. აშკარა იყო, სითარა უნდა ყოფილიყო. მე კი მზის გამობრწყინებას ველოდი. გულში ვთქვი: აი, მოდის თითქოს უბრალო გოგო, გარეგნულად რომ შეხედავ, გომბიო, მაგრამ ქვებუდანი კი გახლავთ. მოდის, რათა ამალამაც ისე მომატყუოს, როგორც მთელი დღე მატყუებდა. მოვა და ისევ რალაც ფანდს მოიგონებს და უიმედობის ცეცხლში ჩამაგდებს. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ... მაშინ მირჩევნია, მაზარის ჭაში ჩავიგდო თავი, ვიდრე იმედგაცრუებული და ხელმოცარული ჩემს სენაკში წავჩანჩალდე!

მაგრამ მოახლე გოგო ჩემკენ არ წამოსულა, გალავანს სამხრეთით, სწორედ იმ მხარეს გაუყვა, საიდანაც მე გამომიყვანა, ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდედან დაღვა და ფაფაციცებით დაუწყო თვალიერება როგორც მაზარის იმ უკანა კარს, საიდანაც მე გამოვედი, ასევე ეზოს ალაყაფებს. შემდეგ კი მობრუნდა და ჩრდილო მხარისკენ გაუყვა ისევ ეზოს გალავანს. ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეც რომ მიატანა, შედგა, იქაურობა გულდასმით დაათვალიერა და მობრუნდა. შემდეგ კი პირდაპირ გალავნის კარებს გაუსწორდა და შიგ შევიდა.

მე იმედი მქონდა, სითარა¹ რომ გაქრა, მზე გამოჩნდება-მეთქი. ჩემი მზე კი აბრეშუმის ფარშავანგის მსგავსი ფარანჯითა და თეთრი მარმაშის პირბადით მახსოვდა. მაგრამ იქიდან მზის ნაცვლად თეთრი შუქი გამობრწყინდა, რომელიც მიწიდან ცისკენ იყო ასვეტილი. ეს მოარული ნათლის სვეტი ჩემკენ გამოემართა. როცა ახლოს მოვიდა, მივხვდი, რომ ადამიანი იყო, ოღონდ იმ ადამიანს ტანსაცმელი მთვარიანში თეთრად ელანძებოდა, და მე წინდაწინ რომ არ ვყოფილიყავი აქ კაცის მოლოდინში, ვერც კი ვიფიქრებდი, იგი სულიერი არსება თუ იყო.

ეს მოარული ნათლის სვეტი უფრო ახლოს რომ მოდგა, უკვე ეჭვი არ მეპარებოდა, ჩემი „კენარი სარო“ იყო. სიარულის დროს მისი წერწეტა ტანი, ახალი ნერგი რომ ნიავზე ქანობდეს, ისე ირწეოდა, კოკრებით დახუნძლულ ვარდის ბუჩქს ჰგავდა, რომლის ტოტები ვარდების სიმძიმეს დაეზნიქა, მშვენიერების მედიდურობის ღვინით თუ ნეტარების ბადაგით მთვრალი იყო და ფეხაშლილი მოდიოდა.

როცა ის ჩემი გულის შვება ახლოს მოვიდა, მაშინვე ქვიშის ბორცვიდან ძირს დავგორდი და ქვაბურში ამოვყავი თავი, სწორედ იმ ადგილას, სითარამ რომ დამითქვა (ეტყობა, სითარას ეს ადგილი თვითონ ჩემმა მზემ დაუნიშნა). დიდხანს არ გაუვლია, რომ ჩემი ქვეყნის მანათობელი მზე მის მოლოდინში აწრიალებულ მიჯნურს თავზე დამადგა, თითქოს მაღალი განგება მეძახოდა, მზე ამოგივიდა, ადექო! მაღალი განგების ბრძანებას არ გადავედი, არც დავფიქრებულვარ, ისე წამოვიჭერი და პირისპირ დავუდექი.

ტანზე იმ ნაზ საროს თეთრი აბრეშუმის კაბა ეცვა, მაგრამ ისეთი კი არა, ქალიშვილებს რომ აცვიათ, წინ შეკრული, არამედ ისეთი, მეძუძურ დედებს რომ აქვთ, წინ მოღიავეებული. მთვარის შუქზე იმ მოღიავეებული გულისპირიდან ელვარე ბროლის მკერდი უთიმთიმებდა. ჭეშმარიტად, რომ ეს ჩემი

¹ ორიგინალში ზმაა: „სითარა“ ვარსკვლავს ნიშნავს.

გაცისკროვნებული ბედი იყო, რომელიც ასე გაშილიფებული გამომეცხადა. კაბის სახელოები აეკაპიწებინა, ამიტომ მკლავები იდაყვამდე შიშველი ჰქონდა და მთვარის შუქზე ისინი, ანკარა წყალში მოცურავე კალმახი რომ გინახავთ, ისე გულის ამაფართქალეზლად ტოკავდნენ, თითქოს მეუბნებოდნენ: „რას უცდი, მოდი, დაგვკოცნეო!“ და კაცს ანდამატივით იზიდავდნენ. ამ კენარ საროს თავზე თეთრი აბრეშუმის თავსაბურავი ჰქონდა მოხურული და ეს გამჭვირვალე ქსოვილი ტერფამდე სწვდებოდა, იგი გულის ამაფორიაქებელ ყურყუმელა შავ თმას ფარვით კი ფარავდა, მაგრამ მალვით ვერ მალავდა. ეტყობოდა, ამ ფერის თავსაბურავი იმ მიზნით მოეხურა, რათა მთვარიანის ფერს შეხამებოდა და უცხო თვალს არ შეემჩნია. თეთრი თავსაბურავის აქეთ-იქით შავი თმის დაუწნელი ზილფები ჩამოშლოდა, ამ კეკლუცა ქალს ეს ზილფები ორივე ყურსა და ლაწვებზე გადმოეფინა, ტუჩების კუთხეებამდე მოეტანა, იქ მოერკალა და თითქოს კაცის გასაგიჟებლად მისი სილამაზე და ეშხი არ კმაროდა, ახლა მისი შემხედვარნი ამ ზილფებით უფრო მეტად უნდა დაეგიჟებინა.

არ ვიცი, მისი ვარდისფრად ელვარე სახე რას შევადარო?

რომ ვთქვა, მზეა-მეთქი, სწორი არ იქნება. ვითომ მთვარე? მთვარეც არ გამოდგება შესადარებლად. ვარდი ვთქვა? იქნებ სარკე? — არც ერთი და არც მეორე! რატომო? — იკითხავთ. იმიტომ, რომ ყველა ესენი ამ ქვეყანაზე ყველას უნახავს, მათ ყოველდღე ნახულობენ და სწორედ ასე ხშირი ნახვის გამო ყოველი კაცი მათში განსაკუთრებულად მომხიბლავს ვერაფერს ხედავს. მაგრამ რა შეიძლება შეედაროს იმ სახეს, რომლის ერთი დანახვისათვის კაცი სიცოცხლესაც გასწირავს! განა მას რაიმე ამქვეყნიური და ჩვეულებრივი შეიძლება ედრებოდეს!

არ ვიცი! ერთი კი შემიძლია ვთქვა, რომ ეს ლამაზი სახე ნატიფი და მომაჯადოებელი ცხვირით, შავი და მოალერსე თვალებით, გრძელი და ამაფორიაქებელი წამწამებით, მორკალული და დამატყვევებელი წარბებით, თეთრი და სათნო შუბლით ისეთი მწყაზარი, ისეთი მომხიბვლელი და ისეთი მშვენიერი იყო, რომ კაცი მისი ცქერით ვერ გაძლებოდა.

კანკალმა ამიტანა. ის მთვრალივით ტორტმანით წამოვიდა და სულ ახლოს დამიდგა. ანგარიშმიუცემლად ჩავავლე ხელები ბროლის მკლავებში. იგი ყოველგვარი განაზების გარეშე უფრო მომეახლა, თითქმის სულ მომეკრა. ნელსაცხებლების დამათრობელ ნეტარებას კიდევ რაღაცის სურნელი ერთვოდა, ეს ღვინის სუნი იყო, პირიდან რომ ასე საამოდ ამოსდიოდა. მივუხვდი, ამ სალამოს ორი თუ სამი ფიალა ღვინო (რომელსაც მამამისი „ალაპის სამსახურისთვის ძალის მოსაკრებად“ გადაჰკრავდა) უნდა ჰქონოდა შესმული, რათა პაემანზე წასულს მხნეობა შემატებოდა და თავის მიჯნურთან პირველ შეხვედრაზე სასიყვარულო დავთარი თამამად გადაეშალა.

ამ სანახაობამ, ამ გადაღელილმა გულისპირმა და აკაპიწებულმა სახელოებმა საიბ ისპაანელის სამი ბაითი გამახსენა და ისინი ჩავილილიხე:

მოდის მთვრალი, ფეხაშლილი,
ჯამით მოაქვს ღვინო ტკბილი.
შეხვდი, თორემ დაეცემა
შენ წინ როგორც მწიფე ხილი.
თავზე ბუზს რომ არ ისვამდა
(არ მინდაო გულის წყვილი!),



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხე, როგორ უწუწნია
ცოდვის სკიდან თვისი წილი!
ჭიბამდე აქვს ჩაწეული
კაბის გულისპირის ჭრილი.
ქათქათა მკერდს მოაგელვებს, —
არც რიდი და არც სირცხვილი!

ჩემი ქალბატონი ჭეშმარიტად რომ მოწეული ხილი იყო, რომელიც იმ ღამეს მე ჩამივარდა ხელში. იგი ახლად მოწყვეტილ მწიფე, წყლიან ატამს ჰგავდა, ნერწყვისმომგვრელი სიტკბოებით სავსეს. მისი ორი ნატიფი ხელი ისევ ხელთ მეჭირა და ვცახცახებდი. არც მისი ნაზი და სათუთი ხელები თრთოდნენ ჩემსაზე ნაკლებად. ხელებზე ვეფერებოდი და სათქმელ სიტყვებს ვერ ვპოულობდი. უცბად მან ხელები წამართვა, გადაღელილ თეთრ მკერდზე მიიფარა და სთამამად მითხრა:

— ჩამოვსხდეთ სადმე ბოლოს და ბოლოს!
ხმაში ეტყობოდა, ჩემს გაუბედაობაზე მსაყვედურობდა.

— ბატონი ბრძანდები! — ვუპასუხე მე.
იგი იქვე ჩამოჯდა, სადაც იდგა. მეც მის წინ მოვკალათდი.

ერთმანეთს ერთი მტკაველითლა თუ ვიყავით დაშორებული. ვერადა ვერ მომეძებნა მისთვის სათქმელი სიტყვები, თუმცა არა, მოძებნით თითქოს კი მქონდა მოძებნილი, მაგრამ მუნჯივით ენა დამბმოდა და გამოთქმით ვერ გამომეთქვა. ბოლოს ისევ ის ალაპარაკდა:

— რატომ გეძახიან თქვენ „ბისმილს“, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

— „ბისმილი“ მოკლულს ნიშნავს. მე რადგან სიყვარულს ვყავარ მოკლული, სახელად ეს სიტყვა შემეფერება, — ვუპასუხე მისი შეკითხვით გათამამებული.

— რომელი გულქვა სატრფოს სიყვარულმა მოკლა თქვენისთანა მომხიბვლელი ახალგაზრდა? — ისევ შემეკითხა ჩემი გულწარმტაცი სატრფო.

— მეშინია იმ სატრფოს სახელის ფამხელისა, ვაითუ გაძიჯავრდეთ! — ვუპასუხე შიშითა და ძრწოლით.

— სიყვარულით მოკლულს არაფერი ეშველება? რამე წამალი არ არის, რომ ხელახლა გააცოცხლოს ის? იქნება იმ წამლის შოვნა შეიძლებოდეს!

ამ იღუმალმა შეკითხვებმა, რომლებიც ჩემი დახშული გულის ხვაშიადს მართლაც რომ სწვდებოდნენ, ისე განმაიარადა, რომ მეტი აღარც დამორცხვება შემრჩა და აღარც გაუბედაობა:

— არის! — ვუპასუხე მე, მისკენ წავიწიე, ხელები მიწას დავაბჯინე, თავი ავწიე და ტუჩები მის ტუჩებთან მივიტანე.

— აი, ასეთი სიცოცხლის მომნიჭებელი ტუჩების კოცნაა სიყვარულის მიერ მოკლულის გამაცოცხლებელი წამალი! — ვუთხარი და თრთოლვით მის მხურვალე ტუჩებს დავეწაფე. შევხედე, გაიტრუნა. ამან უფრო გამათამამა, ახლა ხელები იღლიებში შევუყავი და ჩახუტება მოვინდომე. მაგრამ ქალიშვილმა, თუმცა ახალგაზრდული სისხლი თავში ჰქონდა ავარდნილი, უცბად ორივე ხელი მკერდზე მკრა, თავიდან მომიშორა, ერთი ნაბიჯით უკან გადაჩოჩდა და როგორც მანამდე ვისხედით, ისევ ისე შორიახლო დამიჯდა. თავი ჩაღუნა და სლუკუნნი დაიწყო.

ცეცხლი, რომელიც მთელ სხეულზე მქონდა მოდებუნი, გამინელდა, ისე

აღარ მდაგავდა. თუ აქამდე მშრალ შეშასავით ვიწვოდი, ახლა ნედლ შეშას დავმსგავსებოდი, — ცეცხლი მეკიდა, მაგრამ ისეთი ბრიალა აღარ. კვამლი ამდიოდა, ვლრჩოლავდი და ახლა ეს კვამლი მიბნელებდა გონებას.

ქალიშვილი არ წყნარდებოდა და ზღუქუნებდა. ლხინი ჭირად მექცა. მე, რომელიც მისი სიყვარულით ვიწვოდი და რომელსაც ერთი მიზანი მქონდა — როგორმე მესიამოვნებინა მისთვის და გამეხარებინა, მის ამ ცრემლებს ვეღარ გავუძეღ.

მივუახლოვდი და პატიება ვთხოვე:

— ჩემო ტკბილო სიცოცხლევ, მე შენმა გულკეთილობამ შემაცდინა და იმიტომ მოვიქეც ასე თავხედურად. შენ მედიდურად მკარი ხელი და ჩემს ადგილზე მიმითითე. ამის გამო დიდად მადლობელი ვარ შენი. მაგრამ რადგან შენი მწუხარებისა და დაღონების მიზეზი გავხდი და ნაცვლად იმისა, რომ გამეხარებინე, აგატირე, თავს დამნაშავედ ვთვლი და პატიებას გთხოვ. მიბრძანე, რა მოვიმოქმედო ისეთი, რომ ეს მწუხარება მოგაშორო და სიხარული მოგვგარო?

ქალმა ტირილს უკლო. შევატყვე, ცოტათი გუნებაზე მოდიოდა, მაგრამ პასუხს მაინც არ მაძლევდა და თავჩალუნული იჯდა. მე ისევ მივმართე:

— ჰოი, ჩემო უმანკო არსებავ! თუ შენთვის სიხარულის მოგვრა ჩემი სიკვდილით შეიძლება, მზადა ვარ ჩემი თავი ზვარაკად შემოგწირო. მიბრძანე ოღონდ და ახლავე ავდგები და აქედან ისე გადავიკარგები, ჩემს ლანდსაც ვერავინ დალანდავს ამ არემარეში. და თუ სული ამომხდება, ჩემი ცოდვის მტვერი წმენს უბოროტო კალთას არ დაეყრება...

გავჩუმდი და დავაკვირდი, ჩემი სიტყვები მასზე თუ იმოქმედებს-მეთქი? მას ტირილი შეეწყვიტა, მაგრამ თავი მაინც ჩალუნული ჰქონდა, ჩაფიქრებულიყო და თავისი თლილი თითებით ქვიშას ხაზავდა. მე განვაგრძე:

— ბოლოს და ბოლოს მიყვარხარ, შენი გულისთვის მზადა ვარ. ყოველგვარ ხიფათსა და განსაცდელს პირისპირ შევხვდე და როგორი მწუხარება, ჭირი და ვაი-ვაგლახიც არ უნდა მაწიოს შენმა ტრფიალმა, მზად ვარ უდრტვინველად გადავიტანო. მაგრამ შენს დაღონებას, შენს მწუხარებას მე ვერ ავიტან, მით უმეტეს, რომ ამ დაღონებისა და მწუხარების მიზეზი თავადა ვარ...

ისევ ვიყუჩე და პასუხის მოლოდინში მივაჩერდი. ქალიშვილმა ცოტა ხნის შემდეგ ისე, რომ თავი არ აუწევია და ჩემთვის არ შემოუხედავს, მითხრა:

— ჩემი შეჭირვებისა და ტირილის მიზეზი თქვენ და თქვენი უხეში საქციელი არ არის! — მითხრა ეს და განაგრძო: — რა თქმა უნდა, თქვენი უხეშობა მე არ მომეწონა და თქვენგან თავი ამიტომ გავითავისუფლე. მაგრამ ისეთი საქციელი, რომლის თავიდან არიდება თვითონ ძალმიძს და თავად შემიძლია ჩემს ნებაზე ვიყო, ასეთი საქციელი, ვამბობ, როგორ შეიძლება ჩემი დაღონების მიზეზი იყოს? თქვენი უხეში საქციელი ჩემი ტირილის მიზეზი რომც იყოს, ვერ გაგვიცხავდით ასეთი საქციელის გამო. ანდა რა ამისი უფლება მქონდა, რადგან ამ ზომამდე მე თვითონ წაგათამამეთ. ჩემი ტირილისა და ვაების ნამდვილი მიზეზი ჩემივე უიღბლო ბედია, რომელმაც ასე გამათამამა და გამაუტიფარა. და მაშინ როცა რჯული და ადათი ქალიშვილს ხმის ამოდებასაც კი უკრძალავს, მე ღამე უცხო მამაკაცს ვხვდები და ვესაუბრები.

ქალი ცოტა ხანს დადუმდა, ფიქრებში წავიდა. შემდეგ უცბად თვალი თვალში გამიყარა და მკითხა:

— თქვენი აზრით, რა ხნის ვიქნები?

პასუხი უცბად ვერ გავეცი. მე იგი ასე ოცდაერთი-ოცდაორი წლისად მიმაჩნდა. მაგრამ რადგანაც ქალიშვილები და ქალები ასაკოვნებას თაკილობენ, ნამდვილის თქმას მოვერიდე და მისთვის რომ მესიამოვნებინა, საჭიროდ ვცანი ნაკლები მეთქვა:

— ჩემი ფიქრით, ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისა უნდა იყო.

მან ჩაიციხა და თქვა:

— თქვენ გინდათ ტყუილით მასიამოვნოთ. მე ოცდარვა წლის ქალი ვარ.

ეს რომ თქვა, სახიდან ჩემი ტყუილის შედეგად წვეული სიხარული გაუქრა და ისევ სევდამ მოიცვა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა:

— დიახ, ოცდარვა წლისა ვარ, მაგრამ გათხოვილი კიდევ არა ვარ. ასეთია ჩემი უიღბლო ბედი! რატომ დავრჩი ამდენ ხანს გაუთხოვარი, გრძელი ამბავია. მაგრამ თუ ამ ამბის მოსმენა არ შეგაწუხებთ, მზადა ვარ, მოგიყვეთ ჩემი თავგადასავალი.

— ძალიან მასიამოვნებ და დიდი გულისყურით მოგისმენ! — ვუპასუხე ამ ბეჩავ ქალიშვილს.

ბეჩავი ქალიშვილის სევდიანი თავგადასავალი

— დედას თვრამეტი წლისა დავურჩი, — დაიწყო თავის ამბის თხრობა ბეჩავმა ქალიშვილმა. — დედისერთა ვიყავი. დედაჩემი წერა-კითხვის მცოდნე იყო და თვითონ მასწავლა წერა-კითხვა. მანვე დამაწყებინა ჭრა-კერვა და ხელსაქმე. თექვსმეტი წელი რომ შემისრულდა, ჩემს გათხოვებაზე დაიწყო ფიქრი, უნდოდა ქორწილი გადაეხადა და თავისი ერთადერთი შვილის გაბედნიერების ოცნება აეხდინა.

თავისი სიცოცხლის ბოლო ორი წელი ვინმე ახალგაზრდა სასიძოს გამოჩენის იმედით იცხოვრა, მაგრამ სასიძო არ ჩანდა...

ქალიშვილმა თავისი ამბის თხრობა შეწყვიტა და მკითხა:

— იცით თუ არა, რაა ამის მიზეზი?

— არა, არ ვიცი. საიდან უნდა ვიცოდე, — ვუპასუხე მე.

— რა თქმა უნდა, არ იცით და არც შეგიძლიათ იცოდეთ! — დამიდასტურა მან და თვითონ ამიხსნა:

— ხოჯები, მათ შორის ხოჯა-უბანის გვარის ხოჯები, თავიანთ ქალიშვილებს სხვა გვარის ხალხს არ ატანენ. მაგრამ ჩვენს გვარში არავინ გამოჩნდა, რომ მე შევერთე. ჩემმა საყვარელმა დედამ თავის ეს ოცნება საფლავში ჩაიტანა. დედის სიკვდილიდან ერთი წლის თავზე მამაჩემმა მეორე ცოლი შეირთო. ჯერ დედის დაკარგვით რა დღეში ვიყავი ჩავარდნილი, მაგრამ თურმე სადა ხარ? რაც დამემართა, მერე დამემართა.

ქალს ტირილი აუვარდა და თხრობა შეწყვიტა. შემდეგ თავი ასწია, ერთი მწარედ ამოიოხრა და განაგრძო:

— მძიმე და გაუწესებელი იყო ჩემი მწუხარება. შინ ორი მოახლე გვყავ-

და, მაგრამ დედინაცვალი ყველა მძიმე და ჭუჭყიან საოჯახო საქმეს მე მაკეთებინებდა: სახლს ვგვიდი, ეზოს ვხვეტავდი, რომ არ ითქმის, იმ ადგილსაც კი მე ვწმენდდი (მას კი დღეში ორჯერ უნდა გაწმენდა). მოახლეები მართო სადილს აკეთებდნენ და პურს აცხობდნენ. სარეცხიც კი მე უნდა მერეცხა მათთან ერთად. ჭამით, ყველაზე ცუდი კერძი რაც გვექნებოდა, იმას მაჭმევდა. ხანდახან მოსამსახურეებს რომ არ მოეწონებოდათ საქმელი და დატოვებდნენ, იმით გავდიოდი იოლას. როგორც კი ცოტა ხნით საქმისგან მოცლილსა და წიგნით ხელში ჩამომჯდარს დამინახავდა, ერთ ამბავს ატეხდა: ქალის ხელში წიგნს რა უნდა, ნასწავლი ქალი ხელიდან წავაო! — გამომთათხავდა და მაშინვე რამე საქმეს გამომინახავდა. ღამღამობით ჩემი ყურით მესმოდა, როგორ ეანჩხლებოდა მამაჩემს: „თქვენი ქალიშვილი სულ უწმაწური ლექსების კითხვაშია. გაგიფუჭდებათ, თორემ აგერ ნახავთ! სანამ გვიან არ არის, წიგნების კითხვა დაუშალეთ, ანდა გაათხოვეთ, ბატონო, და როგორმე ჩქარა მომაშორეთ აქედან. გაიგეთ, აღარ შემიძლია მეტი მაგ გაოხრებულის ყურებაო!“ მამაჩემი თავს იმართლებდა და ბოდიშობდა, რა ვქნა, ვის გავატანო, ჩვენს გვარში სასიძო არავინ აღმოჩნდაო.

ქალმა ცოტა ხანს იყუჩა და მერე განაგრძო:

— მეც ეს მინდოდა. ოღონდ გამოჩენილიყო ვინმე, ოღონდ ვინმეს აქედან წავეყვანე, ოღონდაც ამ აშარი დედინაცვლის ბრჭყალებიდან დავეხსენი და არ დავეძებდი, თუნდაც სამოცდაათი წლის ბებერი ყოფილიყო. მაგრამ გაწყდეს ხოჯების გვარი და სინსილა, გაწყდა ჩემთვის ყველაფერი, არა და არ გამოინახა საქმრო ჩემთვის. არ ვიცი ღმერთმანი, ასეთი რა ცოდვა აქვს ამ გვარს, რომ სულ გოგოები უჩნდებათ და ბიჭები წამლადაც არ ურევიან! მათ ვაჟებს კი გარდა იმისა, რომ თავიანთი გვარიდან ირჩევენ საცოლეებს, სხვა არჩევანიც აქვთ, ხოჯათა მურიდებისა და მესავეების ოჯახებიდანაც მოჰყავთ ქალები. ასეთ პირობებში მე, ბედშავი და ამ უღაბნოში გადაკარგული, აბა ვინ უნდა შემიერთოს?

ასეთი ნაღვლიანი ამბის მოსმენის შემდეგ უფრო შემეცოდა ეს ბეჩავი ქალიშვილი და უფრო შემიყვარდა კიდევ, მისი როკაპი დედინაცვლის თავგასულობა კი მაცოფებდა. გადავწყვიტე, დავავლებ იმ ტარტაროზს ხელს და ჭაში გადავუძახებ-მეთქი თავდაყირა! გაცეცხლებულმა ვკითხე:

— კიდევ უდგას სული მაგ შენს სულწაწყმედილ დედინაცვალს?

— არა, — მიპასუხა და განაგრძო, — ოთხი წლის შემდეგ ავად გახდა და მოკვდა. ხუთი თვის თავზე მამაჩემმა მესამე ცოლი მოიყვანა. ის წინაზე უარესი გამოდგა. პირველ დედინაცვალზე უფრო ცუდად მაჭმევდა, უფრო მეტსა და უფრო მძიმე საქმეებს მაკეთებინებდა, უფრო მიშლიდა წიგნების კითხვას და უფრო მლანძღავდა. ყველა ამ სიკეთესთან ერთად მამაჩემსაც უჯავრდებოდა, ასე კარგად ნუ აცმევო! იმის ნებასაც არ მაძლევდა, რომ დედაჩემისეული კაბები ჩამეცვა, ცოლის დანატოვარი ცოლის კუთვნილებაა და არა ქალიშვილისაო, განაცხადა და დედაჩემის ტანსაცმელი ზანდუკში ჩაკეტა. მე სულ ძველსა და დაბებკილს მაცმევდა და მახურავდა (მიკვირს, სად შოულობდა ასე გაოხრებულ ტანსაცმელს). პირველი დედინაცვლის ხელში დედისეული ტანსაცმლის ხმარება მაინც არ მქონდა აკრძალული.

ქალმა გულისპირშეხსნილ კაბაზე ხელი მოიკიდა და მითხრა:

— აი, ეს კაბაც ცხონებული დედაჩემისაა...

— სადაა ახლა ის ტარტაროზი? — ვკითხე მოთმინებადაკარგულმა.

— არ ვიცი, სადაა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მან მამაჩემის სახლის გაცლას და ნაქურდალის თავისიანებთან ზიდვას მიჰყო ხელი. მამაჩემი მეტად ძუნწი კაცია და ამის მოთმენა ვერ შეძლო. გაეყარა და სახლიდან გააგდო. ასე რომ მე ვიქეცი ჩვენი სახლის დიასახლისად. საოჯახო საქმეებს ის ორი მოახლე აკეთებს. მე მოახლედ სითარა ავიყვანე (სითარას ხომ თქვენც იცნობთ). სითარა დედითა და მამით ობოლია. ჩვენსა რომ მოვიყვანე, ცხრა წლისა თუ იქნებოდა, დასავით მიყვარს, ისაა ჩემი მეშველიც და მესაიდუმლეც.

— მაშ, ახლა არა უნდა გიშავდეს! — ჩემი ეს ნათქვამი კითხვას უფრო ჰგავდა.

— თითქოს არა მიშავს რა, — მიპასუხა, შემდეგ ერთი ამოიოხრა და განაგრძო:

— ჩემი ყმაწვილობის წლები, როცა ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი ქალიშვილები სისხლის დუღილსა და მოწიფულობის ვნებათაღელვას ლამის სიგიჟემდე მიჰყავთ, მე დედინაცვლების ურჯულობაში გავატარე. მე მათ გული მომიკლეს და გამანახევრეს! როცა ოჯახის დიასახლისობა დამრჩა, გულში ფიქრი გამივლიდა, რომ გავთხოვდებოდე, ცუდი არ იქნება, მამაჩემი დაბერდა, ცას ვერავინ გამოეკერება, იმ ჩემი ოცნების ქმრისაგან თუ შვილები მეყოლა ან თუნდაც ერთი ბავშვი მაინც გამიჩნდა, მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ამ ქვეყანაზე მარტო არ დავრჩები-მეთქი. ამას ახალგაზრდული სურვილი და ვნება როდი მკარნახობდა (როგორც გითხარით, ჩემი ახალგაზრდული ოცნებანი დიდი ხნის მკვდარი იყო), არამედ მომავალზე ფიქრი. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, არც იმას დაგიღვევდით, ვინ უნდა ყოფილიყო ჩემი ქმარი, — ჩემთვის სულ ერთი იყო, ვინ წამიყვანდა, მაგრამ ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომ მივხვდი, ამ ოცნების ახდენა ჩემს უიღბლო ბედს არ ეწადა.

ქალმა შეისვენა, სული მოითქვა და შემდეგ განაგრძო:

— ეს ასე მოხდა: ბუხარაში ერთი ხოჯა-უბანის გვარის კაცი ცხოვრობს, ორმოცდაათი წლის ქვრივია. მან ჩემი შერთვა გადაწყვიტა და მამაჩემს შუამავალი გამოუგზავნა. მე კარს უკან ვიდექი და კარგად მესმოდა მამაჩემისა და იმ კაცის საუბარი. მამამ სასიძოს ასე შეუთვალა: მე მოვხუცდი, ქვეყანაზე ამ გოგოს მეტი არავინ მახადია. ცოლიც არა მყავს. ეს გოგო ჩემი ერთადერთი შვილია და მთელი ოჯახი მის კისერზეა. რა ვქნა, თუ ჩემს სახლში ზედსიძედ არ შემოვა, ისე გოგოს ვერავის გავატანო! მაშვალმა მამაჩემს ურჩია, დიასახლისად შენ თვითონ მოიყვანე ცოლიო. მამამ ქვრივი ქალების ავზნეობასა და ხელმრუდობაზე დაიჩივლა:

— პატარა, ქვეყნის უნახველი და უმანკო გოგო რომ შემხვდებოდეს ვინმე, ასე თორმეტი წლისა, შევირთავდი, მაგრამ ქალიშვილს მაინც ვერ გავუშვებდი სახლიდან. ჩემი პირობა ასეთია, სიძემ ჩემს სახლში უნდა იცხოვროს.

ქალიშვილმა განაგრძო:

— რად უნდა ამას ლაპარაკი, იმ სასიძოს ქალაქში სახლ-კარი აქვს, იშანია და გიჟების გამოლოცვით შემოსავალი აქვს, მოზრდილი შვილები ჰყავს. ზედსიძეობაზე როგორ დათანხმდებოდა და არც დათანხმდა. დავრწმუნდი, რომ ამ ქვეყნიდან მარტოსული და ტიალი უნდა წავსულიყავი, რად-

გან უბანის გვარში არც სხვა ვინმე იყო ისეთი, რომ ქალაქში ცხოვრებაზე უარი ეთქვა, ამ ქვიშიან უდაბნოში გადმოსახლებულიყო და ქვაწვია მამაჩემს ოჯახში ზედსიძედ შემოსვლოდა.

იმ უბედური ქალიშვილის ეს ბოლო სიტყვები, განსაკუთრებით კი ის აღგილი, ამ ქვეყნიდან მარტოსული და ტიალი უნდა წავიდეთ, მეტად ნაღვლიანი და გულისდამთუთქველი იყო. ამას რომ ამბობდა, შავი ღრუბლების ჯანლით დაფარულ მზეს ჰგავდა.

მაგრამ ცოტა ხანში ქალის სახეზე ბედნიერების ნათელმა გაიელვა და გაღიმებულმა დაიწყო:

— ჩემს სიცოცხლეში არათუ სიყვარულით, არამედ უბრალოდაც არ შემხედავს კაცისთვის თვალებში, — თქვა მან და განმიმარტა: — რადგან, აკი გითხარით, გული მკვდარი მქონდა. — ქალი გაჩუმდა, ნეტარების სხივებმა იმატა და იმატა მის სახეზე. მან განაგრძო:

— მაგრამ ამასობაში ერთი საქმე მოხდა, — მე საყვარელი ადამიანი ვიპოვე. ერთ დღეს გამოჩნდა კაცი, რომელიც ხოჯა-უბანის გულისგამწყალებელ ადათებს წინ აღუდგა. მე ხომ ამ ადათების მსხვერპლი ვიყავი და ეს გმირი შორიდან შევიყვარე. შევიყვარე და მისი ნახვის წადილმა ამიტანა. ეს სურვილი შევისრულე, კარის ღრიჭოებსა და კედლის ჭუჭრუტანებში იმდენი ვიჭყიტე, რომ მის სახეს თვალი დავადგი. შევხედე, ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი იყო. მისი სიყვარული უფრო მომერია. შევეცადე, ახლოს დამენახა იგი და მისი ხმა მომესმინა. საბედნიეროდ, ჩემი ეს სურვილი ერთხელ კი არა, რამდენიმეჯერ ავისრულე. რაც უფრო ხშირად ვხვდებოდი მას, მით უფრო მემატებოდა სიყვარული. ბოლოს და ბოლოს ეს სიყვარული იქამდე მივიდა და იმად იქცა, რასაც პოეტები მიჯნურობას უწოდებენ, რომლისგანაც ხელდებიან და მისი მსახვრალი ხელისგან გველის დაკბენილივით ზღუქუნებენ...

მზეთუნახავმა ცოტა ხნით იყუჩა. ეტყობოდა, პირველი სიყვარულის გახსენებამ გული აუჩქროლა. ხელისგულები იღლიაში შეიყო, გვერდებზე ჩამოიციურა, მერე მკერდზე ამოატარა და ერთმანეთს შეატყუპა. შემდეგ თითები თითებს გადააჭდო, მაგრად დაჭიმა და განაგრძო:

— ჩემი აზრით, სიყვარული ყველა ახალგაზრდის გულში ბუდობს, მაგრამ იგი გზაგადაკეტილი წყალივითაა დაგუბებული. ცნობილია, რომ ასეთი წყალი, გზას რომ იკვლევს, პირველ ხანებში სულ პაწია გასაძვრენს პოულობს, შემდეგ კი ნელ-ნელა ისე მოედინება, რომ თავსაც კი აიწყვეტს. შემდეგ ვერაფერი ვერ აკავებს და რაც წინ ეღობება, ყველაფერს გაიტანს. ჩემი სიყვარულიც ასეთი გამოდგა. იგი იმ ახალგაზრდაზე გულის მცირე აჩქროლებით დაიწყო, მაგრამ ცოტ-ცოტათი მისი ზედიზედ ნახვის შედეგად გადიდდა და მალე ისე აზვირთდა, რომ ტყუილია, აწი მას წინ ვერაფერი გადაუდგება!..

ქალმა იყუჩა და დიდხანს ხმა არ ამოუღია, მაგრამ თითქოს რაღაც შეკითხვა მოუცია და ახლა მის პასუხს ელოდებო, თვალი თვალში გამიყარა. მივუხვდი გულის წადილს და ვკითხე:

— ვინ იყო ის ბედნიერი?

თვალი არ მოუწყვეტია ჩემთვის, ოდნავ გაიღიმა და მიპასუხა:

— თუ ვერც ჩემი საქციელითა და ვერც ჩემი ნაამბობით ვერ ხვდებით,

ვინ იყო ის ახალგაზრდა, მაშინ მე გაგიმხელთ: ის თქვენ იყავით! თქვენ, რომელმაც ჩვენი ხოჯა-უბანელების ოინები „ქომების გაყრისა“ გამოააძკარავეთ, მამაჩემს არ შეეპუეთ, მასხრად აიგდეთ და თქვენს მახეში გააბით. თქვენმა ამ საქციელმა ცოტა იმედი ჩამისახა გულში, ხოჯა-უბანის — სხვა უხიაკ ადათ-წესებსაც შეიძლება მოევლოს-მეთქი. ამიტომ ჩამივარდით გულში და ამიტომ გადამეზარდა ეს გრძნობა სიყვარულში ნელ-ნელა. ეს თქვენ იყავით, ვინც მკვდარი ხელახლა გამაცოცხლეთ და ახალგაზრდული ვნებათაღელვა ისევ დამიბრუნეთ; ეს თქვენ იყავით, ვინც ოცდარვა წლის ქალი თვრამეტი წლის გოგონად მაქციეთ; ამდენი რა გითხრათ, ეს თქვენ იყავით, ვინც ძალა მომეცით ყოველგვარი დაბრკოლების გადასალახავად. ბოლოს, ეს თქვენა ხართ, ვინც ძარღვებში სისხლი ამიდულეთ და მაიძულეთ მორჩილად გხლებოდით და საკუთარი თავი თქვენთვის მომეძღვნა...

ამ დიდბუნებოვანი ქალის ასეთმა სასიყვარულო სიტყვებმა გული უფრო ამიძგერა. ისეთ დღეში ჩავვარდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა და რა მომემოქმედა. ერთ რამეს ვგრძნობდი — ეს ქალი გაგიჟებით მიყვარდა და მისი სიყვარულით ცეცხლმოკიდებული ბეწვივით ვიხრუკებოდი და ვიგრიხებოდი. ახლა ეს გოგო ჩემთვის ის როდი იყო, რომელთან შეხვედრის სურვილი მახელებდა და ერთი სული მქონდა, მისი ხვევნა-კოცნით დაკოდილ გულს როდის დავიამებ-მეთქი! გამოტეხილად გეტყვით, ის რომ პაემანზე მოვიდა, ცოტა მსუბუქი ყოფაქცევის ქალად მომეჩვენა და ვიფიქრე, ამაღამვე ხელში ჩავიგდებ-მეთქი. ახლა კი ეს ქალი მარტო გარეგნულად როდი გამოიყურებოდა მომხიბლავად, ბუნებაც შესაბამისი ჰქონდა. მოკლედ რომ მოგიჭრათ, თუ შეხვედრის პირველ ხანებში ჩემი მისადმი გრძნობა ცხოველური იყო, ახლა უკვე ფაქიზი სიყვარულის უმაღლეს საფეხურზე გახლდათ ასული.

ფიქრებში წასულმა ქალიშვილმა მე რომ ასე აღვზნებული დამინახა, განაგრძო:

— დიახ, თქვენდამი სიყვარულმა მაიძულა. მორჩილად გხლებოდით და ჩემი თავი თქვენთვის მომეძღვნა. მე ახლა თქვენი ვარ! — თქვა მან და დაუმატა: — მაგრამ ყველაფერი ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მზად ვიყო, ყველა თქვენი უხეში საქციელი გავამართლო და ყველა თქვენი ჟინი დავაკმაყოფილო. ეს მსუბუქი ყოფაქცევის ქალების საკადრისია. ჩემი სურვილია, თუ ღმერთი შეგვეწია, როგორც წესი და რიგია, ისე ვიქორწინო თქვენზე და თქვენი ცოლი გავხდე. თუ არა, მაშინაც, თუნდაც რომ მარტოობასა და შავნალველში სულის ამოხდომა მელოდეს, უსაქციელო ქალივით ვერ გავირჩები და უნამუსო საქმეს არ ჩავიდენ!

— მე არათუ თანახმა ვარ, არამედ მთელი სულითა და გულით იმას ვეცდები, რომ ჩვენი სიყვარული გარეგნულადაც დავაგვირგვინოთ, ქორწინების კავშირით შევიკრათ და ერთად ვიცხოვროთ, — ვუპასუხე მე და განვაგრძე: — მაგრამ შენს თავნება მამას როგორ მოვუაროთ და როგორ ავისრულოთ ეს წადილი?

— ერთი გზა არის, — მიპასუხა მან, — მაგრამ ამ გზაზე გასვლა და მამაჩემის დაყოლიება უკვე თქვენზეა დამოკიდებული.

— რა გზაა ეს? — ვკითხე აღელვებულმა, რადგან ვერავითარ გზას ვერ ვხედავდი, რომ ხოჯა-უბანელების სიძე გავმხდარიყავი. — მზადა ვარ ამ გზას დავადგე, თუნდაც რომ თავი წავაგო!

ქალმა გაიღიმა და მიბასუხა:

— თქვენ თუ დაგკარგეთ, ასეთი გზა რა ჭირად მინდა! თქვენს თავს ჩემს სურვილებს კი არა, ჩემს სულს, ჩემს გულს, მთელ ჩემს სიცოცხლეს ვანაცვალე. მე რომ ვფიქრობ, ის გზა ჩვეულებრივი გზაა, მაგრამ ამაზე ძნელად დაგვყვება მამაჩემი და თქვენი სიმარჯვეც სწორედ აქაა საჭირო.

ქალმა საქმის ვითარება ასე ამიხსნა:

— გამიგონია, რომ ქალაქელი ხოჯები, როცა ქალიშვილების საქმროებად თავიანთ გვარში ვერ შოულობდნენ სასიძოს, ქალიშვილს მოლებს ატანდნენ და ამით ხოჯის ღირსებების მქონედ შერაცხდნენ. უნდა იშოვოთ ვინმე ისეთი კაცი, ვინც მამაჩემთან მიგეგზავნებათ და ამ საქმეზე დაიყოლიებს, თქვენს მოლობას ანგარიშს გაუწევს და ქალს არ დაგიკავებთ.

გაჩუმდა და პასუხს დაელოდა. მე დავფიქრდი, — ამ ბებერ მგელთან ვინ მიმეგზავნებოდა და ამ ძნელ საქმეს მოაგვარებდა? ჩემი დაფიქრება ქალმა ისე მიიღო, თითქოს იმის ანგარიშში ვყოფილიყავი, ქორწინების შემდეგ როგორ უნდა გვეცხოვრა. ამიტომ ასეთი საფიქრალის მოშორებაც მომინდოდა:

— იქნებ თქვენ თანახმა არ იყოთ ჩვენთან ზედსიძედ შემოხვიდეთ და ამ უდაბნოში იცხოვროთ. თქვენ მამაჩემის პირობაზე ქორწინებამდე უარი არ თქვათ. ქორწინების შემდეგ კი შარიათის თანახმად ხელები გახსნილი გექნებათ: გნებავთ, აქ დარჩით, გნებავთ, სადმე მიწური იშოვეთ და იქ წამიყვანეთ. თქვენი არ ვიქნები?

მინდოდა პასუხი გამეცა და პირიც გავაღე სათქმელად, მაგრამ მან ხელით მანიშნა გავჩერებულიყავი და თითქოს ჩემი გაოჩნების ეშინიაო, განაგრძო:

— მე არ მიკვირს, რომ თქვენ მომავალი ცხოვრების სიძნელები გაფიქრებდეთ. მაგრამ აქედანვე მინდა დაგარწმუნოთ, თუ ქალაქში წამიყვანთ, ტვირთად არ დაგაწვებით. ეს ათი წელი, რაც მარტო ვარ, სულ წიგნების კითხვაში ვარ და ცოტა რაღაც ცოდნა შეძენილი მაქვს. გარდა ამისა, ჭრა-კერვა კარგად ვიცი. ქალაქში შემიძლია ბავშვებს ვასწავლო ან კერვას მოვკიდო ხელი და ლუკმაპური თვითონ ვიშოვო.

ძალიან მეეჭვებოდა დამეყოლიებინა მამამისი, მაგრამ ქალი მაინც დავარწმუნე, მამაშენს დავითანხმებ-მეთქი. ჯერ თვითონ ვეახლები და შევეცდები, ჯორიდან ჩამოვიყვანო, თუ არა და ვინმე კაცს მოვნახავ და მაშვლად მივუგზავნი-მეთქი.

როცა მთვარემ თავზე გადაგვიარა და დასავლეთით დაეშვა, აღმოსავლეთიდან მინარეთის მსგავსი ნათელი წამოიმართა, ცა მტრედისფრად ააფერადა. რიყრაყი დგებოდა. ქალი წამოდგა და მითხრა:

— თქვენ მე ხელახლა გამაცოცხლეთ და გულში ვნება გამიღვიძეთ. ისევ მომეცა იმედი, რომ ბედნიერი ცხოვრება შეუძლებელი არაა. აწი თქვენს ხელშია ჩემი ბედ-იღბლის გასაღები, ერთ კრებულში ამოკითხული რომ მაქვს, იმისი არ იყოს:

და არ ვიცი, ბედისწერის განაჩენით რა იქნება,
შენი მკლავი ჩემს ყელზე თუ ჩემი სისხლი შენს კისერზე.

მეც წამოვდექი. მის წინ ვიდექი ახლოს, სულ ახლოს, აკანკალებული მკლავები თეთრი ატლასის მსგავს სალუქ ყელზე შემოვხვიე. მან კი აცახცა-

ხებული ხელები მომხვია და ჩამიხუტა. ჩვენი ათრთოლებული ტუჩები ელექტროდენით დამუხტული მავთულებივით ისე მიეკვრნენ ურთიერთს, რომ მათი ერთმანეთისაგან ახლეჩა ახლა უკვე შეუძლებელიც იყო. თეთრად ინათა და დილის ნათელი ჩვენი ბედნიერების მსგავსად ლაღად დაგვეფრქვია, მაგრამ ამავე ნათელს ჩვენი ბედის გაშავებაც შეეძლო. ალბათ ეს თუ იგრძნო ქალმა.

— ვაიმე, ყელი არ გამომეჭრას! — წამოიძახა და ხელიდან გამიხსლტა. გონს რომ მოვეგე, ქანდაკებასავით გაშეშებული ვიდექი. ფართოდ ინათა, ას ნაბიჯზე კაცი კაცს იცნობდა. ქალის ეზოს ავერიდე, სამხრეთით გავუხვიე, ქვიშის ბორცვები გავიარე და მაზარაში დავბრუნდი, ჩემს სენაკში ჩავიკეტე და ტკბილი ოცნებების ბურანში გავეხვიე...

* * *

მეორე დღეს მუთავალი ქალაქიდან დაბრუნდა. ყველაზე უწინ მე ვეწვიე მას. მივეფოლორცე, მისი მშვიდობით დაბრუნება ჩემს ბედნიერებად ჩავთვალე, შემდეგ კი მეტს თავს აღარ შეგაწყენთ, ალბათ დაღლილი ბრძანდებით-მეთქი, მოვიმიხეზე და გამოვიძურწე. ამის შემდეგ ხელსაყრელ შემთხვევებს ხელიდან არ ვუშვებდი და მასთან დავდიოდი ხოლმე. გავუბამდი საუბარს აქეთურზე, იქეთურზე. მერე მისი ოჯახის ამბებშიც შევიყოლიებდი. საიდან არ ვუარე, მაგრამ იმ ბებერ მელას ვერ იქნა და ვერაფერი დავაცდენინე თავის ოჯახზე, შეკითხვებზე სულ მოკლედ და მოჭრით პასუხობდა, საშუალებას არ მაძლევდა, მეც ჩავრეულიყავი მისი ოჯახის საქმიანობაში და ჩემი „კეთილი რჩევები“ მიმეცა.

დრო გადიოდა, ჩემს საქმეს კი საშველი არ ადგებოდა, სითარა ხშირად მომინახულებდა, ჩემი „მზის“ მოკითხვა მოჰქონდა და ჩემი ამბავი მასთან მიჰქონდა. აშკარა იყო, ჩემი პირმთვარე ისე ღელავდა, ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა ღონეს ვხმარობდი და საქმეს რა პირი უჩანდა. არადა, ის ბებერი ქოფაკიც არსად წაშავდა, რომ მე თვითონ შევხვედროდი ჩემს გულის სატროფოს, დამეწყნარებინა და ტყუილით ან მართალით გამეხარებინა.

ბოლოს, როგორც იქნა, ისე მოხდა, რომ იმ ბებერმა მგელმა მისდაუნებურად თვითონ გამიმხილა თავისი ოჯახის ამბავი, თუმცა მელიასავით კი მოიქცა. ერთ დღეს ვიღაც სამოცი წლის ბაჰაუდინიანი ქვრივი ხოჯას მაჭანკალი ეწვია ქალის სათხოვრად. მან უარით გაისტუმრა მაჭანკალი. ამ შემთხვევით ვისარგებლე, მასთან შევიარე და, ვითომც უარისა არაფერი არ ვიცოდი, ქალის გაბედნიერება მივულოცე. მან მილოცვა არ მიიღო, უარი შევუთვალეო სასიძოს, მერე ადგა და იქვე ჩამოფქვა, რატომაც მოიქცა ასე:

— ჩემი გვარი წმინდა ოსმანამდე¹ მიდის. ოსმანი კი, მოგეხსენებათ, მოციქულის მესამე კაცი იყო, ხოლო ბაჰაუდინელმა ხოჯებმა კი ხოჯის ტიტული ბაჰაუდინ ნაყშბანდის² შემდეგ მოახერხეს. თვითონ ბაჰაუდინის წინაპრები ვინ იყვნენ, კაცმა არ უწყის. არ გაგიკვირდეთ, მათი გვარი ისლამამდელ ბუხარელ ცეცხლთაყვანისმცემლებს რომ უკავშირდებოდეს. ასეთი ხალხი ღირ-

¹ ოსმანი — არაბთა მესამე ხალიფა (644—655).

² ნაყშბანდი — ცნობილი მუსულმანი შეიხი (XIV ს.).

სებითა და დიდებით ჩვენთან აბა როგორ მოვა! აქედან გამომდინარე, მათ რა უფლება აქვთ თავი გაგვიტოლონ და სიძეობა გაგვიბედონ!

— რამდენადაც ვიცი, — ვუთხარი მე, — თქვენი ქალიშვილი უკვე ასაკშია შესული. შარიათის მიხედვით, ქალი სიმწიფეში რომ შევა, მამამისს უფლება აქვს. რაც შეიძლება ჩქარა გათხოვება მოსთხოვოს. თქვენც რაც უფრო ჩქარა გაათხოვებთ თქვენს გოგოს, მით უკეთესი მგონია.

— ჩვენ დიდი ნასწავლი ხალხი არა ვართ, მაგრამ ღვთით შარიათი ვიცით, — მიპასუხა მუთავალიმ. — შარიათი საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის იძლევა გამონაკლისის საშუალებას.

და აქ მუთავალიმ ამიხსნა, თუ რა „საჭიროება“ იყო ის, რომელიც აიძულებდა მას. რაც შეიძლება შორს გადაედო ქალიშვილის გათხოვება. შემდეგ თავისი ცოლების ამბავი მომიყვა და ბოლოს დაწვრილებით ჩამოყაჭა მესამე ცოლის ქურდობის ისტორია, რაც მე მისი ქალიშვილის მეშვეობით უკვე ვიცოდი.

— ჩემი სურვილია, ვინმე ჩვენი გვარის ღირსი კაცი თუ გამოჩნდა, მას შევრთო ჩემი გოგო და ის კაცი ზედსიძედ შემოვიყვანო. მაგრამ ასეთი კაცი ვერ გვიპოვია. რა ვქნა, ყველაფერი ბედია.

ცოტა ხანს შეისვენა და მერე განაგრძო:

— ჩემი გოგო თქვენთვის ძალიან ხანდაზმული გაუცვნიათ. სინამდვილეში კი სულ ახლახან გადადგა მეთვრამეტე წელში. მართალია, შარიათის მიხედვით ცხრა წლის გოგოს გათხოვებაც შეიძლება, ეს საუცხოო საშუალებაა ქალის უცხო თვალთაგან დასაცავად, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, თქვენი დის საქმე ასე წავიდა და რა ვქნათ, ვითმინოთ უნდა!..

— შარიათის მიხედვით მოლები ხოჯების სწორები არიან. თუ სასიძო ხოჯები არ ჩანან, რომელიმე წესიერი მოლა შეგიძლიათ გამონახოთ და ის ჩაისიძოთ.

ცოტა ხანს გავჩერდი და დავაკვირდი. მინდოდა გამეგო, როგორ იმოქმედა მასზე ამ ჩემმა ნათქვამმა. საუბედუროდ, მის სახეზე აშკარად გამოიკვეთა უკმაყოფილება. ამისდა მიუხედავად მე მაინც ჩემი განვაგრძე:

— ეს კია, მოლა მოლას გააჩნია, ყველა მოლას ვერ ენდობი. თქვენს ოჯახში ზედსიძედ შემოსვლას რომ ეღირსება, იმ მოლას თქვენს სამსახურში დღე და ღამე გაერთიანებული უნდა ჰქონდეს, თქვენი ყურმოჭრილი მონა უნდა იყოს, ყარიბი უნდა იყოს, ქალაქში სახლი არ უნდა ჰქონდეს, რათა აქ, თქვენთან დაფუძნება არ ითაკილოს. გარდა ამისა, ზედსიძემ ამ თქვენი ტაძრის ასავალ-დასავალი უნდა იცოდეს, მის სასწაულებსა და წყალობაში უნდა ერკვეოდეს და ამ სასწაულებსა და წყალობებზე ხალხისთვის თვალის ახვევაში შეგეშველოთ. თუ თქვენი მოწყალეობა ინებებს, ასეთი მოლის გამოძებნა ძნელი საქმე არ უნდა იყოს. არა მგონია, თქვენი მოწყალეობა ქონებიან სასიძოს ეძებდეს. ღმერთმა გიმრავლოთ და, ქონება რაც თქვენა გაქვთ, საკმარისია. თუ სასიძოს ის თვისებები ექნა, ზემოთ რომ მოგახსენეთ, თქვენს სიმდიდრეს ღარიბი კაციც კარგად მოუვლის და ერთი-ორად გაზრდის.

ამ სიტყვებით, რა დიდი მიხვედრა ამას უნდა, ზედსიძედ ჩემს თავს ვთავაზობდი მუთავალის, რადგან ყველა ამ პირობას მე ვაკმაყოფილებდი: მე ყარიბი ვიყავი (ქულაბიდან გადმოხვეწილი), ბუხარაში სახლი არ მქონდა, „ქოშების გაყრის“ საქმეში, რომელიც ამ მაზარის ერთ-ერთი სასწაული იყო,

მშვენივრად ვერკვეოდი, ყველა ამ სიკეთესთან ერთად ლატაკიც ვახლდით. ჯიბიდან გავარდნილი ჩემი მოპირდაპირე მაშინვე მიმიხვდა ონებს, აქამდე უკმაყოფილო და გაგულისებული რომ გამოიყურებოდა, გაიბადრა, სახეზე სიხარულის ნიღაბი ჩამოიცვა. მაგრამ მეც რა ჩიტი ვიყავი, მისი ნაძალადევი ღიმილის ქვეშ მტკიცედ დამკვიდრებული გაგულისება რომ არ შემემჩნია! ამ ცხვრის ტყავში გახვეულმა მგელმა როგორც კი შემატყო, მისთვის სანუკვარი სიძეობა მინდოდა, ვითომ ბაიბურში არ არისო, იმავე ყასიდი სიხარულით მიპასუხა:

— ნეტავი, ღმერთი ინებებდეს და ვინმე ამისთანა მოლა გამოჩნდებოდეს! დღესვე გავატანდი ჩემს ქალს და მეფურ ქორწილსაც გადავუხდიდი, სიძეს კი შვილად მივიღებდი. მაგრამ რა გინდათ რა, აქ მოლებს საღ შეხვედებით. აი, თქვენ რომ მოისხამდეთ მადლს და ამ საქმეში დაგვეხმარებოდეთ, თქვენს ვალს სიკვდილამდე ვერ გადავიხდიდი. ჰა, რა იქნებოდა, ვთქვათ, დღესვე წასულიყავით ქალაქში, იქ ჩვენ რომ შეგვეფერება, ისეთი მოლა გამოგენახათ და მასაც ვინმე წარჩინებული პირი გამოეგზავნა შუამავლად ჩემი გოგოს სა-თხოვნელად!

ამ ბებერი ქოფაკის ეს ნათქვამი თავიდან ბოლომდე ხრიკებით იყო სავსე. მისი ნამდვილი მიზანი ჩემთვის ცივი წყლის გადასხმა და რაც შეიძლებოდა ჩქარა ჩემი აქედან გაგდება იყო, რადგან ცოლის მოსაყვანად გამზადებული ახალგაზრდა კაცის ახლოს ყოფნა გათხოვებას დანატრებულ და მომწიფებულ ქალთან სასურველად არ მიაჩნდა. ვინმე წარჩინებული პირი გამომიგზავნოს მაშველადო, რომ მეუბნებოდა, ესეც მის წისქვილზე ასხამდა წყალს, — ჩემისთანა ღარიბსა და ყარიბ მოწაფეს შუამავლად რომელი წარჩინებული და-უდგებოდა!

ცუდ დღეში ჩავვარდი. ამ კაცის სასიძოს, ე. ი. ჩემი შეყვარებულის საქმროს მოსაძებნად რაც შეიძლებოდა ჩქარა უნდა წავსულიყავი აქედან, ისე, რომ ჩემი მცდელობის არასასიამოვნო შედეგები ვერ უნდა მეცნობებინა შეყვარებულისთვის. თუ არადა, ეს ბებერი ძალღიჯ შინიდან ფეხს არა დგამდა, შიშობდა, დრო არ მეშოვა და მის ქალიშვილს არ შევხვედროდი.

ბოლოს, როგორც იქნა, მუთავალი სახლიდან გავიდა, რომელიღაც ჯანდარელმა მურიდმა დაპატიჟა და იქ წაშავდა. სითარას მოლოდინში სენაკიდან არ გამოვდიოდით. სითარამაც დიდხანს არ მალოდინა, მოვიდა და მითხრა:

— ჩემი ქალბატონი მოკითხვას გითვლით. მუთავალი წვეულებაზეა წასული და საღამომდე არ დაბრუნდება. ქალბატონმა შემოგითვალათ, როგორც კი შელამდება, ეზოს გალავნის უკანა კარებთან მოდიეთ. თვითონ იქ დაგელოდებათ.

სითარამ გული სიხარულით ამივსო და წავიდა, მაგრამ მე საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი და ვღელავდი, არ ვიცოდი, რა მომემოქმედა. ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ ამ ბნელ ღამეს რომ ერთმანეთს უნდა შევხვედროდით, გულს სასიამოვნოდ მიჩქროლებდა, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა უნდა ყოფილიყო. ამის წარმოდგენა და გახსენება კი მზარავდა და უიმედობის ჯოჯოხეთში მაგდებდა. გარდა ამისა, ტყუილები უნდა შემეთხზა და განსაცდელის მოლოდინში საგულედან გულამოვარდნილი ქალი ამ ტყუილებით უნდა დამემშვიდებინა, მაშინ როდესაც სინამდვილეში მამამისი არათუ სასიძოდ, სათოფედაც კი არ გამიკარებდა. ყველაზე საშიში ეს

იყო: ერთ მშვენიერ დღეს ქალი სიმართლეს რომ გაიგებდა, მისი ჯანმრთელობა და თვით სიცოცხლეც კი, თქმა რად უნდა, საფრთხეში ჩავარდებოდა. ყველაფერ ამას რომ ვიხსენებდი, ვშიშობდი, ვაითუ თავი ვერ შემეკავებინა და მისთვის სიმართლე მეტქვა! ამის გამო მინდოდა ჩქარა არ დაღამებულიყო ის დღე. მაგრამ, საუბედუროდ, ჩემი და იმ ქალიშვილის ბედით, ბნელი ღამე ჩქარა ჩამოწვა და მეც რა მექნა, წელმოწყვეტილივით წავლასლასდი დანიშნული ადგილისკენ.

ის იყო, ეზოს კარებთან მივედი, რომ კარიც გაიღო და იქიდან ერთი ფერია გამოვიდა, იმ ფერიათა მსგავსი, რომელთა შესახებ ბევრი წამიკითხავს ზღაპრების წიგნში. ეს სულის ჩემის შვება თავად იყო ჩემი სული, რომელსაც ფერიის სახე მიეღო და ისე გამომცხადებოდა: ტანთ შავი ლივლივა ატლასის კაბა ეცვა, ღამის სიბნელეს რომ წყვილივით უერთდებოდა, თავზე არც თავსაბურავი ჰქონდა მოგდებული და არც ქუდი ეხურა, შუშკივით შავი თმა დაეშალა, მხრებზე გადმოეფინა და ქამრამდე ასე ეყარა, მათი ბოლო ქალს მუხლებამდე სწვდებოდა და იქ კავივით იგრინებოდა. კაცის ჩიტივით გული ამას რომ დაინახავდა, ისღა დარჩენოდა, მართლაც ამ კულულების კაკანათში გაბმულიყო. დახვეული თმის ორი კულული მზეთუნახავ სახეზე მარჯვნივ და მარცხნივ ჰქონდა მოვლებული და მართლაც რომ ფერიის ჯადოქრულ სილამაზეს აძლევდა ამ ქალს. ეტყობოდა, თავი დაებანა, თმა დაევარცხნა, მაგრამ დაწნა ვერ მოესწრო და ჩემკენ გამოქცეულიყო. ანდა ვინ იცის, იქნებ საგანგებოდ ასე იყო წამოსული, რათა განშორების წინ ასე მჩვენებოდა.

იგი შველივით გამოვიდა კარიდან და სანამ ხელებზე ვაკოცებდი, გალავნისაკენ წამიყვანა. დახატული სურათი რომ გინახავთ, ისე უძრავად ვიდექით ერთმანეთის პირისპირ. აღელვებული იყო და მილოცავდა:

— მოვისმინე, კარების უკან ვიდექი და მოვისმინე! ო, რა კარგად ელაპარაკეთ! მე მგონია, მამაჩემი გულისნადებს მიგიხვდათ და ჩუმად კიდევაც თანახმაა, მაგრამ რცხვენია, რომ გამოგიტყდეთ ამაში, თავს ისე გაჩვენებთ, თითქოს ვერაფერს ხვდებოდეს და ამიტომ ჩაეჭიდა მაშვალის გამოგზავნას. მოხუცს ვერაფერს გამოაპარებ, მიწაში რა დევს, ისიც იცის და კაცის გულისნადებს რას არ მიხვდება. დავანებოთ ამას თავი. როდის მიდიხართ ახლა ქალაქში და როდის გამოუგზავნით მაშვალს მამაჩემს? რას უცდით ამდენი ხანი, აქამდე რატომ არ წახვედით? მამაჩემს რომ ელაპარაკეთ, იმ დღესვე რომ წასულიყავით, ეს საქმე ახლა რამდენი ხნის გადაწყვეტილი იქნებოდა! კეთილი საქმის გადადება როგორ იქნება!

მისი სიტყვებიდან ნათელი იყო, რომ რაც მამამისმა მითხრა, მას მართალი ეგონა. ამიტომ მოთმინება არ ჰყოფნიდა და უნდოდა. რაც შეიძლება ჩქარა გავქცეულიყავი ქალაქში, შუამავალი გამომეგზავნა და საქმე ამით დამემთავრებინა. მისი აზრით, ქორწინებამდე ახლა მხოლოდ ისღა იყო დარჩენილი — შუამავალი მომეგზავნა მამამისთან. შუამავალი მოვიდოდა, მამამისი დათანხმდებოდა და ჩვენც ვიქორწინებდით!

მის შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ყველაფრის გამხელა აბა როგორ შემეძლო! ამიტომ მხოლოდ იმაზე ვუპასუხე, თუ რატომ მაშინვე არ გავიქეცი ქალაქში:

— განა მე კი არ მინდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გავქცეულიყავი ქალაქში და მაშვალი გამომეგზავნა, მაგრამ შენ რომ არ მენახე, ისე როგორ

წავიდოდნენ! ხომ უნდა დაგათბობდნენ? „ნახვამდის“ მაინც არ მე-
თქვა?

— კეთილი, ბატონო, ახლა ხომ მნახეთ, ხომ მომეთათბირეთ? ახლა
მაინც რას აყოვნებთ, მითხარით „ნახვამდის“ და წადით! როდის მიდისხართ? —
ჩამომართვა სიტყვა და თავისი პირველი და თავიდათავი შეკითხვა განმი-
მეორა.

— როგორც კი დაბრუნდება, ნებართვას ვითხოვ და წავალ.

— მამა საცაა დაბრუნდება. სითარა გარეთ მიყენია. როგორც კი მამა
ჭიშკარში შემოვა, მაშინვე ჩაახველებს. მე უნდა გავიქცე და სანამ იგი ეზოში
შემოვიდოდეს, უნდა დავასწრო და კარი შიგნიდან ჩავკეტო, — ეს თქვა და
განაგრძო: — ახლა ერთი კარგი ამბავი უნდა გახაროთ: მამაჩემმა თქვენთვის
ერთი ხელი კარგი ხალათი შეაკერინა და კარგი ქუდი და ჩალმაც აყიდვინა.
ეტყობა, მოხუცი აქედან იჭერს თადარიგს, რომ სასიძო საკადრისად იყოს
ჩაცმული.

როგორც ჩანდა ჩემს გულუბრყვილო სატრფოს ეგონა, რომ ეს ჩასაც-
მელი და დასახურავი მამამისმა ჩემთვის განიზრახა. ეს ამბავი მას კეთილის-
მაუწყებელ საქმედ ვნიშნა და სიხარულით ცას წეულმა ასე ამიტომ მახარა.
რა იცოდა მან, რომ ეს საჩუქარი კი არა, მამამისის საიდუმლოების დაფარვის
გასამრჯელო იყო, — ხოჯა-უბანის სასწაულის, „ქოშების გაყრის“ ხვაშიადი
რომ არ გამეცა, ამის საზღაური გახლდათ, რომელსაც მამამისი ჯერ კიდევ
როდის დამპირდა. მაგრამ ამას ხომ ვერ ვეტყობდი იმ საცოდავს, ეს რომ მე-
თქვა, ხომ წაუვიდოდა გული! ამიტომ ვითვალთმაქცე: ვითომ პირველად გა-
ვიგონე ეს ამბავი, ვითომ სასიძოს საჩუქრად მივიღე ეს გასამრჯელო და დიდი
მადლობა გადავუხადე მას, მუთავალის ქალიშვილს, მამამისის მიერ ჩემი ესო-
დენ გაბედნიერებისათვის. მისი შეკითხვის პასუხად კი ვუთხარი:

— თუ მამაშენი ამაღამ დაბრუნდა, ხვალ დილასვე მივხედავ ჩვენს საქ-
მეს, — ვუთხარი ეს ცრემლმორეულმა. ჩემი ხელები მას ეჭირა. მინდოდა,
სანამ არ აყლრილებულიყავ და ჩვენი უბედურების ამბავი არ გამომემჟღავ-
ნებინა, გავცლოდი. ამიტომ ხელების გათავისუფლება მოვიწოდებდი. მაგრამ
მან არ გამიშვა, ხელები ამიწია და უფრო მომიახლოვდა. ბუნებრივია, მეც
გავიწიე მისკენ და მივეკარი. ორივემ ხელები გავშალეთ და ერთმანეთს ჩა-
ვეხუტეთ, მაგრამ ცრემლები მაინც ღვარივით მომდიოდა, სახეს მირეცხავდა
და წვერებს მილტობდა. ჩემს ზღუქუნზე ქალმა ყურები ცქვიტა, გაკვირდა
და მითხრა:

— რატომ ტირით? ტირილის დრო წავიდა. ახლა სიცილის და სიხარუ-
ლის დრო გვიდგას, ახლა ტირილი იქნება?

— როგორ არ უნდა ვიტყვო! — ვუპასუხე მე. — ისე მიდის ჩვენი ცხოვ-
რება, რომ სულ შორსა ვარ შენგან. აქამდე თუ ვერ გხვდებოდნენ, შენთან
ახლოს მაინც ვიყავი, ახლა კი უნდა ავდგე და შენგან ხუთ ფარსახზე უნდა
გადავიკარგო!

რასაკვირველია, ეს ტირილის ნამდვილი მიზეზის დასაფარავად იყო
თქმული. ნამდვილი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ვიცოდი, სამუდამოდ
უნდა დავშორებოდი მას. მაგრამ ამაზე მეტად ქალის მომავალი მაშფოთებ-
და. — მე ხომ ვიცოდი, რომ მამამისისგან უარის გაგონება და მისი სიკვდილი
ერთი იქნებოდა.

ჩემი გულის ნუგეში ცრემლით სველ პირისახეს თმით მიმწრალებდა. უზომოდ ბედნიერი სიცილით შემომცინოდა. მაგრამ როდესაც ამითაც ვერ შემაკავებინა ტირილი, გამიწყრა:

— გეყოფათ მართლა! რა მოგდით, პატარა ბავშვი ხომ არა ხართ? თქვენგან შორს ყოფნით მე უნდა ვტიროდე. მაგრამ მე მომავლის იმედი მაზარებს და ვიცი. არ მეგონა, თუ ასეთი მოუთმენელი იყავით. სწორია, განშორება განსაცდელია, მაგრამ ეს განსაცდელი თქვენზე მეტად მე მაწუხებს. ამისდა მიუხედავად ამ მძიმე ტვირთს ბედნიერი მომავლის იმედით, სიხარულით ვუძლებ. მამაკაცი არა ხართ? რა მოგივიდათ, ასეთ განსაცდელს უფრო ვაყვაცურად უნდა იტანდეთ!

რა ნახა, ამ სიტყვებით ტირილი ვერ შემაწყვეტინა, ახლა სხვა ღონე იხმარა:

— თუ არ დაწყნარდებით, მეც ტირილს დავიწყებ. აი, შემომხედეთ, უკვე მეტირება. ვნახო ერთი, როგორ იმოქმედებს თქვენზე ჩემი ტირილი! — მითხრა ეს და უფრო მაგრად ჩამეხუტა. სწორედ ამ ღროს სითარას ჩახველება მოგვესმა. ქალმა საჩქაროდ მაკოცა ერთი-ორჯერ და წამჩურჩულა:

— კარგი. ნახვამდის! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! არ დამივიწყოთ! ჩქარა გამოგზავნეთ მაშვალი. თქვენც არ დააყოვნოთ, მაშვალი რომ მოვა, მერე თქვენც ჩამოდით! — ეს რომ მითხრა, ეზოში შევიდა და კარები ჩაიკეტა. მე კედელს მივეყრდენი და ასე გაშეშებული დავრჩი. ჩემთვის ყველაფერი დამთავრებული იყო. კედელ-კედელ გამოვეყევი გზას, მაზარში დავბრუნდი, სენაკში შევედი და მთელი ღამე უხმო, ჩუმ ტირილში გავატარე. ინათა თუ არა, ქალაქში გამოვწიე.

გეგავი ქალიშვილის აღსასრული

ქალაქში რომ ჩამოვედი, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ვიცოდი, ის ბებერი ქოფაკი სიძედ არ მიკადრებდა, შუამავლის ძებნას მაინც შევუდექი. შუამავალი რომ არ გამეგზავნა, ქალი იფიქრებდა, ჩემი შერთვა არ ნდომებია, მომატყუა და გაიქცაო. ამას კი შეიძლებოდა გადაჰყოლოდა. იგი ისე მოკვდებოდა, რომ მატყუარა ვეგონებოდი და სიმართლეს ვერ გაიგებდა. ამიტომ რაც იქნება, იქნება-მეთქი, ვთქვი და შუამავლის გამოძებნა აუცილებელ საქმედ მივიჩნიე.

მაშვალიც ვიშოვე, შეიხ-რანგრიზის ხოჯათა გვარის ჩამომავალი. სასიძო თავის გვარში მასაც ვერ ეშოვა და თავისი ორი დაი მოლებზე გაეთხოვებინა. ერთ-ერთი ამ მოლათავანი ჩემი მასწავლებელი იყო, მეორე კი — ჩემივე რეპეტიტორი. მე ჩემს მასწავლებელთან ხშირი მისვლა-მოსვლა მქონდა — ხან გაკვეთილებისთვის დავდიოდი, ხან კიდევ, რა ვიცი, რა საქმეები მომეცემოდა. მათი საშუალებით იმ ხოჯასაც გავეცანი. ჩემი მასწავლებლების რჩევითა და დახმარებით აი, ეს „წარჩინებული პირი“, რომელიც სავესებით აკმაყოფილებდა მუთავალის ჭირვეულ პატივმოყვარეობას, შუამავლად გავუგზავნე ჩემს სასიამაოროს.

შუამავალი მეორე დღესვე დაბრუნდა ხოჯა-უბანის მაზარიდან. გალახულივით გამოიყურებოდა. ზედვე ეტყობოდა, რომ გაძვერილი გამოეშვა მუ-

თავალის. დაჯდა და მომიყვა. თურმე მუთავალისთან რომ მივიდა, მაშინვე ჯიქურ ჩემზე კი არ გაუმართა მოლაპარაკება, არამედ იგავად თავისი ოჯახის მაგალითი მოუტანა: მეც ჩემი ორი დაი, ორივე ხოჯას სისხლი და ხორცი, უბრალო მოლებს მივათხოვეო. შემდეგ კი საქმეზე გადასულიყო. სამაგიეროდ მუთავალიმ არც აცივა, არც აცხელა და თურმე ჯიქურ ასეთი პასუხით გამოისტუმრა ჩემი ხოჯა-მაჭანკალი:

— მე ყეყეჩი როდი ვარ, მაგრამ თქვენ რომ ბრიყვი გამოდექით და ამ საქმეზე გაისარჯეთ, ეს კი მწყინს, — და შემდეგ შუაკაცს ასეთი განმარტება მისცა: — მე ისეთი სიძე მინდა, რომ მისი ქორწილი ერთი კვირა გაგრძელდეს, ქვეყანა პირდაღებული შემომცქეროდეს — შეხე, ეს რა ბედი ეწია ამ კაცს, მის დიდებას კიდევ რა აღზევება უნდოდაო!

ასეთი პასუხი არ გამკვირვებია. მე ხომ ვიცოდი, მუთავალი სასიძოდ არ მინდომებდა, მაგრამ რომ წარმოვიდგენდი, ამ უარით რა განსაცდელი მოელოდა ჩემს სატრფოს, გულღვიძლში ცეცხლი მიბრუნავდა. მე ხომ ვიცოდი, როცა ჩემი მაშვალი მამამისს ევაჭრებოდა, იგი კარებს უკან იყო აკრული და ამ საბედისწერო საუბარს ყურს უგდებდა. იმ ტკბილი იმედების ნაცვლად ეს სასიკვდილო უიმედობა უნდა დატეხოდა თავზე. ამის გამო იყო, შუაკაცის პასუხი რომ მოვისმინე, ძლივს წავლასლასდი ბინისკენ, ისე ცუდად შევიქენი. შინ რომ მივედი, ლოგინად ჩავვარდი.

ხუთი თვე ვიწექი. შეექვსე თვეზე, როგორც იქნა მოვიხედე და გარეთ გამოვფათურდი. პირველი, რაც მოვიმოქმედე, ის იყო, რომ ხოჯა-უბანის მაზარიდან ჩამოსულ მლოცველებში გავიკითხ-გამოვიკითხე იმ უბედური ქალიშვილის ამბავი. როგორც მითხრეს, გასული ზაფხულის ბოლოს ის საცოდავი გოგო თურმე რატომღაც უცბად გადასულიყო ჭკუიდან და იმავე ღამეს თავი ჩამოეხრჩო. მუთავალის, რომელიც ვინმე ახალმოწიფული გოგოს შერთვაზე ოცნებობდა, ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ თორმეტი წლის სითარაზე დაედგა თვალი და შვილის ორმოცის შემდეგ ეს მოახლე გოგო შეერთო ცოლად. გოგო ქორწინების ღამეს შერყეულიყო, „ქალბატონო, მიხსენითო!“ — ყვიროდა თურმე საცოდავი და ქორწინების მესამე დღეს, საღაც ქალბატონს, მასაც იმავე ადგილას ჩამოეხრჩო თავი.

ეს ამბავი რომ გავიგე, ძლივს შევალწიე სენაკში, ისე ცუდად შევიქენი. ვიწექი და ვგოდებდი. მართალია, მას შემდეგ, რაც მუთავალიმ სიძედ დამიწუნა, სულ მეშინოდა, მისმა ქალმა რამე არ აუტეხოს-მეთქი თავს, მაგრამ გულში საღაც იმედი მიფაჩუნებდა, იქნება რამეს გადააყოლოს გული და ეს საშინელი ამბავი ისე მძიმედ არ განიცადოს, როგორც ახლა მე აქედან მეჩვენება და იქნება ამასაც ისე შეურიგდეს, როგორც მამამისის მიერ სხვა სიძეების დაწუნებას შეურიგდა-მეთქი. და თუნდაც რომ იმოქმედოს ძალიან, შეიძლება ერთხელ კიდევ მოუკლას გული და ამით ჩათავდეს-მეთქი ყველაფერი.

მაგრამ ასე არ მოხდა. შემადრწუნებელი ამბავი გავიგე. ეს ამბავი ვეება ლოდივით მაწვა გულზე.

ამჯერად ავად არ გავმხდარვარ, როგორც მაშინ, როცა მაშვალი უარით დამიბრუნდა. ავად არ გავმხდარვარ და ლოგინად არ ჩავვარდნილვარ, მაგრამ მინდოდა, ტანზე სამოსი შემომეხია და ასე ფეხტიტველსა და თავშიშველს ქუჩაში მაჯნუნევით მერბინა და მეწანწალა. ეს კი სიშლეგის ნიშანი იყო.

მაშინ გულში ვთქვი: მაჯნუნივით ხელად რბენისთვის ბუხარის ვიწრო ქუჩები შეუფერებელია, მთა-ბარის აკლებისა და ღრიალისთვის მინდორ-ველია ზედგამოჭრილი-მეთქი, და იქით გავწიე, ველად გავიჭერი და ერთი წელი ვეხეტე. ერთი წლის შემდეგ, როგორც იქნა, გონს მოვეგე და ბუხარისაკენ გამოვწიე. გამოვწიე და, როგორც ხედავთ, უკვე თქვენთან ვარ“.

მოლა-ბურჰანი თავისი თავგადასავლის თხრობას რომ მორჩა, დაამატა:

— ახლაც ცალი ყური ხოჯა-უბანის უდაბნოსკენა მაქვს. როგორც კი იქიდან ჩამოსულს ვინმეს დავინახავ, იქაურ ამბავს ვკითხავ ხოლმე. როგორც აქ ერთი კაცისგან გავიგე, იმ ამბებიდან ერთი წლის შემდეგ მუთავალის რაბათს ქურდები დასცემიან, რაც კი ძვირფასეულობა და ფული ჰქონდა, წაუღიან. მუთავალი ამ დიდი ზარალის დარდს გადაჰყოლია. მისი ქონება კი, ოხრად დარჩენილი, იმ თუმანის ყადს ხაზინისთვის გადაუცია. ახლა იქ ვილაც უბანის გვარის სხვა ხოჯა დაუნიშნავთ მუთავალიდ და ის ასრულებს თურმე „ქოშების გაყრის“ საიდუმლო საქმიანობას, როგორც წმინდა ხოჯა-უბანის „სასწაულს“.

□

აზიზ ნესინი

სეზიმი და საიტი



იუმორისტული რომანი

თურქულიდან თარგმნა გურამ ბათიაშვილმა

1973 წლის ოქტომბერში, თბილისში, ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, გალაკტიონ ტაბიძის ძეგლს საძირკველი რომ ჩავუყარეთ, იმ მიტინგს აზიზ ნესინიც ესწრებოდა — სახელგანთქმული თურქი მწერალი. მას ძალიან უყვარს საქართველო და იქაც, იმ დღეს გულითადად მიესალმებოდა ყველას, ვისაც კი წარუდგენდნენ და გააცნობდნენ.

იმ დღეს აზიზ ნესინი მიტინგზე სიტყვით გამოვიდა. მისი სიტყვიდან ორი ფრაზა დამამახსოვრდა.

პირველი: „გალაკტიონ ტაბიძეს თურქეთში არ იცნობენ, მაგრამ გალაკტიონი ამით არაფერს ჰკარგავს; ჰკარგავს მხოლოდ თურქეთი, რომელიც არ იცნობს ესოდენ დიდ პოეტს“.

მეორე ასეთი იყო:

„საქართველოში ხალხი ჭეშმარიტ პოეტს სიკვდილის ნებას არ აძლევს, უკვე ცხოვრებიდან წასულსაც ცოცხლად მიიჩნევს და, როგორც ცოცხალს, ისე ელაპარაკება. ასეთი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე გალაკტიონის იუბილე“.

აზიზ ნესინი ფსევდონიმია (სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ქვირფასო, ვინა ხარ შენ?“). მისი ნამდვილი სახელი და გვარია მაჰმუდ ნუსრეთი (დაიბადა 1915 წელს, სტამბოლში); მისი ნოველები და რომანები, რომლებიც თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე, გამსჭვალულია იუმორისა და სატირის მძაფრი გრძნობით.

აზიზ ნესინმა ორჯერ (1956 და 1957 წლებში) მიიღო პირველი პრემია „ოქროს პალმა“ ნოველისტთა საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც ტრადიციულად იტალიაში ეწყობა.

აზიზ ნესინზე ბევრი რამ დაწერილა. აი როგორ ახასიათებენ მას თურქული ჟურნალის „დოსთის“ ფურცლებზე:

„თურქული ლიტერატურის ისტორიაში აზიზ ნესინი შევა როგორც უდიდესი იუმორისტი. იგი ზოგა ნასრედინის გვერდით დადგება“.

აზიზ ნესინის ახალი რომანი, რომლის ბეჭდვას ამ ნომრიდან იწყებს „საუს-ჯე“, თარგმნილია გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ და რუსულ ენებზე, რუსულ ენაზე იგი გამოიცა „მეოცე საუკუნის უცხოური რომანის სერიით.“ რომანი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

გიორგი ნატროშვილი

ფარფერიკთა ღიღად კატივსაცემი ოჯახი

მოხვედრილხართ როდისმე სტამბოლს წარჩინებულ საზოგადოებაში, შეგიდგამთ ფეხი იმათ სალონებში? თუ ერთხელ მაინც ყოფილხართ ამ სალონებში, არ შეიძლება არ იცოდეთ, ვინ არის სევიმი, კორიკანებმა ბევრჯერ რომ გაკენწლეს. წარჩინებულ საზოგადოებას რომ

თავი დავანებოთ, თუ სპორტის ამბებისათვის მაინც მოგიკრავთ ყური, მაშინ სევიმის კარგად გეცნობებათ და ფერფერიკთა მთელი ოჯახიც. ეს სწორედ ის ყმაწვილი ქალია, რომელმაც შარშან მეიალქნეთა შეჯიბრების წინ საჯაროდ განაცხადა: „შეჯიბრებაში გამარჯვებულს მოულოდნელ საჩუქარს ვუმზადებო“. მეორე დღეს ამ საჩუქრის თაობაზე გაზეთები არა მარტო სპორტულ ქრონიკაში, არამედ იმ განყოფილებაშიც კი წერდნენ, წარჩინებული საზოგადოების ყოფას რომ აშუქებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება ყარაჩმა სუათმა მოიპოვა.

— აბა, ჰე, — უთხრა სუათმა სევიმს, — რა საჩუქარს მიმზადებდი, მიჩვენე!

ცხადია, ეს ამბავი პლაჟზე მოხდა, სადაც მუდამ უამრავი ხალხი იყრის ხოლმე თავს. ყველას ეგონა, სევიმის საჩუქარი ის იქნება, რომ ეს ღმერთივით გოგო გამარჯვებულ სუათს აკოცებსო. მათ უბადრუკ ფანტაზიას ამაზე უკეთესი ვერ მოეგონებინა. სევიმს კი თურმე სულ სხვა რამ ედო გულში — მან თამამად გადაიხსნა კაბა, ხელის ერთი მოქნევით, თითქოს პარაშუტის რგოლი მოქაჩაო, თავისი წითელი ლიფი შეიხსნა და როგორც რწმუნების სიგელი, ისე ჩააბარა სუათს. ყარაჩი სუათი ერთი წამით შეყოვნდა, მერე ქალიშვილს ხელი მოხვია, აიტაცა და იმავე წამში ორივენი იახტაზე აღმოჩნდნენ. ღრმად პატივცემული დამსწრე საზოგადოება გონს ვერც მოეგო, რომ იახტის ანძაზე გამარჯვების მაუწყებელი წითელი ლიფი აფრიალდა. მერე იახტამ ყველა აფრა გაშალა და შუაგულ ზღვაში გაუტია, რათა მალე განშორებოდა ათასობით ცნობისმოყვარე თვალს.

მეორე დღეს ამ ამბავს კიდევ ათასი ჭორი მიუმატეს და ყველაფერი ჰასიფ ფერფერიკს ჩაუკაკლეს. ეს სევიმის მამა გახლდათ — კეთილშობილი ოჯახის თავი და წარჩინებულ საზოგადოებაში დიდად პატივდებული კაცი.

შური რას არ ათქმევინებს ადამიანს, თანაც არავის ისე არ ძალუძს ბუზი აქლემად აქციოს, როგორც ამბის შემსწრეს. სწორედ ამ ამბის შემსწრეებმა ჩაუჩურჩულეს უკეთილშობილესი ოჯახის მამას, თითქოს თავიანთი თვალით იხილეს, როგორ აფრიალდა იახტის ანძაზე... არა, მისი მშვენიერი ასულის ლიფი კი არა, ლიფი რომ ყოფილიყო, სიტყვას ვინ დაძრავდა... ანძაზე ისეთი რამ დაინახეს, რისი ხზამალა ხსენება სირცხვილიც კია...

სევიმის მამა შეწყნარებით ეკიდებოდა თავისი ასულის ყოველ საქციელს, მაგრამ ამჯერად ვეღარ მოითმინა და აფეთქდა:

— ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრა!.. ეს როგორ გაბედა... ოჯახის ღირსება როგორ შემირცხვინა...

და ჰასიფ ბეიმ გადაწყვიტა მკაცრად დაეტუქსა თავისი ქარაფშუტა ასული, რომელიც ქალწულებრივ კდემამოსილებასა და ოჯახის ღირსებას არაფრად აგდებდა. მაგრამ ამ დროს, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ჩვენს ოჯახებში, საქმეში დედა ჩაერია.

— ძალიან კარგადაც მოქცეულა, — თქვა მეჭჯურე ხანუმმა, — ხეირის მეტს რას მოუტანს ეს ჩვენს ფირმას, რომელიც ქალის საცვლებით ვაჭრობს. ეს ხომ დიდებული რეკლამაა...

სევიმის ლიფი, ისევე როგორც სამოსელის სხვა წვრილმანები, რომელთა ხსენება აქ უხერხულია, ფერფერიკების ფირმამ იმ დღეებში მიიღო ამერიკიდან.

— მექოთნემ თვითონ იცის თავისი საქმისა, — ფარ-ხმალი დაყარა ოჯახის თავმა, — შენ მართალი ხარ, რეკლამა მართლაც საჭიროა!

მაგრამ ჰასიფ ბეი მაინც შეეცადა გაეგო, თუ რა კაცი იყო ეს ყარაჩი სუათი. მიეაღწეოდა შეჯიბრებაში გამარჯვებული სუათი ორმოციოდე წლის გოლიათური აღნაგობის კაცი გახლდათ. მას მწვანე თვალები და შავი, ხშირი თმა ჰქონდა. სუათის ხსენებაზე ტკბილად ოხრავდა მთელი სტამბოლის საქალეთი. ზამთარ-ზაფხულ იახტას დააქროლებდა, ზღვაზე კი, მოგეხსენებათ, მზე ეკიდება კაცს. სწორედ ამის გამო შეარქვეს ყარაჩი, მაგრამ საოცარია — ქალები ძალიან ცოტა ხანს უჩერდებოდნენ — გულს ჩქარა იცრუებდნენ და ზოგჯერ კიდევ შეიძულებდნენ ხოლმე. რა იყო ამის მიზეზი? გულახდილად რომ ვთქვა, თურმე სუათი ვნებიანი სიყვარულისათვის არ იყო დაბადებული და ამიტომ გულუბრყვილო ქალები მოტყუებულნი რჩებოდნენ.

სევიმიც ამ გულუბრყვილობის მსხვერპლი გახდა. თი, როგორ მონუსხა იგი ამ ყარაჩი კაცის ცხვირმა, მაგრამ როგორ გაუცრუვდა იმედი, როცა იახტაზე მასთან მარტო დარჩა. ამიტომ იყო, ნაპირზე რომ გამოვიდნენ, პატიოსანი ხალხის წინაშე სევიმმა სუათს ცხვირზე წკიპურტი გაჰკრა და ეშმაკურად ჩაილაპარაკა:

— ცრუპენტელა ყაფილხარ, მეტი არაფერი!

ასე დაიმსხვრა ლეგენდა ყარაჩი სუათზე, ხოლო იმედგაცრუებულმა სევიმმა საბოლოოდ გადაწყვიტა თავი დაენებებინა ზღვისთვის და ხმელეთზე ეძია ბედი. აქ კი სპორტის რა სახეობაზე იყო შეშლილი მთელი ქვეყანა? რაზე და ფეხბურთზე. მერე და არ იტყვიოთ, რა განთქმული საკლუბო გუნდი გახლდათ „თოზკოფარანი“! სევიმის გულისათვის რას არ მოიმოქმედებდა ამ გუნდის თერთმეტი მარჯვე მოთამაშე. ისინი მზად იყვნენ ფეხბურთის ჩემპიონატშიაც გაემარჯვათ. ასეთი იყო ჩვენი სევიმი — წარჩინებულსა და პატივცემულ საზოგადოებაში მიღებული ფერფერიკთა ოჯახის შვილი.

ფერფერიკები მთელ ზაფხულს ზღვისპირას ატარებდნენ. ზღვა კი ყურისძირში ჰქონდათ. ისეთი კვირა როგორ გამოერეოდა, მთელ ოჯახს პლაჟისკენ არ აელო გეზი. წინ მუდამ ჰასიფ ბეი მიაბიჯებდა, მას მეჭყურე ხანუმი მისდევდა, ბოლოს — მშვენიერი სევიმი, მაგრამ ამ კვირას კეთილშობილი ოჯახის კუდში სევიმი კი არა, ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოქცეულიყო. იგი ისე ერთგულად მიჰყვებოდა ფერფერიკებს, რომ თვით ოჯახის თავმაც კი შეამჩნია, თუმცაღა სხვა დროს ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევდა. მართლაცდა, რა დარბაისელი ბიზნესმენის, ამერიკული თეთრეულით მოვაჭრე კაცის საქმეა შეამჩნიოს თავისი ასულის თაყვანისმცემლები.

— სევიმ! — უთხრა ყმაწვილმა ფერფერიკის ასულს, — ის ბებერი შენი წინაპარია?

— ეგრეა და... — ღიმილით უპასუხა სევიმმა.

ოჯახი რომ ზღვისპირს მიუახლოვდა, სევიმი მშობლებს ჩამორჩა, მერე გაჩერდა და ზანტად დაიწყო ფეხსაცმელების გახდა. ამით სევიმს უნდოდა ყმაწვილისთვის ენიშნებინა — უფრო თამამი იყავიო. ყმაწვილმაც თავის მხრივ გონიერებისაკენ მოუხმო ქალიშვილს:

— სევიმ, ჩემო ძვირფასო, ახლა ხომ ორმოცდასამი გრადუსი სიცხეა, აგერ ამ გასახდელში არა სჯობს?

ორივენი გასახდელ კაბინაში მიიმალნენ.

ჰასიფ ბეი მიუხვედრელი კაცი როდი იყო — იგი უმაღლეს აფორიაქდა, რადგან, მისი აზრით, უცნობი ყმაწვილი ყოვლად მოურიდებლად მოიქცა.

— ვინ არის ეს ყმაწვილი? — მკაცრად ჰკითხა მან ცოლს.

— რომელი?

— დაიწყებ ახლა რომელი, რომელი? რომელი და უკან რომ მოვდევდა. იცნობ?

— ვისა?

— ალაჰ... რა დღეში ვარ! აი ისა, რომელიც ახლა გასახდელშია ჩვენს ქალთან ერთად.

— როგორ, ნუთუ მართლა არ იცნობ „თოზკოფარანის“ ცენტრალურ მცველს? ეს ხომ საქვეყნოდ ცნობილი ახმედი, გვერდაუვლელი ახმედი, ტყუილუბრალოდ კი არ შეარქვეს ახმედ კედელა.

ჰასიფ ბეი დაბნეული იყო, ხმას ვერ იღებდა. ვაი, სირცხვილო! არ იცნობდე ასე საქვეყნოდ ცნობილ, თითქმის ეროვნულ გმირად ქცეულ კაცს?

— აა... მაშ ეგ არის? როგორ არა... როგორ არ ვიცნობ... ვაჰ-ვაჰ, ჰო, რა სტოპერია... რა დარტყმა აქვს, მაგრამ მაინც... აბა უყურე... მე კი მეგონა, ვიღაც უცხომ მოიტაცა-მეთქი ჩვენი ქალი.

— შენ რომ არ მოიგონებ, ისეთი რა არის... მეტისმეტს უშვრები მაგ გოგოს, ასეც არ იქნება.

— მაშ როგორ, თვალი უნდა გეჭიროს, თორემ ისეთ ვინმეს გადაეყრება, რომ... — შეგონებით წარმოთქვა ჰასიფ ბეიმ და მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი გასახდელისაკენ.

მშობლებმა უკვე იბანავეს, სილაზე გაწოლილნი შეშრნენ კიდეც, როცა გასახდელის კარი გაიღო და სევიმი გამოჩნდა.

— შეხედე, ჰო, შეხედე, ამდენი ხანი გასახდელში იყო შენი ქალი, — აღშფოთებით ჩაილაპარაკა ჰასიფ ბეიმ.

მეჭჳურე ხანუმი არც შერხეულა.

— როცა მოესურვება, მაშინ შევა და გამოვა. უკვე სრულწლოვანი გოგოა და შენ თავი გაანებე!

მეჭჳურე ხანუმი გონიერი ქალი იყო და თავისი შეხედულება ჰქონდა იმაზე, თუ როგორ უნდა ეჭიროს თავი კდემამოსილ ქალიშვილს; კდემამოსილება-საც ხომ თავისი საზღვარი აქვს, გასათხოვარ გოგოს ბევრი ნაცნობ-მეგობარი უნდა ჰყავდეს. თუ მამას ეს უბრალო ჭეშმარიტება არ ესმის, ისა სჯობია, ენა მუცელში ჩაიგდოს და გოგოს ხელი არ შეუშალოს, თავისი ბედი ეძიოს.

ჰასიფ ბეის არ უნდოდა ცოლთან ჩხუბი, ამიტომაც მეჭჳურე ხანუმს ზურგი შეაქცია. თუმცა, მის გასაგონად მაინც ჩაილაპარაკა:

— კაი კდემამოსილი ევა გყავს. ნაცნობ-მეგობრებით... აღარ არის მათგან მოსვენება...

უსიამოვნო ფიქრები რომ გაეფანტა და დამშვიდებულიყო, ჰასიფ ბეი წამოჯდა და უაზროდ მიაჩერდა ზღვას. სხვა დროს თავის რამდენიმე ღერ თმას ისე მოხერხებულად დაივარცხნიდა ხოლმე, აღარ ეტყობოდა, რომ ქაჩალი იყო, მაგრამ ახლა დავარცხნა ვერ მოესწრო და ბანაობის შემდეგ მელოტი თავი მზეზე უბზინავდა.

ზღვის ცქერამ ჰასიფ ბეი ვერ დაამშვიდა. თავის ქალზე ცუდს როგორ გაიფიქრებდა, ამ ბოლო დროს სევდის წელის მოყვანილობას რომ არ შეეშფოთებინა. საქმე ის გახლავთ, რომ სევდის ტანი რაღაც საეჭვოდ დაუსრულდა.

— რას იზამ! — შიში გაუქარვა ცოლმა, — ასეა, წლებთან ერთად აღამიანიც იზრდება...

— მაპატიე, მაგრამ ჩვენი სევდი მხოლოდ ერთი მიმართულებით იზრდება, — გაუბედავად შენიშნა მამიკომ.

— გადამრევს ეს კაცი! გოგო ყოველთვის ერთნაირი ხომ არ იქნება. ყველაფერი კონსტიტუციაზეა დამოკიდებული და...

კონსტიტუციაო?!

ამ სიტყვის გაგონებაზე ჰასიფ ბეიმ ენას კბილი დააჭირა, რადგან სულაც არ ეწადა ოჯახური საუბარი საშინაო პოლიტიკის საკითხებზე დავად გადაქცევა.

მომხიბვლელი სევდის დედა კი ღრმად იყო დარწმუნებული, ჩემი ქმარი ტყუილუბრალოდ აფორიაქდაო. იგი ფიქრობდა, აუცილებელი არაა ყოველდღე უჩიჩინო შვილს, ფრთხილად იყავიო, როცა თანამედროვე მედიცინა ყოვლისშემძლეა. ესეც არ იყოს, ჩვენი დროის გოგოები მშვენივრად ერკვევიან ყველაფერში და თვითონ იციან თავიანთი საქმე. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივან და, პლაჟზე საუბრის შემდეგ თავისი ქალი ერთ ცნობილ ექიმთან მიიყვანა. ეს სწორედ ის ექიმი გახლდათ, არაერთი სამსახური რომ გაეწია ფერფერიკთა დიდად პატივსაცემი და წარჩინებულ საზოგადოებაში მიღებული ოჯახისათვის.

— ოი, ექიმო... ეს არის თქვენი ღირსების... ჩვენი ღირსების... თვით ფირმის ღირსების საქმე....

ამ ჩინებულმა ექიმმა, რომლის ხელშიაც პლაჟის ქალთა მთელ რემას გაეგლო, დინჯად დაადასტურა დედის ეჭვი და უბრალოდ, თითქოს ხელში მოშლილი საათი უჭირავსო, თქვა:

— იმდენი არაფერია, შევაკეთებთ.

უჩვეულო ამბების მოყვარულ რეპორტიორებს ეს ამბავი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ და მას გესლიანად „პლასტიკური ოპერაცია“ უწოდეს. ფერფერიკთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თავს არ უყადრებდნენ ამ მჭლახნელებს და საზოგადოებაში შესაშურ სიმშვიდეს იჩენდნენ; თვითონ ჰასიფ ბეიც მოხერხებულად ფარავდა თავის აღშფოთებას.

ახემდ „კედელა“

ვინ მიხვდება, რაზეა დამოკიდებული ფეხბურთელის სიმარჯვე და შემაართება? ზოგჯერ ამას ისეთი რამ განაპირობებს, სპორტთან საერთო რომ არაფერი აქვს.

ასე, მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი — „თოზკოფარანის“ გვერდაუვლელი ცენტრალური მცველი ახმედი, მეტსახელად კედელა რომ შეარქვეს, საპასუხისმგებლო მატჩის წინ ხშირად ევაჭრებოდა ხოლმე სტამბოლის ერთ-ერთ ულამაზეს ასულს — სევდის.



- მაშ, თუ წავაგეთ, ყაბულს არ იქნები?
- ახლოს არ გაგიკარებ, — დაბეჯითებით პასუხობდა სევიმი.
- ყაიმი თუ იქნა?
- მაშინ ვნახოთ...
- თუ მოვიგეთ, მაშინ ხომ ნაღდად...

სევიმიც თვალებს მოწკურავდა და ჩაილაპარაკებდა: „თუ მოვიგეთ, კი“. ამის შემდეგ ახმედ კედელას მოედანზე ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ უტოლდებოდა — ქარივით დაქროდა, მოწინააღმდეგეს ხან ფეხს დაუდებდა, ხან ხელს ჩაავლებდა, ტრუსსაც კი ჩახდიდა და, თუ საჭირო იყო, ბურთს ისეთი ძალით დაარტყამდა, ტრიბუნებზე ძლივს პოულობდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, ახმედ კედელას მუდამ შეეძლო გამარჯვება მოეტანა თავისი გუნდისათვის. სევიმი კი პატიოსანი სიტყვის გოგო იყო და პირობას არასოდეს გადავიდოდა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ასე მოუხშირა „პლასტიკურ ოპერაციებს“. ამ ამბებს პრესამაც კი მიაქცია ყურადღება — კალმოსნებმა მოახერხეს დაედგინათ, რომ „თოზკოფარანის“ ცენტრალური მცველის ყოველ ბრწყინვალე თამაშს სევიმის „პლასტიკური ოპერაცია“ მოსდევდა ხოლმე. სწორედ ამიტომ იყო, რომ მზეთუნახავი სევიმის მშობლები დიდად შეშფოთდნენ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ „თოზკოფარანის“ თამაშის დროს სახლიდან არ გაეშვათ სევიმი, ან თუ გაუშვებდნენ, ისიც სტადიონზე კი არა, არამედ ქალაქიდან შორს, სასეირნოდ. საფიქრალიც ჰქონდათ — სევიმის ასეთი გატაცება ფეხბურთით დღითიდღე აძნელებდა ხეირიანი სასიძოს პოვნას. ამით კი ფერ-ფერიკთა ოჯახსა და ფირმას ჰემმარიტი საფრთხე ემუქრებოდა.

სევიმის მშობლების ეშმაკობამ ბოლოს და ბოლოს გასჭრა, მაგრამ „თოზკოფარანის“ უბადლო მცველი კი ცუდ დღეში ჩააგდო — იგი მოდუნდა, ჩვარივით გახდა. ამან კი უმალ მთელი გუნდის თამაში შეაფერხა. გუნდი ზედიზედ აგებდა; „თოზკოფარანის“ საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელები ნათლად ხედავდნენ, რომ გუნდის მოგება-წაგების საქმე მათ ხელთ აღარ იყო და განიზრახეს სასწრაფოდ ელონათ რაღაც. კიდევ ერთი „პლასტიკური ოპერაციის“ გაკეთება რა ბედენაა, ბოლოს და ბოლოს „თოზკოფარანის“ კლუბის ხელმძღვანელობა მზად არის გარკვეული ხარჯებიც კი გაიღოს საამისოდ, რადგან საქმე გუნდის ღირსებას ეხება. ქალის ღირსება ოჯახმა უნდა იკითხოს, გუნდი კი საზოგადოებრივი და უფრო მეტიც — სახელმწიფოებრივი საქმეა. ამიტომაც ახლავე უნდა გავმართოთ მოლაპარაკება სევიმის მშობლებთან, სევიმი თუ გვიხსნის, თორემ ჩვენი საქმე წასულიაო.

ეს საკმაოდ ორჭოფული დავალება კლუბის გენერალურმა თავმჯდომარემ დუნდარ-დუბარა ბეიმ იღო თავს. დუბარა ბეი ჰასიფ ბეის ახლო მეგობარი იყო და ძალზე თავაზიანად აუხსნა ქალის მამას, თუ რა გამოუვალ ჩიხში მოემწყვდებოდა საკლუბო გუნდი უსევიმოდ.

— თუ ასე გაგრძელდა, ჩემო ძვირფასო ჰასიფ ბეი, „თოზკოფარანი“ სატურნირო ცხრილის ბოლოში აღმოჩნდება. განა შენ ამას აიტან? ახმედ კედელა გუნდში ცხრა კაცს უდრის, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეგ კედელა სამასი ათასი ლირა დაგვიჯდა. გევედრები, გამოუშვი სევიმი ფეხბურთზე. შენი გოგო რომ ტრიბუნაზეა, ახმედი მიუვალ ციხე-სიმაგრედ იქცევა ხოლმე, თუ შენი გოგო სტადიონზე არ არის, ეგ ციხე-სიმაგრე იშლება და ინგრევა.

დუნდარ-დუბარა ბეის მგზნებარე სიტყვამ უდიდესი შთაბეჭდილება იქონია სევიმის მამიკოზე. განა სახუმარო საქმეა ცხრა მოთამაშეს უდრადე და სამასი ათასი ლირა ღირადე?

— ერთადერთი ხსნა, იცი, რა იქნება? — ცხარედ დაასრულა დუბარა ბეიმ, — მოდი, დავაქორწილოთ სევიმი და ახმედ კედელა.

სიხარულით ათრთოლებულმა ჰასიფ ბეიმ ლამის არ იკითხა: მერე და რას უყურებს ეგ შენი ახმედ კედელა, რატომ არ ქორწინდებაო, მაგრამ უცებ მოეგო გონს და კრინტი აღარ დასძრა. რა ჭირად უნდოდათ ფერფერიკებს ეგ ქორწინება — ახმედს არც ფული ჰქონდა და არც გონიერთა შორის მოსახსენებელი კაცი იყო. მას იცნობდნენ, როგორც ერთ ლოთიფოტსა და ბანქოს მოთამაშეს, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ჰასიფ ბეი მაინც ძალიან ნასიამოვნები დარჩა, როცა გაიგო, რომ მის ასულზე იყო დამოკიდებული „თოზკოფარანის“ ბედ-იღბალი.

ჰასიფი მაინც შეყოყმანდა. ამ საქმეზე ჯერ ცოლს უნდა მოველაპარაკოთ, ასე უთხრა საპატარალოს მამამ გამოთხოვებისას გენერალურ თავმჯდომარეს დუნდარ-დუბარა ბეის.

იმ ღამეს ცოლ-ქმარმა ფერფერიკებმა პირველად ითათბირეს ასე საგულდაგულოდ თავიანთი ასულის მომავალზე. საუბარი არც ისე ხანგრძლივი გამოდგა.

— სასწრაფოდ უნდა გავათხოვოთ სევიმი, — თქვა დედიკომ და დასძინა, — მთავარია გათხოვდეს, მერე რაც უნდა, ისა ქნას...

— რასაკვირველია, — დაეთანხმა მამიკო, — ქორწილის მერე დაე ქმაიმა სდიოს. გათხოვდეს და მერე თუნდა ყარაჩი სუათის შთაგონება იყოს და თუნდა ახმედ კედელასი, ჩემთვის სულერთია!


— აგრე იყოს!

მზრუნველმა მშობლებმა მეორე დღესვე დაიწყეს სასიძოს ძებნა.

კაცმა მართალი უნდა თქვას: ფერფერიკთა ოჯახი ახმედ კედელას სიძეობაზე იმიტომ კი არ იკავებდა თავს, რომ ეგ ჩვენი კედელა ერთი ყეყეჩი ვინმე იყო და ჭკუა მხოლოდ ფეხებში ჰქონდა; ჰასიფ ბეი თავის ფირმაში მის შესაფერის საქმესაც გამოიხატავდა, უბედურება ის იყო, რომ თვით ახმედ კედელას ვერ გააგონებდი, სევიმი ცოლად დაისვიო, რადგან ამ ქალბატონმა უკვე „თოზკოფარანის“ ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი გამოიცვალა და თითო-ორილა სათადარიგო მოთამაშეც გასინჯა. ამით ჩვენმა სევიმმა ერთნაწილად დაანათესავა და თითქოს ზეციურ ძმებად აქცია ყველა ფეხბურთელი. ახმედიც ძმასავით ექცეოდა სევიმს, ხშირად ისიც კი უთქვამს: ჩემო ძვირფასო, რაც შეიძლება მალე უნდა გათხოვდე, გათხოვების შემდეგ მე და შენ აღარ გავგჭორავნო.

სევიმიც თანახმა იყო — გათხოვება მართლაც კარგი იქნებოდა, მაგრამ სად გინდა საქმრო მოძებნო? ნაცნობ-მეგობართა ფართო წრე იმდენად ვიწრო აღმოჩნდა, რომ ერთი სასიძო ვერ მონახეს. საქმეს კი ძალიან აგვიანდებოდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს მეჭყურე ხანუმა თავის ქალს გამოუცხადა — ქვეყანა რომ დაიქცეს, ფეხბურთის სეზონის დამთავრებამდე უნდა გათხოვდეო.

სარიოლლუთა ოჯახი



მაგრამ სასიძო თვითონ გამოჩნდა. ვიდრე ფერფერიკები ცით მოვლენილ ანგელოზს დაეძებდნენ, სასიძო თურმე ამ ცოდვილ მიწაზე დააბიჯებდა და იმის ბაიბურშიც არ იყო, სულ მალე რა ორომტრიალი ატყდებოდა მის ირგვლივ. ეს უიღბლო კაცი საით სარიოლლუ გახლდათ, ვინაც მამაკაცური ბუნებითა და ტემპერამენტით სევიმისათვის დიახაც აღმოჩენა გამოდგა, სწორედ ისეთი, როგორიც სჭირდებოდა. სხვა დროს ეს ამაყი ქალიშვილი საითინაირ ყმაწვილებს არც კი შეხედავდა, მაგრამ ვაი, რომ ახლა წუნიაობის დრო აღარ იყო.

საითი სარიოლლუ* კი იყო, მაგრამ თავის გვარს არ ამართლებდა — თმაც, თეთრი ჰქონდა, წვერიც, წამწამებიც და პირისკანიც. ერთი სიტყვით, მას რომ დაინახავდით, ასე გეგონებოდათ, პურის ფქვილში წოლილა და ეს-ეს არის იქიდან გამოძვრაო. თვალები მუდამ ეცრემლებოდა, რადგან თეთრი წამწამები შუქისაგან ვერ იცავდა. შავ სათვალეს კი ატარებდა, მაგრამ თვალებს მაინც მუდამ ჰუტავდა. გამუდმებით აწუხებდა გლეფარტი, ორმხრივი ასტიგმატიზმი, მაღალი წნევა, ამასთან ბეციც გახლდათ — მუდამ ყველას და ყველაფერს ეჯახებოდა. ამიტომაც იყო, რომ სათუთი და ძალზე ნაზი სხეული სხვადასხვა ფერად ჰქონდა აჭრელებული. სიმაღლე კარგა ას ოთხმოცდაოთხი სანტიმეტრი ექნებოდა, მაგრამ წონას არ იკითხავთ? ქარიც კი წაიღებდა, რადგან ორმოცდათერთმეტ კილოგრამს იწონიდა. დედამიწაზე კაცი არ მოიძებნებოდა, ზუსტად ამოეცნო მისი ხნოვანება. ერთნი ამბობდნენ, ორმოცზე ნაკლების არ იქნებაო, მეორენი ირწმუნებოდნენ, თექვსმეტი წელი ახლახან შეუსრულდაო. მხოლოდ თვითონ საითმა იცოდა, რომ ამას წინათ გახდა ოცდაოთხი წლისა.

საითს ჯერ კიდევ სკოლაში ეტყობოდა, რომ უდიდესი მათემატიკოსი გახდებოდა, რადგან გარდა მათემატიკისა, ვერც ერთ მეცნიერებაში ვერ გარკვეულიყო. მასწავლებლები არაფერს ზოგავდნენ ბეჯითი მოსწავლისათვის, ღრმად სჯეროდათ — მათემატიკაში უდიდესი აღმოჩენებით ჩვენს სახელს უკვდავყოფსო. ალბათ, ამიტომაც გაგზავნეს სკოლის დამთავრებისთანავე პარიზში ასტრონომიის შესასწავლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ის კი ვერ გაითვალისწინეს, ვიდრე საითი ასტრონომიის საიდუმლოებას დაეუფლებოდა, ცაზე ერთი აღმოუჩენელი ვარსკვლავიც აღარ დარჩებოდა.

პარიზი მაინც პარიზია და მან გული როდი დაწყვიტა საითს — ასტრონომია რომ მოითავა, ასტროლოგიას მიჰყო ხელი. ჰოდა, მოულოდნელად გასაოცარი ნიჭი აღმოაჩნდა — შეეძლო ზუსტად გამოეცნო, თუ სად ინახებოდა მოპარული საქონელი, სად იმალებოდნენ ქურდები. ნათელხილვის ეს იშვიათი თვისება საითმა ერთი ბნელი პიროვნებისაგან შეითვისა. ეს კაცი ამბობდა — მე ინდოელი სასწაულმოქმედი და თანაც აინშტაინის ბიძაშვილის მამიდაშვილი ვარო.

საითს უკვე შეეძლო გამოეცნო ადამიანთა წარსული და აწმყო, ახლო თუ შორი მანძილიდან ამოეცნო მათი აზრები. ასე რომ თუ თვითონ არ მოიტყუებდა თავს, საითის გაცურება არავის შეეძლო.

ნათელხილვის ნიჭი საითს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ძალიან შეელო-

* სარიოლლუ ქართულად წითურ შვილს ნიშნავს.

და. ასე მაგალითად, დილას რომ გაიღვიძებდა, თავის წინდებს თუ ვერ იპოვებდა, ძებნით თავს არ იკლავდა. მიუჯდებოდა მაგიდას, აიღებდა ქალაღს, ფანქარს და გამორიცხვის მეთოდით მათემატიკურად გამოიანგარიშებდა, სად უნდა ყოფილიყო ესა თუ ის წინდა. თუ მათემატიკური ანალიზი მთლად ზუსტად ვერ აჩვენებდა წინდების ადგილსამყოფელს, ისიც ადგებოდა და ახალ-ახალ წინდას ამოიღებდა ჩემოდნიდან. ასე გრძელდებოდა თითქმის ყოველ დილას და მთელი მისი ოთახი წინდებით იყო მოფენილი. წინდები წიგნების კარადაზეც ეყარა და ბალიშის ქვეშაც, მაცივარშიც და ჭიქაშიც.

ხოლო ასტროლოგიური ანალიზის მეთოდმა იგი მოულოდნელ დასკვნამდე მიიყვანა: არ არსებობს ქალი, ვისაც მისი ცოლობა არ ჰქონდეს გულში ამოჭრილი. მერე ვარსკვლავების მოძრაობას დააკვირდა და დაინახა, რომ ვარსკვლავები მისთვის უიღბლოდ იყვნენ განლაგებულნი და დაცოლშვილება სასიკეთოს არაფერს უქადდა. ამ დღიდან ქალებს სათოფეზე აღარ ეკარებოდა. ალბათ თქვენთვისაც ცხადი გახდა, რომ საითის დიდი ნიჭი და ჭკუა კი არ იზიდავდა ქალებს, არამედ ზღაპრული სიმდიდრე. ქონება კი ბევრი ჰქონდა, რადგან მისთვის მთელი ორ საუკუნე-ნახევარი აგროვებდნენ ამ ქონებას.

პარიზში ახალი ვარსკვლავების აღმოსაჩენად გაგზავნილი საითი სტამბოლში ხელცარიელი დაბრუნდა. მაგრამ იღბალი არ გინდა! ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ სტამბოლში აღმოაჩენდა იგი მშვენიერ ვარსკვლავს. ეს ვარსკვლავი კი ჩვენი სევიმ ფერფერიკი გახლდათ.

საითი სტამბოლში მაშინ დაბრუნდა, როცა ფერფერიკთა ოჯახში საავდრო ღრუბლებმა მოიყარა თავი: „პლასტიკური ოპერაციები“ ერთიმეორეს მიჰყვა. ამან საქვეყნოდ ცნობილი ექიმიც გააღიზიანა — წარამარა ოპერაციებმა ჩემი მეცნიერული შრომა მიმავიწყაო და სამმაგ ჰონორარს მოითხოვდა. ყაირათიანმა მეჰჯურე ხანუმმა ვერ აიტანა ეს ამბავი და ერთხელ ასე უთხრა სევიმს:

— ჩემო შვილო, ყოველი ქალის ვალია თავის შვილს მამა გამოუნახოს. ამის მერე სხვა მამაკაცებთან საქმის დაჭერაც იოლია — შენც ენდობი და ისინიც გენდობიან. უკვე დროა ამაზე იფიქრო, ჩვენში დარჩეს და დაბადების მოწმობის მიხედვით ოცდაცხრა წლისა ხარ.

— ოცდაცხრისა კი არა, ოცდარვისა, — შეუსწორა სევიმმა.

— ეგ თერთმეტი თვე მალე გაივლის და ოცდაცხრისა იქნები. ასე რომ ჭკუა ისწავლე, ჩვენ დაგვაკვირდი, შენს დედ-მამას, ხომ ხედავ, რა ბედნიერები ვართ. მე მესმის შენი — ფეხბურთი გიყვარს, მაგრამ ახლა პირველ რიგში შვილს მამა უნდა გამოუძებნო. რასაკვირველია, იგი კეთილიც უნდა იყოს და მდიდარიც. ალაჰსაც მოერიდე, გეყოს ამდენი „პლასტიკური ოპერაცია“. შენ თუ არაფერს იტყვი, მე თვითონ გიშოვი ქმარს.

— მომეცით სამი დღის ვადა, — მშვიდად უპასუხა სევიმმა, — თუ ამ სამ დღეში ვერაფერი სახეირო ვიპოვე, მაშინ თქვენს ამორჩეულზე შევჩერდები.

— ეჰ, რატომ მე არ დამემსგავსე, შვილო! სამ დღეში ბრიყვის პოვნა იოლი საქმე გგონია?

— დედი, ბევრი კაცი ვიცი, თავს ძალით რომ იბრიყვებს, თორემ ისეთი არაფერი სჭირს, — დინჯად მიუგო ასულმა, — მე ახლა სამ დოკლაპიაზე მიჭირავს თვალი. სამივე უნდა გამოვცადო. რა იცი, იქნებ სულაც არ არიან

ისეთები, როგორც თავს მაჩვენებენ. მერე არ გინდა გაძლება? აილუ ხომ გახსოვს? მისი ქმარი პირველ ხანებში სულელად ასაღებდა თავს, მაგრამ ახლა შინიდან გარეთ არ უშვებს ცოლს. ეგ კი არა, ამას წინათ „ჭაჭეთაბას“ ფორვარდ მუსტაფასთან რომ შეასწრო, ლამის გაეყარა.

— მერე? რა ქნეს? — იკითხა დედიკომ.

— მადლობა ღმერთს, „ჭაჭეთაბას“ კლუბის ხელმძღვანელობამ დააყოლია, ამ საქმეზე აურზაურს ნუ ატეხო. დიდი ამბავი, ერთხელ თუ შეასწრო! ამისთვის ყელი უნდა გამოჭრას? — გაბრაზდა სევიმი, — არც მე მინდა სიცოცხლე გავიმწარო, დარწმუნებული უნდა ვიყო, ქორწინების შემდეგაც სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიქნები, რაც მომეპრიანება, იმას გავაკეთებ. ამიტომ გთხოვთ სამი დღე მაცალოთ... მე ხომ სამი კაცი უნდა გამოვცადო.

და ჰა, დადგა ის დღეც, როცა სევიმმა თავისი მსხვერპლი იპოვა, იპოვა საით სარიოდლუ, ხოლო საითმა კი ბოლოს და ბოლოს აღმოაჩინა თავისი ვარსკვლავი.

დიდებულ სარიოდლუთა ნაშიერი თავად გამოვიდა თავისი ვარსკვლავის საძებნელად. საითი ისთიქლიალის გამზირზე დასეირნობდა და ერთ მეგობარ კაცს პარიზის შთაბეჭდილებებს უზიარებდა. რა ფიქრები წამოეშლება ჭეშმარიტ მამაკაცს პარიზის ხსენებაზე? რასაკვირველია, უმალ ქალებს მოიგონებს და რახან სიტყვა ქალებზე ჩამოვარდა, ბუნებრივია, რომ საითი მადლენზე ალაპარაკდა. სხვა ქალს იგი არც იცნობდა.

მეგობარს უკვე მოყირჭდა საითის ლაქლაქი და ჯერ რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩა, მერე კი სულაც აეთესა. სწორედ ამ დროს სადღაც მიიჩქაროდა ჩვენი სევიმი. იგი საითს წამოეწია. ჯერ იყო და სევიმს საითი ერთ-ერთი იმ ბაჭთაგანი ეგონა, ქუჩაში რომ აეკიდებიან ხოლმე ქალიშვილებს; ამიტომაც უნდოდა უმალ ექცია გვერდი, მაგრამ გამზირზე იმდენი ხალხი მიდი-მოდიოდა, ვერაფრით ვერ გაასწრო საითს. საითი კი კვლავ პარიზის ამბებს ყვებოდა; სევიმმა ყური მიუგდო და უმალ მიხვდა თავის შეცდომას. იგი დააინტერესა კიდევ საითის ლაპარაკმა. უსმინა, უსმინა და გულიანად გადაიკისკისა. საითმა ახლალა შეამჩნია, რომ გვერდით მეგობარი კი არა, ღმერთივით გოგო მოჰყვებოდა.

— მაპატიეთ, — შეცბუნდა იგი, — მეგობარი მომდევდა ერთი... როგორც ჩანს, ჩამორჩა.

— საპატიებელი რა გაქვთ... ძალიან საინტერესოდ ლაპარაკობდით, ზეი ეფენდი, — სიცილს ძლივს იკავებდა სევიმი, — რით დამთავრდა ეგ ამბავი?

— თუ გნებავთ, ყველაფერს ხელახლა დავიწყებ. მაპატიეთ, ჯერ კიდევ არ გაგცნობივართ: მე საით სარიოდლუ ვახლავართ.

— მე კი სევიმ ფერფერიკი.

— უკაცრავად, ვერ გავიგე.

— ფერფერიკი.

— ძალიან სასიამოვნოა. დვთის გულისათვის, არაფერი ცუდი ჩემზე არ იფიქროთ, მაგრამ ისე მინდა გაფეში მიგიწვიოთ და იქ გიამბოთ ყველაფერი, რომ...

— ო'კეი, თუმცა... კინოში მივდიოდი, მაგრამ ეგ არაფერი. სურათის დაწყებამდე კიდევ არის დრო. თქვენ ხომ არსად მიგეჩქარებათ?

— რას ბრძანებთ, არსად! — აღფრთოვანებით წამოიძახა საითმა.

კაფეში შევიდნენ. საითმა თავისი პარიზული ამბები წამოიწყო, სევიმი უსმენდა და გულიანად კისკისებდა. იგი თანამედროვე კეკლუცი ქალი იყო, ამნაირმა ქალებმა კი კარგად იციან, როგორ დაიჭირონ თავი მამაკაცებთან — სუბრის დროს უნებურად ან ხელს შეახებდა ხოლმე, ან კიდევ ფეხზე ფეხს მიადებდა. საითს კი თავისი ემართებოდა — ეს უნებური შეხება დენივით უვლიდა მთელ სხეულში, ააცახცახებდა, ენა დაებმოდა, გაწითლდებოდა, თავში ყველაფერი აერეოდა და დადუმებული ჩააჩერდებოდა ხოლმე იატაკს.

სევიმი, თითქოს ნადავლი ჩაიგდოო ხელთ, ქორივით ათვალეირებდა საითს. „აი, ვინ მჭირდება მე, — სიხარულით აცახცახებული ფიქრობდა იგი, — აი, ამას ვაქცევ ჩემი ბავშვის მამად. ნამდვილად ყეყეჩი რომ არ იყოს, ასე ვერ მომაჩვენებდა თავს, არასოდეს შევხვედრივარ ასეთ სულელს“.

— კინოში რომ არ მაგვიანდებოდეს... — ანკესი გადაისროლა სევიმმა, — ამბობენ, კარგი სურათიაო, თორემ...

— განა მარტო მიდიხართ კინოში? — გაუბედურებული კაცის ხმით ჰკითხა საითმა.

— სხვა რა გზა მაქვს, — ამოიოხრა სევიმმა და განიზრახა შეტევაზე გადასულიყო, — თქვენ უსათუოდ უნდა ნახოთ ეგ სურათი.

— სიხარულით წამოვიდოდი, მაგრამ ჩემი მხედველობის პატრონი...

— საწყენია, — ამჯერად დაბნეული იერი უნდა მიეღო სევიმს და ასეც მოიქცა.

— პირველი რიგიდანაც კი ვერაფერს ვხედავ.

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მზადა ვარ ყველაფერი, რაც ეკრანზე იქნება, თვითონ აგიხსნათ, — არ დაიხია სევიმმა უკან, — მე ხომ დავალეებული ვარ თქვენგან, ისეთი საინტერესო რამ მიაშვებთ.

გაოგნებულმა საითმა რამდენიმე წუთის შემდეგ ამოიღო ხმა:

— არ მინდა თქვენი შეწუხება...

— როგორ გეკადრებათ. დიდად ნასიამოვნებიც დავრჩები... ეგ ჩემთვის იოლი საქმეა. ბილეთი უსათუოდ ლოჟაში აიღეთ, იქ სხვებს არ შევუშლით ხელს.

სევიმს გულით ეწადა გაეგო, ვინ იყო ეს აყლაყულა — ყეყეჩი თუ თვალთმაქცი?

ლოჟაში საითი სევიმის უკან მოკალათდა. დარბაზში შუქი რომ ჩაქრა და სურათიც დაიწყო, სევიმი ნელ-ნელა საითისაკენ მიჩოჩდა, მაგრამ საითი უკან იხევდა. „ნაღდად თვალთმაქცია“, გაიფიქრა სევიმმა და კვლავ მისკენ გაჩოჩდა. საითმა ადგილი მოინაცვლა. ბოლოს, როცა გადასანაცვლებელი ადგილიც აღარ დარჩა და საითი მეზობელი ლოჟის ბარიერს მიაკრა, სევიმი თითქმის ჩაეკრა და კვნესით წარმოთქვა:

— აღარ შემიძლია ამ ზანგის წამების ცქერა.

მახეში მომწყვდეულ საბრალო საითს აღარაფერი ესმოდა. სევიმის სხეულის სიახლოვემ, მისი თმის სურნელმა ისე დაათრო, ლამის გონი წაერთვა. ისიც აღარ იცოდა, რას სჩადიოდა, თითქოს სიზმარში იყო... უჩინარმა ჯადოქარმა ერთმანეთს გადააჭდო მათი ხელები, ერთმანეთს მიაკრო მათი ლაწვეები, აჰა, ბაგეებიც კი მიუახლოვეს ერთიმეორეს და... იღბალი არ ვინდა?! უცებ

დარბაზში შუქი აინთო. ვის სჭიროდა ახლა ეს შესვენება! დიდებულ სარი-
ოლლუთა ნაშიერი აღმოდებული იჯდა, თავის წამოწევაც ვერ გაებდა, მთელი
შესვენების განმავლობაში ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

სევიმი ისე ათვალაიერებდა, კაცს სვაფი ეგონებოდა, რომელმაც ეს-ეს
არის ბრჭყალები უნდა ჩასჭიდოს თავის მსხვერპლს.

ბოლოს დარბაზში შუქი ჩაქრა. ახლა საითი მიიწევდა სევიმისაკენ, ჯერ
გაუბედავად, ნელ-ნელა, შემდეგ კი თანდათან გათამამდა და სულ ახლოს რომ
მივიდა, ზედ მიეკრო და ვნებით წარმოთქვა:

— მიყვარხართ, მიყვარხართ.

— რა იყო, ზექერია, გადაირიე? — მოესმა საითს პასუხად.

„ზექერია, ზექერია, — აეკვიატა ეს სახელი საითს, — ნუთუ ასე უცებ
დაავიწყდა ჩემი სახელი? ამას ვერ ავიტან, არ შემიძლია. სევიმმა რომ მიმა-
ტოვოს, თავს აღარ ვიცოცხლებ“.

— მე მართლა გეუბნებით, პირველი დანახვისთანავე შემიყვარდით, უთ-
ქვენობა არ შემიძლია, — და წელზე გაუბედავად შემოხვია ხელი.

— რა მოგდის, ზექერია, შინამდე ვერ მოგიტმენია?

— ნუთუ ჩემი არა გჯერათ, სევიმ ხანუმ?

— სევიმიო! — აყვირდა მეზობელი და მერე ისე იკივლა, ზექერია, ზე-
ქერიაო, რომ მთელ დარბაზს მოედო მისი ხმა.

— რა გაყვირებს? — ზანტად გამოეპასუხა ვილაცის უხეში ხმა.

ამას სილის გალაწუნება მოჰყვა. სურათი შეწყდა და დარბაზში შუქი
აინთო.

სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: თავისი სიბეცის გამო საითმა ლოყის ხა-
ვერდის ფარდა სევიმის კაბად მიიჩნია. ხავერდს მიკრული მძიმედ სუნთქავდა
და აღსარებას ჩურჩულით წარმოთქვამდა. ამასობაში უცხო ქალს გადაუსვა
ხელი. როცა ქალმა გაიგო, ასეთ ცხარე მოუთმენლობას ჩემი ქმარი კი არა,
სულ სხვა იჩენსო, საითს სილა გააწნა. ყვირილზე პოლიციელმა მოიბრინა და
ყველანი ლოყიდან გამოაბრძანა. იმ ქალის ქმარი მაღალ-მაღალი, მოსული ზე-
ქერია მთიელი კაცი იყო და ძალიან კარგად იცოდა, თუ როგორ უნდა გამას-
პინძლებოდა თავხედს, რომელიც სხვის ცოლს მოსვენებას არ აძლევდა.

— ეს გარყვნილი კაცი ჩემს ცოლს არ ასვენებს, მე მაგას ვაჩვენებ, რო-
გორ უნდა...

საითი ახლალა მიხვდა, რაც მოხდა.

— პარდონ, მუსიე, — ასლუკუნდა საითი. დაბნეულს მხოლოდ ფრანგუ-
ლი სიტყვები გაახსენდა... — მე პირადად ვიცნობ აინშტაინის ბიძაშვილის მა-
მიდაშვილს... ფარდობითობის თეორია... და რაც მთავარია, მთავარი კი ის
არის, რომ... მთავარი...

არავინ იცის, რით დასრულდებოდა ეს ამბავი, სევიმს ზექერიასთვის რომ
არ გაეყარა ხელი და ტკბილად არ აჭიკჭიკებულებოდა:

— თქვენ სცდებით, ბეი ეფენდი. ჩემი საქმრო მაგ სიტყვებს მე მეუბნე-
ბოდა, მხოლოდ ალაჰმა უწყის, რატომ მიიღო თავის თავზე თქვენმა ცოლმა...
ეს გულსატკენი შეცდომაა და მეტი არაფერი... ვის არ მოსვლია ასეთი რამ?
ჩემი საქმრო იმ მამაკაცებს არა ჰგავს, საცოლის თვალწინ რომ...

„საქმროო! მან ჩემზე თქვა, საქმროო! — საკუთარ ყურებს არ უჯეროდა საითი, — ჰოი, ჩემო ბედნიერებავ, კურთხეულ იყოს დღეგანდელი დღე!“

სევინის ტკბილმა ხმამ, მისი ხელის ალერსიანმა შეხებამ დააცხრო ზეჟერია და უმაღლესი დაავიწყა მთიელი კაცის სიფიცხე.

— უკაცრავად ვარ, ხანუმ ეფენდი, ახლა მეც ვხედავ, რომ ისეთი არაფერი მომხდარა...

— ზეჟერია! — აღარ დაამთავრებინა ცოლმა სიტყვა, — რას უდგებარ, წამოდი, თორემ დამთავრდა სურათი. ტყუილად დავხარჯეთ ფული?

ცოლ-ქმარი დარბაზში შებრუნდა, სევინი და საითი კი ფოიეში დარჩნენ.

— ისე უხერხულად ვგრძნობ თავს, — მორიდებულად თქვა სევინმა, — ყველაფერი ჩემ გამო მოხდა.

— თქვენთვის თავსაც კი დავდებ, — წამოიძახა საითმა, თუმცაღა ამ ორიოდე წუთის წინ შიშით ლამის სული დალია. ქუჩაში გამოვიდნენ და ტაქსი გააჩერეს. საითს ეჭვები არ ასვენებდა — „ჩემი საქმროო, ალბათ იმიტომ თქვა, რომ არ უნდოდა, პოლიციამდე მისულიყო საქმე. ნეტა სინამდვილეში რას ფიქრობს ჩემზე?“

სევინმა კი ვერა და ვერ გაიგო, რატომ არაფერს ამბობდა საითი, და აფორიაქდა: ნუთუ ხელიდან გაუსხლტება საქმრო, ასე მოხერხებულად რომ მოიგდო ხელთ?

— თუ თქვენ გგონიათ, რომ მე ცუდი ყოფაქცევის ქალი ვარ, — დაბალი ნაზი ხმით თქვა სევინმა, — სცდებით!

ფიქრებში გართულმა საითმა ვერ გაიგო სევინის ნათქვამი და დაბნეულად უპასუხა:

— არ ვიცი, არ ვიცი.

— არა, მე ვგრძნობ, რომ ცუდი ყოფაქცევის ქალი გგონივართ, — ნაღვლიანად ამოიოხრა სევინმა, საითს მიეკრო და ჩაიჩურჩულა, — თუ გინდათ, დაგიმტკიცებთ კიდევ, რომ...

ამ დროს ტაქსი ფერფერიკთა სახლთან გაჩერდა და სევინმაც, სამწუხაროდ, ვერაფრის დამტკიცება ვერ მოასწრო.

მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, სევინმა გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ ვცდილობდეს.

— გინდათ, დედაჩემს გაგაცნობთ.

— უხერხული არ იქნება?

— დედაჩემი ყველაზე დემოკრატიული ქალია მთელ მსოფლიოში.

— მე მინდა, რომ ჯერ დედაჩემი მოვიდეს დედათქვენთან. თქვენ რას იტყვოდით?

სევინმა, თითქოს ვერაფერი გაიგო, კითხვა შეუბრუნა:

— რატომ უნდა მოვიდეს?

სარიოლლუ პამიდორივით გაწითლებულიყო, თავი ჩაეჭინდრა და ფეხსაცმლის ჰვინტით მიწაზე რალაც-რალაცებს ხაზავდა.

— იმიტომ რომ... რადგანაც... საჭიროა... დედათქვენს მოელაპარაკოს ჩვენი...

— რატომ დეიდა? განა დედა არა გყავთ?



— არა მყავს, მე დეიღამ გამზარდა.

— მაშ, კარგი... კიდეც შევხვდებით, არა?

— დიახ, ნახვამდის.

და ერთმანეთს გაშორდნენ. სევიმმა სიმღერითა და ცეკვა-ცეკვით აირბინა ქიბე და კარის ზღურბლისთვის არც გადაუბიჯებია, ისე შესძახა:

— დედა! დედიკოო... ვიპოვე, ჩემი ბავშვის მამა ვიპოვე! ვაშაა!

დეიდა ბერიძე

საითი ისე მიჰქროდა შინ, თითქოს ფრთები გამოესხაო. ეს, რასაკვირველია, სიყვარულის ფრთები იყო. კარის ზღურბლზე არც კი გადაედგა ფეხი, რომ თავისი კეთილი დეიდა, ყოვლად დარბაისელი ბერინ ხანუმ ეფენდი ახალი ამბით გააოგნა: ძალიან მალე, სულ რამდენიმე დღეში ცოლს ვირთაო, ესე იგი, კანონიერად ვქორწინდებითო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოჯახური ბუდე უნდა მოვწნა, რადგან ამ ბუდისათვის მერცხალი უკვე ვიპოვეო. ამ მერცხალს სევიმი ჰქვია, ჩემი მზეთუნახავი, ჩემი ვარსკვლავი!.. სწორედ ასეთ გოგოზე ვოცნებობდი მთელი სიცოცხლე. ჯერ ის ნახეთ, რა სახელი ჰქვია — სევიმი! სე-ვი-მი! სევიმი განსახიერებაა სათნოებისა და სიყვარულისა. რა გვარია? არა, გვარი არ მახსოვს, გვარიშვილობა რა სახსენებელია! მალე ისიც სარიოდლუ გახდება. სად გავიცანი? უჰ, ამოგხდიან სულს, ქუჩაში გავიცანი, ქუჩაში, ბატონო! აბა, სად უნდა გამეცნო. ქუჩაში გავიცანი, კინოში შემეყვარდა და შინ გაცილებისას დავრწმუნდი, რომ ასეთ ადამიანს შეიძლება თამამად ანდო საკუთარი ბედი.

დეიდა ბერინს მტკიცედ სწამდა, რომ მისი საითის საცოლვე დიდებულთა და საყოველთაოდ პატივდებულთა ნაშიერი უნდა ყოფილიყო. სწორედ ასეთი ქალი იქნებოდა მათი გვარის შესაფერისი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმე შარახვეტიას გადაეყაროს ბიჭი, თორემ მერე მორჩა, დაიხვევს ის ქალი ამ ანგელოზს ხელზე. არადა, საითის ქონების გულისათვის რას არ იზამს ქალი!

საითმა დეიდა დაამშვიდა, ეგ ყველაფერი ტყუილი შიშიაო.

— თქვენ ხომ მაინც იცით, დეიდა... რამდენი ქალი მყოლია, მაგრამ მასზე ღირსეული არავინ შემხვედრია.

— ასე უცებ, ერთი ნახვით როგორ მიხვდი, რანაირიც არის, შვილო!

— დეიდა, თქვენ გავიწყდებათ, რომ მე პარიზში ვსწავლობდი. კაცს შევხვდავთუ არა, იმ წუთში მივხვდები, რა შვილიც არის. ხოლო სევიმს წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, თუ რა ქონების პატრონი ვარ.

— ძალიან მიმნდობი ხარ, შვილო!

— არა, მე მწამს, რომ სევიმი წესიერი ოჯახის შვილია. გაიკითხ-გამოიკითხეთ და თქვენც დარწმუნდებით. ძალიან გთხოვთ, ხვალ დედამისს ეახლოთ და მზეთუნახავი სევიმის ხელი სთხოვოთ.

— არა, შვილო, ასე არ იქნება, ხელის სათხოვნელად თვითონ უნდა მიხვიდე. აი, თუ გოგომ უარი გითხრა, მერე მე მივალ!

— კარგით, ყველაფერს ისე მოვაწყობ, რომ გაგიკვირდებათ კიდეც.

საითი ხელის სათხოვნელად მიდის

საითმა კარგა საათ-ნახევარი იტრიალა ფერფერიკების სახლთან, ბოლოს როგორც იქნა, გაბედულად შევიდა სადარბაზოში, ზარის დასარეკად ხელი ასწია და... ამ დროს კარი მოულოდნელად გაიღო და იქიდან ვიღაც ახალგაზრდა გამოვარდა. საითმა ახლაც არ იცის, ასე უცებ როგორ ავარდა ზედა სართულზე. „ეს ალბათ სევიმის უფროსი ძმა იყო“, გაიფიქრა საითმა. ცოტა ხანს დაიცადა და უხმაუროდ დაეშვა კიბეზე. ისევ გაიღო სევიმის სახლის კარი და ახლა ორი მამაკაცი გამოვიდა. ის მამაკაცები სევიმის მამის ტოლნი იქნებოდნენ. საითი ტყვიასავით გავარდა ქუჩაში და გაოგნებული შეჩერდა. შეჩერდა თუ არა, სახლის კარი კვლავ გაიღო და კვლავ მამაკაცები გამოვიდნენ სევიმის სახლიდან. რამდენიმე წუთში იგივე ამბავი განმეორდა.

მთელი ერთი საათი, ვიდრე გაბედულება კვლავ არ დაუბრუნდა, უაზროდ წრიალებდა იგი სახლის ირგვლივ. ისევ შევიდა სადარბაზოში, ზარისაკენ წაიღო ხელი, რომ დაერეკა, მაგრამ ვიღაცამ დაასწრო და ზარს თამამად დააჭირა თითი. საითმა შიშით მოიხედა. სამი კუნთებდაბერილი ყმაწვილი შემოხვეოდა გარს.

— პიუონ, შენ აქ რაზე მოსულხარ?

— უკაცრავად, თქვენ მე ვიღაცას მიმამსგავსეთ.

— შენ რომელი გუნდიდან ხარ? — ჰკითხა მეორემ.

— რომელი გუნდიდან? არც ერთი... მე ჩემთვის ვარ, რაო, უსათუოდ რომელიმე გუნდში უნდა ვიყო? ვისთან მაქვს პატივი საუბრისა?

ამ დროს კარიც გაიღო, თვალის დახამხამებაში სამივენი ოთახში შეცვივდნენ და კარი კვლავ მოიხურა.

ახლა სულ დაიბნა საითი. ქუჩაში გამოვიდა და ბოლთის ცემას მოჰყვა, თან მათემატიკურად აანალიზებდა ნანახს. „სამი საათის განმავლობაში ფერფერიკთა ოჯახში შევიდა ექვსი კაცი, იქიდან კი სამი გამოვიდა. ამოცანა გვეკითხება, რამდენი კაცი შეიძლება შევიდეს დღე-ღამის განმავლობაში? რატომ მხოლოდ მამაკაცები შედიან ფერფერიკების სახლში? არა, შეუძლებელია მისი სანატრელი სევიმი ასეთ სახლში ცხოვრობდეს“. ამოცანა ისევ ამოუხსნელი დარჩა.

საითმა პასუხის მოლოდინში მიმოიხედა, მაგრამ ირგვლივ არავინ იყო. ჯორიახლოს მეწვრილმანის ფარდული იდგა და იქითკენ გაემართა.

— მაპატიეთ, — მიმართა მან მეწვრილმანეს, — სევიმ ხანუმი რომელ სახლში ცხოვრობს, ხომ ვერ მიმასწავლიდით?

— თქვენ რომელი სევიმი გნებავთ? ყოვლისმცოდნე სევიმი? იქნებ ფაშა ფაშა სევიმი ან ქურთი სევიმი? აქ მღეჭავა სევიმიცა გვყავს, მეაფთიაქის ცოლი, ჩვენს ქუჩაზე ძალიან ბევრი სევიმია. აბა, რა ვიცი, თქვენ რომელს ეძებთ?

— თუ ეს ტიპი ფეხბურთელია, ნაღდად ჰასიფ ბეის გოგოს დაეძებს, — უთხრა მეზობელმა მეწვრილმანეს.

საითმა იქვე მდებარე სახლზე მიუთითა.

— თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამ სახლში უნდა ცხოვრობდეს...

— გვარად ფერფერიკია, არა?

— ჰო...

— თქვენ რომელი გუნდიდან ხართ?

საითს გაახსენდა, ერთხელ უკვე რომ ჰკითხეს, რომელი გუნდიდან ხარო, და გაუკვირდა.

— ყველას რატომ ჰგონია, რომ მე გუნდში უნდა ვიყო?

— მაშ, ის მაინც გვითხარი, რომელი გუნდის გულშემმატკივარი ხარ.

— ალბათ ეგეც იმ გუნდისთვის იკლავს თავს, რომლისთვისაც სევიმი, — თავისი მოსაზრება გამოთქვა გამყიდველმა.

მეორე გამყიდველმა საგულდაგულოდ შეათვალიერა საითი და თქვა:

— ეს ტიპი არც ანკარის გუნდებში თამაშობს, არც სტამბოლისა და არც იზმირისა, მე ყველას კარგად ვიცნობ. და საერთოდ ეგ ფეხბურთელი არ არის.

საითმა მადლობა გადაუხადა და ქუჩაში გამოვიდა. სწორედ ამ დროს აივანზე სევიმი გადმოდგა.

— დედა, დედა! — დაიძახა სევიმმა, — ჩქარა გამოდი აივანზე, ჩქარა! ის ბიჭი გაჩვენო, ჩემი ცოლად შერთვა რომ უნდა. — მაგრამ როცა მეჭურე ხანუმი აივანზე გამოგორდა, საითმა ფეხი ფეხს წაჰკრა და ამხელა აყლაყულა ლამის ასფალტზე გაიშოტა.

— კარგია, კარგი ბიჭი ჩანს... ჩვენ რომ გამოგვადგება, ისეთი, — თქვა მეჭურე ფერფერიკმა.

სასწრაფო საქმეები რომ არა, სევიმი სახლში მოიწვევდა საითს ან თვითონ ჩავიდოდა ქვევით, მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, სწორედ დღეს უნდა შეხვედროდა „თოზკოფარანის“ მოთამაშეებსა და გუნდის გენერალურ თავმჯდომარეს დუნდარ-დუბარა ბეის. დღესვე უნდა შეემუშავებინათ იმის გეგმა, თუ როგორ გადმოიბირონ „თოზკოფარანის“ მოქიშვე „ჰაჯეთბაბადან“ ყველაზე ჭაუკეთესო თავდამსხმელი ვაზიქ იოზერი. ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს მხოლოდ და მხოლოდ სევიმი თუ მოაბამდა თავს, თორემ სხვა ვინ შესძლებდა! დუბარა ბეისაც მისი დიდი იმედი ჰქონდა. ამ რამდენიმე ხნის წინ ხომ სწორედ სევიმმა შეძლო „თოზკოფარანში“ გადმოებირებინა ახლა საქვეყნოდ ცნობილი ეროვნული ნაკრების იმედი ახმედ კედელა.

ვიდრე აქ სევიმი საიდუმლოდ ბჭობდა, საითს მობეზრდა სახლთან წალმა-უკულმა წრიალი. დარწმუნდა, რომ ამ სახლში შესასვლელ ძალას ვერასოდეს მოიკრებდა. ამიტომაც გადაწყვიტა, ტელეფონით დავურეკავო. ტელეფონი საქმესაც გამიიოლებს, უფრო თავისუფლად გადაუხსნი გულს, ყველაფერს ვუამბობ, იმასაც ვეტყვი, თუ როგორ მიყვარს და უმალ მივახლი, თანახმაა თუ არა, ცოლად გამომყვესო, — ფიქრობდა საითი, ხოლო თუ სევიმი თანახმა არ იქნებოდა, საითს თავი უნდა ჩამოეხრჩო.

ქუჩის ტელეფონ-ავტომატების ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. ამას ვარდა, ასე საჯაროდ ვერც გადაუხსნიდა გულს, ამიტომ სასწრაფოდ ტაქსი დაიჭირა და სახლში გაქანდა. მადლობა ღმერთს, შინ არავინ იყო.

ტელეფონის წიგნში ფერფერიკების ტელეფონის ნომერი მონახა და აცახცახებული ხელით ნომერი აკრიფა.

— გისმენთ, — გამოეპასუხა საითს მამაკაცის სასიამოვნო ხმა.

— მაპატიეთ, თუ შეიძლება, სევიმ ხანუმს სთხოვეთ.

— ერთი წუთით მოითმინეთ!

საითს მალე ქალის ხმა მოესმა:

— გისმენთ!

— გამარჯობათ, სევიმ!

- გამარჯობათ!
- როგორა ხართ?
- გმადლობთ, კარგად.

ჩვენში ერთ ამბავს ასტეხენ ხოლმე, ქუჩის ტელეფონ-ავტომატები წესდებოდა არ მუშაობსო, ვითომ ბინიდან კი შეგეძლოს სადმე შენს გემოზე დარეკვა. სევიმი, რომელსაც ახლა საითი ელაპარაკება, ერთ-ერთი იმ ყმაწვილ ქალთაგანი გახლდათ, წინდების ფაბრიკაში რომ მუშაობენ; ასე რომ საითი სევიმის სახლის ნაცვლად წინდების ფაბრიკაში მოხვდა. სევიმს ძალიან ხშირად ურეკავდნენ მამაკაცები, ამაზე ფაბრიკის პატრონი ბრაზობდა, დღედაღამე ტელეფონზეა ჩამოკიდებულიო. ახლა ფაბრიკის პატრონი გასული იყო და სევიმს შიშით სული ელეოდა, ვაითუ შემომისწროსო. ამიტომაც არ უნდოდა საუბარი გაება.

— მე იმიტომ გაწუხებთ, სევიმ ხანუმ, რომ... — შორიდან დაიწყო საითმა.

— უცებ მითხარით. რა გინდათ, ძალიან მეჩქარება.

საითს ყელში რალაცა მოაწვა და ენა ვეღარ მოაბრუნა.

— საქმე იმაშია, რომ.. მე... იმიტომ შეგაწუხებთ, რომ... მე...

— ჰო, მერე?

— მე მინდა ჩემი ცოლი გახდეთ, — უცებ წამოიძახა საითმა და გაინაბა.

სევიმ-მეორემ ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რომელი მეგობარი ამასხარავებდა ახლა, ან იქნებ სულაც ის ტიპი ურეკავდა, ამ ორი დღის წინ რომ აეკიდა ქუჩაში და სახლამდე მიაცილა? თუმცა, ვინ იცის, რომელი ერთი იყო.

— არ მეხუმრებით?

— არც... არც მიფიქრია... აბა, რა საკადრისია... მე ყველაფერს გავაკეთებ, სევიმ ხანუმ, რომ თქვენ ბედნიერი იყოთ...

— ყველა კაცი ასე ლაპარაკობს, არ ვიცი, გენდოთ კია?

— მენდეთ, სევიმ ხანუმ, მენდეთ, — ციებიანივით კანკალებდა საითი.

— არ გადაიფიქრებთ?

— არასოდეს, სევიმ ხანუმ, არასოდეს.

— სხვებიც ასე ამბობდნენ. ადრე დალაქმა სულეიმანმა შემომთავაზა, ცოლად გამომყევით, მერე მოფერმა ნურიმ, ამას წინათ კი ოფიცერმა ჰამდომ, მაგრამ სამივე ისე აორთქლდა, კვალს ვერსად მივაგენი.

— მე მართლა მაქვს გადაწყვეტილი, — ენა ებმოდა საითს, — მე მიყვარხართ!

— მართალი გითხრათ, დიდი ხანია გათხოვება მინდა. მთავარია, წესიერი კაცი შემხვდეს, ექიმი ან ინჟინერი, ბოლოს და ბოლოს ლეიტენანტი მაინც უნდა იყოს.

საითს თვალის ჩინი არ უვარგოდა, თორემ სმენა ჩინებული ჰქონდა. საუბრის დასაწყისშივე უცნაური ეჩვენა სევიმის ხმა.

— ხომ კარგადა ხართ, სევიმ ხანუმ?

— მაგას რაზე მეკითხებით?

— ხომ არ გაცივდით-მეთქი.

— ცოტა კი შემაცივა, მაგრამ ახლა ისე ვღელავ...

„ღმერთო დიდებულიო, ნუთუ ასე ააფორიაქა ჩემმა წინადადებათ?“ — გაუელვა თავში საითს.

— ამ დღით მარცხენა თვალი მითამაშებდა, ეს კი კარგად მაქვს დაცლილი, — განაგრძობდა სევიმ ხანუმი, — მე თანახმა ვარ თქვენი ცოლი გავხდე, მაგრამ მინდა კიდევ დავფიქრდე. ამ საღამოს უნივერსიტეტის ერთ სტუდენტთან მაქვს პაემანი (სინამდვილეში ის ბიჭი სტუდენტი კი არა, მეჯღანე იყო), კარგა ხანია ერთმანეთს ვხვდებით. იმასაც უნდოდა ჩემი ცოლად შერთვა, მაგრამ ახლა რაღაც იპრანჭება და... მინდა საბოლოოდ გავარკვიო...

„ცოტა უხეშად ხომ არ ველაპარაკები?“ — გაიფიქრა ცრუ სევიმმა და ამიტომ გადაწყვიტა, იყო თუ არა საჭირო, წინადადებაში „მაპატიე“ ჩაერია.

— ამ საღამოს, მაპატიეთ, პაემანი მაქვს იმ ბიჭთან, თუ ის, მაპატიეთ, მოვა, მაშინ... ხოლო თუ არ მოვა, მაპატიეთ და...

— მაშ დღეს ერთმანეთს ვერ ვნახავთ? — წყალწალეხული კაცივით ალუღლუღდა საითი.

— დღეს, მაპატიეთ, ვერა, ვერ ვნახავთ... ის ბიჭი, მაპატიეთ, ძალიან ეჭვიანია, იმან რომ დაგვინახოს, მაშინ თქვენ, მაპატიეთ, და კარგ დღეში არ ჩავარდებით.

— თქვენთან რომ მოვიდე სახლში? — გაბედა საითმა.

ცრუ სევიმს სულაც არ უნდოდა, რომ კაცს, ვისაც მისი შერთვა ეწადა, ენახა, რა საძაგელ ბინაში ცხოვრობდა იგი.

— არა, მაპატიეთ, ხვალ საღამოს ეტუალის კაფეში დაგელოდებით, მაპატიეთ, ექვს საათზე!

ამ დროს ოთახში ფაბრიკის პატრონი შემოვიდა და სევიმს საუბრის გაგრძელება აღარ ეწადა.

— მაშ ასე, მაპატიეთ, შევთანხმდით ხომ?

— ჰო, შევთანხმდით.

— ნახვამდის, მაპატიეთ!

— ხვალამდე, — საითმა ყურმილს აკოცა.

მთელი საღამო და მომდევნო დღე საითი აფორიაქებული იყო, ადგილი ვერ ეპოვა. „მალე შევხვდები და ცოლობაზე თანხმობას მეტყვის“, სიხარულით აღტყინებული ფიქრობდა, მაგრამ უმალ შუბლი შეეჭმუხნებოდა, როცა გაახსენდებოდა: „მაპატიეთ, მაგრამ არის ერთი სტუდენტი, რომელსაც ვერაფრით, მაპატიეთ“... ამის გახსენებისთანავე სევიმის ქუჩაზე გავარდებოდა, გარს უვლიდა სახლს, შესცქეროდა მის ფანჯრებს, სადაც უამრავი ლანდი ირეოდა... ნეტა სევიმი რომელია? იქნებ აი ეს?

მთელი ღამე უძილოდ გაატარა, ამიტომ მეორე დღეს ძლივს წამოდგა ლოგინიდან და გამოიკითხა, თუ სად მდებარეობდა ეტუალის კაფე. ასეთი კაფე კი სამი ყოფილა სტამბოლში. მოდი და მიხვდი, რომელ მათგანში უნდა შეხვდეს სევიმს, დაეთქვათ მაინც.

— ალბათ სწორედ იმ კაფეში უნდა მივიდე, რომელიც მის სახლთან ახლოსაა, — ჩვეული მიხვედრილობით დაასკვნა საითმა, — თუ იქ არ იქნება, ტაქსს დავიჭირავებ და დანარჩენებს ჩამოვივლი.

საითი ხუთ საათზე კაფეში იყო. სევიმთან შეხვედრაზე, ნება-ნება საუბარზე ოცნებობდა, ამიტომ მაგიდა კუთხეში, მყუდრო ადგილას ამოარჩია და სევიმის მოლოდინში ექვს საათამდე გაუნძრევლად იჯდა, სევიმი კი არა და არ ჩანდა. ათი წუთი გადასცილდა, სევიმი მაინც არ მოვიდა.

ამ დროს, ცოტა მოშორებით, სხვა მაგიდასთან წინდების ფაბრიკის თანა-

მშრომელი სევიმი იჯდა და ელოდა იმ ყმაწვილს, რომელმაც დაურეკა და, ცოლად გამომყევით, სთხოვა. საითსა და სევიმს შორის სამი ცარიელი მაგიდა იდგა. სასიძო აგვიანებდა, საპატარძლოს ბრაზი ერეოდა, რადგან იქ შეყრილი ყაყანა მამაკაცები უკვე მუშტრის თვალით შესცქეროდნენ. სევიმმა მაინც მოათვალერა მაგიდებთან მსხდომი მამაკაცები, საითისათვის კი ყურადღებაც არ მიუქცევია, რადგან თვალში მაინცდამაინც არ მოუვიდა.

საითი აწრიალდა, სევიმი აგვიანებდა. რა ხანია შვიდი საათი დაიწყო და საპატარძლო არა ჩანდა. ჯერ კიდევ მოასწრებდა სხვა კაფეების ჩამოვლას, მაგრამ ამასობაში სევიმი რომ აქ მოსულიყო?

საითმა მსახურს უხმო:

— აქ ერთი ახალგაზრდა ქალი უნდა მოვიდეს, გამხდარი, შავთმიანი, წვრილი წარბები აქვს... თუ ასეთი ხანუმი დაინახოთ, სახელი ჰკითხეთ, თუ იმ ხანუმს სევიმი ერქვას, სთხოვეთ დამიცადოს, მე ახლავე დავბრუნდები.

— აქ არის ერთი გოგო, შავთმიანია, წვრილი წარბები აქვს, გამხდარია, სახელადაც სევიმი ჰქვია, იქნებ ის არის, უკვე კარგა ხანია მოვიდა.

— მე იმაზე გელაპარაკები, რომელიც აწი მოვა...

საითმა ტაქსი გააჩერა და ათ წუთში მეორე „ეტუალში“ იყო. სევიმი ვერც აქ ნახა. ერთ-ერთ მსახურს სთხოვა — ასეთი და ასეთი ქალი უნდა მოვიდესო, სახელად სევიმი ჰქვია და დამიცადოსო. კიდევ ერთი „ეტუალი“ იყო სტამბოლში და ახლა იქ გავარდა. სევიმი არც იქ დახვდა, იქაც დაიბარა — ამნაირი და ამნაირი ქალი თუ გამოჩნდეს, ასე და ასე მოიქეციოთ, და იქიდანაც გამოვარდა. ასე დარბოდა სამ „ეტუალს“ შორის. რომელიმე „ეტუალში“ შევიდოდა თუ არა, მიმტანები იქვე მიახლიდნენ, ამნაირი და ამნაირი სევიმი არ გამოჩენილაო. ერთ-ერთ მიმტანს შეებრაღა და უთხრა:

— სხვა გოგო რომ იყოს და იმასაც სევიმი ერქვას? ეგერ ზის, შეხედეთ! თუ გნებავთ, გაგაცნობთ, ისეთი გოგოა, რომ... ნამდვილად ისიამოვნებთ!

მღელვარებისაგან აწითლებული საითი სასოწარკვეთამ მოიცვა. როგორც ჩანს, სევიმი იმ სტუდენტთან დარჩა... მაშ, რაღას პირდებოდა! როგორ შეიძლება ქალმა ასე უცებ დაივიწყოს კინოთეატრის ლოჟაში გატარებული ნეტარი წუთები? ეჭვი გულს უკლავდა ყმაწვილს.

საითი ყველაფრისთვის მზად იყო, მთელ თავის ქონებასაც გაიმეტებდა, ოღონდ... ოღონდ ეს არი, რომ თავადაც არ იცოდა, რა ქონების პატრონია, რა გააჩნია, რადგან სარიოლლუთა ქონებას მორჭმულთა საოჯახო საბჭო განაგებდა.

საითისა და ახმელის პირველი შეხვედრა

მას შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა. საითის კვალიც აღარსად ჩანდა. სევიმი სულაც დაივიწყებდა საითის არსებობას, რომ სავსებით მოულოდნელად არ შეეტყო, საითი ზღაპრული სიმდიდრის კაციო.

აბა, ვინ არ იცნობს სტამბოლში სარიოლლუთა საპატიო და საპატივცემულო ოჯახს!

მაშ ეგრეა? მაშ, გვარიშვილიც დიდებული ყოფილა? აბა ასეთი ნადავლი როგორ უნდა გაუშვას ხელიდან? ერთხელ მაინც გადაეყრებოდეს სადმე სა-

ითს, ოღონდ გადაეყრებოდეს და მერე სევინი არ იქნება, თუ ოდესმე მისგან პირი იბრუნოს საითმა. ამისთვის საჭიროა მქრქალი შუქი ოთახში და სულ რამდენიმე წუთის გულითადი საუბარი. „ჩემო ძვირფასო, ჩვენ მალე პაწია ბარტყიც გაგვიჩნდება“, — ეტყვის ჩურჩულით. ყოველი პატიოსანი, უფრო სწორად, გულუბრყვილო და მიმნდობი მამაკაცი (მამაკაცები კი შეტწილად ასეთნი არიან), ამნაირ ამბავს რომ შეიტყობს, სიხარულით ცას ეწევა. სევინი ხომ სიმართლეს ეტყვის — მას ხომ მართლაც მალე გაუჩნდება ბავშვი, სწორედ საითი უნდა გახდეს ამ ბავშვის მამა.

სევინი მოუთმენლად ელოდა ასეთ შემთხვევას და აუხდა კიდევ ოცნება — ერთ დილას ფანჯარა რომ გააღო და ქუჩაში გადაიხედა — კურთხეულ იყოს დიდებული და ყოვლისშემძლე ალაჰის სახელი! — ქუჩაში საითი დაბორი-ალობდა.

უცებ ტანთ ჩაიცვა და ორიოდ წუთში ქუჩაში გაჩნდა. არასოდეს ასე არ უჩქარია სევინს. რამდენჯერმე გვერდი აუქცია, არ უნდოდა თვითონ გამოლაპარაკებოდა, იქნებ საითმა მიცნოსო, მაგრამ საითს ერთხელაც არ გაუხედავს თავისი ბედის ვარსკვლავისაკენ, დასეირნობდა და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. ამიტომ სევინი იძულებული გახდა მხარი გაეკრა საბრალო ყმაწვილისათვის. საითი ლამის წაიქცა.

— პარდონ, — ჩაილაპარაკა მან ფრანგულად.

და რადგან საითმა ვერც ახლა იცნო გულის სწორი, სევინმა აღარ დააყოვნა:

— აჰ, ეს თქვენა ხართ?! არ მოველოდი, თუ გნახავდით... საქმეზე გავრბოდი და...

საითს გული შეუქანდა, ხმაზე იცნო თავისი საოცნებო არსება და, სმენა ხომ არ მატყუებსო, სულ ახლოს მივიდა სევინთან, ლამის ცხვირზე მიადო ცხვირი.

— კი, მე ვარ... — მღელვარებისაგან ხმა აუკანკალდა ყმაწვილს.

— მაშ, თქვენ სტამბოლში ხართ? — გაიკვირვა სევინმა.

— დიახ, სტამბოლში ვარ.

— რატომ ერთხელ მაინც არ შემოიარეთ ჩვენთან? მე ისე გელოდით. „ოჰ, ღმერთო, მოდი და ნუ გადაირევი კაცი!“

— მართლა? კი მინდოდა მოსვლა, მაგრამ... დამავიწყდა... თქვენს სახლს ვეღარ მოვაგენი...

— აგერ, ეს არის ჩემი სახლი.

— ესა? ეს არის?

— თუ სადმე არ მიგეჩქარებათ, გავისეირნოთ, — სევინი შეშინდა, ძლივს ნაპოვნი საქმრო ხელახლა არ დაეკარგო.

სევინი საკმაოდ გამოცდილი ქალი გახლდათ და ეს გამოცდილება კარნახობდა, რომ მოკრძალებულ მამაკაცებს ალერსიანად უნდა ელაპარაკო, თუ გინდა მოკრძალება დაავიწყო. ამიტომ ერთი წუთითაც არ გაუჩერებია ენა. ბოლოს თითქოს საითიც გამოცოცხლდა, გაბედულება შეემატა.

რამდენჯერმე გადაყლაპა ნერწყვი და ამოღერდა:

— სევინ ხანუმ, მე მინდა... თუ თქვენც ნებას დამრთავთ, მინდა ერთ ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე მოგელაპარაკოთ.

სევინი უმალ მიხვდა რა „მნიშვნელოვან საკითხზე“ უნდა ესაუბრა სა-

ითს. როცა მისი მშობლები „მნიშვნელოვან საკითხზე“ საუბრობდნენ, სიტყვა უთუოდ მის გათხოვებაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე.

— წავიდეთ, სადმე დავსხდეთ, დრო ხომ გაქვთ?

— რამდენიც გენებოთ, — სიხარულით წამოიძახა საითმა.

უახლოეს ყავახანაში შევიდნენ. თეთრწვერა, საამო შესახედაობის კაცი შემოეგებათ. იგი პროფესორს უფრო ჰგავდა, ვიდრე მსახურს. ეს კაცი კარგად იცნობდა სევიმს და ამიტომაც ერთი მყუდრო ადგილი შეურჩია სტუმრებს. აქ ყოველი შემოსული მათ ვერც კი დაინახავდა. სევიმი მაგიდას მიუჯდა, ხოლო საითი ლაბადის გასახდელად დარბაზიდან გავიდა. ჯერ არ გათენებულა ისეთი დღე, რომ საითი ულაბადოდ გამოსულიყო სახლიდან. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, პაპანება სიცხე იყო თუ წვიმა.

დარბაზში რომ მობრუნდა, თვალმოჭუტულმა ხალხი მოათვალიერა და ერთი მაგიდისაკენ გაემართა. მისი ვარაუდით სწორედ აქ უნდა მჯდარიყო სევიმი. მივიდა, დაჯდა და, გაბედულობამ არ მიმტყუნოსო, უმაღლ დაიწყო:

— ხანუმ ეფენდი, საკითხი, რომლის თაობაზეც თქვენთან საუბარი მსურდა, იმდენად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რომ...

ოჰ, ეს გული... როგორ ძლიერად უძგერს... ველარც ენას აბრუნებს. ამიტომ თავი დახარა, ცოტა სული მოვითქვაო.

მოშორებით, მეორე მაგიდასთან სევიმი ტუჩებზე პომადას იცხებდა და არც დაუნახავს, როგორ შემოვიდა დარბაზში საითი.

— სადაცაა ჩემი ქმარი შემოვა, — ღიმილით თქვა ქალმა, რომელთანაც საითი დაჯდა, — მაგრამ თუ თქვენ ასე ძალიან გინდათ ჩემთან... ერთი სიტყვით, ხვალ ამ დროს აქვე შევხვდეთ...

გაოცებულმა საითმა თავი ასწია და მოულოდნელობისაგან გაშრა. მის წინ სრულიად უცხო ქალი იჯდა.

— თ... პარდონ... მაპატიეთ... შემეშალა... მე სხვა მეგონეთ... — იგი შუა დარბაზში გამოვიდა და უმწეოდ აცეცებდა თვალებს. საით წასულიყო? სად იჯდა სევიმი?

— აქ ვარ, საით! — ტუჩების შელამაზებას მორჩა სევიმი.

ნირწამხდარი ყმაწვილი ენაჩაგდებული დაჯდა, არ იცოდა, რა ეთქვა. ისევ სევიმი მიეშველა.

— თქვენ, მგონი, მოლაპარაკება გინდოდათ.

— ჰო, მინდოდა, ძალიან მინდოდა... მინდა რჩევა გკითხოთ — ფეხბურთის რომელი გუნდის გულშემატკივარი უნდა იყოს კაცი?

— ამისათვის მომიყვანეთ აქ? ეს არის ის მნიშვნელოვანი საკითხი? — ბრაზი მოერია სევიმს.

ამასობაში გლიასეანი ყავაც მოიტანეს. სევიმი უხმოდ იჯდა. ყავა დალიეს. მერე ქალმა თქვა:

— წავიდეთ.

— როგორც გენებოთ.

ტაქსში არც ერთს არ ამოუღია ხმა. სევიმი ისე იყო გაბრაზებული, ერთი სული ჰქონდა, როდის მოიცილებდა ამ ხეპრეს. გადაუდებელი საქმეები მაქვსო, თქვა და მანქანა გააჩერებინა. საითი გაუბედურებული დადგა მის წინ. ქალმა ერთხელ კიდევ ყურადღებით შეათვალიერა და მიხვდა, რომ მისი ხელიდან გაშვება არ იქნებოდა. ამიტომაც კილო შეიცვალა და უთხრა:

— იქნებ შემოიაროთ ჩემთან?

საითმა სლუკუნით გადაუხადა მადლობა და, როცა სევიმმა დამშვიდობებისას ხელი გაუწოდა, ისეთ ბედნიერ კაცად იგრძნო თავი, ლამის გრძნობა არ დაკარგა. შინ მობრუნებული სევიმში აქვითინებული დაეცა დივანზე. მეჭურე ხანუმი გაოცებული შესცქეროდა შვილს და ბუტბუტებდა: ალაპ, ალაპ, სევიმო და ტირილი? ეს რა სასწაულია? მეჭურე ხანუმს არ ახსოვს, რომ მის ქალს მამაკაცის გამო ეტიროს.

— შვილო, ნუთუ შეგიყვარდა ის დოყლაპია? მაშინ უფლებას არ მოგცემ ცოლად გაჰყვე. თუ ქალს ჭკუა აქვს, ძვირფას და საყვარელ კაცს არ უნდა გაჰყვეს ცოლად, თორემ უბედური იქნება. დაიმახსოვრე ეს!

ამ დროს ახმედიც მოვიდა.

— დამცინის, დამცინის, ჯერ არც ერთ მამაკაცს ასეთი რამ არ გაუბედავს ჩემთვის, — ყვიროდა სევიმი.

ახმედს გულწრფელად შეებრაღა ძვირფასი სევიმი.

— აბა, ტირილს შეეშვი, იმ უტვინოს კი მე მივხედავ, მე ვაჩვენებ, როგორ უნდა უმწეო ქალის გამასხარავება.

გავიდა ორი დღე. საითმა, როგორც იქნა, დეიდა ბერინი გაგზავნა ფერფერიკებთან: რიგიანად გაეცანი ოჯახს და ქორწინების დღეც დანიშნეო. დეიდა ბერინი სიამოვნებით წავიდა ფერფერიკების სახლში, რადგან დარწმუნდა, საითი უჩემოდ ვერაფერს გააწყობსო. ამას გარდა ძალიან ეწადა ქორწილი ძველებურად გადაეხადათ, ამიტომაც თვითონ უნდა ჩარეულიყო ყველაფერში.

საითი მოუთმენლად ელოდა ფერფერიკთა ოჯახიდან დეიდა ბერინის დაბრუნებას. მღელვარებისაგან აღგილი ვერ ეპოვა, ოთახებში დარბოდა, ლექსებს კითხულობდა, მღეროდა. შესასვლელში რომ ზარი დარეკეს, სიხარულით მივარდა კარს.

— აბა, ჩქარა მითხარი, რა ამბავი მომიტანე? — მოუთმენლად წამოიძახა საითმა, ვიდრე კარს გააღებდა.

— შენ დროზე გააღე ეგ კარი და ბევრს ნუ ქაქანებ მანდა, — მოესმა ელაცის ჩახრინწული ხმა.

კარი გააღო. საითის წინ უცხო კაცი იდგა.

— მაპატიეთ, თქვენ არ გელოდით.

— ეგ არაფერი, ახლავე გაგიცნობ, რა შვილიცა ხარ! მე შენ ჭკუა უნდა გასწავლო!

— მობრძანდით, ეფენდი...

ასე გაიცნეს ერთმანეთი ახმედმა და საითმა. ჯერ უხმოდ შესცქეროდნენ ერთიმეორეს, მერე ახმედი წამოდგა და კედელს მიუახლოვდა. კედელზე წვერ-მოშვეებული, ორდენებით მკერდდამშვენებული ფესკიანი ფაშების სურათები ეკიდა, ჭერზე — ძველებური ჭაღი. აივნიდან დიდი, მაგრამ მოუვლელი ბაღი მოჩანდა.

— ეს შენი სახლია? — ახმედი სულაც არ იყო უხეში კაცი, მაგრამ ფიქრობდა, საითთან ისე უნდა გეჭიროს თავი, როგორც ფეხბურთის მოედანზე მოწინააღმდეგესთანო.

— დიახ, ჩვენი სახლია, ეფენდი, — მორიდებით უპასუხა საითმა.

ახმედი კვლავ დაჯდა.

— შენ, რასაკვირველია, კარგად იცი, ვინცა ვარ!

საითი, უფრო კარგად დავაკვირდეთ, ახმედს მიუახლოვდა.

— მაპატიეთ, ეფენდი, ვერაფრით ვერ ვაგიხსენებ, სად შეიძლება გავ-
ვეცნო ერთმანეთი?

— როგორ, მე ვერ მიცანი?

— მაპატიეთ, ვერ გიცანით.

— მაგას მართლა ამბობ თუ დამცინი? აბა, კარგად დამაკვირდი! ვისა
ვგავარ?

საითი ისე მიუახლოვდა, რომ ლამის ცხვირი არ დაჰკრა ახმედის ცხვირს.

— იქნებ დურბინდით შემომხედო? გვერდით არ მიზიხარ? რა მოგივიდა,
მოიხსენი ეგ სათვალე და ისე დამაკვირდი.

— მხედველობა არ მივარგა და... ხომ ვერ გამახსენებდით, სად გავიცანით
ერთმანეთი?

ახმედი დაიბნა — პირველად შეხვდა კაცს, რომელმაც საქვეყნოდ ცნო-
ბილი ფეხბურთელი ვერ იცნო. არადა, სადაც არ უნდა ჩაევილო, ხალხი ერთმა-
ნეთს ეკითხებოდა: „ნახეთ, ახმედ კედელამ რომ ჩაიარაო?“

— შენ რა, ფეხბურთზე არ დადიხარ?

— არა, ეფენდი!

— ფეხბურთის ამბებს არც გაზეთებში კითხულობ?

— არა, არ ვკითხულობ.

— მოდი და ნუ გაგიყდები! ეს უკანასკნელი ოთხი თვეა გაზეთები მხო-
ლოდ ჩემზე წერენ...

— უკაცრავად ვარ, მაგრამ ვინ ბრძანდებით, რა ხელობის კაცი ხართ?

— დაიმახსოვრე, შენ წინ ფეხბურთის ვარსკვლავი, ნამდვილი ვარსკვლავი
ხის. ჯერ ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი, მერე სულ სხვა გუნდში გადა-
ვედი, თუმცა, შენ მაინც ვერაფერს მიხვდები. ბოლოს „თოზკოფარანმა“ მიყი-
და.—ახმედი გატაცებით ჰყვებოდა, თუ როგორ ამობრწყინდა, ვითარცა ფეხ-
ბურთის საქვეყნოდ ცნობილი ვარსკვლავი, საითი კი თავს იმტვრევდა იმის გა-
მოსაცნობად, რატომ მოვიდა ეს კაცი მასთან. მერე ახმედი მოჰყვა, თუ რას
წერენ გაზეთები მასზე: ერთ მატჩში სამი ფეხბურთელი დავასახიჩრე, გვერ-
დითი მსაჯი გავლახე, მთავარი მსაჯი მოედნიდან გავაგდე.

ოთახში მოხუცი მსახური ქალი მაღამ ანუელა შემოვიდა, ლანგრით შემო-
ტანილი ყავა მაგიდაზე დადო და ერთი ფინჯანი ახმედს მიაწოდა. მაგრამ შე-
ხედა თუ არა, ფინჯანი ლამის ხელიდან გაუვარდა და იყვირა:

— თქვენ აღმედ ღედელა არა ღართ?

— სწორია, ახმედი ვარ, — კმაყოფილებით გაიღიმა ახმედმა.

— მე იმდენი რამ წამილითღავს თლვენზე... ღმერთო, რა საინტერესო
ცდოვრებას ეწევით, — როგორც ჰეშმარიტი ფრანგი ქალი, მაღამ ანუელა ცო-
ტას ენას უქცევდა.

— მაშ, მაღამ ანუელა, თქვენ იცნობთ ამ ეფენდის? — იკითხა გაოცე-
ბულმა საითმა.

— აღმედ ღედელას ვინ არ იცნობს, ყოველ დილას გაზეთებს რომ გავ-
შლი, ჯერ აღმედ ღედელაზე ვლითლულობ.

— ახლა ხომ მაინც იცი, ვინცა ვარ, ჩვენში კაცი არ მეგულება, მე არ
მიცნობდეს.

— ან რა ფელები გაქვთ, — განაგრძობდა მაღამ ანჟელა, — რა ფელები! სტამბოლში რომ ბურთს დაარტყამთ, ყარსში ისმის.

საითი სირცხვილით იწვოდა, თავის მოჭრა თუ გინდა, ეს არის! მაღამ ანჟელამ კარი გაიხურა თუ არა, საითი წამოდგა, ახმედს თავი დაუკრა და მოახსენა:

— ეფენდი, მე ძალიან ნასიამოვნები ვარ თქვენი გაცნობით, ასეთი ნაცნობობა დიდი პატივია ჩემთვის. თუ რაიმე სათხოვარი გაქვთ, მოხარული ვიქნები გემსახუროთ.

ვიდრე საითი ასე თაფლად დნებოდა, ახმედი თვალს არ აშორებდა და ფიქრობდა: „სევიმი მართალია, ვერ გაიგებ, ეს კაცი მართლა ყეყეჩია თუ თავს იკატუნებს“.

— რა საჭიროა ამდენი მადლობა. რახან კარგად გამიცანი, ახლა შეგვიძლია მოვილაპარაკოთ. შენ იცნობ სევიმს, ჩვენს სევიმზე ვამბობ, აბა სხვა ვინ უნდა იყოს?

საითმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის თავი დააქნია.

— სევიმი ძალიან კეთილი გოგოა, ძმაკაცისათვის არაფერს დაიშურებს, პერანგსაც გაიხდის. შარშანწინ ცურვაში რომ პირველობა ტარდებოდა, მურად ზაიროვმა სევიმის შემწეობით მოუგო მესუთს. ძალიან გულისხმიერი გოგოა ჩვენი სევიმი. ასე... მესუთი წინ იყო, ბარიერამდეც კი მიაღწია, მაგრამ წყლიდან ამოსვლა ვეღარ გაბედა. არ იკითხავ, რატომ ვერ გაბედა? წყალქვეშ სევიმმა ტრუსი ჩახადა. შეჯიბრი მურადმა მოიგო. შენ არც ეს ამბავი წაგიკითხავს გაზეთებში? ალაჰ, აბა რას კითხულობ, ბიჭო, ჩვენს გაზეთებში ხომ მეტი არაფერი წერია!

სევიმის ხსენებაზე საითს ისე უფრთხილებდა გული, როგორც გალიაში მომწყვდეულ ჩიტს.

— რასაკვირველია, ეფენდი, მე ვიცნობ სევიმ ხანუმს.

— ჰოდა, მეც იმიტომ მოვედი, რომ სევიმზე გესაუბრო.

„ვინაა ეს ახმედი? — ფიქრობდა საითი, — იქნებ ნათესავია სევიმისა, ან სულაც თვითონ უნდა ცოლად შეირთოს? აბა რატომ მოვიდა ჩემთან ეს საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი სწორედ მაშინ, როცა სევიმის ოჯახში დეიდა ბერინი გავგზავნე, რომ სევიმის თავი სთხოვოს მის მშობლებს. ღმერთო, შენ მიშველე!“

— თქვენ მისი ნათესავი ხართ?

— ნათესავი! მე უფრო ახლობელი ვარ სევიმისა, ვიდრე ყველაზე ძვირფესი ნათესავი, იმიტომაც მოვედი აქ!

— ყურადღებით გისმენთ, ეფენდი.

— ერთი მითხარით, არის თუ არა მამაკაცის საკადრისი საქმე უმწეო ქალის დაცინვა? ან კი წესიერი კაცი ასეთ რამეს ჩაიდენს?

— რასაკვირველია, არა, ეფენდი! — ამოილულულულა საითმა.

— მაშ, შენ რატომ იქცევი ასე? — იყვირა „თოზკოფარანის“ ცენტრალურმა მცველმა.

კაცმა რომ თქვას, ახმედი არც აპირებდა ყვირილს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ოჯახში წყნარი, საგულდაგულო საუბრის გარემო უფრო იყო გამეფებული, ვიდრე ყვირილისა.

— ალაპია მოწმე, რომ მე არასოდეს ამგვარი რამ არ მიკადრებია სევიმ ხანუმისათვის. ჩვენ სულ ახლახან გავიცანით ერთიმეორე.

— ეგ ზღაპრები ბებიაშენს მოუყევი! ქალი უკვე დაორსულდა და, ახლახანს გავიცანიო, იძახის.

— რაო, სევიმი ფეხმძიმედ არის?

— აბა მე?

სიხარულისაგან ენა წაერთვა საითს. მაშ, მალე მამა გახდება! და ეს პაწია ბალდი საითს მამიკოს დაუძახებს! ღმერთო, რა ბედნიერება ეწია! თუმცა... საითმა მხოლოდ ერთხელ აკოცა სევიმს... მაგრამ... მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ის არის, რომ ამის თაობაზე უკვე ხალხი ალაპარაკდა. ხალხს სჯერა, რომ საითი მამა გახდება.

ახმედმა, ეს არის ოფსაიტში მოვხვდიო, ენაზე იკბინა, ამდენი რამ არ უნდა მეთქვაო, ამიტომაც უმაღლესად საქმის გამოსწორება.

— თუმცა ეგ ფეხმძიმობა სულ ახალი ამბავია, რამდენიმე დღისა, შენ ალბათ გამიგებ... ეკადრება შენისთანა შთამომავლობის კაცს ქალი ასეთ დღეში ჩააგდოს და მერე ფეხებზე დაიკიდოს? — ვიდრე საითი იტყოდა, დეიდა ბერინი ფერფერიკების ოჯახში სევიმის დასანიშნად გავგზავნეო, ახმედი წამოდგა.

— მე მგონი, უკვე შევთანხმდით, ჩემს მოტყუებას ნუ ეცდები, თორემ ხომ იცი... ვინცა ვარ... თუ კიდევ კარგად ვერ გამიცანი, გადი ქუჩაში და პირველსავე გამვლელს ჰკითხე, ახმედ კედელა ვინ არის-თქო. გამიგე? ეგრე. აბა მე წავედი!

საითმა და მადამ ანჟელამ მოწიწებით გააცილეს ესოდენ საპატივცემულო სტუმარი. კარი მიიხურა თუ არა, საითი ადგილს მოსწყდა და ცეკვა-თამაში დაიწყო, თან გაიძახოდა — „ვაშაა! მე მალე მამა გავხდები!“

საითმა კარგად იცოდა, რომ სარიოლლუს მთელ საგვარეულოს ერთი შიში ჰქონდა, ვაითუ, ერთ მშვენიერ დღეს უძეოდ გადავეგოთ და სულაც შეწყდესო ამ დიდი გვარის სიცოცხლე. დღეიდან ასეთი რამ სარიოლლუთა შთამომავლობას აღარ ემუქრება და მთელმა საგვარეულომ საითს უნდა დაუკოცნოს კალთები. დიახ, საითს, რომელმაც ათასი საშიშროების მიუხედავად დადებითად გადაწყვიტა მისი საგვარეულოს მომავლის საკითხი.

მადამ ანჟელამ ერთხანს უყურა საითს და მერე შებედა:

— მუსიე, აღმედ ღედელა რატომ მოვიდა?

— ახმედ კედელა ძალიან ახლო ნათესავია იმ ქალის, რომელიც ცოლად უნდა შევირთო.

— რა ფელები აქვს, რა ფელები!

ვილაცამ ზარი დარეკა, საითი შემოსასვლელში გავარდა. დეიდა ბერინი დაბრუნებულიყო.

— აბა, ყველაფერი უცებ მიაბე, — მიახალა მან დეიდა ბერინს.

საითის საყვარელი დეიდა წმინდა სისხლის ჩერქეზი ქალი გახლდათ, ამასთან სასახლის კარზე აღზრდილი და, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხანუმ ეფენდი, აჩქარებას ვერ იტანდა.

— სული მომათქმევინე, შვილო, — მიუგო მან, — ანჟელა, წყალი დამალე-ვინე.

დეიდა ბერინმა აუჩქარებლად გაიხადა პალტო, თავსახვევი მოიხსნა და

სავარძელში მოკალათდა. საითი მის ყოველ მოძრაობას ადევნებდა თვალს და მოუთმენლობისაგან სული მისდიოდა.

— დეიდა, სული ნუ ამომხადეთ, ჩქარა მითხარით, რა პასუხით გამოგისტუმრეს.

— მაცალე, შვილო, სული მომათქმევინე და ყველაფერს გაამბობ. ნუ ამაჩქარებ. ჰო, რას ვლაპარაკობდი?

— ჯერ არაფერი გითქვამთ.

— ახლა რაღაცას არ ვამბობდი?

— ღმერთო, როგორ დავიღალეო.

— არა, მაგის მერე უნდა მეთქვა რაღაც... ჰო... რამდენი ხალხია ქუჩებში... მე მგონი, შინ აღარავინ დარჩენილა, ყველანი ქუჩაში გამოუენილან. ვერ გამიგია, რა მოსდით, სად გარბიან... ავტობუსში ვერ ჩამჯდარა ადამიანი.

საითმა მღელვარებისაგან ფრჩხილების კვნეტა დაიწყო.

— სამარშრუტო ტაქსში ძლივს ჩავჯექი.

მერე იმას მოჰყვა, როგორ ეჩხუბა შოფერს, რას ლაპარაკობდნენ მგზავრები.

— დეიდაჩემო, გული ნუ გადამილიეთ. თქვენ ის მითხარით, რა გიპასუხეს.

— ნუ მაწყვეტინებ, შვილო, ყველაფერს თანდათანობით გაამბობ, ამბავი ისე უნდა მოჰყვე, რომ შენვე ისიამოვნო. სად მიგეჩქარება?

საითმა ლამის ისიც არ წამოაყრანტალა, ქორწინებამდე მამიკოც გავხლებიო, მაგრამ დროულად შეიკავა თავი.

დეიდა კი ცდილობდა არაფერი გამოჰპარვოდა. დაწვრილებით აღწერა, რა ავეჯი იდგა ფერფერიკთა სასტუმრო ოთახში, როგორი ხალიჩები ეკიდა კედლებზე, ტახტებზე რა გადაეფინათ, რანაირი ბროლის ჭურჭელი იდგა მაგიდაზე.

დეიდა ბერინი ხალიჩებსა და ჭურჭელზე ლაპარაკობდა, საითი კი ცდილობდა მიმხვდარიყო, რა პასუხით გამოისტუმრეს იგი. „თუ უარი უთხრეს, უნდა დავწერო ტრაგიკული პოემა „სევში და საითი“, — ფიქრობდა იგი.

როგორც იქნა, ყავის დაღვევაზეც მიდგა საქმე.

— ყავა მსახურმა ქალმა მოიტანა. ვერ დაგიმალავ, შვილო, და ეს ამბავი არ მეჭაშნიკა. ჩვენში ასეა მიღებული: თუ ოჯახში მაჭანკლად მოვიდა ვინმე, ყავა გასათხოვარმა ქალმა უნდა მოართვას. ასე მოითხოვს ადათი, იმის მიუხედავად, მდიდარია თუ არა ოჯახი.

— შეეშვით მაგ თქვენს ადათ-წესებს.

— შენ მაინც შენსას გაიძახი... ყავის სმა რომ დავამთავრეთ, მე ვთქვი, ხელის დაბანა მინდა-მეთქი.

— დეიდაჩემო, მე თქვენ ხელის დასაბანად გაგგზავნეთ თუ სევში ხელის სათხოვნელად?

— ასეა წესი, შვილო! თუ გინდა სარძლოს ოჯახის ავკარგი გაიგო, აბა-ზანაშიც უნდა შეიხედო. თუ იქ სისუფთავეა და ყველაფერი რიგზეა, შეგიძლია თამამად დაქორწინდე, ხოლო თუ პირსაბანი მოუვლელია, უხმოდ უნდა გამობრუნდე უკან.

— რატომ აღრევე არ უთხარით, ხელის დაბანა მინდა-თქო?

— სანიტარული ინსპექცია ხომ არ ვიყავი, შვილო, უხერხულია, ყველ-
ფერს თავისი დრო აქვს.

— ჰო, კარგი, კარგი, მერე? ჰასიფ ბეიმ რა თქვა?

— ჰასიფ ბეი ვილაა?

— სევიმის მამა.

— იქ მე კაცი არ დამინახავს, სულ ქალები ისხდნენ. მეორე ოთახში ვილაც
ბიჭები კი დაბორილობდნენ... რატომ შემაწყვეტინე... რაზე გავჩერდი?

— ხელის დასაბანად გავედო.

— ჰო, გადავიბანე ხელი, მოვათვალიერე იქაურობა და გამოვედი. აი, რას
გეტყვი, შენი სევიმი ხელმომჭირნე გოგო არ არი.

— ვითომ რატომო?

— ახლავე გეტყვი... კარგად იცი, რომ სტუმრად ხელცარიელი არ უნდა
მიხვიდე. მეც ავდექი და დაშაქრული წაბლი ვიყიდე, მაღაზიაში შევეხვეწე,
გულდაგულ შემიხვიეთ და შემიფუთეთ-მეთქი.

— ეგ რილასთვის გინდოდა?

— რილასთვის გინდოდაო... თუ ქალმა ფრთხილად გახსნა კოლოფი, ესე
იგი ხელმომჭირნეა. ხოლო თუ ზონარი დაჭრა და კოლოფი გაფხრიწა, ასეთი
ქალის ქმარი საცოდავია.

— რაც არი, ეგ არი! თქვენ ეს მითხარით, დედამისმა რა პასუხი გაგცათ,
თანახმაა თუ არა?

— დედამისმა ასე მიპასუხა: მადლობა ალაჰს, ჩემი სევიმი ძალიან ბევრს
მოსწონს, ბევრს უნდა იგი ცოლად შეირთოს, საკმარისია სევიმი ქუჩაში გა-
ვიდეს, რომ უამრავი ბიჭი აეკიდოსო.

— რაო? მართლა ასე თქვა? — გული შეუქანდა საიტს.

— კი, ასე თქვა, მერე კი დასძინა, თუ თქვენი დისწული და ჩემი შვი-
ლი ერთმანეთისთვის არიან გაჩენილნი, იყოს ნება ღვთისაო.

— ვერაფერი გავიგე.

— რა არი გაუგებარი. იმას ხომ არ იტყოდა, „მადლობა ღმერთს, რო-
გორც იქნა, მუშტარი გამოჩნდაო“.

— ეჰ, დეიდაჩემო, — ველარ მოითმინა საიტმა, — შენ არც კი იცი, რომ
სევიმი მალე დედა გახდება... უფრო სწორედ, მე მალე მამიკო ვიქნები. ამი-
ტომაც ვჩქარობ ასე.

დეიდა ბერინი ჩანთაში რაღაცას ეძებდა, საიტის ასეთ აღსარებას, რასა-
კვირველია, არ ელოდა და დისწულის სიტყვები რომ გაიგონა, თავზარდაცე-
მულს ჩანთა ხელიდან გაუვარდა.

— ღმერთს ნუ სცოდავ, შვილო, აბა დაფიქრდი, რას ლაპარაკობ! — ეს
ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. მისი საიტი, პაწია საიტი
მამა გახდება? — ღმერთო, ეს ხომ გაუგონარი ამბავია, როდის მოასწარით,
შვილო?

— მოვასწარი კია და... მეც არ ვიცი, როდის მოვასწარი, — საიტის ხმა-
ში დაბნეულობა და სიამაყე იგრძნობოდა.

— შენ ხომ... მაპატიე, შვილო, ასეთი ლაპარაკი, მაგრამ... შენ ხომ არც
ერთი ღამე არ გაგიტევია სხვაგან?

— რაო, დღისით არ შეიძლება? მაგალითად, კინოთეატრში... ლოყაში.

— ალაჰ, ეს რა მესმის! არა, არა, ასეთი რამ შეუძლებელია. არა, ნუ იტყვი მაგას!

— რატომაც არა, დეიდა. მე უკვე პატარა აღარა ვარ, — ითაკილა საით-სარიოლლუმ.

— შენგან რა მამა უნდა გამოვიდეს, შვილო?

საითი წამოჭარხლდა კიდევ.

— ისე მექცევით, როგორც ბავშვს, მე კი ოცდაოთხი წლისა ვარ... ჩემს მეგობრებს ორ-ორი, სამ-სამი შვილი ჰყავთ. მე კი პირველს ველოდები.

ჰოი, როგორ ეწადა მამობა საითს! გულახდილად რომ ითქვას, კარგად ესმოდა — იგი ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად ვერ იქნებოდა ამ ბავშვის მამა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. სხვებსაც მოსვლიათ ასეთი რამ. იგი არც პირველია და არც უკანასკნელი. საითს არ ეშინოდა ჭორებისა, ილაყბებენ, იყბედებენ და დაიღლებიან. საითი ერთ გარემოებას უფროთხოდა — კარგად იცოდა, რომ მისი ფარისეველი ნათესავები არ მოისურვებდნენ საითის დაქორწინებას ქალზე, რომელმაც ქორწინებამდე მოასწრო ეგემნა აკრძალული ხილი. საითი კი უფროსების ნებას ვერ გადავიდოდა. რა იღბალი აქვს! ერთხელ შეხვდა თავის საოცნებოს, თავის ერთადერთ საბედოს და იმანაც არც აცია, არც აცხელა და აჰა, რა ჩაიღინა! ბედი არ გინდა?

საითი დაწვრილებით მოჰყვა, თუ როგორ შეხვდა სევიმს, მაგრამ ბერინ ხანუმმა შეაწყვეტინა:

— არ მინდა, ჩვენ ყველანი უნდა შევიკრიბოთ და ერთად გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ. არ უნდა დამეჯერებინა შენთვის, არ უნდა მივსულიყავი ფერფერიკების სახლში... ვნახოთ, ჩვენიანები რას იტყვიან.

— ცოლის შერთვას მე ვაპირებ და არა ჩემი ნათესავები, — თავის ცხოვრებაში პირველად აიმაღლა ხმა საითმა.

— ეგრეთა, მაგრამ მაინც უნდა შევიკრიბოთ.

საითმა იცოდა, რომ დეიდასთან კამათი უაზრობა იყო.

— კი, ბატონო, შევიკრიბოთ! იმსჯელონ, იფიქრონ, გადაწყვიტონ, მაგრამ თუ ისინი უარს იტყვიან, მაშინ მე ვიცი ჩემი საქმისა. შენ რომ ჩვენი ოჯახის წევრებს ეძახი, ეგენი მოფამფალეებული, უკბილო და უჭკუო ბებრუსანები არიან.

— ამას ვინ ამბობს, ნუთუ ეს შენ ხარ? ახლავე გაჩუმდი! — თავზარი დაეცა ბერინ ხანუმს, — ან ენა როგორ მოგიბრუნდა?!

საითს თვითონვე შეეშინდა თავისი სიმამაცისა და თავი იმართლა:

— ნუ გამიბრაზდები, დეიდა... ხომ იცი, სიყვარულის ამბავი, სიყვარული სიკვდილზე ძლიერია.

სიკვდილი რომ გაიგონა, დეიდა ბერინმა იკივლა:

— ანუელა, წყალი! — და გულშეღონებული მიესვენა ტახტზე...

სევიმისა და საითის ნიშნობა

დადგა ნიშნობის დღე.

ფერფერიკებმა და სარიოლლუმებმა ოფიციალურად გამოაცხადეს ნიშნობის დღე, დრო და ადგილი. სტამბოლის წარჩინებული საზოგადოების საუკე-

თესო წარმომადგენლებს სთხოვეს, ოტელ „დალტონის“ საბანკეტო დარბაზში გვეწვიეთო. ჰასიფ ბეიმ ქალიშვილი მკაცრად გააფრთხილა, ნიშნობამდე სასიძოს არ შეხვდეთო. მეჭყურე ხანუმი გონიერი ქალი იყო და ქმარს მხარი დაუჭირა, ვაითუ საითი სევიმზე გავრცელებულ ჭორებს აჰყვეს, განშორება კი ვნებას ახელებსო. ეს ჭეშმარიტება საკუთარ თავზე გამოსცადა ჰასიფ ბეიმ — საცოლეს ქორწილამდე არ მიაკარეს და კარგად ახსოვს, სიყვარულით რასაც სჩადიოდა.

— რაც უფრო შორს იქნებიან ერთმანეთისაგან, უკეთესია, — ამბობდა ჰასიფ ბეი, — მე პატიოსანი კაცი ვარ და მშვიდად მინდა მოვკვდე. ცეცხლისა და თივის სიახლოვე ვის გაუგია...

ჰასიფ ბეიმ ეს სიტყვები საითსაც უთხრა. საითი თავჩაქინდრული უსმენდა და ფიქრობდა, ჩემსა და სევიმს შორის ნეტა რომელია ცეცხლი და რომელი — თივაო.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, ეფენდი, — თქვა დაბნეულმა საითმა, — მაგრამ ვერაფრით ვერ გამიგია, რა უნდა მოხდეს, თუ ჩვენ ერთიმეორეს შევხვდებით?

მოკლედ, დადგა ნიშნობის დღე. ოტელ „დალტონში“ საზეიმო ცერემონიალმა ჩინებულად ჩაიარა. წარჩინებული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები დიდხანს იგონებდნენ იმ საღამოს. თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, საითზე რომ ქირქილებდნენ. სიყვარულით დაბრმავებული საითი მათ ქირქილს ყურადღებას არ აქცევდა, ფეხებზე ეკიდა, რასაც ტარტარებდნენ ამ წარჩინებულთა ენები: საითის საცოლეს გაცილებით დიდი მუცელი აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ საპატარძლოს უნდა ჰქონდესო.

საითი მთელი საღამო ცდილობდა თავი შეეკავებინა და არავის სასაცილო არ გამხდარიყო. მაგრამ ვიღაც ოხუნჯის ანეკდოტმა ისე ააფორიაქა, რომ საცეკვაო დარბაზში გავარდა და ლამის უზარმაზარ, მთელი კედლის სიგრძე-სიგანე სარკეს შეასკდა, მერე 180 გრადუსით მოტრიალდა და იქაც შუშის ტიხარს შეეხეთქა, დარბაზის ერთ ნაწილს მეორისაგან რომ ყოფდა.

შეძრწუნებული საითი ლასლასით გაემართა იმ მაგიდისაკენ, რომელსაც მისი მომავალი სიმამრი უჯდა. იგი სევიმად მიიჩნია, თავაზიანდ დაუკრა თავი და საცეკვაოდ გაიწვია:

— გთხოვთ, ეს ტანგო მე მაჩუქოთ.

ჰასიფ ბეი წამოდგა, სასიძოს ხელი ჩაჰკიდა და თავის ქალთან მიიყვანა, შენ ეცეკვე შენს საქმროსაო. სევიმმა ცხვირი აბზიკა და უგემურად წამოდგა.

ისინი პირველად ცეკვავდნენ. სევიმს მთელი საღამო საქმროსაგან შორს ეჭირა თავი, უბედური ქალის სახე ჰქონდა — განა ჩემი ნებით მივყვები ამ ფულიან ბედოვლათსო. იმდენად შესაბრალისი ჩანდა, რომ სტუმრებმა მართლაც შეიცოდეს, ეს ულამაზესი გოგო ვის მიჰყვებაო. საითი კარგად გრძნობდა ყველაფერს და კიდევ უფრო დაიბნა და დაიმორცხვა. ორკესტრი საამო ტანგოს უკრავდა. სასიძომ იცოდა, ცეკვის დროს ქალს სააღერსო სიტყვები უნდა უთხრა, მაგრამ ნაცვლად ამისა უცებ ჰკითხა:

— გიყვართ თუ არა ბრამსი?

სევიმმა იფიქრა, ეჭვიანობით შეპყრობილი საითი ჩემს რომელიმე თავყვანისმცემელზე მეკითხებაო.



— ვინა, ვინა?

— ბრამსი.

— ეგ კიდევ ვილაა?

— გერმანელია... რომანტიკოსი!

სევიმმა ვერა და ვერ გაიხსენა, ოდესმე რომ გერმანელი ფეხბურთელები ჰყოლოდა, თანაც ვილაც რომანტიკოსი. არა, ნამდვილად სულ ტყუილად ეჭვიანობს, ეს უსამართლობაა საითის მხრივ.

— იგი დიდი მუსიკოსი იყო, — საითი გრძნობდა, რომ ტყუილუბრალოდ ლაუბობდა, მაგრამ მაინც ვერ გაჩერებულყო. — გამოჩენილი კომპოზიტორი.

ბრამსიო? არა, სევიმს მხოლოდ ფეხბურთელებთან ჰქონდა საქმე, ამიტომ გულუბრყვილოდ ჰკითხა:

— ეს ტანგო იმან დაწერა?

— ბრამსი იყო მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი კომპოზიტორი, — ზარზეიმით წარმოთქვა საითმა.

მაგრამ სევიმი უკვე აღარ უსმენდა — მათ ახლოს ახმედ კედელა ჩაპუტკუნებულ ქერათმიან ქალთან ცეკვავდა. „ეგლა მაკლდა, ნახეთ, რას ბედავს!“ ეჭვით აწრიალდა საპატარძლო.

— ვერ გავიგე, რა შუაშია აქ გერმანელი?

საითი დაფიქრდა და გულლიად უპასუხა:

— ბრამსს ოცდაათ წლამდე წვერი არ ამოსვლია!

სევიმმა შეხედა საქმროს უფერულ, უწვერო სახეს და გაიცინა, შემდეგ მკლავი გაუყარა და თავისუფალი მაგიდისკენ წაიყვანა. საითის უმწეობამ და გულლიაობამ ააღელვა. საითის მოკრძალებაც თითქოს სადღაც გაქრაო და ბავშვი ახსენა, რომელზეც ფიქრი ვერა და ვერ მოეშორებინა. სევიმმა აუხსნა, მაგ შენი მათემატიკის გამო ცხოვრებისა არაფერი გაგეგებაო, მერე ხმადაბლა უჭიკჭიკა:

— ძვირფასო, იქნებ რაიმე ეჭვი გაქვს გულში?

საითმა რომ „ძვირფასო“ გაიგონა, ლამის გული შეუღონდა და წამოიძახა:

— არა, არასოდეს!

ყარაჩი სუათი მოვიდა და საითს ჰკითხა:

— თქვენი საპატარძლო შემდეგი ცეკვისთვის რომ მოგტაცოთ?

— რასაკვირველია, ძალიან ნასიამოვნებიც ვიქნები, — ამაყად გაიღიმა საითმა.

სუათი და სევიმი საცეკვაოდ წავიდნენ. საითი თავის ულამაზეს საპატარძლოს ადევნებდა თვალს. სევიმი ხან ერთთან ცეკვავდა, ხან მეორესთან, სიამოვნებით ესაუბრებოდა სტუმრებსაც, სულაც დაავიწყდა საითი. თუმცა სასიძო მარტო სევიმს კი არ დაავიწყდა, სტუმრებიც ისე იქცეოდნენ, თითქოს ჩვეულებრივ გასართობ საღამოზე მოსულიყვნენ: სვამდნენ, მხიარულობდნენ, ცეკვავდნენ.

მხოლოდ საითს არ ავიწყდებოდა, რად გაიმართა დღევანდელი ზეიმი. ჩემი მხრივ ულამაზოა, ამდენი ხანი საპატარძლო რომ მივატოვო, — გაიფიქრა და იმ მაგიდისკენ გაემართა, სადაც სევიმი და ახმედი ისხდნენ. მაგრამ ამ დროს საითს უცებ თვალში მოხვდა, რომ ახმედ კედელას ცნობილი მარცხენა ფეხი მოუსვენრად ტოკავდა. სევიმი შეშინდა, რაიმე უსიამოვნება არ მოხდებოდა.

სო, და კიდევ უფრო ახლოს მიეკრა „თოზკოფარანის“ ცენტრალურ მცველს.

— რა მოხდა? — ჰკითხა მან საითს.

ბოლოს საითმაც შეამჩნია, რომ მისი საპატარძლო ახმედ კედელას ჩაკვროდა და დაბნეულმა ენის ბორძიკით უპასუხა:

— მაპატიეთ... მაპატიეთ... არაფერი არ მომხდარა... არ შეგაწუხებთ. — საითს ერთი დარბაისელი კაცი მიუახლოვდა. ამ კაცმა სიძე თავისი მაგიდისკენ წაიყვანა.

ეს დარბაისელი „თოზკოფარანის“ სპორტული კლუბის გენერალური თავმჯდომარე დუნდარ-დუბარა ბეი გახლდათ. დუნდარ-დუბარა ბეის ძალიან ახარებდა ტურფა სევიმისა და საითის მომავალი შეუღლება. თუ სევიმი მათი გუნდისათვის ცით მოვლენილი ანგელოზი იყო, საითი ფულიან ანგელოზად ესახებოდა. კარგად იცოდა, რომ საითი ერთადერთი მემკვიდრე იყო სარიოლლუთა უზარმაზარი ქონებისა, მდიდრებს კი გართობა უყვართ და ამ საქმისთვის სიძუნწეს იშვიათად იჩენენ. მათ შორიახლო ტრიალებდა კიდევ ერთი კაცი — ჟურნალისტი და სპორტული კომენტატორი ეროლ იფქირან ბეი. ეროლ იფქირან ბეი მკვირცხლი ყმაწვილი იყო, ყველა ასაკის ადამიანებთან უმაღლესად პოპულარული და ძმაკაცურად ელაპარაკებოდა.

დუნდარ-დუბარა ბეიმ საითს მეგობარი გააცნო.

— იცნობდეთ, ეს იფქირან ბეია, ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი მიუდგომელი კომენტატორი, — ცოტა შეყოვნდა და დასძინა, — მადლობა ღმერთს, ჩვენს გუნდს უჭერს მხარს.

ამაზე იფქირან ბეიმ მოკრძალებით შენიშნა:

— მე მხოლოდ პატიოსნად ვასრულებ ჩემს მოვალეობას, — მერე ხელი გულთან მიიტანა და დააყოლა, — ეს გული „თოზკოფარანის“ სიყვარულით ძგერს.

— აი, ამან გახდა ახმედი ვარსკვლავი, ამანვე შეარქვა მას კედელა, — არ ცხრებოდა დუნდარ-დუბარა ბეი, — თუ ამან ვინმე შეიყვარა, მერე მორჩა.

საითი იფქირან ბეისადმი პატივისცემით განიმსჭვალა, აღტაცებული თვალს არ აცილებდა.

— ახმედის ვარსკვლავად ქცევა როგორ მოახერხეთ?

— ყოველ ხელობას თავისი საიდუმლო აქვს, ძმობილო, — უპასუხა კომენტატორმა. — ისა სჯობია, ცოტ-ცოტა გადავკრათ.

სტუმრები გამთენიის ხანს დაიშალნენ. საითმა დუნდარ-დუბარა ბეის სთხოვა, იფქირან ბეისთან ერთად შემომიარეთ, შინაურულად ვისაუბროთო. მთვრალი სევიმი ახმედ კედელას დასკუპებოდა მუხლებზე და, ყველამ თავი გამანებეთო, გაიძახოდა. ხოლო კედელა კი მარცხენა ფეხს ატოკებდა და ყვიროდა: „სევიმს აქედან წასვლაზე ძალას ვინც დაატანს, ჩემთან ექნება საქმეო“. ბერინ ხანუმ ეფენდის რომ საპირფარეშოში არ გაეყვანა სევიმი, არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ნიშნობის ზეიმი.

საითმა ფერფერიკები სახლამდე მიაცილა. მან, ცხადია, კარგად იცოდა, რომ დამშვიდობებისას საცოლეს ხელზე უნდა ემთხვიო, მაგრამ როცა კოცნის ჯერი დადგა და სევიმს ხელი გამოართვა, აღარ იცოდა, რა ექნა. სევიმმა გადაიკისკისა, ბოთე საქმროს ლოყაზე აკოცა და სადარბაზოში მიიმაღა.

თენდებოდა. თავის სიცოცხლეში საითმა პირველად დალია ამდენი. სახ-

ლამდე ფეხით გავისეირნებო, გაიფიქრა და ბედნიერი გაუყვა გზას. უცებ ფეხებში რაღაც აებლანდა, დაიხარა, კარგად დააკვირდა და ბისკვიტის ჩასაწყობი მუყაოს კოლოფი შეიქცნო. „რა კარგ რამეს წავაწყდი, — ფეხბურთელის ყინმა გაიღვიძა მის სულში, — აბა, ჰე, ვითამაშოთ!“ ორიოდ ნაბიჯით უკან დაიხია, გამოექანა, ფეხი მოიქნია... დარტყმა! და საითი ასფალტზე გაიშხლართა.

ოხვრითა და ვაებით წამოდგა იგი. სათვალე დამტვრეოდა, ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

„ხვალ გელოდებით, უფრო სწორედ დღეს, უკვე თენდება... სალამოს მოდით...“ გაახსენდა საცოლის სიტყვები, მაგრამ ცხვირგატეხილი სახლიდან როგორ გამოვა? იქნებ დაიცადოს, ვინემ ბრამსივით წვერი არ წამოეზრდება?

დანიშნულები პარტონი რჩებოან

დღეს ერთმანეთს ხვდება ორი ძველი მეტოქე „თოზკოფარანი“ და „პაჯეთბაბა“, სევიმი კი შინ უნდა იჯდეს. ეს საითიც რომ ძარღვებს უშლის, ყოველ წუთს ფეხებში ებლანდება, აღარ შეუძლია მეტი!

მშობლები განზრახ წავიდნენ შინიდან, რათა ახლად დანიშნულებს თავისუფლად ეგრძნოთ თავი, მაგრამ ეს ცდა დიახაც ზედმეტი გამოდგა. საითს არა მხოლოდ საცოლისა ერიდებოდა, საკუთარი თავიც კი აფრთხობდა და მთელი სალამო ენაჩაგდებული იჯდა ერთ კუთხეში. კაცმა რომ თქვას, სევიმი არც ფიქრობდა, მისი საქმრო რომ დაუოკებელი მიჯნური იქნებოდა, მაგრამ საითის ასე ჯდომაც შეურაცხყოფელი იყო მისთვის. სევიმ სვავისკენ მუდამ ისწრაფოდნენ, ეს კი... თუმცა აბა ერთი გაბედოს, კიდევ მიიღებს საკადრის პასუხს.

სევიმმა გადაწყვიტა, მატჩს რადიოთი მოვისმენო. თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათი რჩებოდა. ღმერთო, კიდევ მთელი ნახევარი საათი ასე ენაჩაგდებულნი უნდა მსხდარიყვნენ.

„რა მოხდებოდა, — ფიქრობდა სევიმი, — სტადიონზე ესეც წამეყვანა და წავსულიყავი?“ სევიმს არ უყვარდა საქმროსთან ერთად ხალხში გამოჩენა, მაგრამ ასე ენაჩაგდებული ჯდომა განა ნაკლები სატანჯველი იყო?

სევიმი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. რით გაერთოს? და უცებ ჩინებული აზრი დაებადა — აბაზანას მივიღებო! სევიმმა სასტუმრო ოთახში საითის თვალწინ იწყო გაშიშვლება. „საინტერესოა, როგორ მოიქცევა?“ — ფიქრობდა სევიმი საქმროზე. საითი კი იჯდა, როგორც დამჯერე ბავშვი მკაცრი მასწავლებლის წინაშე, და თავიც არ აუღია მალლა. „იქნებ ვერც შეამჩნია, რომ ვშიშვლდები?“ სევიმი მიუახლოვდა, ზედ მიეკრო და უბრძანა:

— დუგმები შემისხენი!

საითი წამოდგა, სევიმს ზურგი აქცია, რომ არ დაენახა ის, რისი დანახვის უფლებაც მას ჯერჯერობით არ ჰქონდა, ხელის ცეცებით მონახა დუგმები და შეხსნა.

— სწრაფად, სწრაფად.

— მოვრჩი, — ძლივს გაიგონა სევიმმა მისი ხმა.

— ახლა აი, ქვედაწელი შემიხსენი.

ოოჰ! რა განსაცდელს არ უმზადებს წმინდანობის გზაზე შემდგარ კაცს ალაჰი... „რა ჭირად მოიგონეს ჩვენი მარტო დატოვება“, გაუელვა საითს.

სევიმი აბაზანაში გავიდა. ორიოდ წუთში მისი ხმაც მოისმა.

— საით, სა-ი-თ!

— რა გნებავთ, სევიმ ხანუმ?

— აქ მოდი, ჩემო ძვირფასო!

ბედნიერი საითი, ჩემო ძვირფასო რომ დაუძახეს, ისეთი ამბით გავარდა სააბაზანოსკენ, რომ სკამები სულ მიყარ-მოყარა. თუმცა სააბაზანოს კარი ღია იყო, იგი მაინც არ შევიდა.

— მოდი ჩემთან, საით!

— აქ ვარ, — მიუგო საითმა.

— შემოდი სააბაზანოში, ჩემო კარგო.

საითი შევიდა. სევიმი ქაფში ჩაწოლილიყო და ცალი ფეხი აბაზანაზე გამოშვებულად გადაედო. დაბნეულმა საითმა თვალები მოხუჭა და სახეზე ხელი აიფარა.

— მე არ გიყურებთ, ხანუმ ეფენდი, არ გიყურებთ... — აღუღლულდა იგი, — ნუ გერიდებათ...

— გაეთრიე, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!.. — იყვირა სევიმმა.

საითი უცებ გამოვარდა სააბაზანოდან. „რა უცნაური არსებანი არიან ეს ქალები — ჯერ გეუბნებიან, მოდი ჩემთან, ჩემო ძვირფასო, მერე კი გამოგადებენ. ვერ გაიგებ, რა უნდათ“. ან სხვანაირად როგორ მოიქცეს, როცა მშობლებმა შვილი მის ანაბარა დატოვეს. იქნებ სულაც საითის გამოცდაც მოინდომეს. მაღლობა ღმერთს, რომ იგი პატიოსანი და წესიერი კაცია.

საბრალო საითი თავს იტყუებდა — სინამდვილეში კი ეშინოდა სევიმისა. სევიმ სვავი გაათრებული გამოვიდა სააბაზანოდან, ბოღმა ყელში აწვებოდა. სევიმი შიშველი ყოფილიყოს და ვინმეს თავი შეეკავებინოს?! ასეთი რამ არავის მოსწრებია.

— სევიმ ხანუმ, — ამოიღო ხმა საითმა.

— რაო, რა გინდა?

— არაფერი, მე ისე...

— თუ არაფერი გინდა, ენა ჩაიგდე, სადაცაა თამაშიც დაიწყება.

— მე მინდოდა მეთქვა...

— რა უნდა გეთქვა?

— აი, იმ დღეს ერთმანეთი რომ გავიცანით, გახსოვს, რა მშვენიერი დღე იყო... კინოშიც კი ვიყავით.

საითი რომ სევიმთან მარტო დარჩებოდა, მუდამ იმ „მშვენიერ“ დღეს იგონებდა. სევიმს კი ისე მოყირჭდა იმ „მშვენიერი“ დღის ხსენება, რომ ლამის არ მიახალა საითს: „შე საწყალო, შენ რა იცი, თუ რას უნდა იგონებდნენ ჭეშმარიტი ვაჟკაცები!“ მაგრამ თავი შეიკავა.

ამ დროს დიქტორის ხმაც გაისმა.

— პატივცემულო რადიომსმენელებო! ვიწყებთ ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟს. დღეს ერთმანეთს ხვდებიან „თოზკოფარანი“ და „ჰაჯეთბაბა“. გადაცემა მიჰყავს კომენტატორ ეროლ იფქირან ბეის.

— ყურადღება, ყურადღება! — დაიწყო ეროლმა, — ჩვენ ახლა ვიმყოფებით „მითხადფაშას“ სტადიონზე. რამდენიმე წუთში აქ დაიწყება სეზონის უმთავრესი მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან ძველი მეტოქენი „თოზკოფარანი“ და „ჰაჯეთბაბა“ — ორივე ეს გუნდი ჩვენი ეროვნული სპორტის სიამაყე და მშვენიერებაა... სადაცაა გუნდები მოედანზე გამოვლენ. ცვირფასო რადიომსმენელებო, დღეს ჩვენ გავხდებით ისტორიული მოვლენის მოწმენი. ვინ დაწინაურდება, რომელი გუნდი გაიმარჯვებს? — საითს არაფერში ეპიტნავებოდა ამ გუნდების თამაში, მაგრამ ძალიან უნდოდა მოესმინა იფქირან ბეისათვის, რომელმაც ახმედი ვარსკვლავად აქცია.

— დღემდე ეს გუნდები ას ოცდარვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, — არ ცხრებოდა კომენტატორი.

— ყეყეჩი, ას ოცდარვაჯერ კი არა, ას ოცდაშვიდჯერ, ერთი თამაში გაასაჩივრეს.

— აქედან ორმოცდაათოთხმეტი გამარჯვება მოიპოვა „ჰაჯეთბაბამ“, ხოლო ორმოცდარვა „თოზკოფარანმა“.

— ეგ საიდან მოიტანე, შე უბედურო, — წამოენტო სევიმი.

საითი გაოცებული შესცქეროდა საცოლეს — ყმაწვილი ქალი, ვისაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ბრამსზე, თვით იფქირან ბეიზე უკეთ ერკვეოდა ფეხბურთში.

— გუნდები მოედანზე გამოდიან, თქვენ გესმით, თუ როგორ ხვდებიან მაყურებლები ფეხბურთელებს. „ჰაჯეთბაბას“ მისთვის ჩვეული ფორმა აცვია — ზოლებიანი მაისურები და ღია ყავისფერი ტრუსები. „თოზკოფარანის“ ფეხბურთელებს კი მოყვითალო მაისურები. ამ გუნდის მთავარი ძალა, მისი ხერხემალი არის ეროვნული ნაკრების წევრი, გუნდის კაპიტანი ახმედ კედელა.

სევიმმა რომ ახმედის სახელი გაიგონა, სიხარულით გაიბადრა. თამაში დაიწყო.

„თოზკოფარანმა“ რომ მეორე ბურთი გაიტანა და სევიმმა კვლავ გემრიელად აკოცა, საითი მაშინლა მიხვდა საცოლის მღელვარების მიზეზს და ღმერთს იმას ევედრებოდა, „თოზკოფარანმა“ რაც შეიძლება მეტი ბურთი გაიტანოსო. იმ დღეს ალაჰი სწყალობდა საითს. „ჰაჯეთბაბამ“ რომ ბურთი გაიტანა, სევიმი მუხლებზე შეახტა, გულში ჩაეკრო და აქვითინდა. საითს ბედნიერებისაგან თავბრუ დაეხვა...

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2 : 1 „თოზკოფარანის“ სასარგებლოდ. საითი ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ რა დიდ გავლენას ახდენს ქალის გრძნობებზე ფეხბურთი.

— ოდესმე თუ ყოფილხარ სტადიონზე? — ჰკითხა სევიმმა.

— მხოლოდ ერთხელ, ლიცეუმში სწავლისას.

— ვინ წაგიყვანა?

— კვირა დღე იყო, მე ლექციაზე მივდიოდი და სტადიონზე ამოვყავი თავი.

სევიმი უსმენდა და ბრაზობდა. „ნუთუ ამ ცალტვინას უნდა გავყვე ცოლად? რასაკვირველია, გონიერი ქალი ჰკვიან ქმარს არ დაუწყებს ძებნას, მაგრამ ასეთი უტვინო მართლა მეტისმეტია!“

— მაინც როგორ მოხვდი სტადიონზე? — სევიმს სულაც არ აინტერესებდა, თუ როგორ მოხვდა საითი სტადიონზე, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ეთქვა

— იმ დღეს დიდი თამაში იყო, ხალხი სტადიონისაკენ მიეშურებოდა, მე შემთხვევით ამ ხალხში მოვხვდი და მერე თავი ველარ დავაღწიე.

— რომელი გუნდები თამაშობდნენ?

— წარმოდგენა არა მაქვს, არც მაინტერესებდა. ორივე ტაიმის განმავლობაში ჩანთას ვეძებდი, ჩანთა კი იმ ჭეჭყვაში დავკარგე.

ამასობაში მეორე ტაიმიც დაიწყო. კვლავ ალაპარაკდა ეროლ იფქირანბეი. სევიმი რადიომიმღებს მიჩერებოდა, ახლა იგი მთელი არსებით სტადიონზე იყო.

— აბა, ჰე, ახმედ, მიდი, ჩემო კარგო, მიდი, მისცხე!

საითიც სევიმს აჰყვა, ისიც ახმედის სახელს გაიძახოდა. დღეს მისი ბედნიერება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენ გოლს გაიტანდა „თოზკოფარანი“. როცა ეროლ ბეიმ იყვირა „არის!“ სასიძო და საპატარძლო ერთმანეთს ჩაეხვივნენ.

თამაშის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, როცა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს. კომენტატორს დიდი ზარ-ზეიმით არ გამოუცხადებია ამ ბურთის გატანა. გახარებული საითი ადგილიდან წამოხტა, მაგრამ სევიმმა ბრაზით ჩაილაპარაკა:

— დაჯე, ეს ჩვენ გაგვიტანეს.

— ჩვენ? ჩვენს კარში?

საითმა სევიმს თანაგრძნობის გამომხატველი მზერა მიაპყრო და რალაცის თქმა მოინდომა.

— თუ ღმერთი გწამს, შემეშვი, თავი დამანებე.

ვიდრე ეროლ ბეი „თოზკოფარანის“ დამცველთა შეცდომებზე ლაპარაკობდა, სევიმი თავის ოთახში გავიდა, რადგან წამწამებზე წათხიპნილი ტუში ცრემლების შემდეგ თვალებს წვადა. საითი რომ მარტო დარჩა, იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ დაეპყრო მომხიბლავი საცოლის გული. ოჰ, ნეტავ ცნობილი ფეხბურთელი გახადა! ისეთი, როგორიც ახმედ კედელაა!

საითი ოცნებამ წაიღო: აი, იგი ფეხბურთის მოედანზეა, მოწინააღმდეგეს ბურთი აართვა, დარტყმა, არის! დარტყმა, არის! დარტყმა, არის! ტრიბუნებზე ერთი ამბავია, სიხარულით ატაცებული ხალხი ერთიმეორეს ეხვევა.

ამ ოცნებაში იყო საითი, რომ კარი გაიღო და ოთახში მეჭყურე ხანუმი შემოვიდა. სასიდედროს შემოსვლა საითს არ გაუგია. სწორედ ამ დროს ეროლ იფქირან ბეიმ წამოიძახა; „არის!!“ ამ შეძახილმა გამოაფხიზლა საითი.

— ვინ გაიტანა ბურთი? ჩვენებმა? თუ ჩვენებს გაუტანეს? — აწრიალდა საითი.

— ღმერთო, შემიწყალე, მგონი, თავის თავს ელაპარაკება, — გაოცდა სასიდედრო.

ამ დროს კომენტატორმა გამოაცხადა, ბურთი „თოზკოფარანმა“ გაიტანაო. საითი წამოხტა და მეჭყურე ხანუმს ეცა:

— გავიტანეთ, გავიტანეთ! ვაშა!

სასიდედრო ძლივს დაუსხლტა სასიძოს.

— თავი შეიკავე, რა მოგდის...

ამ დროს ოთახში სევიმმაც შემოირბინა და საბრალო სასიძოს ლამის მუხლები მოეკვეთა.

— გთხოვთ, მაპატიოთ, ხანუმ ეფენდი, მე მეგონა, აქ სევიმი იდგა, — წამოილულლულა საითმა.

მეჭყურე ხანუმმა დიდად გაიხარა: ძალიან კარგად მოვიქცეით, რომ დანიშნულნი მარტონი დავტოვეთ, ყველაფერი რიგზეა... დიდა ჩვენი ალაპი!

სასიძოვო კარი გაიჯახუნა

ფერფერიკების ოჯახში ყველას — საპატარძლოსაც, მის მეგობარ ფეხბურთელებსა და სტუმრებსაც თავის მოვალეობად მიაჩნდათ სასიძოს გამომუშვნა. საითი წარბშეუხრელად იტანდა დაცინვას, არაფერს ამჩნევდა, იყო საოცრად მშვიდი და ძალიან უყვარდა სევიმი. საცოლესთან ყოველდღე მიდიოდა, სევიმსა და მის მშობლებს ძვირფას საჩუქრებს მიართმევდა ხოლმე. მაგრამ ვერაფერს გახდა — სევიმი საკმაოდ აშკარად აგრძნობინებდა ყველას, საქმრო მძულსო და მოურიდეבלად დასცინოდა. საითს კი უფრო და უფრო უძლიერდებოდა მისი სიყვარული, რაიც არც ისე იშვიათად ხდება ხოლმე.

ფერფერიკების სახლიდან გამოსული საითი საკუთარ თავს ეფიცებოდა, ვიდრე სევიმი არ დამიძახებს, აქ მომსვლელი არა ვარო, მაგრამ მეორე დღეს კვლავ საჩუქრებით დატვირთული მორჩილად მიადგებოდა საცოლეს. ისე იყო, ვითარც უხსენებლის მიერ მონუსხული ბოცვერი.

ერთ საღამოს საითმა აუარება წითელი ვარდი იყიდა და საცოლეს მიადგა. იქ ბევრი უცხო სტუმარი დაუხვდა. ყველა ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ ოჯახში. ზოგი ვისკის წრუპავდა, ზოგიც ტახტზე გამოტილიყო და ხვრინავდა. ვინ რით იქცევდა თავს და ვინ — რით. საითი კი მხოლოდ თავის გულის სწორზე ფიქრობდა და ვერაფერს ამჩნევდა. მან ყვავილები სევიმს მიართვა.

— მონახე რომელიმე ლარნაკი და ჩააწყვე შიგ, — ყვავილებს არც შეხედა, ისე უთხრა სევიმმა.

საითმა ვერაფერი ნახა ისეთი, რომ ყვავილები ჩაეწყო. ხან რას წამოჰკრავდა ფეხს და ხან — რას.

— ჰო, კარგი, კარგი, თავი გაანებე, თორემ რაღაცას დამიმტვრევ, — შესძახა სევიმმა, — ფანჯრის რაფაზე ჩამოდე, დედაჩემი მოვა და ადგილს მოუნახავს.

საითი არ იყო საცოლის ყურადღებით გათამამებული და ახლა ეს ბრძანებაც კი ესიამოვნა — სევიმი ხომ საერთოდ არც ამჩნევდა მას. ოთახში გაიარ-გამოიარა და კარადის უკან თავისუფალი სავარძელი იპოვა. გასაოცარი ის იყო, რომ სევიმიც უცებ მივიდა და მის წინ სავარძელში ჩაჯდა.

— რა არის ახალი? — ჰკითხა მან.

საითს უკვე დაცდილი ჰქონდა, თუ საცოლეს უამბობდა, ესა და ეს ფათერაკი გადამხდა და ასე და ასე ვაგმაიმუნდიო, სევიმი უმალ კარგ გუნებაზე დგებოდა! რამდენი იყისკისა მაშინ, როცა უამბო, როგორ მოხვდა ერთხელ სტადიონზე...

— კი გეტყოდით, მაგრამ...

— რა გიშლით?

— მერიდება... საიდუმლოა...

— მერე და მე მიმაღავ?

— თქვენ არაფერს არ დაგიმაღავთ, მაგრამ...

— ჰო, რა იყო? დააყენე საშველი!

— მე მინდა თქვენი გული დავიპყრო, ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ, თუ საჭიროა, ფეხბურთელიც გავხდები, — ბოლო სიტყვა საითმა საკმაოდ მტკიცედ წარმოთქვა.

სევინმა გაოცებისაგან თვალები დაჭყიტა.

— რაო, ფეხბურთელიო?

— დიახ, ფეხბურთელი გავხდები! — საითის ხმაში პირველად იგრძნობოდა თავდაჯერება, — უფრო სწორედ, ძალიან მინდა ფეხბურთელი გავხდე.

— არ გადამრიო, ნუ მაცინებ...

საითმა თავისას მიაღწია — საცოლვე გააცინა.

ზარი დაირეკა და ოთახში ახმედ კედელა შემოვარდა. გახარებული სევინი კისერზე ჩამოეკიდა ცენტრალურ მცველს. ახმედმა კი გულიანად დაკოცნა თავისი გუნდის კეთილი ანგელოზი.

— რა მოგივიდა, ტიროდი?

— სიცილისაგან მდიოდა ცრემლები.

მერე ტახტზე ჩამოსხდნენ და ჩურჩული გააბეს, საითის არსებობა სულ დაავიწყდათ. საითი კი ფიქრობდა: მე რომ ფეხბურთელი ვიყო, ისევე ჩამომეკიდებოდა კისერზე და მაკოცებდა, როგორც ახმედს.

— რა ვქნა, ჩემო ძვირფასო, ხომ იცი, მეჩქარება, მაგრამ ქორწილს მაინც არა და არ დაადგა საშველი, — შესჩიოდა სევინი ახმედს.

საითს ბედნიერებისაგან სიწითლე მოერია: მაშ, ისე ვუყვარვარ, ქორწილიც კი ეჩქარებაო.

— შენც ადექი და ხვალისთვის დანიშნე. ყველანი მაგ ამბავს ველოდებით, — უთხრა ახმედმა სევინს.

— დედაჩემი არ შვრება, გაიძახის, ანგელოზივით ქალი უნდა გავატანო, იმ ბოსელში კი ჩემს შვილს არ შევუშვებო. თუმცა იმ ბოსელს ეგენი სასახლეს ეძახიან. სანამ ახალ ბინას არ იყიდიან, მანამდე არ გავაყოლებო.

— შენც რა გენადვლება, იყიდოს, ოხრადა აქვს ფული. ცოტა დიდი სახლი შეარჩიეთ, მთელი გუნდის ბიჭები რომ მოვალთ, ადგილი ხომ უნდა გვქონდეს?

— დედაჩემი აჭიანურებს. ყოველდღე ახალ-ახალ რაღაცას იგონებს. საძინებელი ოთახი ასე და ასე უნდა გავაწყოთო, საწოლი კიდევ ასეო. საითის სახლში სულ ძველებური ავეჯია, კარგად ვერ გავიგე, ვინ იყვნენ მაგის წინაპრები — ფაშები თუ ფადიშაჰები... მაგნაირი ავეჯი რა ხანია აღარავის უდგას. დედაჩემი ამბობს, სამუზეუმო ექსპონატებისთვის არ გამიზრდია ჩემი მშვენიერი სევინიო.

— ჰოდა, მაგ გათახსირებულმაც ახალი ავეჯი იყიდოს! — მარცხენა ფეხი აუთამაშდა კედელას.

— უკვე იყიდა, ჩემო კარგო.

— თქვენ გადარევთ ადამიანს და ეგ არის, — სახლიც დაიქირავა, ავეჯიც იყიდა, კიდევ რაღა გინდათ?

— დედაჩემი გაიძახის, ჩემმა სიძემ კარგად უნდა იცოდეს, რა გოგოს ვაძლევო.

— დედაშენმა ნაღში იცის თავისი საქმისა, საქონელს რაც მეტ ფასს დაადებ, მით უკეთ გაასაღებ... ერთი ეს მითხარი, მაგ ყმაწვილმა რომ ქორწინების მერე ხელი შეგვიშალოს?

— ეფენდი, მაპატიეთ, თქვენს საუბარში რომ ჩავერიე, — ვერ მოითმინა საითმა, — მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩვენი სახლის კარი მუდამ ღია იქნება თქვენთვის...

სევიმს დავიწყნოდა კიდევ საითის არსებობა და ახლა მისმა სიტყვებმა სასტიკად გააბრაზა:

— შენ აქა ხარ?! ყველაფერი გესმოდა?

— მე არც წავსულვარ, ხანუმ ეფენდი!

— მაშ, ყურს გვიგდებდი? მერედა არა გრცხვენია?

— გთხოვთ მაპატიოთ, მე არ ვიცოდი, რომ ეგ თქვენი ჩურჩული საიდუმლო იყო, — ალუღლუღდა საითი, — თორემ გადავჯდებოდი, გთხოვთ მომიტევოთ.

მობოდიშებამ ცეცხლზე ნავთი დაასხა და სევიმმა იფეთქა:

— არ მინდა, არ მინდა, არ გავხდები ამისი ცოლი, — თითიდან ნიშნობის ბეჭედი წაიხრო და საითს ცხვირ-პირში მიახალა, — აჰა, წაილე და თავიდან მომწყდი.

ბეჭედი საითს სათვალეზე მოხვდა, დავარდა და იატაკზე გაგორდა.

ასეთი რამ პირველად არ მომხდარა. სევიმ სვავმა აღრეც მიახალა ცხვირ-პირში ბეჭედი საითს, თავიდან მომწყდიო. ორჯერ შეარიგეს ისინი, ჯერ სასიდედრო-სასიმამრომ და შემდეგ ბერინ ხანუმმა. ყოველი შერიგების შემდეგ საითი ძვირფასი საჩუქრით ხელდამშვენებული ეახლებოდა საცოლეს.

— მე ხომ... სევიმ ხანუმ... მე ხომ... ახმედ ბეი, თქვენ მაინც... მე ხომ ისეთი არაფერი მითქვამს.

— არ მინდა, არ გავყვები... მომწყდეს თავიდან... აღარ დაინახოს ჩემმა თვალეებმა, — გაჰკიოდა სევიმი.

ყვირილი რომ მოესმა, მეჰჭურე ხანუმმა მოირბინა.

— რა მოხდა?

— არ მინდა ასეთი ქმარი, მე მაგას ცოლად არ გავყვები...

— მე ხომ არ მინდოდა თქვენთვის ყური მეგლო, ყველაფერი შემთხვევით მოხდა.

მეჰჭურე ხანუმმა საითს ხელმკლავი გაუკეთა და ოთახიდან გაიყვანა, თან დაყვავებით ეუბნებოდა:

— ხომ ხედავთ, სევიმი ძალიან ნერვიული გოგოა. ასე რამ გააბრაზა, არ ვიცი, მაგრამ ცოტა ხნით მარტო დატოვეთ.

— კარგით, ხანუმ ეფენდი, წავალ! — მორჩილად უპასუხა საითმა.

— ფეხი არსად გადგა, არამზადავ, შენ სევიმი შეარცხვინე, — ახლა ახმედ კედელა ჩაერია საუბარში.

საითს ცივმა ოფლმა დაასხა.

— ასეთი რა ვქენი, ეფენდი?

— განა არ გეუბნებოდი, განა არ გაფრთხილებდი, ჩემს საქმეებში ნუ ერევი-მეთქი, — ისევ აყვირდა სევიმი, — მიყურადებასა და მაგ ენატანიაობას თავი გაანებე-მეთქი?

საითს არ უყვარდა და არც არასოდეს გაუკეთებია ასეთი რამ, მაგრამ

ახლა, ყვირილით დაშინებულმა, თითქოს დანაშაულში გამოტყდაო, წამოი-
ლულლულა:

- კი მეუბნებოდით, სევიმ ხანუმ.
- რამდენჯერ მოგიგდე უკან ეგ შენი ქეციანი ბეჭედი?
- ორჯერ, სევიმ ხანუმ.
- უკანასკნელად რა გითხარი?
- რა მითხარით? — კითხვა შეუბრუნა საითმა.
- აბა უყურეთ, რაებს მიბედავს, აქეთ მეკითხება კიდევ. მაშ, შენ არ იმახსოვრებ, რასაც მე გეუბნები?

— როგორ არა, როგორ არ ვიმახსოვრებ!..

ამ წივილ-კივილისა და შეურაცხმყოფელი სიტყვების მოსმენას ის ერ-
ჩია, მიწა გასკდომოდა და შიგ ჩამძვრალიყო, მაგრამ სევიმის წინ გაჯგიმული
იდგა, მისთვის ჩვეული ზრდილობისთვის ვერ ელაღატნა და ხან მეჭჭურე ხან-
უმს გადახედავდა იმედის თვალთ, ხანაც ახმედ კედელას.

— ნება მომეცით, ყველაფერი აგიხსნათ, — ლულლულედა საითი და
ღრმად პატივცემულ სასიდედროს შესცქეროდა, — რამდენადაც ვიცი, მე ამ
ოჯახში შინაურივით უნდა ვგრძნობდე თავს. ამიტომაც სავსებით ბუნებრივად
მივიჩნიე სევიმ ხანუმისა და ახმედ ბეის საუბარი ჩემი თანდასწრებით. ასე
არ არის, ხანუმ ეფენდი? მე რა ვიცოდი, თუ საიდუმლო ჰქონდათ ერთიმეო-
რესთან.

ამ სიტყვებისა თვით ახმედსაც კი შერცხვა.

— ჩუმად!.. — უყვირა მან სევიმს. — შენ აქ მეტისმეტად ნუ...

სევიმმა უმალ ხმა გაიკმინდა.

— მადლობელი ვარ, ეფენდი, მე სულაც არ მეწადა, რომ...

— მაგას ასე უნდა ელაპარაკო, — უჩურჩულა ახმედს საპატარძლომ, —
რაც უფრო მეტს უყვირებ, მეტი შიში და მორიდება ექნება.

— საით, შენც არა ხარ მართალი, — შემრიგებლური კილოთი დაიწყო
ახმედმა, — ხომ ხედავ, როგორი ნერვიული გახდა. განა კეთილშობილ კაცს
მიყურადება ეკადრება? — მერე საითს მხრებზე ხელი მოხვია და გვერდზე
გაიყვანა, — შენ, ძმაო, ხომ არ შეიშალე, ფეხმძიმე ქალთან ასე ლაპარაკი იქ-
ნება? მიდი და პატიება სთხოვე, ჩვენი საუბარი ხომ გახსოვს. აკი დამპირდი,
ამ დღეში მყოფ ქალს არ მივატოვებო?

საითი გაწითლდა.

— კარგით, კარგით, ახლა შერიგდით — გაიძახოდა სიძე-პატარძლის შე-
რიგებაზე მზრუნველი უახლოესი ნათესავი, — სევიმ, ხომ ხედავ, როგორ
რცხვენია და ინანიებს საითი.

საითი მზად იყო ახმედს დაჰყაბულებოდა, მაგრამ სევიმი არ ცხრებოდა:

— არ მინდა, მომწყდეს თავიდან, არ დაინახოს ჩემმა თვალებმა!

შეშინებულმა სასიძომ „კარგით, გაგეცლებითო“ და კარს მიაშურა. კარი
უცბად გაიღო და, თითქოს საითი ქარმა გაიტაცაო, ისეთი ხმაურით მიიხურა,
ლამის ფანჯრების შუშა ჩაილეწა.

საითი გაოგნებული მიაჩერდა კარს. „უნდა შევბრუნდე და გავაგებინო,
რომ კარი მე არ მიმიჯახუნებია, ყველაფერი ამ წყეული ორპირი ქარის ბრა-
ლია“, — გაიფიქრა საითმა, მაგრამ იმის არაქათიც არა ჰქონდა, რომ ზარი და-
ერეკა. ანგარიშმიუცემლად მოტრიალდა და ნელ-ნელა კიბეს ჩამოჰყვა.

ისიც არ ახსოვს, როგორ მიაღწია შინამდე, როგორ გაიხადა ტანსაცმელი და დაწვა. იწვა და ტიროდა შეურაცხყოფილი და გულჩათუთქული. მისთვის სრულიად უცნობი შურისძიების გრძნობა შეეპარა გულში. მაგრამ რა შეუძლია საიტს, რისი ძალა შესწევს? არაფრის... და მაშინ ერთ საოცარ, თითქმის ფანტასტიკურ ოცნებას ისე ჩაეჭიდა, როგორც წყალწადებული ხავსს: „ოჰ, ნეტა ცნობილი ფეხბურთელი გამხადა და მაშინ კი ვახვეწებდი მაგათ...“

საითმა უკვე ფეხბურთის მოედანზე წარმოიდგინა თავი. აი, ბურთი მიიღო, მოატყუა ერთი მოწინააღმდეგე, მოატყუა მეორე, მესამე და ძლიერი დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია. მთელი გუნდი საიტს მივარდა, ეხვევიან, კოცნიან, ტრიბუნაზე კი ერთი ამბავია: სა-ით!!! სა-ით!!! სა-ით!!! — ყვირის ამდენი ხალხი. ოცნებაში ისე ჩაეფლო, რომ ტელეფონის ზარი ძლივს გაიგონა. დუნდარ-დუნდარა ბეი რეკავდა, როდის და სად შევხვდეთო.

— დიახ, დიახ. გელოდებით, ეფენდი, გთხოვთ პატივი დამდოთ... როცა გენებოთ, მე სულ სახლში ვარ...

საითი კვლავ თავის ოთახში შებრუნდა და რომ დამშვიდებულიყო, მათემატიკურ ამოცანას ჩაუჯდა.

რა ხდებოდა ამ დროს სევიმის სახლში?

სასიძოს უკან კარი ასეთი ჯახუნით რომ მიიხურა, სასიდედროსა და საპატარძლოს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა.

ახმედმა სიგარეტი გააბოლა, ბრაზით გადახედა სევიმს და იქედნურად ჰკითხა:

— ახლა ხომ კმაყოფილი ხარ?

— ისეთი რა გავაკეთე? — შეულრინა სევიმმა და გაიფიქრა: „დედაჩემი რომ იტყვის, უბედურო, გამეცალე, მე შენთან ცხოვრება აღარ შემიძლიაო, მამაჩემი ფინიასავით თვინიერი ხდება და დედაჩემს ემუდარება: მაპატიე, ნუ გამწირავო. — არა უშავს რა, მობრუნდება, — დაჯერებულად ჩაილაპარაკა სევიმმა.“

— დღეს მეტისმეტი მოგივიდა, შვილო, ასე არ შეიძლება, — თქვა მეჭურვე ხანუმმა და გასასვლელისკენ გაემართა, თან თავისთვის დუდლუნებდა: „რა ახალგაზრდობა მოვიდა, ისიც არ იციან, როდის ყვირილია საჭირო და როდის — დაყვავება“.

— ახლა მთელი კვირა ამაზე ილაპარაკებ, — დედას გაეპასუხა სევიმი.

მართალია, ახმედი გაბრაზებული იყო საითზე, მაგრამ თანაუგრძნობდა კიდეც.

— იცი, რას გეტყვი? ასეც არ შეიძლება, — მკაცრად უთხრა სევიმს.

— რა ვიცოდი, თუ ეგ გიყი-გადარეული კარს მოაჯახუნებდა? დარდი ნუ გაქვს, არსად არ დაიკარგება, მობრუნდება, მაგისნაირებს ჰკუთვნდა ასწავლო, პირველად გავაგდე სახლიდან თუ? მოვა და მუდარას დამიწყებს. საითი და მამაჩემი ერთი ცომისაგან არიან მოზელილნი — ორივე კაი ლაყე და დოყლაპიაა.

— სხვანაირი ბიჭი უნდა შეგხვედროდა და ის გაჩვენებდა, როგორ უნდა წიოკობა, ამოსუნთქვის საშუალებას არ მოგცემდა. რას დაჰკივი თავს, ხომ ხედავ ეგ ბიჭი ცომივითაა, როგორც მოგეპრიანება, ისე მოზელ. მავაზე უკეთეს ქმარს ქალი ვერ ინატრებს. მეტი რა გინდა?

სევიმმა იცოდა, რომ ახმედი ცამდე მართალი იყო, მაგრამ მთელი შენი სიცოცხლე ამგვარ ლაყე კაცთან ცხოვრება არ გინდა? და მაინც... და მაინც: სევიმს არ უნდოდა საითის დაკარგვა...

როგორ გახდა ცნობილი ახმედ კედელა

საუზმე კარგა ხანს გაგრძელდა. საითი დროდადრო წამოხტებოდა და წაღმა-უკუღმა იქნევიდა თავს, ფეხებსა და ხელებს.

ბერინ ხანუმი წამოდგა და სამზარეულოსაკენ გაემართა, მაგრამ კარებში ჩადგა და საკმაო ხანს აკვირდებოდა დისწულს. „ნუთუ შეირყა ჩემი საითი?“

... საჯარიმო დარტყმა, მსაჯმა ბურთი გაასწორა, კარამდე ოცდახუთი მეტრია, მთელი სტადიონი სუნთქვაშეკრული შეჰყურებს საითს... აჰა, გამოექანა... საშინელი ძალით დარტყმულმა ბურთმა გაანგრია საითის წინ ჩამწკრივებულ ფეხბურთელთა კედელი და ბადეში გაეხვია. მეკარემ განძრევაც ვერ მოასწრო. სტადიონი გუგუნებს, ღრიალებს, სევიმი კი სიხარულისაგან ტირის.

დეიდა ბერინი მაგიდასთან მობრუნდა, თავისსავე ადგილზე დაჯდა და ის იყო ჩაის დასხმა დაიწყო, რომ მაგიდა შეტოკდა, ჭიქები იატაკზე გაგორდა, ჭურჭლეული ერთიმეორეს შეემსხვრა.

— არიის!!! — იყვირა საითმა და მაგიდის ფეხს მოარტყა ფეხი.

— რა მოგივიდა, შვილო? — ველარ მოითმინა დეიდამ.

— ისეთი არაფერი, — გაოცებით შეხედა დეიდას საითმა, — უბრალოდ ძელს მოვარტყი.

ნასაუზმევს საითი თავის ოთახში გავიდა, ბერინ ხანუმი კი ტელეფონს მივარდა და რეფიქს დაურეკა. რეფიქი საითის მეგობარი იყო, საითთან ერთად სწავლობდა ლიცეუმში, მერე ამერიკაში წავიდა და ახლახან ცნობილ ფსიქიატრად დაბრუნდა.

— სულ შეიშალა ჩვენი საითი, შვილო... ფეხებსა და ხელებს ჰაერში იქნევს, ახლახან ლამის ფეხი მოიტეხა, ისე მოარტყა მაგიდას. ასე სულაც დაკოჭლდება და ეგ არის... რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ, იხსენი ჩვენი საითი, რამენაირად იხსენი. ჩვენ აღარც გველაპარაკება, სულ გაიძახის: „არიის!“ „არიის!“ „არიის!“ ეშმაკმა აურია გონება.

რეფიქი შეეცადა დაემშვიდებინა ბერინ ხანუმი და, ყველაფერს გავაკეთებო, აღუთქვა. სადილი თავის კაბინეტში მიართვეს საითს. მაღამ ანჟელამ რომ კარზე დააკაკუნა, ისევ ის „არიის“ „არიის!“ მოესმა. მაღამ ანჟელამ იფიქრა, საითმა ამ სიტყვებით ოთახში შესვლის ნება დამართო, და კარი გააღო. საშინელი სანახაობა გადაეშალა თვალწინ. საითი ხომ პაპანაქება სიცხეშია არ იხდიდა თბილ საცვალს, ახლა კი ტრუსის ამარა იდგა შუა ოთახში და ბალიშებს აბურთავებდა. უკვე საკმაოდ გაქექილი ორი ბალიში იატაკზე ეგდო, ჰაერში ბუმბული მიმოფანტულიყო. საითს ისეთი საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა, რომ მაღამ ანჟელამ სადილი მაგიდაზე დადგა და უცებ გავიდა, თან კარი ფრთხილად გაიხურა. მერე ყველაფერი ბერინ ხანუმს ჩაუკაკლა.

— ოჰ, ხანუმ ეფენდი, თქვენ რომ იცოდეთ, რა დღეშია ჩვენი საითი, რას აკეთებს...

რასაკვირველია, მაღამ ანჟელამ გადააჭარბა, მაგრამ ბერინ ხანუმს მაინც

არაფერი გაჰკვირვებია. მან ქალი სამზარეულოში გაგზავნა, თვითონ კი საითისაკენ გაეშურა. უნდოდა ისე ეთვალთვალა საითისათვის, რომ არავის დაენახა.

ბერინ ხანუმმა საკლიტურში შეიჭვრიტა და დაინახა, საითი ტახტზე იწვა და მძიმედ სუნთქავდა, თავი ბალიშებში ჩაერგო და ფეხებს ციებიანივით ატოკებდა. დროდადრო ღრიალით აღმოხდებოდა: „არის!“ „არის!“

რა წყალში ჩავარდნილიყო, სად წასულიყო და ვისთვის გაეზიარებინა თავისი გულის ვარამი? ბერინ ხანუმს სტამბოლის დიდკაცური ადათები არ აძლევდა იმის უფლებას, რომ ოჯახში მომხდარი უსიამოვნებანი ხალხისათვის გაეგებინებინა და სალაპარაკო გაეხადა.

საითი ნასადილევს კაბინეტიდან გამოვიდა და ჩვეულებისამებრ იკითხა:

— დღევანდელი გაზეთები სად არის?

მადამ ანჟელამ დღევანდელი ფოსტა მოურბენინა, მზრუნველმა დეიდამ კი, ისადილე თუ არაო, ჰკითხა.

— რასაკვირველია, ვისადილე, — მიუგო საითმა. მერე სასტუმრო ოთახში დაჯდა და როგორც განათლებულ ხალხს შეეფერება, გაზეთების კითხვა ბოლო გვერდიდან დაიწყო, რადგან სპორტის ამბები სწორედ ბოლო გვერდზეა მოთავსებული. ერთ ადგილას ეროლ იფქირან ბეის სახელს წააწყდა და ისე გაიხარა, თითქოს უცხო ქვეყანაში თანამემამულეს გადაყროდეს. გაზეთში დაბეჭდილი იყო იფქირან ბეის სტატია: „შეუძლია თუ არა „თოზკოფარანს“ გახდეს ევროპის ჩემპიონი?“

იფქირან ბეი წერდა:

„ყოველი დღე გვაიმედებს, რომ „თოზკოფარანი“ ევროპის ჩემპიონი გახდება. ამ გუნდმა უკვე მწარე გაკვეთილი მიიღო, როცა ანგარიშით 0:4 წააგო ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტ გერმანიის გუნდთან. მიუხედავად იმისა, რომ „თოზკოფარანს“ კენჭისყრაზე ბედმა არ გაუმართლა, იგი მაინც შეძლებს ევროპის შეჯიბრში წარმატება მოიპოვოს. გუშინდელი მატჩი „ჰაჯიქადინთან“ — მესამე ლიგის გუნდთან, დამთავრდა ანგარიშით 0:0. სწორედ ეს საყაიმო ანგარიშია იმის უტყუარი დადასტურება, რომ „თოზკოფარანი“ ჩემპიონობის სერიოზული პრეტენდენტია. თუ გერმანელები, რომლებმაც გაჰკვირვებით მოუგეს ჩვენებს ანგარიშით 4:0, წააგებენ უნგრელებთან, ხოლო ჩვენები კი ძალიან დიდი ანგარიშით მოუგებენ მონაკოელებს, მონაკოელები კი გააცამტვერებენ იტალიელებს, ხოლო იტალიელებს გაანადგურებენ ალბანელები, ინგლისელები და ფრანგები კი ბერძნებთან წააგებენ, მაშინ „თოზკოფარანს“ საშუალება ექნება განმეორებით შეხვდეს გერმანელებს. და თუ მეორე და შემდეგ ნეიტრალურ მოედანზე გამართულ მესამე მატჩში გერმანელები დავამარცხეთ, „თოზკოფარანი“ უსათუოდ გავა მეოთხედფინალში და თუ იგი მეოთხედფინალში გასულ სხვა გუნდებსაც დაამარცხებს (მოგეხსენებათ — ბურთი მრგვალია და შეიძლება ყველაფერი მოხდეს). „თოზკოფარანი“ ნახევარფინალში გავა. საკუთარ მოედანზე თამაშის უფლება რომ გავინაღდოთ, ამისათვის საჭიროა დავამარცხოთ ახლანდელი ჩემპიონები — ინგლისელები. და, აი, ამის შემდეგ იწყება მთავარი — ალაპის შემწეობით, მაყურებელთა მხარდაჭერით, კომშისა და ხილის წყლების თადარიგიანი გამოყენებით (რასაკვირველია, გარკვეული როლი ახმედ კედელამაც უნდა შეასრულოს) მატჩს მოვიგებთ და გავალთ ფინალში. და თუ ჩვენი ფეხბურთელები ფინალურ-

რი შეხვედრისათვის მედგრად იქნებიან, თუ მატჩის წინალამეს რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, თუ მოწინააღმდეგემ ცუდად ითამაშა, ხოლო ჩვენ კი — ჩინებულად, თუ მზემ თვალები ჩვენ არ მოგვჭრა და ქარმაც მოწინააღმდეგის კარისაკენ დაუბერა, თუ ჩვენმა მეკარემ ბურთები აიღო, ხოლო მოწინააღმდეგისამ კი პირიქით — გაუშვა, თუ ჩვენი ფორვარდები ბურთს ფეხს არ ააცილებენ. და კარში დაარტყამენ, მაშინ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „თოზკოფარანი“ უსათუოდ გახდება ჩემპიონი...“

რა სტატიაა! კითხულობდა საიტი იფქირან ბეის ნაწერს და ავტორის ერუდიცია აღაფრთოვანებდა, ან როგორ ძალუძს ასე ზუსტად ამოიცნოს და მრავალმხრივ შეაფასოს მოვლენები და მათგან გამომდინარე შედეგები. მაგრამ ამავე დროს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ავტორმა რაღაც დაუმალა, ბოლომდე არ გაუმხილა. ამიტომ მის ნაწერს ყველა ისე გაიგებდა, როგორც ეწადა. საიტმა ხუთჯერ წაიკითხა სტატია, მაგრამ ვერაფრით გაიგო, რისი თქმა სურდა ავტორს. საიტი სპორტის საკითხებში სრული უვიცი იყო, მაგრამ მის თვალში იფქირან ბეის ავტორიტეტი ერთიორად გაიზარდა, ვინაიდან წერილს ვერაფერი გაუგო და იგი ყველაზე ურთულეს მათემატიკურ ამოცანად მიიჩნია. „თოზკოფარანის“ ჩემპიონობას იმდენი „თუ“ ეღობებოდა წინ, რომ ევროპის ფინალში გასვლა სპორტლოტოს ექვსი ციფრის ამოცნობაზე უფრო ძნელი იყო.

სარიოლლუთა კარზე ვილაც ახალგაზრდა კაცმა დარეკა.

— საით ბეი სახლშია? მე ეროლ იფქირანი ვარ.

მადამ ანჟელამ სტუმარი შინ შეიპატიჟა. საიტმა ძვირფასი სტუმარი გულწრფელი პატივისცემით მიიღო.

— დღეს თქვენი წერილი წავიკითხე, — თქვა საიტმა, — და ბევრი რამ საინტერესო შევიტყვე. გამაკვირვა თქვენი მსჯელობის უნარმა.

— იცი, რა გითხრა, ძმობილო, მე უბრალოდ ვიშაყირე, ეგ წერილიც მეტი არაფერია. მინდოდა გამებითურებინა „თოზკოფარანი“, რადგან ჰგონიათ, მსოფლიოს მასშტაბის ფეხბურთელები ვართო.

„აი, თურმე რა ხდება, მე კი წმინდა წყლის სიმართლედ მივიღე ყველაფერი“, — გაიფიქრა საიტმა, მაგრამ არ უნდოდა თავის სიბრიყვეში გამომტყდარიყო და თქვა:

— მართლა ძალიან კი გააბითურეთ, ისეთი სიამოვნება მივიღე, რომ... კარგა ხანია ამდენი არ მიცინია.

— როგორ შეიძლება „თოზკოფარანს“ რაიმე პრეტენზია გააჩნდეს მსოფლიო ფეხბურთში. აი, ნახავ ევროპის ჩემპიონატზე პირველსავე თამაშს წააგებს, თანაც საკუთარ მოედანზე. ეს იმიტომ, ძმობილო, რომ...—და იფქირან ბეიმ დაწვრილებით დაუხასიათა მთელი გუნდი, შემდეგ უცებ რაღაც მოაგონდა და წამოიძახა: — ჰო, სულ დამავიწყდა, მე ხომ დუნდარ ბეისთან ერთად უნდა მოვსულიყავი აქ, მაგრამ დამირეკა, ცოტა შემავიანდებო.

სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: დუნდარ-დუბარა ბეიმ დილაადრიან დარეკა ფერფერიკებთან და სევიმს უთხრა, დღეს საიტს უნდა შევხვდეო. დუნდარ-დუბარას ერთი სული ჰქონდა, საით სარიოლლუ „თოზკოფარანის“ საპატიო წევრად გაეხადა. ამიტომაც სევიმს შესთავაზა, შენს საქმროსთან მიმყვიო.

— რა კარგია, რომ დარეკეთ, დუნდარ ბეი, — უპასუხა სევიმმა, — ვერც

კი წარმოიდგენთ, ისე მჭირდებით. აი, ახმედის ჩემთან არის. თქვენს გარდა ქვეყნად ვერავინ დამეხმარება. გთხოვთ, ვიდრე საითთან წახვიდოდეთ, ჩემთან შემოიარეთ, ფრიად საგულისხმო რამ უნდა გითხრა...

სწორედ ამის გამო შეაგვიანდა „თოზკოფარანის“ გენერალურ თავმჯდომარეს.

ვიდრე ღუნდარ ბეი ფერფერიკების სახლში დარეკავდა, სევიმი ახმედს ეხვეწებოდა, საქმროსთან შემარიგეო. ცხადია, იმ საღამოს მეტისმეტი მოუვიდა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. იმ დღის მერე კი საითი აღარ გამოჩენილა, არც მოდის და არც რეკავს. მხოლოდ ახმედს შეუძლია მათი შერიგება, ოღონდ ერთი რამეც არ დაივიწყოს ახმედმა—საითს საკმაოდ ცხადად უნდა აგრძნობინოს, რომ ყველაფერი მისი ბრალია და არა სევიმისა. სევიმი კი, თუ საითი მოვა და მოინანიებს, ამ შეცოდებას მიუტევებს. ქორწილს რომ გადაიხდიან, სევიმი აინუნშიც აღარ ჩააგდება განაწყენებას, მაგრამ ჯერ ხომ უნდა იქორწინონ?

ახმედი კი სევიმზე ბრაზობდა და არც მალავდა, რომ საითი ებრალებოდა. ამიტომ სულაც არ უნდოდა სევიმის შუამავალი ყოფილიყო. ამ დროს იღბლად ღუნდარ ბეიც გამოჩნდა. სევიმისა და საითის ამბავი რომ გაიგო, დაფეთდა, თუ ეს ქორწინება არ შედგა, საითის ფულებს ჩვენს კლუბს ვინ მიავაგებსო. ღუნდარ ბეიმ იფიქრა, იფიქრა და თქვა:

— დარდი ნუ გაქვთ, ყველაფერს ისე მოვაჭახრაკებ, თვითონვე გაგიკვირდებათ, ოღონდ ხვალ ჰასიფ ბეიმ სადილი ან ვახშამი გამართოს. არავინ დაპატიჟოთ, მხოლოდ შინაურები ვიქნებით — შენი მშობლები, ახმედი, იფქირანსაც დაგუდახოთ. სხვათა შორის, იფქირანი ახლა საითთანაა, სასიძოს კი მე მოვიყვან რამენაირად. სუფრაზე ყველაფერი მოგვარდება.

ვიდრე ღუნდარ ბეი აქ გეგმებს აწყობდა, იფქირან ბეი საითს უამბობდა, თუ როგორ გახდა სპორტული მიმომხილველი.

— იცი, ძმობილო, ვინ არის სპორტული მიმომხილველი? ეს ის კაცია, ვინც სპორტში ვერ იხეირა, ან კიდევ ის, ვისაც სპორტისა არაფერი გაეგება. საერთოდ თუ მიგიქცევია ყურადღება, რა საგნებსა და მოვლენებზე ლაპარაკობენ ადამიანები ყველაზე დიდი გატაცებით? სწორედ იმაზე, რაც მათ არასოდეს გაუკეთებიათ და ვერც ვერასოდეს გააკეთებენ. ამ ქალთან ასე და ასე მქონდა საქმე, იმასთან კი — ასეო. რატომ ლაპარაკობენ ასეთი ეშხით? იმიტომ რომ აღარაფრის თავი აღარ აქვთ.

საითმა უცებ გაიფიქრა: მაშ, ყველაზე უკეთესი სპორტული მიმომხილველი მე დავდგები, რადგან ამ საქმისა არაფერი გამეგებაო. თუმცა არა, იგი ფეხბურთელი უნდა გახდეს!

— განსვენებულ მამაჩემს ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა, — განაგრძობდა ეროლ ბეი, — იმ საბრალოს მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავდა და მწარედ განიცდიდა ამას. გულმოდგინედ კითხულობდა ყურანს, ამიტომ თავისი ხუთი თითივით იცოდა ჩვენი წინასწარმეტყველის მუჰამედის ცხოვრება, იცოდა, რამდენი ცოლი ჰყავდა მას. ხშირად იტყოდა ხოლმე: „ამბობენ, თითქოს ისლამისათვის უცხოა სასწაულები, მაშინ როცა ქრისტიანობა სასწაულებითააო სავსე. ნეტავ რომელმა ყეყეჩმა წამოროშა ასეთი რამ? ქრისტიანები ერთ ცოლს ძლივს ერევიან, ჩვენი მუჰამედი კი ოთხს ისე უსწორდებოდა, რომ კარგად მეყოლეო“. თუმცა ამას ჩვენს საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

მამაჩემი მუდამ მიბრაზდებოდა, რატომ წიგნს არ აიღებ ხელში, უწიგნური და ვირი ხარ, შენგან კაცი არასოდეს დადგებაო. ლიცეუმი ვერ დაგამთავრე, რადგან მასწავლებლები ძალიან უსამართლოდ მექცეოდნენ. ამიტომ დამოუკიდებელი ცხოვრება ადრე დავიწყე. რა საქმისთვისაც არ უნდა მომეკიდა ხელი, არაფერი გამოდიოდა. ყველა დიდი ამერიკელი ავტორი მწერლად გახდომამდე ჩემსავით იყო — ათას საქმეს წამოიწყებდა და ბოლოს რა? ხელმოცარული რჩებოდა, მერე კალამს ჰკიდებდა ხელს. მეც, მიუხედავად იმისა, რომ სადაგელი ხელი მაქვს, ჩემს ნაჯღაბნს კაცი ვერ გააჩევეს და არც მშობლიური ენა ვიცი ხეირიანად, წერას მივყავი ხელი. ვერც აქ ვიხეირე, სამაგიეროდ, სპორტული მიმომხილველი კი გავხდი. ერთ გაუბედურებულ გაზეთში დავიწყე თანამშრომლობა, ის გაზეთი სულს დაფავდა და აგერ-აგერ შეწყვეტდა კიდევ არსებობას. იმ წელიწადს ოლიმპიური ასპარეზობა ტარდებოდა. ყოველმა გაზეთმა რამდენიმე საკუთარი კორესპონდენტი გაგზავნა ოლიმპიადაზე, ჩვენს რედაქციას კი იმის თავი არა ჰქონდა, რომ ერთი კაცი მაინც გაეგზავნა. მაშინ ასეთი ეშმაკობა ვიხმარე: გაზეთის არქივში მოვნახე ფოტო, რომელზეც გამოსახული იყო ქალი და კაცი. ისინი თვითმფრინავის ტრაპზე იდგნენ და გამცილებლებს ხელს უქნევდნენ. სურათზე მამაკაცის ნაცვლად ჩემი ფოტო ჩავსვი და მეორე დღეს ჩვენს გაზეთში დავაბეჭდვინე. სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: „მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, ჩვენი გაზეთი მაინც გზავნის საკუთარ კორესპონდენტს ოლიმპიადაზე. ეროლ იფქირანი იეშილქოის აეროპორტში“.

საუბედუროდ, ერთი შეცდომა მომივიდა — სურათზე შორს, მაგრამ მაინც ცხადად ჩანდა ამერიკული ცათამბჯენი. გეოგრაფიაში მარტო მე არა ვარ ბითური და ამ შეცდომას ვერავინაც ვერ მიხვდებოდა, ამერიკის პრეს-ცენტრიდან რომ არ დაერეკათ და არ ეკითხათ: „მერილინ მონრო თუ სტამბოლში ჩამოვიდა, რომ ეროლ იფქირანი აეროპორტში გაეცილებინა, რატომ არაფერი გაგვაგებინეთო?“ აზრზე ხარ? თურმე ვის გვერდით ჩამისვამს ჩემი ფოტო. თავად მერილინ მონროს გვერდით! კინალამ არ შემეჭამეს ამერიკელებმა. ოლიმპიადის მასალებს სხვა გაზეთებიდან გადმოვიწერდი და ისე ვბეჭდავდი, თითქოს ოლიმპიადაზე ვიყავი და იქიდან ვგზავნიდი. ჩვენს გაზეთს არაფერმა უშველა, მალე დაიხურა, მაგრამ მე მაინც მოვასწარი სახელის მოხვეჭა და სხვა გაზეთში მიმიღეს.

თავისი აღსარება რომ დაამთავრა, ეროლ იფქირან ბეიმ ფრიად მიუკერძოებელი დახასიათება მისცა დუნდარ-დუბარა ბეის.

— დუნდარ ბეისთანა გენიალურ ხელმძღვანელს, სანთლით რომ ეძებო, ვერსად იპოვი. ნაღდი პოლიტიკოსია. ეჰ, ჩვენს ქვეყანაში რომ ფეხბურთზე არ გიჟდებოდეს ხალხი, ეგ უკეთეს საქმეს მოკიდებდა ხელს. დუნდარ ბეი რომ ინგლისში, ბრაზილიაში ან ესპანეთში ცხოვრობდეს, სერის წოდებას გაირტყამდა. კაცმა არ იცის, რატომ ჩააცივდა ასე ამ „თოზკოფარანს“. თავისი კლუბის ნამდვილი ფანატიკოსია, მაგრამ... ფულზეც გიჟდება, კარგად ქაფავს... რაც მოეპრიანება, იმას გააკეთებს. დუბარა ბეის არაფრად უღირს თამაშის შედეგის გაუქმება — ან მსაჯს დააბრალებს ყველაფერს, ან იმაზე ატეხს ერთ ალიაქოთს, ბურთი აფსაიტიდან გაიტანესო. ეგ რომ არ მოიფიქრებს, ისეთი არაფერია!

საითი ყურადღებით უსმენდა იფქირან ბეის, მისი ყოველი სიტყვა წმინ-

და წყლის სიმართლედ მიაჩნდა და სულაც ვერ გრძობდა დაცინვას იფქირან ბეის სიტყვებში.

— შენ ალბათ არ გახსოვს, მაგრამ იყო დრო, როცა ჩვენს ფეხბურთელებს კოჭებამდე ტრუსები ეცვათ. მხოლოდ დუნდარ-ბეიმ შეძლო ეს ტრუსები შვიდ-ნახევარი სანტიმეტრით დაემოკლებინათ. იმდენი მოახერხა, რომ ფიზიკური აღზრდის სამმართველოს გენერალურ დირექტორთან შევიდა და უთხრა: „როცა ფეხბურთელი შეტევაზე გადადის და ბურთისთვის იბრძვის, გრძელი ტრუსები ხელს უშლის, შეიძლება ჩასძვრეს კიდეც და შიშველ ადგილს ხომ ვერ ვაჩვენებთ მაყურებელს?“ გენერალურმა დირექტორმაც სათანადო ბრძანება გასცა.

ეროლ იფქირან ბეი რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა „თოზკოფარანზე“, საიტს მით უფრო მოსწონდა ეს გუნდი. მართალია, საიტს არც ერთი თამაში არ უნახავს, მაგრამ მაინც ამ გუნდის თავგამოდებულ ქომაგად მიიჩნია თავი. მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა „თოზკოფარანისათვის“. საითი ჯერ კიდევ ლიცეუმში იყო ცნობილი თავისი გულუხვობით და ნუთუ ახლა მისი ქონება „თოზკოფარანს“ ვერ დააახლოებს?

— კაცმა რომ თქვას, ვერავინ გაიგებს, „თოზკოფარანია“ დუნდარ ბეისგან დავალებული თუ, პირიქით, დუნდარ ბეი „თოზკოფარანისაგან“. დუნდარ-დუბარას ყოველთვის შეუძლია პრესაში საქმე ჩააწყოს. თუ კლუბის პრეზიდენტის გადმოყირავება მოინდომა, ძალიან უბრალოდ აკეთებს — გაზეთში დაბეჭდავს ასეთ შეკითხვას: „რაში დაიხარჯა ასი ათასი ლირა?“ და იწყება ერთი ალიაქოთი. სპორტული წრეები, პრესა მოითხოვენ საგანგებო კომისიას, რომელიც შეისწავლის, რამდენად სწორად ხარჯავს კლუბი ფულს. გაიძახიან, რა საჭიროა, რომ თერთმეტკაციან გუნდს უცხოეთში კლუბის ხელმძღვანელობიდან ორმოცდათერთმეტი კაცი მიჰყვებოდ. ერთი სიტყვით, ასი ათასი ლირა გაქრაო. არის ერთი აურზაური და წიოკობა. სინამდვილეში კი ფული არავის გაუფლანგავს, მაგრამ ამ აურზაურს საპატიო პრეზიდენტი მაინც ეწირება. დუნდარ ბეი კი ამასობაში თავის კაცს წამოჭიმავს პრეზიდენტად. ცხადია, ყოვლად პატიოსან პიროვნებას.

საითი უსმენდა ამ გულახდილ ლაპარაკს და უკვირდა, როგორ შეიძლება კაცთან მეგობრობდე და ასე აძაგებდე? თუმცა საიტს ახლა არაფრად ენაღვლებოდა კლუბის გენერალური დირექტორი, მას სულ სხვა რამ აწუხებდა.

— იფქირან ბეი, — სიტყვა გააწყვეტინა საითმა, — დუნდარ-დუბარა ბეიმ ერთხელ თქვა, რომ ახმედი თქვენი მეოხებით გახდა ცნობილი კაცი. მითხარით, როგორ მოახერხეთ ეს?

— ეჰ, განა მარტო ახმედი გავხადე ცნობილი, მასეთი რამდენია! ახლა თურქეთში ისეთ კაცს ვერ იპოვი, რომ ახმედ კედელას არ იცნობდეს.

— დეიდაჩემმა და მადამ ანჟელამაც კი იციან, ვინ არის ახმედი. იმათ კი სტადიონზე ქული რომ შეუგდო, მაინც არ შევლენ, — საითმა ლამის ისიც არა თქვა, „როგორც მეო“, მაგრამ ენას დროზე დააჭირა კბილი.

— ერთხელ დეიდაჩემს ვკითხე, ახმედს საიდან იცნობთ-მეთქი, და იცით, რა მიპასუხა? „გაზეთები იმდენს წერენ მაგაზე, რომც არ გინდოდეს, მაინც გაიცნობო. ერთხელ რომ გამოტოვო და არ წაიკითხო, მეორედ მაინც წაიკითხავ, მის სურათებს გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ, ზუსტად ისე, როგორც პრემიერ-მინისტრის სურათებსაო.

— თავის ქება აუგიაო, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, ფეხბურთელების დიდება ჩვენს ხელთაა. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია სპორტულ ცაზე ფეხბურთელის ვარსკვლავი ამოვაბრწყინოთ.

საიტს იმედი მოეცა: „მაშ, იფქირან ბეის შეუძლია მთელ ქვეყანაში ცნობილი კაცი გამხადოს. ცოტას იფქირან ბეი წამეხმარება, ცოტას დუბარა ბეი, მერე კიდევ რეფიქი და ფეხბურთელიც გავხდები“. საიტს მუდამ სჯეროდა რეფიქისა. ყველა იმას გაიძახის, სად შენ და სად ფეხბურთიო, მხოლოდ რეფიქმა უთხრა დაჯერებულად: „გახდები ფეხბურთელი, რატომაც არ გახდებიო“.

— ერთხელ, — დაიწყო ეროლ იფქირანმა, — დუნდარ ბეი თურქეთის ქალაქებში გაემგზავრა, იქნებ ვინმე ხეირიანი ფეხბურთელი შევარჩიოო. მაშინ ახმედ კედელას უბრალოდ ახმედი ერქვა და ერთ პროვინციულ, მესამე ლიგის გუნდში თამაშობდა. „თოზკოფარანის“ ხელმძღვანელობას მოეწონა ახმედის გამძლეობა, ძლიერი დარტყმა, მაგრამ გუნდი უკვე შედგენილი იყო და ახმედს რას უზამდნენ? მაგრამ დუნდარ ბეიმ მოახერხა და ახმედი მეორე ლიგის გუნდში გადმოაყვანინა. ერთი თუ ორი წლის შემდეგ კი ახმედი პირველ ლიგაში აღმოჩნდა. ახლა იგი ჩინებულად თამაშობდა და დუნდარ ბეიც სულ იმას გაიძახოდა, ზომ გეუბნებოდით, ამ ბიჭისაგან ფეხბურთელი დადგება-მეთქი. დუნდარსაც არ უნდა დაუკარგო თავისი და უნდა თქვა — თუ მაგან ვინმეს თვალი დაადგა, უსათუოდ მოიყვანს „თოზკოფარანში“, მაგრამ ახმედის გადმოყვანა გაუჭირდა, არაფრით არ უშვებდა მისი გუნდი. კლუბის ხელმძღვანელობას ასი ათასი ლირა შეაძლია, მაგრამ უარი სტკიცეს. მაშინ დუნდარ ბეი ჩემთან მოვარდა და მითხრა: „შენ მიუდგომელი კაცი ხარ, თანაც „თოზკოფარანს“ ქომაგობ, მეგობრულად ერთი კაცური საქმე გამიკეთე“... ამის მერე ახმედის გუნდის არც ერთ თამაშს არ დავკლებივარ, თამაშის მერე კი ვწერდი, ახმედზე უარესი ფეხბურთელი თურქეთში არ მეგულება-მეთქი. ალბათ მიმიხვდი, რომ ამით ქომაგთა თვალში ახმედის ავტორიტეტი შევარყიე, ხოლო თავად ახმედმა კი წონასწორობა დაკარგა, მაგრამ ახმედი მაინც არ გადმოვიდა „თოზკოფარანში“. მაშინ დუნდარ-დუბარა ბეიმ სევიმ სვაგი ჩარია საქმეში. სევიმი კი ისეთია, თუ რამე მოინდომა, ნაღდად გააკეთებს. ასე რომ ახმედს ერთი მხრივ გაზეთები აძაგებდნენ, მეორე მხრივ კი სევიმი აცლიდა არაქათს. ამ დროს ახმედის გუნდი „თოზკოფარანს“ შეხვდა. ახმედი ისე იყო გასავათებული, რომ მოედანზე ფეხიც ვერ გაანძრია. თამაშის მერე ხმა დაირხა, ფული აიღო და ამიტომ არ ითამაშა წესიერადო. ალბათ იმასაც მიმიხვდი, რომ ეს ხმა ჩვენ დავაგდეთ. ამის მერე ახმედის გუნდს რალა დარჩენოდა და ახმედს დაემშვიდობა. ეს ამბავი „თოზკოფარანს“ ას ორმოცდაათი ათასი ლირა დაუჭდა. თუ აქამდე ახმედის სახელის გატეხვას ვცდილობდით, ახლა პირიქით დაიწყო. გაზეთში დავბეჭდე წერილი სათაურით: „სად ითამაშოს ახმედმა?“ ატყდა ერთი ალიაქოთი, აუარებელი წერილი მივიღეთ, ერთნი სწერდნენ, მაგის ადგილი დაცვის ხაზზეაო, მეორენი ამტკიცებდნენ, ნაღდი თავდამსხმელიაო, ზოგი ამბობდა, მარჯვენა გარემარბი უნდა იყოსო, ზოგი — მარცხენაო. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა ჩვენი მოქალაქეებისათვის, რომ დისკუსიამ გაზეთის ბოლო გვერდებიდან პირველ გვერდზე გადმოინაცვლა. სწორედ ამ დროს ჩვენს სახელმწიფოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, ჩვენი მთავრობა რი-

გით კრიზისს განიცდიდა. პრემიერ-მინისტრი ყოველდღე სიტყვებით მიმართავდა ხალხს და ყველას ბრალს სდებდა, კომუნისტურ პარტიას უჭერთო მხარს. ამაზე პოლიციამ ხალხის დაპატიმრებას მოუხშირა. ერთი სიტყვით, მთავრობა ცუდ დღეში იყო. მე კი ეს ამბავი არაფრად მენახებოდა და ერთსა და იმავეს გავიძახობდი: „სად უნდა ითამაშოს-მეთქი ახმედმა?“ კამათმა ისეთი ფართო ხასიათი მიიღო და ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ ქალებიც კი ჩაერივნენ საქმეში. ერთ მშვენიერ დღეს გაზეთის რედაქციას თვით პრემიერ-მინისტრი ეწვია, ჩემი ნახვა მოისურვა და გაზეთის მფლობელისა და კოლეგების თვალწინ გამომიციხადა: „მოგილოცავთ, თქვენ დიდი ჟურნალისტი ხართ, თქვენ დაუფასებელი სამსახური გაუწიეთ სამშობლოს და მთავრობას“. გადამეხვია და გადამკოცნა. მერე თურმე ჩემს შეფს გულახდილად უთხრა: „ღმერთი იყოს იფქირანის შემწე, სწორედ რომ სულზე მოგვისწრო ამ თავისი ახმედით“. ისიც უნდა ითქვას, რომ რედაქციაში ზოგიერთი სულმოკლე კაცის წერილიც მოდიოდა. ისინი იწერებოდნენ: „რა ღროს ვილაც ახმედზე ლაპარაკია, ხალხს შიმშილით სული ძვრება, ქვეყანაში უმუშევრობაა გაბატონებული, თქვენ და თქვენი მთავრობა კი ამ ვილაც ოხერ ახმედს გადაჰყევითო“. ჩვენ ამგვარი წერილები, რასაკვირველია, პოლიციას გადავუგზავნეთ, რადგან ამნაირ ავტორებთან საქმის დაჭერა სწორედ რომ მათი საქმეა. ამით სამშობლოს წინაშეც მოვიხადეთ ვალი. რაღა ბევრი გავაგრძელო და ჩემ მიერ ატეხილი აჟიოტაჟი ბოლოს ყველას ისე მობეზრდა, რომ ერთხმად იყვირეს: „ოღონდ თავი დაგვანებეთ და სადაც უნდა იქ ითამაშოსო“. აი, მაშინ ვკითხვით ახმედს, სად გირჩევნია-თქო თამაში. დაცვაშიო. ჩვენც რა გვენახვებოდა, დაცვაში ეთამაშნა რა?.. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ. მთელ სახელმწიფოში არ იყო კაცი, რომ ახმედის ვინაობა არ სცოდნოდა. აი, რისი გაკეთება შეუძლია გაზეთის რეპორტიორს, აი, საიდან იწყება ახმედის დიდება. პირველი მატჩი „თოზკოფარანს“ დასავლეთ გერმანიაში ჰქონდა. უცხოეთში ყოველი თამაშისას მთავარია, ფეხბურთელები ღამლამობით დუქნებსა და ქალებში სირბილს არ გადაჰყვენენ. იმისათვის, რომ ახმედი ქეიფს არ გადაჰყოლოდა, დუნდარ-დუბარა ბეიმ სევიმს შესთავაზა, დასავლეთ გერმანიაში გამომყევით. დუბარა ბეიმ სწორად იანგარიშა — სევიმი თამაშამდე არც თვითონ გაეკარება ახმედს და არც სხვებთან გაუშვებსო. დასავლეთ გერმანიაში მეც გავემგზავრე, როგორც სპორტული მიმომხილველი. კარგად მახსოვს — თამაში რომ დაიწყო, ახმედს მუხლები ეკვეთებოდა, გეგონებოდა, მთელი კვირა არ უძიხიაო, ისე იყო არაქათგამოცლილი, შემოდგომის ბუზივით დალოღავდა მოედანზე. ამიტომაც პირველ ტაიმში ხუთი ბურთი გაგვიტანეს. მოგებაზე აღარავინ ფიქრობდა, ახლა ჩვენი საზრუნავი ის გახდა, რომ ასეთი მშრალი ანგარიშით არ წაგვევო. ჩვენი ახმედიც უცებ გამოცოცხლდა და ისე ლამაზად დაარტყა და ისეთი მშვენიერი ბურთი გაიტანა, რომ ევროპელებმაც პირი დააღეს.

— ყოჩაღ, ახმედ კედელა, — იყვირა საითმა, — მაშ, ერთი ბურთი მაინც გაქვითა, არა?

— რა გაქვითა? ჩვენს კარში გაიტანა. ყველაფერი გერმანელი ფეხბურთელის ბრალი იყო, იმან ახმედს მოარტყა ბურთი, ახმედი უცებ გამოცოცხლდა, მაგრამ ვერ გაარკვია, რომელ მხარეს ვისი კარი იყო და ამიტომაც რომელი კარიც ახლოს იყო, იქით დაარტყა და გაგვიტანა კიდევ. ამ გოლმა მთელი დასავლური პრესა აალაპარაკა.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვის კარში გაიტანა, ხომ გაიტანა, აი, რა არის მთავარი. ღმერთმა ჯანმრთელობა მისცეს ახმედს, — იყვირა საითმა.

— მნიშვნელობა როგორ არა აქვს, ძმობილო, ჩვენ ხომ მშრალი ანგარიშით 6:0 წავაგეთ. პირველი ტაიმის მერე ღუნდარ ბეიმ ახმედს უთხრა: „შენ, შვილო, ბურთს ფეხს ნუ დაარტყამ, მოგვეშვი. იქნებ იმდენი მაინც მოახერხო, რომ გარე-გარე ირბინო“. მაგრამ ახმედი არაფერ ბრალში იყო, ყველაფერი სევიმმა გაგვიფუჭა.

— სევიმმა რა დააშავა? — გულუბრყვილოდ იკითხა საითმა.

იფქირან ბეი ახლავდა მიხვდა, რომ სევიმზე ზედმეტი წამოროშა, — რაც არ უნდა იყოს, სევიმი საითის საცოლუა. ამიტომ შეეცადა უმაღლესი გამოესწორებინა თავისი შეცდომა:

— შენ გლახა არაფერი იფქრო, ძმაო, სევიმისნაირი გოგოები სად არის, ცუდი არაფერი მომხდარა. თურმე ახმედი მთელი ღამე არ დააძინა, სულ ამას ჩასჩინებდა: „ახმედ, არ დაგავიწყდეს, შენს უკან შენი სამშობლოა, ოცდათორმეტი მილიონი ადამიანის გული ახლა ხვალინდელი დღის მოლოდინში ძგერს“. ზოგჯერ ხდება, რომ ფეხბურთელი ვარჯიშში გადაიღლება ხოლმე, ასე მოუვიდა სევიმსაც — მას უნდოდა ახმედი შთაეგონებინა, მაგრამ მეტისმეტი მოუვიდა. თუმცა მეორე ტაიმში ახმედმა მაინც გვიშველა. იმ გერმანელ ფეხბურთელზე გაბრაზებული, ვინც ბურთი მოარტყა, ყველას გამოენთებოდა ხოლმე, იმათ კი ეშინოდათ ახმედისა და გარბოდნენ. ამიტომ მეორე ტაიმში ვერც ერთი ბურთი ვერ გაგვიტანეს. თამაშის მერე ღუნდარ ბეიმ შემომჩივლა: „მოვტყუვდით, იფქირან, მეტისმეტად ბევრი ფული გადავიხადეთ ამ ყეყეჩის შესაძენად, ეგ ახმედი ერთი ყურუშიც კი არა ღირს“. მე დავამშვიდე, ეგ ბიჭი ივარგებს, ხომ ხედავ, მეორე ტაიმში ისე დააფრთხო ხალხი, ბურთი ვერ გაგვიტანეს-მეთქი. ამაზე ღუნდარ-ღუნდარ ბეიმ მითხრა: „შენს გარდა არც ერთ თურქ ჟურნალისტს ეგ თამაში არ უნახავს. ამიტომ შენ უნდა დაწერო, ახმედი ძალიან კარგად თამაშობდა, კედელივით იდგა-თქო დამცველებს შორის“. სწორედ ამ მატჩის მერე დავარქვი ახმედს კედელა. რეპორტაჟში კი ასე დავწერე: „მიუხედავად იმისა, რომ „თოჯკოფარანმა“ წააგო ანგარიშით 6:0, გუნდმა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა საკუთარი ძალების რწმენა, ახმედი კი კედლად დაუდგა თავის კარს“.

იცო, რას გეტყვი, ძმობილო? ამ ამბის მერე ახმედმა თამაშს უმატა, გაცილებით უკეთ თამაშობდა. ერთადერთი ნაკლი აქვს — ყოველთვის ერთნაირად თამაშობს. ეს რომ არ უშლიდეს ხელს, პირველი კლასის მოთამაშე იქნებოდა. გარბენი კარგი აქვს, უხეშობა არ აკლია, „თოჯკოფარანი“ რომ „ჰაჯეთბაბას“ ხვდება, ფეხბურთის მოედანი ბრძოლის ველს ემსგავსება. აი, სად არის ძლიერი ახმედ კედელა! არავის ინდობს — არც ფეხბურთელებს და არც მსაჯებს. ცხადია, ამას სასჯელი მოსდევს და ახმედს მოედანზე გამოსვლას უკრძალავენ. ღუნდარ ბეი ენაამოვარდნილი მოირბენს ხოლმე და მეხვეწება: „ალაჰის გულისათვის, მიშველე რამე“. ამას მოჰყვება ჩემი ცნობა გაზეთში: „ერთდროულად ორმა გუნდმა — იტალიის ქალაქ პალერმოს გუნდმა და ესპანეთის ნაკრებმა ახმედ კედელას უზარმაზარი თანხა შესთავაზეს და მისი გადაბირება მოინდომეს. ჩვენი გაზეთის კორესპოდენტთან საუბარში ახმედ კედელამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს წელს იტალიაში გაემგზავროს. ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარი ღერძის წასვლა აუნაზღაურებელი დანაკლისია. რო-

გორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, „თოზკოფარანი“ მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს, ოღონდ კედელამ არ დატოვოს თურქეთი“. ამგვარი ცნობის მერე ახმედს უმალ აძლევენ თამაშის ნებას.

ამ დროს საითის სახლში დუნდარ ბეიც მოვიდა.

— მეგობრებო, გთხოვთ მაპატიოთ ასეთი დაგვიანება, სასწრაფო საქმეები მქონდა და ვერაფრით ვერ დავალწიე თავი. თქვენთვის ცნობილია, რომ ამ სეზონში რუმინეთში უნდა ვითამაშოთ. ამიტომ გამალებული ვემზადებით.

მადამ ანჟელამ ჩაი შემოიტანა. იგი ძალიან გახარებული იყო, რომ ასეთ ძვირფას სტუმრებს მოემსახურა.

— რატომ აღმედ ღედელა არ მოვიდა? — იკითხა მან.

— ჰო, სულ დამავიწყდა, — „გაიხსენა“ დუნდარ-დუბარა ბეიმ, — ხვალ ჰასიფ ბეი სადილს მართავს და ძალიან მთხოვა თქვენც ეწვიოთ. უსათუოდ გელოდებით.

— მე მელოდება? — იკითხა საითმა და სიხარულისაგან ლამის სუნთქვა შეეკრა.

— რასაკვირველია, თქვენ. ახმედიც იქნება, იფქირან ბეიც გვეწვევა, სადილი კაზინოში გაიმართება.

საითს ერთი სული ჰქონდა, გაეგო, იქნებოდა თუ არა სადილზე სევიმი, მაგრამ საკუთარი თავი არ გავცეო, შორიდან დაიწყო:

— ჰასიფ ბეის ფრიად ღირსეული მეუღლე მეჭურე ხანუმი თუ გავაბედნიერებს თავისი სტუმრობით?

— რასაკვირველია, მეჭურე ხანუმიც იქნება, სევიმ ხანუმიც მოვა, იმედო მაქვს, ხვალ საღამოს გეცლებათ. ხოლო თუ თქვენ ხვალ ვერ შეძლებთ, ჰასიფ ბეი მზად არის ეგ სადილი სხვა დროს გამართოს.

— მცალია! რასაკვირველია, მცალია. აბა, სხვა რა საქმე უნდა მქონდეს, ჩემო ძვირფასებო!

ყველაფერი რიგზე იყო და დუნდარ-დუბარა ბეიმ სიტყვა „თოზკოფარანზე“ ჩამოაგდო:

— თურქეთში ჩვენს გუნდს ასი ათასობით გულშემატკივარი ჰყავს. „თოზკოფარანი“ ხომ უძველესი გუნდია. ბევრი ცნობილი ადამიანი იყო ამ კლუბის საპატიო წევრი. კლუბის წევრი რომ გახდე, სულაც არ არის აუცილებელი სპორტისა რამე გაგეგებოდეს, საკმარისია გიყვარდეს „თოზკოფარანი“ და მთელი გულით და სულით მას ეკუთვნოდე. მართალია, ჩვენი გუნდი პროფესიონალთაგან შედგება, მაგრამ იქ მოყვარულთა სულისკვეთება მეფობს, ამის მეოხებით ვცოცხლობთ. ამ ბოლო დროს გუნდს ცოტა გაუჭირდა, რადგან რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვა ძვირი დაგვიჯდა, მაგრამ გუნდის ჭეშმარიტ მოყვარულთა და დამფასებელთა წყალობით ეს ფინანსური დაბრკოლებაც გადალახული იქნება.

საითი სუნთქვაშეკრული უსმენდა. ამ დროს დუნდარ-დუბარა ბეიმ სწორედ ისა თქვა, რასაც საითი ელოდა:

— საით ბეი, თუ თქვენ სურვილი გექნებათ, ყოველთვის შეგიძლიათ „თოზკოფარანის“ საპატიო წევრი გახდეთ.

— ნუთუ ამ დიდი პატივის ღირსად მცნობთ? — აცახცახებული ხმით იკითხა საითმა.

გაღიწი კორნილოვა

იისფერი და ლურჯი

ყვავილებით მოჩითული კაბა



მოთხოვნა

რუსულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა

რუსი მწერლის გაღიწი კორნილოვას მოთხოვნების გმირები ჩვენი თანამედროვე, სხვადასხვა ხასიათების, სხვადასხვა მოწოდებისა და ბედის ადამიანები არიან. მწერალსაც თავის უპირველეს მოვალეობად მათი შინაგანი სამყაროს კვლევა მიუჩნევია.

სულიერი სიმდიდრე, სიცოცხლის სიყვარული, გულისხმიერება, სიკეთის თანდაყოლილი რწმენა ეხმარება გ. კორნილოვას გმირებს ამქვეყნიურ მშვენიერებათა შეცნობაში.

მის ცხოვრებაში ისეთი ზაფხულიც დადგა, როცა ბედნიერებაზე ხელი ჩაიქნია, აღარ ელოდა. როგორც დედამიწის მკვიდრმა ყველა ადამიანმა, მანაც კარგად იცოდა, რომ ბედნიერება არსებობს, მაგრამ ფიქრით არ ფიქრობდა, როგორც არ ფიქრობდა სხვა უამრავ საგანზე, რომლებიც მის ცხოვრებასთან არაფრით იყო დაკავშირებული. მან კარგად იცოდა, რომ სადღაც არის კუნძული ტრინიდადი, თუმცა არც ამაზე ფიქრით შეუწყუხებია თავი, რადგან შორეულ კუნძულს მის ცხოვრებასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ერთხელ და სამუდამოდ ამოიგდო თავიდან ისეთ ეფემერულ, მოჩვენებითსა და გაურკვეველ საგანზე ფიქრი, როგორაც ბედნიერებას თვლიდა. ასე რომ, იქნებ ამან შეცვალა გარეგნულადაც. ახლა სიარულითაც მხრებში მოხრილი დადიოდა და ფეხებსაც უცნაურად მიათრევდა, სახეც მუდამ მოქუფრული და დაღვრემილი ჰქონდა.

მთელ თავის ყურადღებას უმეტესწილად ყოველდღიურ, ათასნაირ წვრილმან საზრუნავს უთმობდა. უმნიშვნელო საქმეებში გაბმულს მოეჩვენა

კიდევ, რომ ცხოვრებას ასე თუ ისე არა უშავს რა. ეჭვიც კი არა ჰქონდა, რომ დაქუცმაცებული, დამცრობილი აზრები და გრძნობები საბოლოოდ ამოხდიდნენ სულს, სწორედ ისე, როგორც ციციქნა ხოჭო-ლაფნიჭამია ღრღნის და აფუტუროებს ტანძლიერ ხეს.

მაგრამ ერთხელ ქუჩაში შეხვდა ქალს, რომელსაც იისფერი და ლურჯი ყვავილებით მოჩითული კაბა ეცვა.

ეს იმ უჩვეულოდ ცხელ ზაფხულს მოხდა, რომლის შესახებაც რადიო და გაზეთები დიდი ალტაცებით იტყობინებოდნენ — ამ ადგილებში ასეთი სიცხე ზუსტად ექვსასი წლის წინათ ყოფილაო.

ამ ცხელ ზაფხულს ყვავილების, ნამკალისა და ბალახზე დადენილი თბილი წვიმების სურნელი კი არ ასდიოდა — რამდენიმე თვე მშრალი მტვრით იყო ჰაერი გაჟღენთილი. დილა-სადამოს ამ მტვრის ბული ასდიოდა ქალაქის ქუჩებსა და ხვატისაგან გადამწვარ მინდვრებს. ქალაქთან გაშენებულ ნაძვნარიდანაც ქარს წიწვის სურნელების ნაცვლად გამომხმარი, ფერფლად ქცეული მიწის სუნნი მოჰქონდა.

მაგრამ ქუჩაში ის ქალი რომ დაინახა, უკვე სადამოვდებოდა. გაოფლილსა და დაქანცულ ქალაქს უკვე მოესწრო თავს ჩამომხობილი ხვატის მხურვალე ფაშვიდან გამოძრომა. სუნთქვა აღარ ჭირდა, ადამიანები ნელ-ნელა მოდიოდნენ გონს, დღის მანძილზე ჩაქინდრული, ბულისაგან გაბრუებული თავები აიღეს და თვალში გამოიხედეს.

იგი ქუჩაში სხვებთან ერთად მიაბიჯებდა და ანაზღად იისფერი და ლურჯი ყვავილებით მოჩითულ კაბაში გამოწყობილი ქალი დაინახა. ქალი მშვიდი, ნელი ნაბიჯით მოდიოდა, ხელში ცელოფანის ცარიელი ჩანთა ეჭირა. როგორც კი თვალი შეავლო, მაშინვე მიხვდა, ტროტუარზე მისკენ მომავალ ქალს მშვენიერი სახე ჰქონდა. პირველად შორიდან, სხვათა შორის შეხედა, მერე კი, როცა ქალი მიუახლოვდა, აღელვებულმა და შეცბუნებულმა თვალი ველარ მოსწყვიტა, უეცარმა სიხარულმა გული შეუძრა, დაქანცულ სხეულს კი დაღლილობა განარდა. ქალს არც შეუმჩნევია, ისე ჩაუარა გვერდით. კაცმა მიუხედა.

იმ სადამოს შინ უჩვეულოდ აღელვებული და აღგზნებული დაბრუნდა. ოთახში, სადაც აგერ ათი წელია ცხოვრობს, შევიდა თუ არა, მაშინვე გადაითვალა, რა იყო შესაცვლელი: ჯერ თაროებისთვის ხავერდოვანი მტვრის არშია მოეცილებინა, მერე ეზოში გადაეგდო გამომხმარი, დიდი ხნის ძირგავარდნილი სავარძელი, ძველი, რეცხვისა და მზისაგან გამოხუნებული ფარდაც ჩამოეხსნა და მის ნაცვლად ახალი ეყიდა.

სარკმელთან მივიდა, დილით დაღეული ყავის ჭუჭყიანი ფინჯანი გვერდზე მისწია, რაფაზე გადაიხარა და ბაღს გადახედა. იქ დიდი ხანია დაუნდობელ სიცხეს გადაეხმო ყვავილები, ხოლო ამ გაზაფხულზე გამოსული ხეთა ნორჩი ამონაყარი მზეს დაენახშირებინა, მაგრამ ახლა სადამოს ჰაერში ბალიდან ნიავს ამოყოლილი კიდევ ერთი სურნელი გამოარჩია: მწიფობაში შესული ნაყოფის — ყავისფერი, მზეში გაფიცხებული ქლიავისა და მხიარული, ჩინური ფარნებივით აჭრელებული ვაშლებისა.

კვლავ ქუჩაში მოუხდა გასვლა, ერთი სული ჰქონდა, ენახა ლურჯი და იისფერი ყვავილებით მოჩითული კაბის პატრონი ქალი, მისი სახისთვის ერთხელ კიდევ შეეველო თვალი.

თუმცა კი მიხვდა — ახლა, ბინდისურისას, მისი პოვნა შეუძლებელი იყო. მაგრამ ხვალ, დღისით-მზისით აუცილებლად მოძებნის, ასეთ პატარა ქალაქში ალბათ არც გაუჭირდება პოვნა.

იმ ღამეს გვიან დაწვა, მაგრამ მაშინვე მაინც ვერ დაიძინა. სიბნელეში იწვა და ჭერში იყურებოდა. ძველი სახლის გამომხმარ ფიცართა ნელ ტაკატაკუს უსმენდა. ღამეულ სიჩუმეში სახლი ისე ჭრიჭინებდა, როგორც მართოსული დიდი კუტკალია.

მეორე დღეს, როგორც კი დრო იხელთა, გუშინდელივით ადგზნებული ქალაქის ქუჩებში ხეტიალს მოჰყვა და მალე კვლავ შემოხვდა ლურჯი და იისფერი ყვავილებით მოჩირაშლი ქალი. იგი ახლა საგაზეთო ჯიხურის შორიახლოს, სკვერის მესერთან იდგა და კაფანდარა, მუქთავსაფრიან დედაბერს ესაუბრებოდა. კაცმა მოსაუბრეთ გვერდით ჩაუარა, ახლოდან შეათვალიერა ქალის პროფილი და ანაზდეულმა სიხარულმა გუნება გაუნათა.

უცებ საოცრად მოეწონა ქალაქი, სადაც გაჩენის დღიდან ცხოვრობდა. აღარც ცხელი ზაფხული ეჩვენა უწინდელივით აუტანელი და დაუსრულებელი, თუმცა სწორედ ამ გაუსაძლისი ხვატის წყალობა იყო, სულ რამდენიმე დღის წინათ თავს თითქმის ავადმყოფივით რომ გრძნობდა.

იმ დღიდან მოყოლებული, თითქმის ყოველ ცისმარე, სამსახურის შემდეგ ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა. ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გადიოდა. ასე რომ იმ უცნობ, ლურჯი და იისფერი ყვავილებით მოჩირაშლიან ქალს ხშირად ხვდებოდა: ხან კინოთეატრიდან გამოსული ხალხის ნაკადში იცნობდა, ხანაც გასტრონომის დახლთან პირისპირ შეეჩხებოდა, ხან კიდევ მტვრიან გზაზე გაქროლებული ავტობუსის სარკმელს მიღმა დალანდავდა.

ეს ამბავი იმ თამაშს ჰგავდა, რითაც თავს მაშინ ირთობენ ხოლმე, როცა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები არა აქვთ, მაგრამ იგი სულაც არ თამაშობდა. ის ქალი ქუჩაში ნახა, და ამ ერთი ნახვით მისი გამუდმებული სიმართოვე, რომელსაც დიდი ხანია შეჩვეოდა კიდევ, ისე მოუპირთავა რაღაც ცხოველმყოფელმა, მღელვარე გრძნობამ, როგორც კარგა ხნის გამოკეტილ სახლს აავსებს ხოლმე ახალმოსახლეთა ხმები.

ქალაქში სეირნობისა თუ ხეტიალის შემდეგ შინ მიბრუნებული, სახელდახელოდ ივახშმებდა, მერე ღია სარკმელთან სკამს მიიდგამდა, რაფაზე ჩამოეყრდნობოდა, ნიკაპქვეშ ხელს ამოიდებდა და გაირინდებოდა ასე. მგზნებარე, უნიადაგო ოცნებებთან განმარტოებული დიდხანს იჯდა სარკმელთან და ხედავდა — ქალაქს ფეხაკრეფით უახლოვდებოდა ღამე და სახლებსა და ბაღებს ფრთხილად აფარებდა თვალშეუვალ საბურველს. ესმოდა ხიდან ჩამოვარდნილი, ბალახში დაგორებული მწიფე ვაშლების ხმა. აგვისტოს ჩალუსკუმებული ცის კაბადონს მომწყდარ ვარსკვლავთა ცვენას გასცქეროდა და თან იმ იდუმალსა და გამოუცნობ საგანზე ფიქრობდა, ადამიანები ბედნიერებას რომ ეძახიან. თურმე ნუ იტყვიოთ და, ბედნიერება ისეთ მიქვათაყურებულ, უმნიშვნელო ადგილსაც მიადგება ხოლმე, როგორც მისი მშობლიური ქალაქია.

მერე ისეთი დღეებიც დადგა, როცა ის ქალი აღარ შეხვედრია. თითქოს ცამ ჩაყლაპაო, უეცრად სადღაც გაუჩინარდა. ერთი პირობა ისიც იფიქრა, ამაოდ დაეშვრებოო ძებნაში. დაცლილი, დაბნეული, თითქოს ვინმე ახლობე-

ლი დაეკარგოს, ისე დაეხეტებოდა საღამოეულ ქალაქში. გაჩირადდნებულ ვიტრინებთან შედგებოდა, ერთხანს საფუნთუშის კართანაც აიტუზებოდა, ფოსტაშიც შეიხედავდა, კაფეში მაგიდას მიუჯდებოდა ხოლმე და ყურადღებით ათვალეირებდა იქ შემოსულ ხალხს. მივიდოდა ავტობუსის გაჩერებაზე, მაგრამ სადმე წასვლას არც ფიქრობდა, მხოლოდ ავტობუსიდან ჩამოსულ ქალებს აკვირდებოდა.

მიხვეულ-მოხვეული, მტვრიანი ქუჩებით ქალაქში ამომალღებულ გორაკზე ავიდოდა ხოლმე და იქიდან უმზერდა ბაზრის მოედანსა და მომიჯნავე ქუჩებს. გორაკიდან ქალაქში სხვა გზით ჩამოდებოდა, თან თავს ლანძღავდა, რომ დალაპარაკებაც ვერ გაუბედა, ისე გაუჩინარდა ლურჯი და იისფერი ყვავილებით მოჩითულკაბიანი ქალი. ახლა რა უნდა ქნას, არც სახელი იცის და არც მისი ადგილსამყოფელი.

სულისშემხუთავი სიცხისა და წინ და უკან ფუჭი სიარულისაგან დაქანცულს, უეცრად ასეთმა აზრმა გაუელვა: ვინ იცის, იქნებ ის ქალი სულაც სტუმარი იყო, აქ გაატარა ზაფხული, ხოლო შვებულება რომ დაუმთავრდა, ისევ თავის ქალაქში დაბრუნდა.

მაგრამ ვარაუდი მაშინვე უარყო: ვის მოუვიდოდა აზრად შვებულება ასეთ ქალაქში გაეტარებინა?

კვირა დილით თავს სიტყვა მისცა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ეპოვა ის ქალი. თუ ამ ქალაქიდან არსად წასულა, თუ ჯერ კიდევ აქ არის, უთუოდ მოძებნის და ამჯერად აუცილებლად გამოელაპარაკება.

მიღებული გადაწყვეტილებით შეგულიანებული გავიდა ქალაქში, გვერდი აუარა სახლების ჩრდილებს და პირდაპირ შუა ქუჩაში გააბოტა. ეს კვირა დღე, სხვა დღეებთან შედარებით, განსაკუთრებით ცხელი გამოდგა. სიცხისაგან თითქოს ჰაერიც კი გამაგრდა და დამძიმდა. ჰაერში სულისშემხუთავი, ჭუჭყიანი ღრუბელივით ეკიდა სამანქანო გზებზე ავარდნილი მტვერი. უდროოდ გამომხმარი ბუჩქნარის ფერწასული ფოთლები გამვლელებს მოშიშვლებულ მკლავებს უკაწრავდა. თეთრი, უჩინო ბურუსი ფარავდა მზეს და ნათელი, ბრდღვიალა სხივების ნაცვლად მიწაზე მღვრიე ალმური წვეთავდა.

იგი ნელა მიაბიჯებდა, უჭირდა სუნთქვა, ხანდახან რომელიმე გზაჯვარედინთან შეისვენებდა და გახვითქულ შუბლს ცხვირსახოციით შეიმშრალებდა. ერთი სიტყვით, მიაბიჯებდა თუ იდგა, თვალს არ აშორებდა ქუჩაში მომავალ ქალებს. ცდილობდა მხედველობიდან ერთიც არ გამორჩენოდა. აკვირდებოდა ყველას, იმათ, ვინც სიცხისაგან გასავათებულ, დაქანცულ ბავშვებს მოაპროწიალებდა, იმათაც, ვინც თავჩახრილი მოაბიჯებდა და სანოვაგით გატენილი ჩანთები მოჰქონდა, აცქერდებოდა სრულიად ახალგაზრდა ქალებსაც, რომლებიც გულდაგულ დაუთოებელი კაბების შრიალით ქარივით ჩაუჭროლებდნენ, გაზაფხულის ყვავილებივით აფეთქებული თვალები უცინოდათ. საკუთარ ფიქრებს უღიმოდნენ. ერთიანად გაბრწყინებულნი, გზადაგზა თავს ილამაზებდნენ, სადღაც წინ, მხოლოდ მათთვის საცნაურ მიზანს ეშურებოდნენ, თითქოს იქ, წინ, საითაც ასე მიისწრაფოდნენ, ერთი დაუსრულებელი მუსიკა ელოდათ და არა პაკეტებითა და ქილებით გატენილი სანოვაგის ჩანთები.

ზოგიერთი ქალი ველოსიპედით ჩაივლიდა. უფრიალებდათ თავსაფრების სამკუთხა ბოლოები, ველოსიპედის საჭეზე კი სანოვაგე ჩანთები ეკიდა. ყოველ ველოსიპედიან ქალს იმედით შეჰყურებდა, მაგრამ არსად ჩანდა ცელო-

ფანის გამჭვირვალე ჩანთა, არსად ჩანდა მისთვის ჰაერით აუცილებელი ქალი.

ბოლოს, როცა მთელი ქალაქი შემოიარა, ისევ ცენტრში დაბრუნდა. სევდამორეული ჩურჩულთ იმეორებდა აფიშებსა და აბრეშვე წაწერილ სიტყვებს: „მთავარი ფოსტა“, „ტარის მიმღები პუნქტი“, „დღეს ჩვენს კინოთეატრში“, „ქეხვეული“, „დააზღვიეთ თქვენი სიცოცხლე“...

არც კი შეუმჩნევია, ისე მიატანა ქალაქის განაპირა უბანს. იქვე, ორ ნაბიჯზე ტბა იყო. დიდხანს იდგა დაჭაობებულ ნაპირთან და ნავთსაყუდრისკენ მიმავალ ხალხს აკვირდებოდა. მერე ნავსადგურს ჩაუარა და განაპირა წყნარ ქუჩაზე შეუხვია.

ამ ქუჩის ერთ მხარეს ერთსართულიანი, თეთრი აგურით ნაშენი და კუწუბიანი სახურავებით გადახურული სახლები ჩამწკრივებულყო. მეორე მხარეს კი ბაღ-ბოსტნები და მინდვრები გასდევდა. ოთხკუთხა მინდორში ძროხები და თხები ბალახობდნენ, რატომღაც ჭადრაკის დაფა და ზედ განლაგებული ხელით ნაკვეთი ფიგურები მოაგონდა.

მინდვრებიდან ცხელმა, მშრალმა ქარმა დაჰბერა, გზად ერთი პეშვი თეთრი მტვერი აიტაცა, ბოსტნებში გადაისროლა, კომბოსტოს ვერცხლისფერ ფოთლებს მიაყარა, ჭარხლის მუქ ძირხვენასაც ფერფლივით ზედ მიაფრქვია. ფეხსაცმელი და შარვალი ამოუგანგლა, ამოუვსო თვალები. უეცრად საფეთქლებში ყრუ ტკივილი იგრძნო. ჩრდილში თავის შეფარება და სულის მოთქმა მოუხდა. შედგა, მიიხედ-მოიხედა. სახლი, სადაც ახლა იდგა, ამ ქუჩაზე ჩამწკრივებული სხვა სახლებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მის წინ ოთხი ტანწვრილი, ნორჩი ხე ხარობდა. ხეთა წვეროკინები სახურავის სიმაღლეზე ირწეოდა და მეჩხერ, გამჭვირვალე ჩრდილს ჰფენდა მიწას. ქუჩა გადაჭრა და ამ ხეთა ძირში ბალახზე დაჯდა.

სახლის პარმალზე ქალი გამოჩნდა, მუქი წინსაფარი ეკეთა და ცოცხი ეჭირა. თმა უკან გადაევარცხნა, ფერმკრთალი და უმეტყველო სახე შეურვებული ჰქონდა. ქალმა ბალახზე მჯდარ კაცს გულგრილად გადმოხედა და კიბის ჩამოგვა დაიწყო.

— ვერ მეტყვით, წყალი სად დავლიო? — მიმართა ქალს, ყელი ისე გამოშრობოდა, სიტყვის თქმა უჭირდა.

პარმალზე მდგარი ქალი წელში გასწორდა და ცოცხით სახლის მარჯვენა მხარეს მიანიშნა.

— ეზოში შედით, ჰა გვაქვს, სათლიც იქვეა.

წამოდგა, ღია ფერის ფილებით მოგებულ ბილიკს მიჰყვა და ეზოში შევიდა. პირველი, რაც ეზოში შესულს თვალში ეცა, თივის ზვინივით დადგმული შეშის ხორა იყო. ადამიანის გამოჩენამ ქათმები დააფრთხო, შეშის ხორას კრიახ-კრიახით შემოუარეს და ფარდულის ღია კარში მიიმალნენ. ფარდულის კართან, ზედ კედელზე თუნუქის პირსაბანი ეკიდა, პირსაბანქვეშ კი მიწაზე საპნიანი წყლით სავსე ტაშტი იდგა.

ახლა ეზოს მეორე მხარეს გაიხედა. დაინახა ჰა და ჰაზე ჯაჭვით მიბმული სათლი. მალა კი, ეზოს სიგრძივ გაჭიმულ თოკზე ლურჯი და იისფერი ყვავილებით მოჩითული კაბა ეკიდა და ცხელი ქარი ნება-ნება აქანებდა.

იგი შეშის ხორის ჩრდილში იდგა, კისერი წაეგრძელებინა და კაბას შესცქეროდა. უცებ დაავიწყდა, სად იმყოფებოდა, ან ამ ეზოში რისთვის მოსუ-

ლიყო. ერთ ადგილზე გახევებული ისე მიშტერებოდა თოკზე გაფენილ ფერად ქსოვილს, თითქოს ოდნავადაც რომ განძრეულიყო, კაბაც გაქრებოდა. მაშინღა შეირხა, როცა ზურგს უკან ქვიან ბილიკზე ნაბიჯის ხმა შემოესმა.

ქალი ეზოში შევიდა, ფარდულთან მივიდა და მერე იქიდან გაოცებით მოხედა.

— ეს ვისია? — იკითხა კაცმა და თოკზე გაკიდულ კაბაზე მიუთითა.

— რა მკითხეთ? — ვერ მიუხვდა ქალი. ცოტა არ იყოს, შეშინებული ჩანდა.

— ეს კაბა ვისია? თქვენი ქალიშვილისაა? გყავთ ქალიშვილი?

ქალმა არაფერი უპასუხა, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა. კაცმა უეცრად იაზრა, წუთიც და ქალი შეტრიალდებოდა და წავიდოდა, ეზოდან გავარდებოდა.

— ნუ გეშინიათ! — სულწასულივით იყვირა კაცმა. — ნეტა რისა გეშინიათ? ჩემთვის აუცილებელია... აუცილებელია ამ კაბის პატრონის პოვნა. მითხარით, ვისია კაბა?

— ჩემია... — ძლივს გასაგონად წარმოთქვა ქალმა. გაოგნებული კაცი ქალს მიაშტერდა.

— თქვენია?!

ქალმა თავი გაუბედავად დაუქნია და ისევ ფარდულის კარისკენ გაიწია. რამდენიმე წამს კაცი ღუმდა. გათამამებული ქათმები ახლა ეზოში წინ და უკან დააბიჯებდნენ და ჩამომდგარ სიჩუმეს მათი კაკანი არღვევდა.

— თუ ღმერთი გწამთ, ჩაიცვით, ძალიან გთხოვთ... — წყნარად სთხოვა კაცმა.

— რისთვის?! — წამოიძახა ქალმა, თან თითებით წინსაფრის შესაკრავებს აწვალებდა.

— ძალიან გთხოვთ, — შეევედრა კაცი, ორივე ხელი მკერდზე მიიღო. — ძალიან გთხოვთ. აბა, რა ძნელი ეს არის. ჩაიცვით და მე მაშინვე წავალ, ხელს აღარ შეგიშლით.

— სველი რომ არის!

— რა მოხდა, მხოლოდ ერთი წუთით ჩაიცვით. გემუდარებით. მე მივტრიალდები.

ქალის პასუხისთვის არც დაუცდია, შეტრიალდა და თავი არყის ნაცრისფერ მორებში წარგო. რამდენიმე ხანს მის ზურგს უკან ამტყდარ შარიშურს სულგანაბული უსმენდა. სარეცხის თოკი დაიჭიმა და აქანავდა. წამიც და ცხადად გაიგონა ქალის სუსტი, მიმჭრალი ხმა:

— ჩავიცვი...

ქალი მზის გულზე იდგა და კაცს უმაღლესი თვალი მოსჭრა კაბაზე მოჩითულმა, მზის სხივებზე აბღღვრიალებულმა ყვავილებმა. ერთი ის იყო, ქალის ფერხთით მიწაზე დაგდებული შავი წინსაფარი გაარჩია, რომელიც ბაყაყის დაღმეჭილ, უსახურ ტყავს მიაშვებდა. მერე თავი აიღო და მაშინ კი თვალი ვედარ მოსწყვიტა ქალის მშვენიერ, ოდნავ ნაღვლიან სახეს. ნაბიჯი გადადგა, შვევით ამოისუნთქა და გახარებულმა გულიანად გაიცინა...

კრიტიკა კულტურისთვის

საქართველოს
საბჭოთაო კულტურისთვის

რუსული კრიტიკის ფურცლები

რუსულიდან თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

ი. ეიხენვალდი

ბ ა ტ ი უ შ კ ო ვ ი

რუსულ ლიტერატურას ბატიუშკოვი გამოეცალა სიკვდილამდე ლამის ოცდა-
თხუთმეტი წლით ადრე. 1821 წლიდან მას დაეტყო სულიერი დაავადების
ნიშნები. სენმა თანდათან იმძლავრა და მალე ბატიუშკოვი ჭკუაზე შეცდა. ჩვენამდე მოაღწია
ლექსმა „ნიჭის უკანასკნელი გაელვება ალსასრულის წინ“, რომელიც მან უკარნახა ჩამწერს იმ
ავბედით წელს:

Ты помнишь, что изрекь,
Прощаясь съ жизнью, седой Мельхиседекь?
Рабомъ родился человекъ,
Рабом в могилу ляжетъ,
И смерть ему едва ли скажетъ,
Зачем онъ шель долиной чудной слезъ,
Страдалъ, рыдалъ, терпелъ, исчезъ.

ასეთი ღრმა უიმედობის აკორდით გახმიანდა საბოლოოდ ის პოეზია, რომელშიც უმეტესად
სხვა მოტივები ბატონობდა. ცნობილია, ბატიუშკოვი ვნებათაღელვის მომღერალი იყო. ეს სიტყვა
ამოჩემებულიც კი ჰქონდა. შეჰხაროდა ახალგაზრდობას, ელტვოდა ვნებებს და ნეტარებდა წაბ-
ლისფერი კულულებიდან ადენილი ლორთქო ვარდების სურნელით. მას აჯადოებდა ფერხულში
ჩაბმულ ამღერებულ დიაცთა ნებიერი და ვნებიანი მიმოხრა. იგი ფუფუნების ტრფიალია. ადი-
დებს უცხოური ღვინით, ფორთოხლებითა და ნუგბარი ნამცხვრებით გაწყობილ ტაბლას. მართა-
ლია, პოეტი მეგობრობასაც ასხამს ხოტბას და იდილიური კილოთი გვიხმობს ღარიბულ სამყოფელ-
თაკენ, მაგრამ ჩუმი და მორიდალი როდია ეს იდილია, ვნებითა და ღვინის ბანგითაა გაჟღენთი-
ლი ასეთი ყოფაც; უბრალო ქოხის კარს მართოდენ მეგობარი როდი შემოაღებს. ლილეტასაც
ელიან იქ და პოეტი „ვნებათაღელვის სარეცელზე“ დაეწაფება მის ცეცხლოვან სუნთქვას.

სიცოცხლის ბოლო წამი, ეპიკურელთა დარად, მას წარმოუსახავს ქალის უკანასკნელ მოხვევანად, როს სიყვარულის ღმერთი ვარდებით მოფენილი ბილიკით წარუძღვება მიჯნურთ ელიზეუმისაკენ, სად მირტის ხეთა ჩრდილქვეშ ახალი სახმილი აუჩქრიალებთ სისხლსა და კვლავ აღსდგებიან მკედრეთით.

პოეტს იზიდავს სიცოცხლე, სიამენი, ცხოვრებისეული ყვავილნარი და ამ წალკოტში სურდა გადაევიწყა მისი მკაცრი ფერები და მთრგუნავი სიბრძნე.

მაგრამ ეს წარმართული სტიქია როდი იყო ბატიუშკოვის სულის ერთადერთი და სრულყოფილებიანი გამგებელი. მას ეტოქებოდა ქრისტიანული სტიქია. პოეტმა ვერ შეძლო და არც სურდა ბოლომდე შეთენილიყო ამქვეყნიური ლხენა-ნადიმებისა და სასიყვარულო ნებიერობის რაფსოდად. ბატიუშკოვის ლექსთა კრებულებს, მიუხედავად ბახუსის ქურუმი ქალისადმი აღვლენილი, აღტაცებული ჰიმნებისა, ატყვია, რომ მას ერცხვინებოდა თავისი „evoe“-სი. იგი შიშნარევად ჩაეკითხებოდა ჟამ-ჟამ სინდისს. გრძნობითი სიტკბოებისა, მემთვრალეობისა და თავაწყვეტის შემდგომ ოცნებას მიეცემოდა ხოლმე. სწადა ეხილა მშვიდი ნაპირი, სასურველი სამშობლო მხარე. ინატვრიდა, რომ განეძარცვა ამქვეყნიური სამოსელი და განეახლებინა არსებობა.

პირადი გასაჭირი, გამოცარიელებული მოსკოვი, მწუხარე დედები, მათხოვართა ჯგროები, დაყორილი გვამები, გადაბუგული ნანგრევები. ეს ყოველივე ხელ-ფეხს უბორკავდა პოეტს მთელი არსებით მისცემოდა ლალსა და საზეიმო სიმღერებს. არა და არ გამოუდიოდა ასეთი სიმღერა, რადგან მის ბორგვენულ სულს ფრთას აკვეცდა მოუცილებელი თანამგზავრი — გულწრფელი სევდა — მხოლოდღა დროებით გამდგარი ჩრდილში. მისი მოგზაური ვერ ჰპოვებს ბედნიერებას ელადის ცხოველმყოფელი მზის ქვეშე. შეყვარებული კვდება და დელიამ არ მოინახულა მისი სევდისმგვრელი სამარე.

მისი საუკეთესო ლექსები ელეგეებია. ბატიუშკოვმა ირჩია ლირიზმის განსაკუთრებული ხახეობა — ისტორიული ელეგია. არათუ მარტოდენ აწმყო, არამედ წარსულიც აღძრავდა მასში ნალველს. ხანგრძლივი ნგრევის და სასრულთა სფერო — ისტორია — სევდას ჰგვრის პოეტს. იგი წარმოადგენს ნანგრევებს, რამეთუ თვით ადამიანურ ქმნილებათა ბუნებაში იმთავითვე ბუდობს ნგრევის საწყისი. და აი, პოეტი დგას შვეციაში იმ ციხე-კოშკის ნანგრევებთან, სადაც ოდესღაც ისმოდა ფიალათა ჯახანი, ხედავს კუბოთა გრძელ რიგებს. ჩვენ არსებითად სასაფლაოზე ვცხოვრობთ. ყველაფერი ცვალებადია. მშვიდად მიედინება ამჟამად რეინი მშობლიური გერმანიის მიწაწყალზე. მაგრამ აგერ ახლახან არ ფლობდა მას მტერი?

ბატიუშკოვი აღტაცებით გვიხმობდა ამქვეყნიურ ლხენა-სიამისაკენ. ცხოვრებისეულ ბაღნარში ახარებდა ალისფერ ვარდებს, მაგრამ არ ავიწყდებოდა წარმავლობა ყოველივე ადამიანურისა. მოლხენის წუთიერი ბუნება ბადებდა მის სულში ფიქრს იმაზე, რომ ასევე წარმავალი იყო ყოველივე დიადიც. წუთის მიმდევნად ნათლავდა ადამიანს, რომელიც კუბოთა შორის იარება. პოეტი ყმაწვილქალს ჩუქნიდა ყვავილებს ამ სიტყვებით: „გიძღვნი შენსავით წუთიერ ყვავილს“.

ტორკვატო ტასოს, ამ „სიამეთა მომღერალი გედის“ ბედი, რომლის ნაგვიანები სახელოვნება სხვა ხელოვანთაც აფიქრებდა, ბატიუშკოვს ჩაავონებდა, რომ დროს მხოლოდ ვარდი კი არ მორჩილებს, არამედ დაფნის გვირგვინიც.

ვნებათაღელვა ანდა სევდა-ნალველი. სხვა რამ საშუალოს იგი არა სცნობდა. ცხოვრება ან დათურგნულია, ანდა მდულარი მთელის სიმძაფრით. „ნამგლით უღმობლად მოცელილ შროშანასავით“ კვდებოდა იგი, მაგრამ

Вздохи страстные и сила милыхъ словъ
Его изъ области печали,
Отъ Орковыхъ полей, отъ Леты береговъ
Для сладострастия призвали.

სინამდვილეს რომ ჰკლებოდა შინაგანი სიმძლავრე შთაბეჭდილებათა ცეცხლოვანი სიკაშკაშით აღსანთებად, მაშინ მისი მწირი და ღარიბი თვისებები უნდა მოვარაყებულიყო პოეტის თანამდევნიჭით — ოცნებით. ყოველი პოეტი ხომ ამ მხრივ ჰომეროსს დაჰგავს. „ყოველისმჭვრეტელი უსინათლოა“ იგი და თავის ოცნებას უნაცვლებს უშუალო აღქმას. „ოცნება სულია ლექსთა და პოეტთა“. ბატიუშკოვს შესწევდა ძალა ამისა და მომავალიც გადაუშლიდა თვალწარმტაც სურათებს.


მაგრამ მრავალფერი იყო მისი რეალური არსებობაც. ბელონას საზარი ცეცხლის ენები ელამუნებოდა პოეტს. მშვენიერი უცხო მხარენიე უბილავს. ჰაილსბერში, ბრძოლის ველზე ჩაესმო-

და ვითარ აჭახუნებდა მეხი „სპილენძის ყბებს“ და საერთოდ მისი ცხოვრება, პოეტურ ექოდ არეკლილი, გახლდათ „დიდებული ნადიმი, ფრიად ამო თვალთა და ყურთათვის“, მშვენიერ ფერთა სისრულითა და ხმიანობით აუღერებელი, ვნებით მთრთოლავი.

ამ ხიბლს ვერ ელეოდა მაშინაც, როს ქრისტიანული რწმენა თურგნიდა მის არსებაში კერპთაყვანისმცემელს. და ამაშია მისი უჩვეულობა. სიამენი სინდისს ანაცვალა, მაგრამ მაშინაც ვი დაშთა პათოსის პოეტად. ქრისტიანობა არა ხდის მის ცხოვრებას ფერმკრთალსა და მოსაწყენს, არც მოშიშრობასა და სისუსტეს აღძრავს მასში. ბატიუშკოვი ვერ ურიგდება იმას, რომ ამქვეყნიური ორომტრიალისაგან დაღლილმა მისმა სულმა დაჰკარგა ხელოვნების სიყვარული და აღზინდელი სიმხიარული. მას არ სურს იქცეს სულის მსხვერპლად. მუზებსა ჰვედრის, კვლავ მიანიჭონ სინალისე ჩამკვდარსა გრძნობებს. სიკეთე მორჩილება და სიჩუმე როდია. იგი ქმედითია და მძაფრი. სიკეთე, ეს „სულის ნამდვილი ვნებათაღელვა“, სინდისი „დიად სულთა ვნებათაღელვა“ გახლავთ. სწორედ „ვნებათაღელვა“ ბორგავდა კერპთაყვანისმცემლურ სამყაროში, ტიბულესისა და ჰომეროსის ანთოლოგიებში — ამასვე ვიგრძნობთ ქრისტიანის გულშიც. ცხოვრება ვერა სთმობს პათეტიკას.

სიცოცხლის მომღერალმა, თითზე ჩამოსათვლელი ლექსების ავტორმა, ვინაც გრძნობდა თავისი ნიჭის სამძღვრებს, ხარკი მიუზლო თავისი სევდიანობით რუსულ სულს. სამხრეთის ქვეყნებში იგი მშობლიური ჩრდილოეთის მნათობს ეძიებდა, ქარბუქი და ავდარი ეზმანებოდა, და რონას ნაპირებიდან სალამს უძღვნიდა თანახმიერ მდინარე დონს. ოლონდაც მისი პოეზიისათვის, რომლის ჟღერადობაშიც პუშკინის გენიალურ სმენას მყის მოხვდა იტალიური კილო, უცხო გახლდათ მშობლიურ სიმღერათა წყობა.

რუსული სიტყვიერების ისტორიაში მას აფასებენ უმთავრესად იმიტომ, რომ პუშკინმა შეითვისა და განავითარა მისი სრულხმოვანი და ტკბილი ჰანგი. ბატიუშკოვი საერთოდ ჩაინაგლა და გაზავდა პუშკინის ქმნილებებში, მაგრამ პოეტი ესე ღირსია, თავისი დიდი მემკვიდრისა, რადგანაც სულის ბორგნეულობას, ვნებათაღელვასა, სინარულსა და სინდისის ქენჯნას იგი გამოსახავდა გასაოცარი სილამაზის ლექსებით. ამ ლექსებში მართალია ბევრი რიტორიკაა, არქაიზმები, მითოლოგიაც და თვით ხორციელი ვნებებიც ლიტერატურით არის შეფეროვნებული, მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ თავისებური კოლორიტით მოსავს ბატიუშკოვის პოეზიას. ლექსებს, რომლებიც ვერ გუობენ სინარნარეს, („ბახუსის ქურუმი ქალი“, „ნაწყვეტი ელეგიიდან“), ბატიუშკოვი დაიმღერს მღოვრი, საზეიმო, დინჯი კილოთი და ისინი მოგვაგონებენ ანტიური სამყაროს კეთილშობილური ფუფუნების საგანს — მძიმედ დატალღულ, უძვირფასეს დიბა-ატლასს.



მაქსიმილიან ვოლოუინი

თარგმანის ბავო


თარგმანს შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვაგვარი მიზანი. თუკი თარგმანის დანიშნულება ისაა, რომ იქცეს საბუთად, მაშინ იგი უნდა იყოს რამ განკერძობული, ზუსტი ასლი დედნისა და უნდა შესრულდეს სადა სიტყვით, თუნდაც დედანი წყობილი სიტყვით იყოს დაწერილი. აქვე დავსძენთ, საძრახისი როდია, როცა თარგმანი დაჰყვება მთარგმნელის პიროვნებისეულ ნებას. ყოველი პოეტი სხვა პოეტს ხომ სწორედ ამგვარად თარგმნის. ბუნებრივია, როცა მთარგმნელს აღეძვრის სურვილი მშობლიურ ენაში მოიძიოს ბადალი მისთვის უცხო ენაზე აუღერებელი სიტყვებისა, ასეთ ნამუშევრებს, პიროვნების დალი რომ აძევთ, არ მოეკითხება მიუდგომელი სიზუსტე, ვინაიდან მათი ღირსება სწორედ ეგ არის. ერთი პოეტი მეორეს თარგმნის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შემოქმედების ენით. ეს გარდუვალია. უუკოვსკის მიერ თარგმნილი შილერი გარდაისახება უუკოვსკის ბუნების ღარად და ამავე ღროს რჩება შილერის ლექსადაც. ლექსის თარგმანი როდია შესაძლო ალი-კვალი იყოს დედნისა. ამ გარემოებას (გარდა

იმისა, რომ ლექსი ნაირგვარად შეიძლება განიმარტოს) სხვა გარეგნული მიზეზებიც გააჩნია. შესაძლოა გადმოიღო აზრი, გადმოიტანო შესიტყვება, მიაშვენიო დედნის იერიც და მაჯისცემაც, მაგრამ ვერაფერს უხერხებენ ნაწარმოების რითმას, სხვათათვის შეუვალი და ხელმიუწვდომი რომ არის. ასევე წარმოუდგენელია, ამ რითმათა აზრობრივი დინება სხვადასხვა ენაზე ერთგვაროვანი იყოს. ამიტომაც, ლექსის თარგმნისას იძულებულნი ვართ უსახური წვრილმანები მთავარს შევწიროთ, თუკი ლექსი აგებულია თანხმიერებათა თამაშზე, მაშინ მთარგმნელი უცულობლად აერიდება ზუსტი აზრის, შესიტყვების გადმოცემას და შეეცდება ტოლფასი ბგერების ნიძიებით დედნიხეული ელერადობა გაახმიანოს. თუკი მთავარი სათქმელი გამონათულია ლექსის შინაარსით, სახეებით, შესიტყვების ნაირგვარობით, მაშინ მთარგმნელმა პატიოსნად უნდა ააღოს ხელი რითმას.

ვერპარნის ჩემბიერი თარგმანები შესრულებულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა თვალსაზრისით. ზოგ მათგანში, როგორცაა „ნოემბერი“, „შემოდგომა“, „სალამო“, „ჩრდილოეთისაკენ“, მე ვცდილობდი გადმომეცა მართოდენ ელერადობა ვერპარნისეული ლექსისა. სხვა ნაწარმოებებში, ქალაქს რომ ეხება, მე უარყავ რითმა და შევეცადე გამომეხატა მისი მეტაფორების სწრაფვა და სიტყვების წყობა, ბუნებრივად რომ ჩამოიქნება თავისუფალ ლექსად. მხოლოდღა სამადსამ ლექსში (ომისადმი მიძღვნილი, ჩემი ბუნებისათვის შორებული ეს ლექსები დაკვეთით ვთარგმნე) მე მივსდევდი ერთდროულად რითმას, ზომას და შინაარსის სინუსტესაც. ჩავდიოდი იმას, რასაც ითხოვს თანამედროვე გემოვნება მთარგმნელისაგან, მაგრამ რისი უარმყოფელიც გახლავართ თორიულად.

ვერპარნი არ არის რაიმე ერთი ხაზის მიმდევნი პოეტი. მას არახოდეხ არ მიჰყავს ჩანაფიქრი ბოლომდე. ამიტომაც მრავალგზის უბრუნდება ერთსა და იმავე თემას. იგი გამუდმებით ებრძვის ფრანგული ენის ყალიბებს, სადაც ვერ თავსდება მისი რთული და ესოდენ გამოუცვეთელი გერმანული ხული. ეს მანიჭებდა უფლებას, ხშირად თავისუფლად მოგვიდებოდი ამ პოეტის სიტყვას, შემედწია მისი ხულის ფარულ კუნჭულებში, გამეხრულებინა რუსულად ის, რისი გამოსახვაც ვერ მოხერხდა ფრანგულ ენაზე. გამომეტოვებინა ზოგი ადგილები და მეტაფორები, ზედმეტად რომ ტვირთავდა თარგმანს. ამიტომაც, ჩემი თარგმანი საბუნთად ვერა და ვერ ივარგებს. ესაა ჩემი ვერპარნი, თარგმნილი ჩემეული ენით.

მე გამოვსახე ვერპარნი — ჩემთვის სასურველი და გაინაპირე ვერპარნი — ჩემთვის უცხო და მიუღებელი. ნაწარმოები ჯერეთ უნდა აქციოთ შენი არსების ნაწილად და შემდეგ მეორედ მიანიჭო მას სიცოცხლე. სხვაგვარი შემოქმედებითი თარგმანი წარმოუდგენელია. ოღონდაც ეს ვითარება სულაც არ უშლის ხელს ჩემს თარგმანს, რომ ბევრგან კვალდაკვალ მიდევნებულ იყოს დედანს.



ვლადიმერ მაიაკოვსკი

ბარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი

ალექსანდრ ბლოკის შემოქმედება მთელი პოეტური ეპოქაა — ეპოქა ახლო წარსულისა.

ამ დიდებულმა პოეტმა სიმბოლისტმა უსაზომო გავლენა მოახდინა მთელ თანამედროვე პოეზიაზე.

ზოგთა ჭერაც ვერ დაუხსნიათ თავი მისი სტრიქონების ჯადოსაგან — ჩაეჭიდებიან რომელსამე ბლოკისეულ სიტყვას, ათასგვარად ჩაღხავენ, მთელ გვერდებს აჭრელებენ და ასე განამდიდრებენ საკუთარ პოეტურ საგანძურს. სხვათ კი, რა გადალახეს ბლოკის ადრეული ხანის რომანტიკა, პოეტური ომი გამოუცხადეს ამ ყაიდის ლექსთაწყობას და ერთმანეთზე აწვავებენ ახლებურ სახეთა ლოდებს, ახალი რიტმებით აღუღებებენ სტრიქონებს, გმირულად იღვწიან და აღაშენებენ მყოფადის პოეზიას. მაგრამ როგორც ერთთა, ისე მეორეთათვის თანაბრად სასიყვარულოა და მარადსახსოვარი პოეტი ბლოკი.

ბლოკი გულაღალად და აღფრთოვანებით მიეახლა რევოლუციას. ოღონდაც სიმბოლიზმის ნატიფმა, დახვეწილმა სიტყვებმა ვერ იგუეს, ვერ ზიდეს რევოლუციის მიძიმე, ურიოშო, ურანდავი სახეები და საქვეყნოდ ცნობილ (მრავალ ენაზე თარგმნილი) პოემაზე „თორმეტნი“ შეღწეულმა ჯაფამ ბლოკს ილაჯი გაუწყვიტა.


მახსოვს რევოლუციის პირველ დღეებში გვერდით ჩავუარე ზამთრის სასახლის წინ დანთებულ კოცონს მიფიცხებულ, გამხდარ, ჯარისკაცივით მოსილ ფიგურას. შემეხშიანა ეს კაცი და მხოლოდ მაშინ ვიცანი ბლოკი. ერთად ვიარეთ „ბავშვთა სადარბაზოში“.

შევეკითხე, მოგწონთ-მეთქი? — კარგიაო, — მომიგო და მერმე დასძინა: „მე ბიბლიოთეკა დამიწვეს სოფელში“.

აი, ეს „კარგია“ და „ბიბლიოთეკა დამიწვეს“ გახლდათ რევოლუციის მისეული ორგვარი შეგრძნება, ფანტასტიურად გადანასკვული ერთმანეთს პოემაში „თორმეტნი“.

პოემას სულმოუთქმელად კითხულობდნენ თეთრები და ავიწყლებოდათ „კარგია“. პოემას ვერ წყდებოდნენ წითლები და ავიწყლებოდათ „ბიბლიოთეკა დამიწვეს“. სიმბოლისტს უნდა გაერჩია, ამ შეგნებათაგან რომელმა უფრო ღრმად შეძრა იგი. ედიდებინა ეს „კარგი“ თუ კმუნვას მისცემოდა ხანძრის გამო — ბლოკმა თავის პოეზიაში ვერ მოახდინა არჩევანი.

ამა წლის მაისს დავესწარი მის გამოსვლას მოსკოვში. ნახევრად ცარიელ დარბაზში სევდანარევი, ჩუმი ხმით კითხულობდა იგი თავის ადრინდელ ლექსებს ბოშათა სიმღერებსა, სიყვარულსა და მშვენიერ ქალბატონზე. ამას იქით გზა აღარ ჩანდა. სიკვდილი იდგა ამის მიღმა და აღსასრულმაც აღარ დაახანა.



ილია ილივი

უბის წიგნაკიდან

წინასიტყვაობა

ილივს ხშირად უთქვამს ჩემთვის, — აუცილებლად ჩაიწერეთ შთაბეჭდილებანი, ყველაფერი გარდადის, ყოველივე დაფიწყებას მიეცემა: ჰო, მესამის ეს საკმაოდ საძნელოა. ჭკრეტა გწადიათ ცხოვრებისა და არა კალმის გახირი, მაგრამ თავი უნდა აიძულოთო.

ოღონდაც თავად იშვიათად ახერხებდა ამას. და მორიგი უბის წიგნაკი მთელი თვეობით ედო ჯიბეში, მერე გამოიცვლიდა პიჯაკს და როცა ჩაწერა დასტურდებოდა რაიმესი, უბის წიგნაკი აღარა ჰქონდა ხელთ.

— ვერაა კარგი საქმე, — იტყოდა ილივი, — ჩაწერა აუცილებელი რამ არის. გაიფლიდა ხანი და ილივი გაიჩენდა ახალ უბის წიგნაკს. სხივჩამდგარი თვალებით დაჰყურებდა ზედ, დიდის ამბით, მრავალმნიშვნელოვნად დაჰკრავდა ხელს მუყაოს ან მუშამბის ყდაზე და ჩაუძახებდა ხოლმე პიჯაკის გარეთა, გვერდით ჯიბეში. ამ დროს ისეთი იერი ჰქონდა, გეგონებოდათ ახლა ერთ დღეს არ გაუშვებს ჩანაწერების გარეშე და დამითაც კი ფეხზე წამოაგდებს რაიმეს ჩანიშვნის ფიქრო. ერთხანობას ამ წიგნაკს მართლაც წამდაუწუმ ატრიალებდა ხელში, მერე გულს აიცრუებდა. ბოლოს სულაც გადაივიწყებდა. ჩარჩებოდა ძველ პიჯაკში. შემდეგ კი ისევ შეიძენდა ახალ, ტკიცინა ფურცლებიან წიგნაკს.

ერთხელ ილივს აუსრულეს დაუინებული თხოვნა და რომელიღაც რედაქციისა თუ გამომცემლობაში აჩუქეს უზარმაზარი საბუღალტრო წიგნი, წითლად და ლურჯად დახაზული, პრიალა ფურცლებით. ეს წიგნი მას ძალიან მოსწონდა.

გაუთავებლად ხსნიდა და ხურავდა. ყურადღებით ათვალთვლებდა საბუღალტრო ხაზებს და ამბობდა:

— აქ ალბათ ყველაფრის ჩაწერა შეიძლება. ცხოვრების წიგნია. აი, აქ მარჯვნივ, სასაცილო გვარებს და წვრილმან ამბებს ჩავწერ, მარცხნივ — სიუჟეტებს, იდეებს, აზრებს.

თავის გატაცებას ილფი ირონიულად უცქერდა. მას უთუოდ მოსწონდა ეს სქელი წიგნი, სადაც მართლაც შესაძლო იყო ბევრი რამის ჩაწერა. მაგრამ იცოდა, რომ სულ ერთია ვერასოდეს აიძულებდა თავს, ასე მოქცეულიყო. ხუმრობდა კიდევ ამის თაობაზე. მალე წიგნი გაივსო ილფისეული ნაუცბათევი და მკვეთრი ჩანახატებით. სად ვიდაცის პროფილი ჩანდა, სად ფრთით დამშვენებული ქუდი, ანდა უცნაური თხუთმეტკუზიანი აქლემი, აქლემი-ავტობუსი, როგორც მას ილფი უწოდებდა.

ილფს მაინც ბევრი წიგნაკი დარჩა. უმეტესობა მხოლოდ ნახევრადაა გავსებული ჩანაწერებით, ზოგისა ერთი შესამედიო გამოყენებული, ზოგისა — მხოლოდ ორიოდ ფურცელი, დანარჩენები სრულიად ცარიელია, ანდა ჩანახატებითაა სავსე.

აქაა ჩანაწერები შუა აზიასა თუ ამერიკაში მოგზაურობაზე. ილფი ბევრს მოითხოვდა მწერლისაგან. მისი აზრით ყოველ კალმოსანს უნდა ჰქონოდა უნარი შეეცრიბა და მოემზადებინა შემდგომში გამოსადეგი დაკვირვებანი, უჩვეულო სიტყვა-თქმანი, ტერმინები, შემთხვევითი თანამგზავრის ნაუბარი, უბის წიგნაკში ჩაეხატა ვაგონის ფანჯრიდან დალანდული ლანდშაფტის ნაწილი, ცის ან ზღვის ფერი, ხის ანდა ცხოველის ფორმა. ასეთი გახლდათ მისი მწერლური სამზარეულო.

შემდგომში, ჩვენი თანამშრომლობისას, ვიდრე დავიწყებდით ჩაფიქრებულ წიგნზე მუშაობას, მანამდე ცალკე ფურცლებზე ვიწერდით ათასგვარ დაკვირვებებს, სიუჟეტებსა თუ აზრებს. ილფი ხშირად იშველიებდა თავის უბის წიგნაკს და ამასვე მოითხოვდა ჩემგანაც.

სიკვდილის წინა წელს მან ამერიკაში შეიძინა საბეჭდი მანქანა, ბეჭდვამ გაიტაცა. დღიურის წერა წამოიწყო, მაგრამ მგზავრობამ ძალზე გადალალა და ეს განზრახვა ვერ განახორციელა.

მოსკოვს დაბრუნებულმა, უკვე სწრაფებით შეპყრობილმა ილფმა განაახლა თავისი ჩანაწერები. შთაბეჭდილებებს პირდაპირ ბეჭდავდა მანქანაზე. ამ ნამუშევარს მწერლური სამზარეულო როდიღა ეთქმოდა, რადგან თვითთელი ასეთი მოკლე ჩანაწერი იძენდა დამოუკიდებელ ლიტერატურულ მნიშვნელობას. აქ ჩანს მისი მწერლური ალღო და კრიტიკული თვალი. ფრიად პოეტურია ილფის ეს ბოლო ნამუშევარი.

ამ წიგნაკში მოცემულია ის ჩანაწერები, რომლებიც ილფს შესრულებული აქვს 1925 წლიდან ვიდრე 1937 წლამდე.

მვკინი პეტროვი

* *

არსებობენ დაუმსახურებლად სახელგანთქმული ვარსკვლავები, მსგავსად დიდი დათვისა.

* *


ეგების, ასეც მოხდეს — ჩვენ ორთავე (ილფი და პეტროვი) კმაყოფაზე აღრიცხვისას ერთ სულად მიგვიჩნიონ.

* *

საკმარისია ამ ქალმა ტელეფონს ახლოს გაუაროს და შემბრანა თავისით აუღერდებოდა ხოლმე.

* *

პიანისტმა დაკვრა მიატოვა, რადგან პირველ რიგში მჭდომი ვაუბატონი გამუღმებით ათა-
მაშებდა ყვითლად აზიმზიმებული ფეხსაცმელების ჭვინტებს.



* *

როგორა ვწერთ ორნი? აი, როგორ: იყო ზაფხულის (ზამთრის) დღე (საღამო), როცა
ახალგაზრდა (უკვე ხანშიშესულმა) კაცმა (ქალმა), მორთულმა ღია ფერის (მუქი ფერის)
ფეტრის შლაპით, ფეხით (ეტლით) გაიარა ხმაურიან (ჩუმ) მიახნიცკაიას (ბოლშაია ორლიან-
კას) ქუჩაზე. მაინც ვრიგდებით.

* *

ტანსრულ ბიჭუნას ბავშვებმა „ცხიმტრესტი“ შეარქვეს. ფუნდამენტური, ძალზე მშვიდი
და ღინჯი ბავშვი გახლდათ.

* *

ოქროს დაფა.— ჰმ, წარწერაში კი შეცდომაა დაშვებული.

* *

იმ ადამიანმა არ იცოდა ორი სიტყვა — „წი“ და „არა“. ყველაფერზე ლაპარაკობდა ბუნ-
დოვნად — „შესაძლოა“, „ენახოთ“, „მოვიფიქრებო“.

* *

დასასვენებელი სახლი, გამოვსებული ქმრებისაგან მიტოვებული ცოლებით. ეხეტებიან
აქეთ-იქით ეს ძვალტყავა, უღაზათო, ხანშიშესული დედაკაცები, აცერცეტებულნი დაუმ-
ცხრალ ვნებათაგან. თეთრად ნათობენ კირით შეფეთქილი სვეტები. სელის სავარძელზე ის-
ვენებენ საქმიანად გამომწირალი პოეტები. ცალუღელა დიაცნი სასოებით შესცქერენ მათ.
იმანჭებიან პოეტები, ყალბი ხმებით აღმოთქვამენ „ბრძნულ აზრებს“.

პუშკინის ძეგლისაკენ მივემართებით. ვიწრო შარვალში გამოწკებილი ალექსანდრ სერ-
გევიჩი შთაგონებულად გასცქერს პოეტ №-ს, რომელიც თხილამურებით ეშვება ფერდობი-
დან. უკან გამოვბრუნდით და ახლა სხვა, ფეხით მოსეირნე ხელოვანს ვკიდეთ თვალი. ჰიმა-
ლაური ფოცხვერის ბეწვიანი საყელოთი დამშვენებული პალტო აცვია. თავისი ოთახისაკენ
მიიჩქარის ხატვის წყურვილით ანთებული. ასე მიდის ცხოვრება — არც მხიარულად და არც-
თუ მოწყენილად. საღამოობით ქმრებისაგან მიტოვებული ცოლები შმაგად ცეკვავენ მრგვალ
სვეტებიან დარბაზში. ადრე აქ პლაფონი ყოფილა ნიმფებით. მაგრამ სამეურნეო მმართვე-
ლობის მესვეურებს მოუბათქაშებიათ. ქმრებისაგან მიტოვებული ცოლები როკავენ მთელი
გზნებით. მაგრამ ამაყი პოეტები ჭადრაკის დაფებიდან არ იღებენ თავს და ვნებანი კვლავ
დაუმცხრალნი შთებიან.

* *

ორი წელი იღებდნენ სურათს. ამ ხნის მანძილზე რეჟისორმა ხამი ცოლის გამოცვლა მო-
ასწრო. სამივე ფილმში გადაიღო. ვერაფერს გაიგებ, ეშმაკმა დალახვროს. ან რეჟისორი ხში-
რად თხოულობდა ცოლს, და ამ მიზეზით იღებდა სურათს ასე დიდხანს, ანდა გადაღება უჭი-

რუსული კრიტიკის ფურცლები

ანურდებოდა იმიტომ, რომ ცოლების გამოცვლას უნდებოდა. როგორ უნდა წერო იმ ხალხისათვის, ვისი პირადი ცხოვრებაც ასე საოცრად შემოქმედებს მათსავე ქმნილებებზე. მათ არ უნდა მოვერიდოთ, უნდა ვუთხრათ პირში:

დიდად ვაფასებთ იმას, რომ მზე ამოგლით თქვენს მეუღლეზე. ლამის თვალზე ცრემლიც კი მოგვადგეს ამ ამბის გამო. ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, როცა ჩვენი საზოგადოება აგრე დაინტერესდა ოჯახის განმტკიცების საკითხით. მაგრამ ფილმში თქვენმა მეორე ნახევარმა მაინც არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. არც როლია მისი შესაფერი და საერთოდაც ეს ქალბატონი მსახიობად არ უქნია გამჩენს. უმორჩილესად გთხოვთ თქვენი მისდამი სიყვარული სხვაგვარ გამოხატოთ.

* *

რა მოსაწყენია კარიკტილას ყოფა. რარიც უხალისოა ნიადაგ შეყულებოდე რომელსამე ულაზათო აივანს.

* *

ერთმა ადამიანმა, აქაოდა ცოლმა მიმატოვაო, შიმშილობა გამოაცხადა.

* *

ძაღლებსა და კატებს შორის ამ ბოლო ხანს საგრძნობლად იკლო უფროსა.

* *

ბილწადმეტყველი თუთიყუში.

* *

იგი ვმ წლისაა და რა აქვს გაკეთებული? შექმნა მოძღვრება? წარმოთქვამდა ქადაგებებს? ალაღვინა მკვდრეთით ლაზარე?

* *

სადგურ კრასკოვოს საგაზეთო ჯიხური, ფიქვების კორომში დაყუდებული. არც ერთი ცალი გაზეთი. სამაგიეროდ ჩანს ყდა უურნალისა „ხმელეთსა და ზღვაზე“. ისიც შარშანდელია, ივნისის თვის. თუმცა, ამ წლისაც რომ ყოფილიყო, დიდ ინტერესს მაინც არავისში აღძრავდა. მითუმეტეს, რომ უურნალის გამომცემელი საზოგადოება უკვე ლიკვიდირებულია. არის კიდევ უურნალი „ვოროშილოვსკი სტრელოკი“. აქვთ აგრეთვე წიგნი ებრაულ ენაზე, ქიმიური ფანქარი „კოპირკა“, და მუყაოს პალიტრა ბავშვებისათვის. ასე რომ, ყოვლად შეუძლებელია შეიტყოთ რა ხდება ამქვეყნად, ხმელეთსა, ზღვასა თუ ჰაერში. ამისათვის მოსკოვს მოგიწევთ ჩასვლა. ყელს კაწრავს მზენაკრავი წიწვების სურნელი. დააქროლებენ ბიჭუნები დიდრონ, ტლანქ ველოსიპედებს. დიდად ბედნიერი არიან. ჰო, მართლა, ამ ჯიხურში იშოვით ფანქრის სათლელს, სახელწოდებით „კანცბრომი“. ესაა და ეს.

* *

რა დამავიწყებს, სამარყანდო, შენს მეწამულ საღამოებს, აშვეტილ აღვის ხეებს, მუნჯ მათხოვარს, სასოებით რომ ემთხვეოდა ბოძებულ სურდას.

□

ამერიკელს უზინიათ ლიტერატურისა

(სიტყვა წარმოთქმულია ნობელის პრემიის მინიჭებისას)

შვეციის აკადემიის პატივცემუ-
ლო წევრებო! ქალბატონებო და
ბატონებო!

ნობელის პრემიის მოკუთვნება დიდი პა-
ტივია ჩემთვის და თუ შევეცდები მოზღვავე-
ბულ გრძნობათა გადმოცემას, შესაძლოა არა-
გულწრფელად და ყბედადაც მოგეჩვენოთ, ამი-
ტომ მხოლოდ „მაღლობის“ თქმით დავემა-
ყოფილდები.

მე აქ მსურს განვიხილო თანამედროვე
ამერიკული ლიტერატურის ზოგიერთი ტენ-
დენცია, აღვნიშნო ზოგიერთი მოსალოდნელი
საშიშროება და საიმედო პერსპექტივა. ამ სა-
კითხებზე აბსოლუტური, შეუზღუდველი გულ-
ახდილობით რომ ვისაუბრო, რამდენადმე
სწორხაზოვანი ვიქნები, ასეთი გულახდი-
ლობის გარეშე კი შეურაცხყოფას მოგაყენებ-
დით. მე მომიწევს ცოტად თუ ბევრად უპა-
ტივცემულად მოვიხსენიო ჩემი უსაზღვროდ
საყვარელი სამშობლოს ცნობილი ინსტიტუ-
ტები და საზოგადო მოღვაწეები.

მაგრამ მერწმუნეთ, ღვარძლი არ მალა-
პარაკებს. ბედი მუდამ საკმაოდ მწყალობდა.
ლუკმა პურისთვის ბრძოლა არ დამჭირვებია,
კეთილი ადამიანიც ბევრი შემხვედრია. დრო-
დადრო ხან მე და ხან ჩემი წიგნები, სასტი-
კი თავდასხმის მსხვერპლნიც გავმხდარვართ.
მაგალითად, ერთმა ფრიად ღირსეულმა კა-
ლიფორნიელმა პასტორმა, „ელმერა ჰენტრი“
რომ წაიკითხა, ჩემი ლინჩის წესით გასამარ-
თლება მოისურვა, ხოლო მენის შტატელი მე-
ორე ღვთისმოსავი დიდხანს ეძებდა რამე კა-
ნონიერ გზას, რომ როგორმე ციხეში ჩავეყუ-
დებინე. ამ გააფთრებულ ლანძღვა-გინებაზე
საშინელი ის გახლდათ, რომ ზოგიერთი ძვე-
ლი ნაცნობი ჟურნალისტი, რომელთაც კლუბ-
ში ვხვდავდი ხოლმე, თავგამოდებით ამტკი-
ცებდა, თითქოს პირადად მიცნობდა როგორც
გაიძვერა კაცსა და უნიჭო მწერალს. მაგრამ

ზოგჯერ თუ ქვაც უსვრიათ, არც მე დაგ-
რჩენილვარ ვალში და ჩემის მხრივ გულუბ-
რყვილობა იქნებოდა მეფიქრა, რომ სამაგი-
ეროს არ გადამიხდიდნენ.

არა, პირადად მე საწუნარი არაფერი მაქვს,
რაც შეეხება ამერიკულ ლიტერატურას — მისი
მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, რომლის ეკო-
ნომიკა, მრეწველობა და მეცნიერება ესოდენ
არის განვითარებული, ხოლო ხელოვნება არ-
ქიტექტურისა და კინოს გამოკლებით, ჩინშია
მოქცეული, დიახაც მიზეზი განლაგთ საფუძ-
ვლიანი უკმაყოფილებისა.

სამაგალითოდ ერთ უსიამოვნო ამბავს
გავიხსენებ, რომელიც შვეციის აკადემიასაც
ეხება და მეც. ეს ამბავი რამდენიმე დღის
წინათ მოხდა, ვიდრე ნიუ-იორკიდან შვეცი-
აში გამოვემგზავრებოდი. ამერიკაში ცხოვ-
რობს ერთი სწავლული და გულკეთილი მო-
ხუცი ჯენტლმენი. ადრე იგი პასტორი იყო,
უნივერსიტეტის პროფესორი და დიპლომატი.
ახლა კი ამერიკული ხელოვნებისა და ლიტე-
რატურის აკადემიის წევრია და მრავალი
უნივერსიტეტის საპატიო ხარისხის მფლობე-
ლი. როგორც მწერალმა, მან სახელი გაითქვა
პატარ-პატარა წერილებით, სადაც ამტკიცებს,
რომ თევზაობა ერთობ სასიამოვნო საქმიან-
ობაა. არა მგონია, ნამდვილი მეთევზე, ვი-
სი არსებობაც ვირთევზასა თუ ქაშაყის რა-
ოდენობაზე და მოკიდებული, თევზაობას
გართობად მიიჩნევდეს. მაგრამ იმ წერილე-
ბიდან ჯერ კიდევ ბავშვობაშივე შევიტყვე,
რომ ანკესით თევზაობა, თუ არავინ გაიძუ-
ლებს, მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი და
ამაღლებული საქმიანობაა.

ამ სწავლულმა კაცმა საქვეყნოდ განაცხა-
და, რომ ნობელის პრემიების კომიტეტმა და
შვეციის აკადემიამ დიდად შეურაცხყვეს ამე-
რიკა, როცა პრემია მიაკუთვნეს იმ კაცს,
ვინც დასცინის ამერიკის სინამდვილეს. არ

ვიცი, იგი როგორც ძველი დიპლომატი, აპირებს თუ არა ეს ამბავი საერთაშორისო ინციდენტად გადააქციოს. არც ის ვიცი, მოსთხოვს თუ არა ამერიკის მთავრობას სტოკჰოლმში ამერიკული ლიტერატურის უფლებათა დასაცავად სამხედრო-საზღვაო ჯარის გამოგზავნას. თუმცა იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ფრიად განათლებული კაცი, ღვთისმეტყველების დოქტორი, დოქტორი ლიტერატურისა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ბრწყინვალე ტიტულის მფლობელი ამ ფაქტს სხვაგვარად შეხედავდა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ასე იტყოდა: მართალია, მავანი მწერალი მე არ მომწონს, მაგრამ პრემიის მინიჭებით შვეციის აკადემიამ პატივი მიაგო ამერიკას. ამით აკადემიამ დაამტკიცა, რომ ამერიკელებს ველურ, ჩამოუყალიბებელ ტომად კი არ თვლის, რომელიც იმდენად არის ჩამორჩენილი, რომ ჯერ კიდევ ეშინია კრიტიკისა, არამედ მიიჩნევს დავაჟკაცებულ ერად, რომელსაც ძალუძს მშვიდად და დიდის გულისყურით მოისმინოს თავისი ქვეყნის შეფასება, რაგინდ მწარედ არ უნდა იყოს იგი ნათქვამი.

მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერს უნდა ეგრძნო, რომ სტრინდბერგის, იბსენისა და პონტოპიდანის ქმნილებებზე აღზრდილ სკანდინავიას არ აოცებს ამერიკელი შემოქმედის ყველაზე ანარქისტული მტკიცება, რომ ამერიკამ, მთელი თავისი სიმდიდრისა და ძლიერების მიუხედავად, ჯერ ვერ შექმნა ისეთი მაღალი დონის ცივილიზაცია, რომელიც კაცობრიობის უპირველეს საარსებო მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა. არა მგონია, სტრინდბერგს ხშირად ემღეროს „ვარსკვლავზოლებიანი დროშა“ ან როტარიანულ კლუბში გამოსულიყოს შთაგონებული სიტყვით, თუმცა ამას შვეცია თითქმის შეურიგდა.

ჩვენი მეცნიერი-მეთევზის კრიტიკულ შენიშვნებს ამდენი ყურადღება იმიტომ კი არ დავუთმე, რომ მართლაც რამე ღირებულება აქვს. სრულიადაც არა. ამერიკელების უმრავლესობას — მკითხველებსაც და მწერლებსაც — ჯერ კიდევ ეშინიათ ლიტერატურისა, თუკი იგი არ განადიდებს ყოველივე ამერიკულს, ნაკლები იქნება ეს თუ ღირსება. თუ გინდა ჩვენთან ჭეშმარიტად საყვარელი მწერლის სახელი მოიხვეჭო და არა მარტო ბესტსელერების ავტორისა, უნდა თავგამოდებით ამტკიცო, რომ ამერიკელები ტანადი, ლამაზი, მდიდარი, პატიოსანი და გოლფის დიდებულად მოთამაშე ხალხია; ჩვენი ქალაქების მკვიდრნი თითქოს სულ იმის ცდაში იყვნენ, ერთმა-

ნეთს რა ვარგოთო; რომ თუმცა ამერიკელი ქალიშვილები ახირებულნი არიან, მაგრამ იდეალური ცოლები და დედები გამოდიან და რომ გეოგრაფიულად ამერიკა — ეს გახლავთ ერთის მხრივ, მილიონერებით დასახლებული ნიუ-იორკი, მეორე მხრივ, ქვეყნის დასავლეთი, შეურყენელად რომ იწახავს 1870-იანი წლების გმირულ, მშფოთვარე სულისკვეთებას — და ქვეყნის სამხრეთი, რომლის მკვიდრნი მთვარის შუქით გაბრწყინებულ და მაგნოლიების სურნელით გაჟღენთილ პლანტაციებში სახლობენ.

ამერიკელი მწერლები, შვეციაში კარგად ცნობილი დრაიზერი და უილა კესერი, ჩვენთან დღესაც ისევე ნაკლებად პოპულარულნი და გავლენიანი არიან, როგორც ოცი წლის წინათ. პატივცემული მეთევზე-აკადემიკოსის აღმოჩენათაგან, რომელიც ზევით დავიმოწმე, გამომდინარეობს, თითქოს დღეს ამერიკაში დიდ პატივს მიაგებენ იმ მწერლებს, პოპულარულ ჟურნალებში რომ თანამშრომლობენ და ერთხმად და დაბეჯითებით ამტკიცებენ, თითქოს ასოცმილიონიანი ამერიკა ისეთივე უბრალო და ბუკოლიკური ქვეყანა იყოს, როგორც მაშინ, როცა აქ ორმოცი მილიონი კაცი ცხოვრობდა; რომ ქარხნებში, სადაც ათი ათასი კაცი მუშაობს, მეპატრონესა და მუშას შორის დღესაც ისეთივე კეთილმეზობლური და პატრიარქალური დამოკიდებულება სუფევს, როგორც 1840 წლის ფარსიაში, სადაც ხუთიოდე კაცი შრომობდა, რომ მამასა და შვილებს, ცოლსა და ქმარს, ოცდაათსართულიანი სასახლის დარბაზებში რომ ცხოვრობენ და სადარბაზოსთან სამი მანქანა უდგათ, თა-როზე ხუთიოდ წიგნი უდევთ და მომავალ კვირაში უსათუოდ გაიყრებიან, თითქოს ერთმანეთში ისეთი სიამტკბილობა აქვთ, როგორც 1880 წელს ვარდ-ყვავილებში ჩაფლულ ხუთოთახიან კოტეჯში მოსახლე ამერიკელთა ოჯახს. ერთი სიტყვით, ეს მწერლები გვარწმუნებენ, ამერიკა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოლონია გახლდათ, მსოფლიო სახელმწიფოდ გადაიქცა, თანაც სრულად შეინარჩუნა ბიძია სემის პატრიარქალური და პურიტანული უბრალობა.

არადა, მე მართლაც მაღლობელი ვარ მეთევზე-აკადემიკოსისა, ჩემზე გულახდილად გამოთქმული თავისი აზრებით ხელ-ფეხი რომ გამიხსნა და უფლება მომცა, მეც გულახდილად ვისაუბრო ამერიკული ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიის მუშაობაზე, იმ აკადემიისა, სადაც იგი წარჩინებულ პიროვნებად ითვლება. ხოლო ამერიკის დღევანდელი ინტელექტუალური ცხოვრების ყო-

ველმა კეთილსინდისიერმა გამოკვლევამ ყურადღება უნდა დაუთმოს ამ უცნაურ დაწესებულებას.

მაგრამ ვიდრე აკადემიის მუშაობაზე ვიტყვოდე რამეს, ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაპყრო ფანტაზიის ნაყოფს, ჩემმა გონებამ რომ შექმნა, რაკი სხვა საქმე არაფერი მქონდა, იმ რამდენიმე დღეში, რომელიც ატლანტიის ოკეანის მღელვარე ტალღებში მოგზაურობას მოვანდომე. რაღა თქმა უნდა, თქვენ უკვე უწყით, რომ ამერიკაში ჩემთვის ნობელის პრემიის მონიჭებას აღფრთოვანება არ გამოუწვევია, მაგრამ ეს თქვენთვის ახალი ამბავი არ არის. უკმაყოფილონი საკმაოდ აღმოჩნდნენ მაშინაც, როცა ნობელის პრემია მიაკუთვნეთ თომას მანს, ვისი „ჯადოსნური მთა“ მე მიმაჩნია ევროპის სულიერი ცხოვრების საფუძვლად; ან რადიარდ კიპლინგს, რომლის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ისე დიდია, რომ მას სერიოზულად მიიჩნევენ ბრიტანეთის იმპერიის შემქმნელად, ანდა როცა პრემია ბერნარდ შოუს მიაკუთვნეთ — ამ მწერალთა სამშობლოშიც მრავლად აღმოჩნდნენ ადამიანები, არჩევანში რომ არ გეთანხმებოდნენ.

მე შევეცადე წარმომედგინა რას იტყოდნენ, თქვენი არჩევანი სხვა ამერიკელ მწერალზე, ვთქვათ, თეოდორ დრაიზერზე რომ შეჩერებულიყო. ბევრი ამერიკელი მწერლის მსგავსად, მეც მიმაჩნია, რომ დრაიზერი დგას განმარტობით, ხშირად იგი გაუგებარია და მკითხველისათვის მიუღებელიც, ამისდა მიუხედავად, მან ყველაზე მეტი ამაგი დასდო ამერიკულ ლიტერატურას, გაათავისუფლა რა იგი ვიქტორიანული და პოუელსიანური მოკრძალებულობისა და პრეტენზიულობისაგან და დააყენა ცხოვრების მართალი, გაბედული და მგზნებარე ასახვის გზაზე.

ვეჭვობ, ცხოვრება თავისი ნამდვილი სახით — სილამაზითა და მანკიერი მხარეებით — გინმეს გაეხედა და აესახა ლიტერატურაში, მეკვლედ თეოდორ დრაიზერი რომ არ გვყოლოდა. მე იმ ხალხს როდი ვგულისხმობ, რომლებიც ციხეში ჯდომას არად მიიჩნევენ.

ჩემმა დიდმა კოლეგამ შერვუდ ანდერსონმა დრაიზერი ამერიკის პირველ მწერლად გამოაცხადა. მე მას სიხარულით ვუერთდები. დრაიზერის პირველი შესანიშნავი რომანი „კერი“, რომლის გამოქვეყნებაც ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ გახდა და რომელიც ამ ოცდახუთი წლის უკან წავიკითხე, დასაფლეთის ლაღი ქარივით შემოიჭრა ამერიკის დამყაყებულ, მეშინურ ატმოსფეროში და მარკ ტვენისა და უიტმენის შემდეგ პირველ-

მა ჩვენს მყუდრო, შინაურ წრეში სუფთა ჰაერის ნაკადი შემოიყოლა.

მაგრამ ნობელის პრემიას თუ დრაიზერს მიაკუთვნებდით, ამერიკას კენესა აღმოხდებოდა, თქვენს ყურამდეც მოაღწევდა, რომ მისი სტილი — მე ზუსტად არ ვიცი, ეს რა იდუმალი კატეგორიაა, — მაგრამ ისე ხშირად შეხვდებით სტილზე საუბარს მეორეხარისხოვან კრიტიკოსთა თხზულებებში, რომ როგორც ჩანს, იგი ნამდვილად არსებობს — დრაიზერის სტილი მძიმეა, მწერალი ვერ ფლობს სიტყვას და მისი რომანებიც უსაშველოდ გაჭიანურებულიაო. ასე რომ, პატივცემული მეცნიერნი აღშფოთებით განაცხადებდნენ, რომ დრაიზერის გმირები — ქალებიც და კაცებიც — უმეტესწილად უბედურნი, ხელჩაქნეული ცოდვილები არიან და არა სიცოცხლის მოყვარულნი, მხიარულნი, ქველნი და სათნონი. ერთი სიტყვით, ისეთნი, როგორნიც ჭეშმარიტი ამერიკელები უნდა იყვნენ.

თქვენი არჩევანი იუჯინ ო'ნილზე რომ შეჩერებულიყო, რომლის დამსახურება ამერიკული თეატრის წინაშე მარტო იმით გამოიხატა, რომ რაღაც ათ-თორმეტ წელიწადში ამ კაცმა ძირეულად გარდაქმნა ჩვენი დრამა, აქამომდე აკურატული, ცრუ კომედია და თვალწინ გადაგვიშალა დიდებული, საშინელი და გრანდიოზული სამყარო — მაინც შეგახსენებდნენ, რომ მას უფრო მძიმე ცოდვები მოეკითხება, ვიდრე უბრალო დაცინვა გახლავთ, და რომ მისი წარმოდგენით ცხოვრება სულაც არა ჰგავს მეცნიერის სამუშაო კაბინეტში თაროზე შემოწყობილ ცნებებს, პირიქით, იგი ბევრად უფრო გრანდიოზული, ხშირ შემთხვევაში საზარელი, ქარიშხლის, მიწისძვრისა და ყველაფრის შთამთქმელი ხანძრის სადარი გახლავთ.

პრემიას თუ ჯეიმზ ბრენჩ კებელს მიაკუთვნებდით, მაშინ ვეტყოდნენ, რომ იგი არც მეტი, არც ნაკლები, წარმოუდგენელი ბოროტმოქმედია. ხოლო უილა კესერმა, მიუხედავად ნებრასკის გლეხთა ცხოვრებაზე დაწერილ რომანთა ღირსებებისა, თავის ერთ რომანში („დაცემული ქალი“) იმდენად უღალატა პატენტთან ამერიკულ პატიოსნებას, რომ დაგვიხატა ხელიდან წასული ქალი, რომელიც რაღაც მანქანებით სათნო, მაღალი ზნეობის ადამიანებსაც კი ფრიად მომხიბლავი ეჩვენებათ. ამიტომაც მთელი ეს ისტორია ამორალურიაო.

ხოლო ბატონი ჰენრი მენკენი მეტისმეტად ენამწარე გახლავთ, შერვუდ ანდერსონი კი საშინლად ცდება, როცა აცხადებს, რომ სქესობრივი ცხოვრება იმდენადვე მნიშვნელოვან-

ნი ფაქტორია ადამიანთათვის, რამდენადაც თუნდაც ანკესით თევზაობა. და რომ ბატონი ეპტონ სინკლერი, არის რა სოციალისტი, უღმერთოდ სცოდავს, რადგან სრულიად უარყოფს ამერიკის კაპიტალისტურ სისტემას; რომ ბატონი ჯოზეფ ჰერგესჰაიმერი — არ გახლავთ ჭეშმარიტი ამერიკელი, რადგან მისი აზრით, კარგი მანერები და გარეგნული პეწი გვიმსუბუქებს ყოველდღიური არსებობის სიდუხჭირეს, და რომ ბატონი ერნესტ ჰემინგუეი არამც თუ მეტისმეტად ახალგაზრდაა, არამედ, რაც ყველაზე უფრო საშინელია, იგი ისეთ გამოთქმებს ხმარობს, რომლებიც ნამდვილმა ჯენტლმენმა არც უნდა იცოდეს, და რომ ამ ახალგაზრდა კაცს ჰგონია, თითქოს ლოთობა ბედნიერების მოპოვების ყველაზე სწორი გზა იყოს, თანაც ამტკიცებს, სიყვარული ჯარისკაცისთვის უფრო მნიშვნელოვანი რამ არის, ვიდრე კაი ხელჩართული ბრძოლა.

დიახ, ჩემი კოლეგები ძალზე აუტანელი ადამიანები არიან, და თუ თქვენ პრემიას რომელიმე მათგანს მიანიჭებდით, ისევე უმსგავსოდ მოიქცეოდით, როგორც ახლა, როცა ეს პრემია მე მარტუნეთ. მე კი, როგორც ამერიკელი პატრიოტი — თუმცა ისიც უნდა დაეძინო, რომ 1930 წლის ყაიღის პატრიოტი გახლავართ და არა 1880 წლისა — ბედნიერი ვარ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მწერლები ჩემი თანამემამულენი არიან. და მე სიამაყის გრძნობით წარმოვთქვამ მათ სახელებს თუნდაც თომას მანის, ჰერბერტ უელსის, გოლზუორთის, ვნუტ ჰამსუნის, არნოლდ ბენეტის, ფოიხტვანგერის, სელმა ლაგერლიოფის, სიგრიდ უნსეტის, ფერნერ ფონ ჰაიდენსტამის, დ'ანუნციოსა და რომენ როლანის ევროპაში.

რას იზამ, ასეთი ზედი ზერგო, რომ ჩემს დღევანდელ სიტყვაში ხან იმედიანი და ხანაც უიმედო ვარ, მაგრამ ეს ზედი ეწვევა ყველას, ვინც წერს ან საუბრობს ამერიკაზე, დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე წინააღმდეგობრივ, ყველაზე საოცარ და ამაღლვებულ ქვეყანაზე. მე გამოვტოვე უამრავი სახელი, რომლებითაც თავს მოვიწონებდი, დრო რომ მქონდეს. ახლა ისევ უნდა დავუბრუნდე თავდაპირველ ჩემს მტკიცებას, რომ თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში, როგორც ხელოვნების ყველა დარგში, კინოსა და არქიტექტურის გამოკლებით, ჩვენ, დიახ, ჩვენ, ვისაც ასე ნაყოფიერი ნიადაგი გვაქვს კომერციასა და მეცნიერებაში, არა გვაქვს მყარი საფუძვლები, ჯანსაღი ურთიერთობები, ვერ შევქმენით მისაბამ ლიტერატურულ გმირ-

თა თუ დასაგმობ ავკაცთა სახეები, ვერ ვიპოვეთ ფართო შარაგზა, ვერც ის სახიფათო ბილიკები აღმოვაჩინეთ, რომლებსაც უსათუოდ გვერდი უნდა აექცეს.

ამერიკელი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, მოქანდაკე თუ მხატვარი — მარტოობისთვის არის განწირული, მას არა აქვს კრიტიკუმიები და შრომობს მხოლოდ საკუთარი პათიოსნების ამარა.

რა თქმა უნდა, ხელოვანის ზედი ყოველ დროში ასეთი იყო. მაწანწალა და ბოროტმოქმედ ფრანსუა ვიიონს მყუდრო თავშესაფარი ენატრებოდა, სადაც სითბოს მოწყურებულ სულს და, უფრო კი, მოშიებულ კუჭს დაუამებდნენ მორთულ-მოკაზმული მანდილოსნები; ამ ჭეშმარიტად დიდ ადამიანს, რომლის სახელმაც ხალხს დაავიწყა ბევრი ჰერცოგი და ძლევა მოსილი კარდინალი, განგებამ თხრილი და გამხმარი პურის ქერქი არგუნა წილად.

ამერიკელი ხელოვანისათვის უცნოა ასეთი სიღარიბე. ჩვენ კარგად გვინდოდა, მე ვიტყვოდი, მეტისმეტად კარგად-მეთქი. მწერალთა შორის ხელმოცარულად ის ითვლება, ვისაც არა ჰყავს მეკარე, არა აქვს ავტომობილი და ვილლა პალმ-ბიჩზე, სადაც საბანკო მაგნატიების თანასწორად შეუძლია იგულვოს თავი. მაგრამ მას სიღარიბეზე მძიმე ტვირთი აწევს: ეს არის შეგნება იმისა — რომ მისი ნაწარმოებები არავის ჭირდება, მკითხველი ხომ მასში მხოლოდ ნუგეშისმცემელს ან ხუმარასა სჭვრეტს, ზოგჯერ კი დაარხენებულ, უვნებელ მყეფარად მიიჩნევენ, რომელსაც არავისთვის ავი არა სურს. ყოველ შემთხვევაში, იგი არარაობაა იმ ქვეყანაში, სადაც თთხმთცხართულიანი ცათამბჯენებია აგებული, მილიონობით ავტომანქანა მზადდება წუთში და მილიარდობით ბუშელი ხორბალი იწარმოება. ჩვენში არ არსებობს ისეთი დაწესებულება ანდა ადამიანთა ისეთი დაჯგუფება, რომელსაც მწერალი მხარდასაჭერად მიმართავს, რომლის კრიტიკულ აზრსაც ანგარიშს გაუწევს, ანდა შექებას დააფასებს. მაშ, რანაირი დაწესებულებები არსებობს ჩვენში?

რამდენიმე ცნობილ მხატვარს, არქიტექტორსა და სახელმწიფო მოღვაწესთან ერთად ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიის წევრია უნივერსიტეტის გამოჩენილი რექტორი ნიკოლას მერეი ბატლერი, შესანიშნავი და გაბედული მეცნიერი უილბერ კროსი და რამდენიმე პირველხარისხოვანი მწერალი. პოეტები: ედვინ არლინგტონ რობინსონი და რობერტ ფროსტი, თამამად მო-

აზროვნე პუბლიცისტი ჯეიმზ ტრესლოუ ადამსი და რომანისტები ედით უორტონი, ჰემლინ ჰარლენდი, ოუენ უისტერი, ბრანდ უიტლოკი და ბუთ ტარკინგტონი.

მაგრამ აკადემიის წევრთა შორის არ არიან თეოდორ დრაიზერი, ბრწყინვალე კრიტიკოსი ჰენრი მენკენი, ჯორჯ ჯინ ნათანი — უპირველესი თეატრალური კრიტიკოსი მიუნხენდავად თავისი ახალგაზრდული ასაკისა. უკეთესთაგან უკეთესი დრამატურგთა შორის — იუჯინ ონილი. აკადემიის წევრები არ არიან ჭეშმარიტად ორიგინალური პოეტები: ედნა სენტ-ვინსენტი მილი, კარლ სენდბერგი, რობინსონ ჯეფერსი, ვერელ ლინდზი, ედგარ ლი მასტერსი — ავტორი „სპუნ რივეზის ანთოლოგიისა“, ასე მკვეთრად რომ გამოირჩევა ამერიკულ პოეზიაში სიანლით, დამაჯერებლობითა და გაბედულებით. ეს ნაწარმოები ნამდვილი აღმოჩენაა, და იგი იქცა სათავედ ახალი პოეტური სკოლისა ამერიკაში.

აკადემიკოსთა შორის ვერ იხილავთ რომანისტებსა და ნოველისტებს — უილა კესერს, ჯოზეფ ჰერგესჰაიმერს, შერვუდ ანდერსონს, რინგ ლარდნერს, ერნესტ ჰემინგუეის, ლუის ბრომფილდს, უილბერ დენიელ სტილს, ვანი ჰერსტს, ნერი ოსტინს, ჯეიმზ ბრენჩ კებელს, ედნა ფერბერს და ბოლოს ეპტონ სინკლერს, რომელსაც, როგორც ვერ არ უნდა განეწყოს მისი მეზრძოლა სოციალისტური შეხედულებებისადმი — ყველაზე უკეთ იცნობენ მსოფლიოში ამერიკელ ხელოვანთა უდიდესი არმიიდან.

რალა თქმა უნდა, მოსალოდნელი არც იყო, რომ აკადემიას ბედი ეწვეოდა და წევრებად დაიგულებოდა ყველა გამოჩენილ მწერალს, მაგრამ ამ დაწესებულებას, რომელმაც თავის რიგებში ვერ მოიხილა ვერც ერთი მათგანი, და გაემიჯნა ყოველივე განვითარებადსა და ორიგინალურს ამერიკულ ლიტერატურაში, არაფერი აქვს საერთო ჩვენს ცხოვრებასა და იმედებთან. ჰენრი ვოდსვორტ ლონგფელოს გარდა აკადემია ვერ წარმოგვიჩენს თანადროულ ამერიკულ ლიტერატურას.

ამაზე შეიძლება შემოგვედაონ, ბოლოს და ბოლოს აკადემიაში ორმოცდაათი ადგილია და ბუნებრივია, თავის რიგებში ვერ მიიღებს ყველას, ვინც ამ პატივს დაიმსახურებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მაშინ, როცა აკადემიაში არ აღმოჩნდა ადგილი მრავალი ცნობილი მწერლისათვის, მისი წევრია სამი სუსტი პოეტი, ორი უსახელო დრამატურგი, ორიც ჯენტლმენი — სახელგანთქმულნი მხოლოდ იმით, რომ უნივერსიტეტების პრეზიდენტები

გახლავან. ერთი ადგილიც ისეთ კაცს უჭირავს, რომელსაც ვერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ იცნობდნენ, როგორც საკმაოდ გონივრულ კარიკატურისტს — და კიდევ რამდენიმე ჯენტლმენი, ვისი სახელიც ვწუხვარ ჩემს უვიცობას, არასოდეს მსმენია.

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ აღვნიშნო საზგასმით — და სრულიად გულწრფელად — მე თავს არ ვესხმი აკადემიას. იგი ნამდვილად არის სტუმართმოყვარე, გულუხვი და უდაოდ სოლიდური დაწესებულება. ჩვენი გამოჩენილი მწერლები რომ მისი წევრები არ არიან, ბრალი ხშირად თვითონ ამ მწერლებსაც მიუძღვით. ნამდვილად ვერ გეტყვით, იგრძნობდა თუ არა თავს შინაურულად ტლანქი დრაიზერი აკადემიის დახვეწილ წვეულებებზე. მოწამლული ენის პატრონი მენკენი კი მწარე-მწარე ოხუნჯობით გააცოხებდა, მოთმინებას დააკარგვინებდა ყველას. არა, აკადემიას როდი ვებრძვი, მე მხოლოდ გულისტკივილით ვლაპარაკობ იქ შექმნილ ვითარებაზე. ეს მდგომარეობა კი ნათლად გვიჩვენებს, როგორ მოწყდა ამერიკის ინტელექტუალური ცხოვრება ყოველდღიურ, რეალურ სინამდვილეს.

ჩვენდა სავალალოდ, იგივე შეინიშნება ბევრი უნივერსიტეტის, კოლეჯისა თუ სკოლის ცხოვრებაში. მხოლოდ ორი კოლეჯი და ორიც უნივერსიტეტი დაინტერესდა სერიოზულად ამერიკული ლიტერატურით: ესენია: როლდინზ-კოლეჯი ფლორიდაში, მიდლბერი-სა ვერმონტის შტატში და მიჩიგანისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტები — უკანასკნელში ლექციებს კითხულობდნენ ბრწყინვალე მწერალი რობერტ ჰერიკი და გაბედული კრიტიკოსი რობერტ მორს ლოვეტი. მაგრამ ამერიკაში ხომ იმდენი უნივერსიტეტი, კოლეჯი, კონსერვატორია, საღვთო, სახელოსნო და სამხატვრო სასწავლებელია, რამდენიც ავტომანქანა მოძრაობს მის ქუჩებში. საკმარისია თვალი მოჰკრათ ბეტონის საძირკველზე აგებულ გოთურფანჯრებიან საზოგადოებრივ შენობას, დარწმუნებული ბრძანებოდეთ, თქვენს წინაშე კიდევ ერთი უნივერსიტეტი დგას. ყოველ მათგანში ორასიდან ოციათასამდე სტუდენტი ერთნაირის გულმოდგინებით არიდებს თავს განათლების სიმძიმეს და ცდილობს მიაღწიოს იმ საზოგადოებრივ უპირატესობას, რასაც ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი ანიჭებს თვითეულ მათგანს.

ღიან, საყოველთაო შეხედულებით, ჩვენს უნივერსიტეტებს მჭიდრო კავშირი აქვს ხალხთან, როცა საქმე სპორტს შეეხება. ზოგიერთ დიდ კოლეჯში ფეხბურთის მატჩს ოთხმოც-

ათასამდე გულშემატკივარი ესწრება, ყოველ-
მა მათგანმა ხუთი დოლარი გადაიხადა ბი-
ლეთში და ათასამდე მილი განვლო მანქანით,
რათა აღტაცებით უცქიროს, როგორ დასდევს
ერთიმეორეს ოცდაორი კაცი უცნაურად და-
ხაზულ მინდორზე. კარგი ფეხბურთელი სე-
ზონის განმავლობაში ისეთი პატივით სარ-
გებლობს, როგორც ჩვენი ხალხის ყველაზე
საყვარელი გმირები: ჰენრი ფორდი, პრეზი-
დენტი ჰუვერი და პოლკოვნიკი ლინდბერგი.

დიახ, ბიზნესის მეუფენი ჯეროვნად აფა-
სებენ ენთუზიასტებს მეცნიერებაში და რო-
ცა ჩვენი მოვაჭრენი ასე მტრულად ეკიდე-
ბიან პოეზიის ბატონობას ან მხატვრის ფან-
ტაზიას, აი, სწორედ მაშინ ისინი მზად არი-
ან გულმოწყალებდ მოექცნენ მილინკენს, მა-
იკელსონს, ბანტინგს და თეობალდ სმიტს.

მაგრამ, ხელოვნების სფეროში ჩვენი უნი-
ვერსიტეტები იმდენად არიან მოწყვეტილნი
ცხოვრებასა და შემოქმედებას, რამდენადაც
მჭიდრო კავშირი აქვთ საზოგადოებასთან
სპორტისა და მეცნიერების დარგში. ამერი-
კული უნივერსიტეტის პროფესორისათვის
ლიტერატურა არ არის მისი თანამედროვის,
ჩვეულებრივი მოკვდავის ტანჯვით შექმნი-
ლი რაღაც. არა, ლიტერატურა, მათი აზრით,
რაღაც უსიცოცხლო, თითქოს ზეკაცთა მიერ
ზებუნებრივი, მაგიური ძალით იყოს შექმნი-
ლი. და ეს ზეკაცნი, მწერლის სახელის ღირ-
სნი რომ გახდნენ, 100 წლით ადრე მაინც
უნდა გარდაცვლილიყვნენ იმ ჯოჯოკეთის —
საბეჭდი მანქანის გამოგონებამდე. უნივერ-
სიტეტის ნამდვილ პროფესორს გული ეკუმ-
შება იმის გაფიქრებაზე, რომ ლიტერატურას
შეიძლება ქმნიდნენ ჩვეულებრივი ადამიანე-
ბი, ჩვეულებრივად რომ დადიან ქუჩაში, ჩვე-
ულებრივად რომ იმოსებიან და არც გარეგ-
ნულად გამოირჩევიან მძლოლისა თუ ფერ-
მერისაგან. ჩვენს პროფესორებს მოსწონთ ნა-
თელი, ცივი და უბიწო, მთლად უსიცოცხლო
ლიტერატურა.

მაგრამ არა მგონია, მხოლოდ ამერიკის
უნივერსიტეტები იყვნენ ამ დღეში. მე ვიცი,
არც ოქსფორდელ და კემბრიჯელ პროფესო-
რებს მოეწონებოდათ უელსის, ბენეტის,
გოლზუორთის ან ჯორჯ მურის გვერდით,
ასე ურცხვად რომ გამოეკერნენ ზეცას, და-
ეყენებინათ სემუელ ჯონსონი, რომელიც კარ-
გა ხანია მშვიდად განისვენებს თავის სამუ-
დამო სამყოფელში. მე იმედი მაქვს, შვედების,
საფრანგეთისა და გერმანიის აკადემიებში
საკმაოდ მოიპოვებიან ისეთი პროფესორები,
ცივ, გონებისმიერ ანალიზს რომ ამჯობინე-
ბენ კარგი ნაწარმოებთ მოგვრილ სიხარულს.

მაგრამ მოსალოდნელი იყო, ჩვენს ახალგაზ-
რდა, უნარიან, ძლიერ და მაძიებელ ქვეყანა-
ში პროფესორები უფრო შემწყალებნი აღმო-
ჩენილიყვნენ, ვიდრე მათი ძმობის წევრები,
ძველი ევროპის ტრადიციათა ჩრდილს რომ
არიან შეფარებულნი. როგორც ხედავთ, საქ-
მე ასე არ გახლავთ.

სულ ცოტა ხნის წინათ ამერიკის უნი-
ვერსიტეტებში „ახალმა ჰუმანიზმმა“ იჩინა
თავი, სიტყვა „ჰუმანიზმს“ დღეს იმდენაი-
რი მნიშვნელობით იყენებენ, რომ მან ყო-
ველგვარი აზრი დაკარგა. ამ სიტყვაში შეიძ-
ლება იგულისხმობთ ყველაფერი, შეიძლება
ვამტკიცოთ, რომ ძველბერძნული და ლათი-
ნური ენები უფრო ამაღლებულია და გაცი-
ლებით მეტ საზრდოს იძლევა შთაგონებისათ-
ვის, ვიდრე თანამედროვე გლეხის სასაუბრო
დიალექტი, ისიც შეიძლება გვეთქვას, რომ
ჩვენს დროში მცხოვრები ყოველი გლეხი გა-
ცილებით საინტერესო პიროვნებაა, ვიდრე
უკვე გარდაცვლილი ძველი ბერძენი, მაგრამ
მთავარი ის არის, რატომ აირჩია ამ აუხსნელ-
მა კულტმა თავის დევიზად ეგზომ გაუგება-
რი სიტყვა.

როგორც მე მესმის — ღღევანდელ მღელ-
ვარე და ბევრისაღმთქმელ საუკუნეში, როცა
ცხოვრება ისეთ საჩუქრებს გვთავაზობს, რო-
გორც არის ცეპელინები, ჩინეთის რევოლუ-
ცია, ბოლშევიკების მიერ წამოწყებული სოფ-
ლის ინდუსტრიალიზაცია, გემები, დიდი კა-
ნიონი, პატარა ბავშვები, საშინელი შიმში-
ლი, ღვთისმაძიებლობა, რომელსაც განდები-
ლი მეცნიერები ელტვიან, ვერც ერთი მწერა-
ლი ბუნებრივია, ვერ იპოვის დროს „ახალ
ჰუმანიზმთა“ მეტისმეტად გონივრულ, ზეაღ-
ტაცებულ იდეებში გასარკვევად. ეს გახლავთ
უახლესი სექტა, რომელიც ხელახლა ამტკი-
ცებს ადამიანური ბუნების გაორების ძველ
თეორიას. იმათ რომ ყური დაუგდო, ლიტე-
რატურა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის
ღმერთთან ან ეშმაკთან ბრძოლით უნდა შე-
მოიფარგლოს.

მაგრამ საინტერესო ან რა გახლავთ: არც
ღმერთსა და არც ეშმაკს არ შეიძლება ჩვენი
დროის ტანსაცმელი ეცვათ, მათ ბერძნული
ჩაცმულობა სჭირდებათ. ახალი დროის ჰუ-
მანიზმებისთვის ოიდიპოსი — ტრაგიკული
პიროვნებაა, ხოლო ღღევანდელი ადამიანი,
მანქანების შემოტევის მუდმივ საფრთხეს
რომ განიცდის და თან ცდილობს ჩვენს
ვაჭრუკანა საუკუნეში ღვთის სახე და
მსგავსება შეინარჩუნოს, სულაც არ არის
ტრაგიკული. მათი აზრით ცხოვრების მი-
ზანი თვითშეზღუდვაში გამოიხატება, სუ-

ლერთია, რას მიაღწევ ამით. სხვა ნუგეში ტანჯული კაცობრიობისათვის „ახალ ჰუმანისტებს“ არ ეგულებათ. ამგვარად, „ახალ ჰუმანისტთა“ მოძველებული დოქტრინის აზრი ის განსვავთ, რომ მთავარი ხელოვნებასა და ცხოვრებაში უარყოფაა. ეს დოქტრინა ყველაზე შავი რეაქციაა, რომელიც ჩვენს მოუსვენარ, პროგრესისაკენ მიმსწრაფ საუკუნეში შემოიჭრა.

რა გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ ახალმა მიმართულებამ, ცხოვრებისეულ სიმწიფეთა და საშიშროებათაგან მყუდრო, მონასტრულ არყოფნაში გაქცევის ქადაგებამ, დიდი მოწონება ჰპოვა ჩვენს პროფესორებში, რომელთაგან მეტ გაბედულებასა და სულიერ ძალმოსილებას ველოდით. ამის შედეგად კი მწერლები სრულიად მოაკლდნენ საუნივერსიტეტო მეცნიერების კეთილსმყოფელ გავლენას.

მაგრამ მუდამ ასე ყოფილა. ამერიკაში არ დაბადებულან ბრანდესი, ტენი, გოეთე და კროჩე.

ამერიკელ შემოქმედთა ასეთი სიმრავლის მიუხედავად ჩვენი კრიტიკა უმეტესწილად გულცივია და უმნიშვნელო. კრიტიკულ მოღვაწეობას მისდევენ მოშურნე შინაბერები, ყოფილი სპორტული რეპორტიორები და ღვარძლიანი პროფესორები. ჩვენი ერაზმები ყოფილი სკოლის მასწავლებლები არიან. მაშ, სად მოვიძიოთ მხატვრული ნორმები, თუკი ეს ნორმები არავის შეუქმნია?

მეცხრამეტე საუკუნის შუაწლების კემბრიჯ-კონკორდის ლიტერატურის დიდი თანამეგობრობა, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ემერსონი, ლონგფელო, ლოუელი, ჰოლმისი, ოლკოტი, ევროპული ლიტერატურის სენტიმენტალურ ანარეკლს წარმოადგენდა. ამ მწერლებს არ შეუქმნიათ საკუთარი ლიტერატურული სკოლა, არ მოუხდენიათ ლიტერატურის განვითარებაზე რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა. უიტმენი, თორო, პო და რამდენადმე ჰოთორნიც მარტოსულები და განდევნილები იყვნენ. თავიანთი თაობის „ახალი ჰუმანისტები“ აბუჩად იგდებდნენ და წყევლიდნენ მათ. მხოლოდ უილიამ დინ ჰოუელსის მოსვლის შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში დაიბადა რაღაც იდეალი. მაგრამ რაოდენ გულისამრევი იყო ეს იდეალი!

ჰოუელსი ერთი უაღრესად სასიამოვნო და უპატიოსნესი კაცი იყო ადამიანთა შორის, მაგრამ მისი კრედო შინაბერას კრედო იყო, იმ შინაბერასი, რომელსაც უდიდეს სიხარულს სამღვდლო პირთაგან ჩაიზე მიწვევა განაცდევინებდა. მას ზიზლსა ჰგვრის

არა მხოლოდ ღვთისგმობა და ყოველგვარი უხამსობა, არამედ ისიც, რასაც ჰერბერტ უელსი „ცხოვრების მომნიშველ უხეშობას“ უწოდებდა. მას ცხოვრებაზე უფრო ამბილუბული შეხედულება ჰქონდა და ამ შეხედულებას საკმაოდ გულუბრყვილოდ, სავსებით რეალურად მიიჩნევდა. მისი აზრით, ფერმერები, მეზღვაურები, ფაბრიკის მუშები შეიძლება მართლაც არსებობდნენ, მაგრამ ფერმერებმა არასოდეს საქმე არ უნდა იქონიონ ნენგთან, მეზღვაურებმა არ უნდა იღრილონ უხამსი სიმღერები, ხოლო მუშა მადლობელი უნდა იყოს კეთილი მეპატრონისა. ყველანი ერთად კი უნდა ოცნებობდნენ ფლორენციაში გამგზავრებაზე და ნაზად იღიმებოდნენ ჩამოფლეთილი მათხოვრის დანახვისას.

ჰოუელსი ისე იყო დარწმუნებული „ახალი ჰუმანისტების“ იდილიური ფილოსოფიის ჭეშმარიტებაში, რომ მნიშვნელოვანი გავლენაც კი მოახდინა თავის თანამედროვეებზე, სანამ 1914 წელს მსოფლიო ომის ხანძარმა არ იფეთქა.

მან მოახერხა მოთვინიერება მარკ ტვენისა, ვინ იცის, იქნებ უდიდესისა ამერიკელ მწერალთა შორის, და ინტელექტუალის ფრაკსა და ცილინდრში გამოაწყო ეს ბებერი ველური. ჰოუელსის გავლენა ხანდახან დღესაც იგრძნობა. მას ახლაც გუნდრუკს უკმევს ჰემლინ ჰარლენდი, რომელმაც გადააჭარბა კიდევ ჰოუელსს ყველაფერში, თუმცა ამ უკანასკნელის გავლენით ნათელი და შეურიგებელი რეალისტიდან, მართალია, გულთბილ, მაგრამ უფერულ მენტორად გარდაიქცა. თუ არსებობს ცნება „თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა“, მაშინ ჰარლენდი ამ ლიტერატურის პატრიარქია და როგორც პატრიარქს, ძალზე აფიქრებს ბედი ახალგაზრდა მწერლებისა, რომელთაც გემოვნება არ გააჩნიათ და თავს ნებას აძლევენ, მიგვანიშნონ, რომ შეყვარებული ქალი და მამაკაცი ყოველთვის როდი მისდევენ „ლოცვანის“ მკაცრ ზნეობრივ ნორმებს, და უბრალო ხალხიც ხშირად ისეთ გამოთქმებს ხმარობს, რაც სრულიად მიუღებელია მთავარი ქუჩის ქალთა ლიტერატურულ კლუბებში. თუმცა ახალგაზრდობაში თვით ჰემლინ ჰარლენდიც, სანამ ბოსტონში გადასახლდებოდა და ჰოუელსის გავლენაში მოექცეოდა, წერდა გაბედულ და მამხილებელ ნაწარმოებებს: „მოგზაურობის ბილიკები“ და „როზა დატერს-კული“.

ეს წიგნები მე ჩემს ბიჭობაში წავიკითხე, როდესაც პრერიებში ვცხოვრობდი, პატარა ქალაქ მინესოტაში. ამ მოთხრობებმა სული ამიფორიაქეს. როცა ბალზაკსა და დიკენსს

გვითხულობდი, მჯეროდა, რომ შეიძლებოდა საფრანგეთის და ინგლისის უბრალო ადამიანების ისე დახატვა, როგორც ამას აკეთებდა ერთიც და მეორეც. მაგრამ არასოდეს არ მომსვლია თავში, გულახდილად თუ შეიძლებოდა წერა მინესოტის შტატის სოცსენტრის მოსახლეობაზე. ჩვენი ლიტერატურული ტრადიციების თანახმად, შუა დასავლეთის მკვიდრნი დაუჯერებლად კეთილშობილნი და სრულიად ბედნიერნი გახლავართ. არც ერთი ჩვენთაგანი სიზმარეული ცხოვრების ნეტარებას არ გადაცვლიდა ნიუ-იორკის, პარიზისა და სტოკჰოლმის მთავარ ქუჩათა მშფოთვარე ცხოვრებაზე. მაგრამ როცა ჰარლენდის „მოგზაურობის ბილიკები“ წავიკითხე, დავინახე — თურმე არსებობს მწერალი, ვისაც კარგად ესმის, რომ შუა დასავლეთის ფერმერიც ჩვეულებრივი ადამიანია, მასაც ისევე შია და სწყურია როგორც სხვას, ისიც ხანდახან დაბნეულია. სულმდაბალიც არის და გმირიც, როგორც ყველა ჩვეულებრივი ადამიანი. ეს რომ შევტიყვე, ამოვიხსნეთქე. უკვე შემდეგ დამეხატა ცხოვრება თავისი ნამდვილი სახით. მაგრამ ვშიშობ, რომ ჰარლენდი არათუ გაიხარებდა, შეურაცხყოფილიც კი დარჩებოდა, თუ ვინმე ეტყოდა, რომ სწორედ თვითონ დამეხმარა ისეთი ამერიკის დახატვაში, როგორსაც მე ვხედავდი. ჩემი ამერიკა კი არ გახლდათ უილიამ დინ ჰოუელსის გაცისკროვნებული ქვეყანა. ეს ჰარლენდის ტრაგედიაა და არა მარტო მისი, არამედ მთელი ამერიკისაც, ტრაგედია თავისუფალი ქვეყნისა, სადაც ადამიანი, ჰარლენდის მსგავსად, გზას რომ გაიკვლევს, თანდათან გონებაშეზღუდულ ობივატელად გადაიქცევა. მაგრამ ვიდრე ეს ხალხი, ჰოუელსის არ იყოს, ყოველნაირად ცდილობდა გადაექციათ ამერიკა ღვთისმლოცველი ინგლისური ქალაქის ორეულად, სხვებმა, გაბრაზებულმა, მაგრამ ნამდვილმა ადამიანებმა, ჯერ უიტმენმა და მელვილმა, ხოლო შემდგომ დრაიზერმა, ჰონეკერმა და მენკენმაც ჯიუტად დაამტკიცეს, ჩვენი ქვეყანა უფრო მეტის შემძლეა, ვიდრე მოხდენილი მიხვრა-მოხვრისა და დახვეწილი მანერების შეთვისება გახლავთ. ლიტერატურული ნორმების უქონელადაც გამოვალწიეთ, გადავრჩით დღემდე, და ახალგაზრდა, ღონიერი კაცისათვის იქნებ უკეთესიც იყო. ეს უქონლობა და სიღარიბე კარგად მესმის, ამგვარი აზრები ჩემს საყვარელ სამშობლოზე რამდენადმე უიმედოდაც რომ გაისმის, ამიტომ მსურს ეს პანაშვიდი ჯანსაღი ოპტიმიზმით აღსავსე პანგიით დავასრულო.

მე მწამს ამერიკული ლიტერატურის მომავალისა. მჯერა, მალე დავალწიეთ თავს კეთილმოსურნე, ჯანსაღად მოაზროვნე და უფერული პროვინციალიზმის სულისშემძრუთველ ატმოსფეროს ჩვენ ახლა გვყვანან ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც ისეთი გატაცებითა და მხატვრული ძალმოსილებით წერენ, რომ მე სევდა მიპყრობს — რადა ვარ მოხუცი და რატომ აღარ შემიძლია მათ შორის ყოფნა.

ჩვენ გვყავს ერნესტ ჰემინგუეი, მრისხანე ახალგაზრდა კაცი, ცხოვრების უმკაცრეს-სკოლაგამოვლილი, საკუთარ თავთან ბრძოლაში გამოწრთობილი, საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნი, ნამდვილი მხატვარი, ვისთვისაც ცხოვრება მშობლიური სტიქიაა. გვყავს ოცდაათიოდე წლის თომას ვულფი, რომლის ერთადერთი რომანი „მიხედვ სახლსა შენსა, ანგელოზო“, მხარს უმშვენებს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს და გამსჭვალულია ცხოვრების რაბლესებური სიხარულით. გვყავს თორნტონ უაილდერი, რომელიც ჩვენს რეალისტურ საუკუნეში ძველ, უმშვენიერეს, მარად რომანტიკულ სიზმრებს ხედავს, გვყავს ჯონ დოს პასოსი, დიდებული მეზნებარე რევოლუციონერი, ვისაც ზიზღსა ჰგვრის ბემბიტთა კეთილმოსურნე და ფხიზელი იდეები. გვყავს სტივენ ბენეტი, რომელმაც ერთფეროვან ამერიკულ ლიტერატურას დაუბრუნა ეპიკური პოემა და უკვდავპყო მოხუცი ჯონ ბრაუნის სახელი. გვყავს მაიკლ ჰოლდი, ისტ-საიდის ებრაული კვარტალების დღემდე უცნობი ცხოვრების აღმომჩენი, გვყავს უილიამ ფოლკნერი, რომელმაც შეძლო ამერიკის სამხრეთის აღწერა ისე, რომ ხაზარდიანი კაბები ერთხელაც არ უხსენებია. კიდევ ათობით ახალგაზრდა პოეტი და პროზაიკოსი გვყავს, რომელთა უმრავლესობა დღეს პარიზში ცხოვრობს და თითქმის ყველა ჯეიმზ ჯოისზე კარგავს ტკუას. მაგრამ როგორადაც არ უნდა გადაირონ, ტრადიციული და უფერული მათთვის უკვე უცხო და მიუღებელია.

მე მივესალმები მათ და მიხარია, რომ ჩემთვის ასე მახლობელია მათი გადაწყვეტილება, შესძინონ ამერიკას — დაუსრულებელი პრერიების, ცათამბჯენებისა და ქოხმანების, განუსაზღვრელი სიმდიდრისა და მომავლისადმი უდიდესი რწმენის ქვეყანას, ამერიკას ისეთსავე თვითმყოფადს, როგორიც რუსეთია, და წინააღმდეგობებით ისევე აღსავსეს, როგორიც ჩინეთია — მისი სიდიადის ღირსი ლიტერატურა.

ჯ ა რ ჯ ი ფ ხ ო ვ ე ლ ი

ი მ ე ღ ი გ ა ლ ი ა ა

ბას „შეერთებასაც“ განიზრახავს. ეს გახლავთ მარადიული სწრაფვა — შეერთებისა და მიწვდომის სურვილში — ხიდების შექმნის სურვილში რომაან გაცხადებული.

„ყველაფერი, რაშიც ვლინდება ჩვენი ცხოვრება — გულმოდგინება, ფიქრი, შეხედულებები, ღიმილი, სიტყვა, ამოკენესა — ყველაფერი მისწრაფვის მეორე ნაპირისკენ, როგორც ერთადერთი მიზნისაკენ და ამ სწრაფვაში განიფინება ყოფიერების აზრი“ — ამბობს ანდრიჩი — სერბიული ლიტერატურის კლასიკოსი. მან ამ თემებზე შექმნა მოთხრობები, ესსეები და რომანი „დრინის ხიდი“.

სხვა ადგილას იგი ანდრიჩი წერს: „იმ ნაგებობათა შორის, რასაც ცხოვრებისეული ინსტინქტებით პყრობილი ადამიანი აშენებს, ჩემის აზრით, არაფერია ხიდებზე უფრო ფასეული... ისინი ეკუთვნიან ყველას და თვითთულს... და არავითარ იდუმალსა და ბოროტს არ ემსახურებიან“.

გასულ წელს მთავარი სარედაქციო კოლეგიის ინიციატივით ქართულად გამოიცა იგი ანდრიჩის რომანი „დრინის ხიდი“ (მთარგმნელები: მედეა კახიძე და ზაქარია მამისაშვილი).

რომანში მოცემულია სერბიის თითქმის სამასწლიანი ისტორია. ისტორია, რომლის უფსკრულშიც დაინთქა მრავალი ნაგებობა, გაუჩინარდა მორჭმით მდგარი ბევრი ძეგლი, განქარდა ომებისა და სისხლისღვრის, შფოთვისა და ჯანყის ხმაური; ხოლო უამის გადამლახველი, ნაპირების შემაერთებელი ხიდი თავისი მშენებებითა და სიმტკიცით სამასწლიანი ისტორიის დინებას ბოლომდე გაჰყვა.

თუმცა დროის კვალდაკვალ ხიდიც ბერდებოდა, მაგრამ კაცთაგან შეუმჩნეველად, ისე თანდათან, როგორც თავად „მარადიული და უცვალებელი ხიდი“ — ცხოვრება.

სერბიის ისტორიის იმ სამასწლიანი მონაკვეთის სიმბოლოა დრინის ხიდი, საიდანაც ნათლად მოჩანს როგორც საერთოდ ქვეყნის წარსულის სამანები და ავ-კარგი, ისევე ხიდის მომიჯნავე ქალაქის ვიშეგრადის ისტორიაც.

დრინის ხიდის აშენება გათურქებულ სერბს მეჭმედ-ფაშა სოკოლს მოსვლია აზრად და განუხორციელებია კიდევ. სერბიელები თურქთა ყოველგვარ წამოწყებას ებრძოდნენ და ხიდის აშენებასაც მრავალი დარკვალეობა შეუქმნეს. რადისავის დასჯის

ხიდი ადამიანთა მოდემის მარადიული სწრაფვაა — მიწვდომისა და შეერთების, გადასვლის და შეცნობისა. ხორციელი, ვინც ხილით მდინარის ნაპირები შეაერთა, ცხადია, ოდესმე მატერიკების, პლანეტებისა და გალაქტიკე-

ამბავი ოსტატურად გადმოუღიათ მთარგმნელებს: „... დაინახეს, როგორ ამოძრავდა რადისავის შებოჭილი ტანი, როცა წაწვეტებული მარგილი შეეხო, როგორ აიწია, თითქოს წამოდგომას ლამობსო და ძალაგამოლეული ისევ ფიცრებზე დაენარცხა. მერჯანი წამოხტა, ხის ჩაქუჩი აიღო და მარგილს ბლაგვი მხრიდან ნელ-ნელა, მოზომილად დაუწყო დარტყმა. ყოველი დარტყმის მერე ჩერდებოდა, ამოწმებდა. გლეხის სხეული... ჩაქუჩის ყოველ დარტყმაზე წელში იღუნებოდა, იკუნტებოდა, მაგრამ თოკები ტანს ისევ ჭიმავდნენ და ასწორებდნენ... დაძაგრულ და განაწამებ სხეულს ისეთი ჭრიალი და ჭახჭახი გაჰქონდა, გეგონებოდათ ღობესა სდგებიან ფეხით, ან სულაც ხეს ამტვრევენო“...

საოცრად ნაღვლიანად გაიღვებებს რომანში ფატას უიღბლო ცხოვრების ამბავი, სწორედ დრინის ხიდან რომ შეწყდა.

„სწრაფად იფურჩქნებოდა და ისევე სწრაფად ქრებოდა ადამიანთა თაობები, ხიდი კი ისევ იდგა, მის ქვეშ კვლავ ძველებურად მოადგაფუნებდა ზვირთებს დრინა“...

გამოხდა ხანი და ხიდი თურქთა განდევნის მომსწრეც გახდა, ახალმა დამპყრობლებმაც გადაიარეს მასზე... და ახალი დროის მრისხანებამ ხიდის არსებობასაც ბოლო დაუდო. რომანი ალი-ხოჯას სიტყვებით მთავრდება: „ვინც ანგრევს, იმათი აღსასრულიც დადგება!.. იქნებ ეს უწმინდური სჯული იმიტომ აწესრიგებს ყველაფერს, აახლებს, ყოველგვარ საქმეს ასრულებს და აგვირგვინებს, რომ შემდეგ ყველაფერი გადასანსლოს. დაანგრიოს და თავად მთელ დედამიწაზე გავრცელდეს; იქნებ ურწმუნოებმა მთელი ღვთიური სამყაროსაგან საკუთარი უაზრო მშენებლობებისა და სისხლიანი ნგრევებისათვის ერთი მთლიანი, ცარიელი მინდორი გამოიგონონ, რომელიც მათი გაუმაძღრობისა და უცნაური მადის დასაოკებელი საძოვარი იქნება. ყველაფერი შესაძლებელია... მაგრამ ერთი რამ კი შეუძლებელია. არ შეიძლება ყველგან და სამუდამოდ გაქრნენ დიდი, ბრძენი და ღვთისმოშიში ადამიანები, ღვთის სიყვარულით მარადიულ ნაგებობებს რომ აგებენ, რითაც დედამიწას ალამაზებენ და ადამიანების ცხოვრებას უფრო მსუბუქსა და ბედნიერსა ხდიან“...

მართლაც, არ შეიძლება, არ შეიძლება, რომ დაითრგუნოს კაცობრიული სწრაფვა,

„მარადიული ნაგებობების“ აშენებისა, ხელის გაწვდენისა, გაღმა გასვლისა და შეერთებისა — ხილების აგებაში რომაა გაცხადებული. ამ სწრაფვის დასტურია თვითონ ეს თარგმანიც. ამ სწრაფვას ეხმიანება ყოველი კეთილი საქმე, რომელიც გაღმა გახედვის სურვილით, სხვისი სიკეთის დანახვის სურვილითაა ნაკარნახევი, რადგან „მთელი ჩვენი ცხოვრება გადასასვლელია, ხილია, უსასრულობისაკენ მიმავალი... და მთელი ჩვენი იმედი ვაღმა მხარესაა“...

„დრინის ხიდის“ ზოგი ნაწილი ისტორიული ქრონიკაა, ხოლო ზოგიც — ვიშეგრადის მკვიდრთა უკიდურესად ინტიმური ცხოვრების ამბებს გამოგვცემს. ასეთ დროს მოსალოდნელია სტილის ცვალებადობა, რაც ხშირად საზიანოა ხოლმე. მთარგმნელებმა ამ მხრივ შესაშურად წარმოგვიდგინეს ერთიმეორეს მიახლოებული სტილური სხვაობანი, როგორც მხატვრული პროზისა, ისევე ესსეისტური ნააზრვისა.

მწერლის (ამ შემთხვევაში — მთარგმნელების) გულმოდგინება მუდამ წიგნის სრულყოფილად და უშეცდომოდ გამოცემისაკენაა მიმართული, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის მიღწევა პირველ გამოცემაში ყოველთვის ვერ ხერხდება. ამ მხრივ არც „დრინის ხილი“ გამოთავისუფლდა. აქაც ვკვდებოდა ზოგიერთი სტილისტურად დაუხვეწელი წინადადება... ალბათ, დროის დისტანცია ნაგულისხმევ ადგილებს მთარგმნელებისათვის საჩინოს გახდის. ვფიქრობ, ამ წიგნის მომდევნო გამოცემა უფრო სრულყოფილი და დახვეწილი სახით მიაღწევს მკითხველამდე.

* * *

ივო ანდრიჩის „დრინის ხიდის“, „ფრანგი პოეტების“, იანოვსკის „მხედრების“, რუსული „ბილინების“ და მათეოსიანის „ავვისტოს“ გამოცემით უკვე გამოიკვეთა იმ დიდი საქმის კონტურები, რასაც მთავარი სარედაქციო კოლეგია შესდგომია. ეს საქმე სწორედ ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის ხილების გადების ძველისძველი სწრაფვის გამოხატულებად გვესახება...

შემოთ ჩამოთვლილი წიგნები სანაქებო თარგმანებია და კარგი მხატვრული გაფორმებაც უნდა ამშვენებდეს. ამ მხრივ ხსენებული გამოცემები უდავოდ მოიკოჭლებს. ალბათ, მომავალში ეს ხარვეზიც გასწორდება.